მიხეილ ნახეიშვილი

ინტერვიუები

მიხეილ ნანეიშვილი

III

ინტერვიუები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2024

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით

კრებულში თავმოყრილია მიხეილ ნანეიშვილის ინტერვიუები, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხება. ქართული პერიოდიკის ფურცლებზე მოფანტული მთელი ეს მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით, რუბრიკაში-კი, – „სხვადასხვა“, თემატურად. ინტერვიუების ნაწილი საგრძნობლადაა შემოკლებული, რათა გამოკვეთილიყო სათქმელის არსებითი მხარე.

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, ინტერვიუების სრული ვერსია იხილოს ინტერნეტრესურსის სახით.

შემდგენელ-რედაქტორი გურამ კუტალაძე

კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

© მ. ნანეიშვილი, 2024

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2024

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-777-2



წინათქმა

ქართველ ერს, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ჰყოლია მესვეურნი და მოჭირნახულენი, დიდნი პიროვნებანი, რომელნიც თავიანთი ცხოვრებითა და ღვაწლით გამოხატავდნენ და ასახიერებდნენ ერის კულტურულ-ისტორიულ სუვერენულობას, მის „უმაღლეს კულტურულ ცნობიერებას“. თანამედროვე საქართველოს ასეთ შემოქმედთა და მოამაგეთა შორის ერთ-ერთი უპირველესი არის მიხეილ ნანეიშვილი, რომელიც „უფილოსოფოსობით“ და განუსჯელობით დასნებოვნებულ თანამედროვე ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო გამონაკლისს წარმოდგენდა მაღალი ფილოსოფიური განსწავლულობით, ეროვნული და მსოფლიო ისტორიის და კულტურის ზედმიწევნითი ცოდნით; მის მძლავრ, არაორდინალურ, ანალიტიკურ გონს იშვიათი „პოეტური“ ინტუიციაც ამკობდა, მეტადრე ფილოსოფოსისა და პოლიტიკოსისთვის საჭირო და აუცილებელი.

ეროვნული მოძრაობის ხანაში, როცა ქართველობა ის-ის იყო სწავლობდა საკუთარ არსებობაში ჩაბუდებული „რუსობის“ დაძლევას, თავისი სუვერენული თავის მოპოვებას და დაუფლებას, მის მართვას საკუთარივე სუვერენული ნებით, მიხეილ ნანეიშვილი გამოუჩნდა მოაზრე-თეორეტიკოსადაც და კულტურტრეგერული მისიის მტვირთველ პოლიტიკურ მოსაქმედაც. ის მისთვის ნიშნეული შეუვალი პრინციპულობით და პასუხისმგებლობით უჩვენებდა მის თანამედროვეთ სწავლის, ფიქრის, აზროვნების, ზნეობის გზას;

მიხეილ ნანეიშვილის პიროვნება, მთელი მისი არსება, სულიერი და გონითი ნება ერთი, მისი ცხოვრების ერთიანად გამჭოლი იდეით იყო შთაგონებული – ეროვნული და პიროვნულ-ინდივიდუალური თავისუფლების იდეით. ეს იდეა, როგორც უმაღლესი ადამიანური ღირებულება, განმსაზღვრელი მისი პროფესიული არჩევანის, თეორიულ-შემოქმედებით თუ პრაქტიკულ-პოლიტიკური ღვწის, თითქოს, პროვინდენციულად დაემკვიდრა მის არსებაში და მშობელი „სოფელ“-ქვეყნისთვის „ზრუნვა“ დაუსახა უმთავრეს საწუთისოფლო მისიად; მამულიშვილობა იყო მიხეილ ნანეიშვილის ბედისწერა, ამას მისი ბიოგრაფიის ყოველი ეპიზოდი აცხადებს;

მოვუსმინოთ თვითონ მას:

„დავიბადე 1934 წლის 12 ივლისს, თბილისში. მამა – ალექსანდრე ნანეიშვილი, იურისტი (ცივილისტი), დედა – აგრაფინა (გრუშა) კალანდაძე, მეან-გინეკოლოგი. გავიზარდე უმამოდ (მამა 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა), დედის და ბებიის, დედის მხრიდან, ხელში.

დედაჩემის მამა, მიხეილ (მიხაკო) კალანდაძე, ცნობილი სოციალ-დემოკრატი იყო, ეკუთვნოდა ამ პარტიის ე.წ. ეროვნულ ფრთას, ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას, მის მიერ გამოცემულია დავით კლდიაშვილის თხზულებათა პირველი კრებული. ჩვენს ოჯახში ინახება მწერლის ფოტოსურათი, მის მიერ ბაბუაჩემისთვის, რომელთანაც მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ნაჩუქარი. პროფესიით სტამბის მუშა, მიხაკო კალანდაძე, როგორც მსმენია, პატივისცემით სარგებლობდა მაშინდელ ქართულ ინტელიგენციაში, რომლის ბევრ წარმომადგენელთან მას აკავშირებდა, გარდა პირადისა, საქმიანი ურთიერთობაც (სხვათა შორის, შემონახულია მისი წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, რომლისთვისაც მას გაუგზავია რაღაც ისტორიული საბუთი). ცხოვრების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ბოლშევიკების პერიოდში, ციხეში გაატარა. იყო ბოლშევიკების, რომ იტყვიან, დაუძინებელი მტერი, რასაც არც მალავდა. ფილიპე მახარაძეს მისთვის შემოუთვლია, მიხაკო, მოგვეშვი, დაგინიშნავთ პენსიას, როგორც ძველ რევოლუციონერს, ჩვენთან ბრძოლით ვერაფერს გააწყობო; რაზეც მიხაკოს უპასუხია, სანამ ცოცხალი ვარ, თქვენ მტრად მიგულეთო. თავისებური ადამიანი ყოფილა. თავის საუკეთესო კოსტუმს ციხისთვის ინახავდა, ქართველი საზოგადოების რჩეული ნაწილი იქ არისო. ბოლო პატიმრობიდან (ლენინგრადში პეტრე-პავლეს საპყრობილეში, – ასე მახსოვს) სასიკვდილოდ დაავადებული, რამდენადაც ვიცი, სტალინის განკარგულებით, ვისთანაც დედაჩემი ჩასულა ბაბუას საქმეზე, გათავისუფლებულ იქნა (...საშიში აღარ არისო) და რამდენიმე თვეში სახლში გარდაიცვალა (1932წ.). ჩვენს ოჯახში ხშირად იხსენებდნენ მისი ცხოვრების დევიზად ქცეულ სიტყვებს „ერის გათავისუფლება“. მიხაკო კალანდაძე მოხსენიებულია ვალიკო ჩუბინიძის მოგონებებში 1924 წლის აჯანყების შესახებ. დედა იგონებდა, მაშინდელი საუკეთესო ექიმები თავს ეხვეოდნენ (დამახასიათებელი ფაქტი), მაგრამ ვერაფერი გააწყვესო.

მამაჩემი, ალექსანდრე ნანეიშვილი აგრეთვე სოციალ-დემოკრატი იყო, თანაც (ფსიქოლოგიურად საინტერესო ფაქტი) ღრმად მორწმუნე. ისიც ამ პარტიის „ეროვნულ ფრთას“ ეკუთვნოდა. მამამისი, ყარამან ნანეიშვილი, თურმე კარგ ურთიერთობაში ყოფილა ცნობილ ვიტესთან, ვისთანაც ერთხელ პეტერბურგში ჩასულა (ერთგვარი კომიზმით აღბეჭდილი ამბავი) ვიღაც რევოლუციონერის ციხიდან გასათავისუფლებლად (ვიტეს ყარამანის თხოვნა დაუკმაყოფილებია). ალექსანდრეს მკვიდრი ბიძა, ყარამანის ძმა, იყო ალექსანდრე ნანეიშვილი, „ივერიის“ პუბლიცისტი („ნალის“ ფსევდონიმით), რომლის შვილიც იყო გამოჩენილი იურისტი ზოზო (იოსებ) ნანეიშვილი. რაც

შეეხება მამაჩემს, ისიც თვალსაჩინო იურისტი ყოფილა („ჩვენი თაობის უბრწყინვალესი იურისტი“, - მისი ერთი კოლეგის თქმით), ამბობენ, ფართო განათლების ადამიანი (უმაღლესი განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული). მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში; იყო გადასახლებაში, საიდანაც, ცოტა ხნით ადრე „დიდ ტერორამდე“, ე.წ. „სვობოდნოე პოსელენიეს“ წესით, იაროსლავში იყო გადაყვანილი. აქ მას მონაწილეობა მიუღია იაროსლავის საბურავების ქარხანასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პროცესში (მეორე მხარეს გერმანელები წარმოადგენდნენ), რომელიც მას წარმატებით ჩაუტარებია და თავის ოპონენტთა მაღალი შეფასებაც დაუმსახურებია. პროცესზე ჩამოსული ყოფილა ანდრეი ვიშინსკი, რომელსაც პროცესის დამთავრების შემდეგ ალექსანდრესთვის შეუთავაზებია მასთან სამუშაოდ წასვლა მოსკოვში. მამაჩემს უარი უთქვამს, საქართველოში მინდა დაბრუნებაო (დაბრუნების უფლება ამ პროცესისთვის მისცეს). ვიშინსკის უპასუხია, თქვენი ნებაა, მაგრამ გირჩევთ, აქ დარჩით, საქართველოში ნუ ჩახვალთო (საფიქრებელია, მოსალოდნელი რეპრესიების გამო). ალექსანდრე მაინც დაბრუნდა სამშობლოში, სადაც შვიდი თვის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა და სამ დღეში დახვრეტილიც. 60-იან წლებში, ერთმა ძალიან მსხვილმა – ძველმა ჩეკისტმა მითხრა: „მამათქვენს ბოლომდე(!) ვიცნობდი, შეგიძლიათ, თქვენი მამით იამაყოთ“. მე, გასაგები მიზეზით, არ დამიზუსტებია მასთან საუბარში, მაინც რა აზრით უნდა „მეამაყა“. ჩანს, ალექსანდრეს იმ სამი დღის განმავლობაში ღირსეულად ეკავა თავი და სიკვდილიც მან ღირსეულად მიიღო („რეაბილიტაციის“ პერიოდში გადმომცეს, რომ ალექსანდრეს დაკითხვის ფურცლები ცარიელი ყოფილა).

ბებიაჩემი ელისაბედ ხოშტარია უბრალო ქალი იყო, ვგონებ, სასკოლო განათლებაც არ მიუღია, მაგრამ ჰქონდა საკვირველი მეხსიერება და, თავისებური შეფასებით, იხსენებდა ხოლმე ძველ ამბებს და ცალკეულ პიროვნებებს (რატომღაც აჩემებული ჰყავდა ნიკო ნიკოლაძის და ოლიმპიადა). როდესაც გავაჯავრებდი, იწყებდა მოყოლას, ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვებით, სოციალ-დემოკრატიის „ისტორიას“, ბაბუაჩემისა და მამაჩემის მისამართით („წელი მომწყვიტეს ციხეში გადაცემების თრაქვით!“), რასაც ამთავრებდა ასევე „სტანდარტული“ დასკვნით: ამათი შვილიშვილი და შვილი (ე.ი. მე) სხვა რა შეიძლება იყოსო. ერთხელ ბაბუაჩემს ციხიდან შემოუთვლია: „ელისაბედ, აქ კათოლიკოსი ამბროსი და სხვა პატივსაცემი ადამიანები ბრძანდებიან, ... კარგი სადილი გამომიგზავნე“, რის მოგონებაზეც ბებიაჩემი დააყოლებდა: „გარეთ შიმშილით ვიხოცებო-

დით, ის კი ციხიდან სადილებს მიკვეთავდა“. მამაჩემზეც იტყოდა: „ციმბირში ცინგის საწინააღმდეგოდ აქედან რის ვაივაგლახით ნიორს ძლივს ვუგზავნიდი. მან კი იაროსლავლიდან მთელი ბიბლიოთეკა ჩამოიტანა“. ასე რომ, იმდროინდელი ამბები, მართალია, ბებიაჩემის ვერსიით, დღემდე ბავშვობის „ნანასავით“ შემომესმის. დედას საშინლად არ უყვარდა თავისი სახელი და ხშირად წამოაძახებდა ბებიაჩემს: „ქალო, ერთი რუსი დედაკაცის რჩევით როგორ დამარქვი ეს სახელიო“ (მიხაკო ამ დროს დაპატიმრებული იყო, როდესაც დედაჩემი დაბადებულა, და რუს ბათუმელ ქალს (მაშინ ბათუმში ცხოვრობდნენ) ვგონებ, სულაც მოუნათლავს დედაჩემი. ოჯახზე, რომლის „ცენტრიც“, რა თქმა უნდა, მე ვიყავი, ელისაბედი გადაყოლილი იყო.

დედაჩემი ქართული უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პირველ გამოშვებას ეკუთვნოდა. ხშირად იხსენებდა ივანე ჯავახიშვილის ლექციებს საქართველოს ისტორიაში (მაშინდელი სავალდებულო საგანი ყველა სტუდენტისთვის). მაგრამ თავის ნამდვილ აღმზრდელად, ვინც მედიცინის გზაზე დააყენა იგი, დედაჩემს ბაბუაჩემის მეგობარი ივანე თიკანაძე მიაჩნდა. შემდგომშიც, სანამ ივანე ცოცხალი იყო, დედა მასთან მუშაობდა. როდესაც დედაჩემი გაგდებული იყო სამსახურიდან მამისა და ქმრის მიზეზით, ივანე თიკანაძე დედაჩემს აგზავნიდა ხოლმე პაციენტებთან პურის ფულისთვის. 1924 წლის აჯანყების მოსამზადებელ პერიოდში დედა თურმე (ეს გვიან შევიტყვე) საიდუმლო მეკავშირე ყოფილა უცხოეთიდან ჩამოსულ და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს შორის (თვითონ ფედერალისტებს თანაუგრძნობდა). მოგვიანებით ცოტა ხანს (სამი თვით) ჩეკაშიც იყო დაკავებული. შვილის სიკვდილის შემდეგ, დედაჩემი, მაშინდელი ნაცნობობით, გაემგზავრა მამაჩემთან ციმბირში. შინ ფეხმძიმედ დაბრუნდა. ასეც ჰქონდა ჩაფიქრებული. აჩემებული ჰქონია, „ალექსანდრეს შვილი უნდა გავუჩინოო“. შინ დაბრუნებულს, ფეხმძიმობის მეშვიდე თვეზე ეკლამსია დაემართა და ექიმები დაბეჯითებით მოითხოვდნენ მუცლის ხელოვნურად მოშლას, რაზეც დედამ კატეგორიული უარი განაცხადა: თუ დადგება საკითხი, ვინ გადარჩეს, მე თუ ბავშვი, ბავშვი გადაარჩინეთო. დედას ამ გადაწყვეტილებაში ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი ჰყავდა, ბაბუაჩემის და მამაჩემის მეგობარი ცნობილი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე (ფედერალისტი) ოსიკო ბარათაშვილი, რომელიც ყოველდღე დაიარებოდა ჩვენს სახლში და დედას ვერის ბაღში ასეირნებდა. მშობიარობის დრო რომ დადგა, დედამ მოიწვია თავისი ახლობელი ბებია ქალი და თვითონ ხელმძღვანელობდა საკუთარ მშობიარობას. ბუნებრივია, ძალიან ვუყვარდი, მაგრამ, ჩანს, იმიტომ რომ უმამოდ

ვიზრდებოდი, ასევე ძალიან მკაცრი იყო: რუსის „ბარაბანს“ არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც მე მომხვედრია ბავშვობაში დედაჩემისგან.

რადგანაც დედა კარგ სპეციალისტად ითვლებოდა, ბევრი პაციენტი ჰყავდა, მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებები. გაჭირვებულებს ფულს არ ართმევდა (თიკანაძის ტრადიცია), მახსოვს ერთ ასეთ პაციენტს, რომელსაც პალტო არ ჰქონდა, თავისი პალტო აჩუქა („ჩაიცვი, წამლებს წყალში ნუ გადამიყრიო“). სწორედ ასეთი მზრუნველობითი სიმკაცრის წყალობით და არა ამის „მიუხედავად“ მე შედარებით ადრე გამომიმუშავდა პირადი პასუხისმგებლობისა და მასთან პიროვნულად დამოუკიდებლობის შეგნებაც. დედას რუსული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკობდა, მაგრამ არ მახსოვს რუსულად დამლაპარაკებოდა. ვერ იტანდა მეტყველებაში პროვინციალიზმებსა და ბარბარიზმებს და, თუკი რამე ამის მსგავსი (ვთქვათ, ქუჩიდან მოტანილი) წამომცდებოდა, მყის გამისწორებდა ისეთი ტონით, რომ სამუდამოდ მამახსოვრდებოდა. ასევე ეჯავრებოდა, როდესაც ვინმე აზრს გამოთქვამდა რამე საგანზე, რომელზეც წარმოდგენა არ ჰქონდა, რის გამოც, ერთხელ, რა დამავიწყებს, ჩემი სტუმრების თანდასწრებით, მაშინ თოთხმეტიოდე წლის ვიყავი, მეტიჩრული გამონათქვამისთვის მწარე სირცხვილი მაჭამა.

... ჩვიდმეტი წლის ვიყავი, დედაჩემის ყოფილი სტუდენტის მიპატიჟებით, დედა და მე ყაზბეგის მახლობლად, სოფელ არშაში ვისვენებდით. დედაჩემის მეორე ნასტუდენტარმა, რომელიც გათხოვილი იყო იქაურ თანამდებობის პირზე, დაგვპატიჟა სადილზე სანატორიუმ „დარიალში“. როდესაც იქ ჩავედით, დედამ მითხრა: „ეს ქართული მიწა-წყალი არაა, აქ ჩეჩნები ცხოვრობდნენ, რომლებიც გადაასახლეს, მაგრამ ამაზე აქ ხმა არ ამოიღო, შენთვის იცოდე“ (სტუმრებს შორის, ჩვენ გარდა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ)...

მქონდა უზრუნველყოფილი ცხოვრება, ყოველგვარი ფუფუნების გარეშე. ერთადერთი „ფუფუნება“, რაზეც უარი არასდროს მიმიღია, პირიქით, იყო წიგნები. ვიწრო წრე ჰყავდა მეგობრების, რომლებთანაც მიმოსვლა ჰქონდა და ყოველთვის მე ვყავდი გვერდით, ვუსმენდი მათს საუბარს, მაშინ ჩემთვის ზოგჯერ გაუგებარს, ზოგჯერაც – გასაგებს და სულისათვისაც დიდად მარგებელს. (ე.წ. „ქალური ჭორები“ დედას ჭირივით ეზარებოდა და ვერც ვერავინ გაბედავდა მასთან ამგვარ საუბარს, მით უფრო, რომ თანამოსაუბრეებად მამაკაცები ერჩივნა, ქალებს... ამ მიზნით, დიდად, მეტი რომ არ

ვთქვა, არ სწყალობდა). იყო, ისევე როგორც მამაჩემი, „გერმანოფილი“. როდესაც გერმანიასთან ომი დაიწყო, მახსოვს, თავის საწერ მაგიდაზე დაალაგა გერმანული წიგნები, ელოდა, „ამათგან“ დაგვიხსნიანო (ძალიან გავრცელებული განწყობა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციაში და, სხვათა შორის, არა მარტო მასში...). როდესაც უნივერსიტეტიდან გამრიცხეს პოლიტიკური მოტივით, ეს ამბავი მშვიდად მიიღო: „ჩანს, ჩვენი ოჯახის ბედი ესაო“. ერთხელაც არ წამოსცდენია ჩემდამი საყვედური ამასთან დაკავშირებით. სამოც წელს იყო გადაცილებული, როდესაც დამბლა დაეცა. მე მეზობლად დავდიოდი ჩემი მეგობრის დედობილთან, საიდანაც ხშირად გვიან ვბრუნდებოდი ხოლმე. სახლში მოსამსახურე გვყავდა, რომელიც ჩემს არყოფნაში დედას უვლიდა. ერთხელაც გვიან დავბრუნდი სახლში და, ჩვეულებისამებრ, ვიდრე დავწვებოდი დასაძინებლად, დედასთან მივედი საკოცნელად. ვხედავ, არ სძინავს. „შენ რაიმე არალეგალურ ორგანიზაციაში ხომ არ ხარ?“ – შემეკითხა (მერე გაირკვა, მოსამსახურეს უთქვამს მისთვის, გვიან ღამით იმიტომ მოდის, რომ არალეგალურ ორგანიზაციაშიაო). „არა, დედა, საიდან მოგივიდა ეგ აზრი?“ – ვუპასუხე. ექიმებისგან მსმენია, დამბლადაცემულს ხშირად ერთგვარი „ეგოიზმი“ ახასიათებთო. იმ ღამეს კი დედაჩემისგან ეს გავიგონე: „ისე, შენ იცი, მაგრამ, მე მგონია, ჯერ ნაადრევია“. ასეთია ჩემი ბოლო მოგონება დედაჩემზე“.

სამწუხაროდ, აქ წყდება ეს ავტობიოგრაფიული ჩანაწერი, რომელშიც ნათლად იხატება მიხეილ ნანეიშვილის ოჯახის ფსიქო-მორალური ატმოსფერო, თავისუფლების სულით გაჟღენთილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართულ-ევროპული გარემო“, როგორც ერთი ორგანული მთლიანობა, რაც ქმნიდა ოჯახის უმაღლეს კულტურულ ინსტანციას.

საინტერესოა, რომ ახალგაზრდა მიხეილ ნანეიშვილი მუსიკალური კარიერისათვის ემზადებოდა, 1953 წელს ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სასწავლებლის დასრულების შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩაირიცხა, მაგრამ იმედისმომცემმა, სპეციალისტების აღიარებით, პიანისტმა მიატოვა კონსერვატორია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის შესწავლას მიჰყო ხელი. ეს მისი პრინციპული არჩევანი იყო, „ქართლის ცხოვრების“ მაშინდელი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს „აღდგომა-გამოხსნის“ იდეა-მოტივით შთაგონებული, რაზეც იგი ადრეული ასაკიდანვე ოცნებობდა. მოგვიანებით აღნიშნა კიდეც, – „კარგად მახსოვს, პარტიის შექმნაზე ფიქრი 1957 წელს დავიწყე, 1968

წელს კი, როდესაც საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიაში შევიდნენ, ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო განმიმტკიცდა“.

პარტიის დაარსებამდე ჯერ დიდი გზა იყო ფიქრის, აზროვნების, ჭვრეტის; თუმცა არც საუნივერსიტეტო ცხოვრებას ჩაუვლია მშვიდად და უხიფათოდ. ერთ-ერთი სასემინარო გამოსვლისას გამოვლენილი ლიბერალური შეხედულებით დამფრთხალმა ლექტორმა ფაკულტეტის დეკანთან დაასმინა, რომელმაც „ჩეკისტური ერთგულება გამოიჩინა“ და უნივერსიტეტიდან მისი გარიცხვა მოითხოვა, რასაც მიაღწია კიდეც (მაშინ გაერთიანებული ფილოსოფიური და იურიდიული ფაკულტეტების ჩეკისტური სულისკვეთების ის დეკანი, რომელსაც იმდროინდელ პარტიულ ნომენკლატურაშიც-კი „ნაძირალად“ იხსენიებდნენ, ბედის ირონიით, თანამედროვე ქართული იურისპრუდენციის „მამად“ არის აღიარებული). სწავლის გაგრძელების უფლება-კი მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოიპოვა.

საუნივერსიტეტო კურსის გასრულების (1961 წელი) შემდეგ მიხეილ ნანეიშვილი ერთ ხანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა, საბოლოოდ-კი ფილოსოფიის ინსტიტუტში, ქართული ფილოსოფიის განყოფილებაში. მისი თეორიული განსჯისა და ანალიზის საგნად კულტურის და თავისუფლების ფილოსოფიური პრობლემატიკა იქცა.

თეორიული შრომის პარალელურად ის, გარკვეულწილად, პრაქტიკულ-პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა, მხარში ედგა და ეხმარებოდა ყველას, ვინც „ეროვნული საქმის კეთებას ცდილობდა“. ასეთი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა, მაგალითად, 1974 წელს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ შექმნილ ჯგუფთან, მაგრამ მისი (ამ ჯგუფის) წევრი არ გამხდარა, რადგანაც, „ეს ორგანიზაცია არც პოლიტიკური, არც ინტელექტუალური და არც მორალური დონით“ არ შეესაბამებოდა იმ სააზროვნო თუ ზნეობრივ კრიტერიუმებს, რომელსაც მიხეილ ნანეიშვილი უყენებდა, უპირველესად, საკუთარ თავს.

პარტიის შექმნის გადაწყვეტილება მიხეილ ნანეიშვილმა 1990 წელს მიიღო და დააარსა – „საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია“. პარტიის, „მისი მთელი მოღვაწეობის მაფუძვნებელი და წარმმართველი“ იდეოლოგია, მან, უკვე პარტიის თავმჯდომარემ, განსაზღვრა, როგორც „ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმი“, რომლის „იდეოლოგიური კანონიზაცია“ საქართველოში, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოხდა“ ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის მამამთავრის ილია ჭავჭავაძის „უკვდავი“ ფორმულით, „ამიერიდან ჩვენ, ქართველთათვის,

მარადსახსოვარით თუ გვსურს ქართველებად ვიწოდებოდეთ: **„ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“**.

ეს იდეოლოგია, ილიასაგან დაფუძნებული, რომელიც „არსებითად საზღვრავდა, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართველობის მთელ კულტურულ-ისტორიულ ევოლუციას ქვეყნის „გასაბჭოების“ ეპოქამდე“, დამოუკიდებლობამოპოვებულ ქვეყანაში, ცნობილ მიზეზთა გამო, უკვე აღარ შეადგენდა ქართველთა „მასობრივი ცნობიერების კულტურულ აქტივს“. ამან, სხვათა შორის, გაამწვავა ის ღრმა **„საერთო ეროვნული კულტურული კრიზისი“**, რომელშიც აღმოჩნდა ქართველი ერი 1990-იანი წლებიდან, განსაკუთრებით. ერის სულითა და ხორცით დამაძაბუნებელი ამ ვითარების დაძლევა მხოლოდ ყოვლისმომცველი რეფორმისტული პოლიტიკით იყო შესაძლებელი, რომელიც, მიხეილ ნანეიშვილის აზრით, **„პოლიტიკის** სპეციალურ სუბიექტს“ და „ამ პოლიტიკის ხელმძღვანელ ინსტანციას“ ე.ი. სახელმწიფოსა და ხელისუფლებას უნდა ეწარმოებინა, როგორც პოლიტიკურ **„კულტურტრეგერს“**, მიზანმიმართულად. ამ გზით მოხერხდებოდა ხსენებული დიდი კულტურული დანაკლისის შევსება, კრიზისის გადალახვა, ილიასეული იდეოლოგიის დასაძირკვლება ქართველი ერის მომავალი კულტურულ-პოლიტიკური ზრდა-განვითარებისთვის.

ეს მისია, კულტურტრეგერული, საკუთრივ პოლიტიკურ ფუნქციასთან ერთად, დააკისრა მიხეილ ნანეიშვილმა მის მიერ დაარსებულ პარტიას და, რაც არსებითია, საკუთარ თავს, როგორც ხვედრი და ვალდებულება ეროვნული კულტურის განმცდელი და გამომმთქმელი, „გულგანათლებული“, ილიას თქმით, მამულიშვილისა. ამ მისიისა და ფუნქციის აღსრულება არის მთელი მისი საქმიანობის, თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური ღვწის ერნაირად გამჭოლი, წარმმართველი აზრი.

რაც შეეხება ილიასეული ნაციონალიზმის თეორიულ-ფილოსოფიურ დედააზრს, ის მიხეილ ნანეიშვილმა გამოსახა იდეით, რომლის თანახმადაც, „კულტურისა და ისტორიის ერთადერთი ჭეშმარიტი სუბიექტი არის ერი, ვითარცა მათი ნამდვილი **შემოქმედი**. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისტორია და კულტურა სხვა არაფერია, თუ არა ერის შემოქმედება, რომელიც შინაარსია ერის ცხოვრებისა“. ხოლო კითხვას, რა არის ნაციონალიზმი? ასე უპასუხა: „ერის, როგორც კულტურის ერთადერთი ნამდვილი სუბიექტის, სიყვარული, კონსტიტუციური მის შვილ ერისაგანთათვის“ (ციტატები აქ და ზემოთ მიხეილ ნანეიშვილის თხზულებებიდანაა, ხაზგასმებიც ავტორისაა, გ.კ.).

ლდეპ-ის (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის) მთელი საქმიანობა, მისი დაარსების დღიდან მიხეილ ნანეიშვილის ბიოგრაფიის განუყოფელ ნაწილად ქცეული, ნაციონალიზმის ამ იდეისა და პრინციპების რეალიზაციას მიეძღვნა.

მიხეილ ნანეიშვილი იყო საქართველოს მე-3 (1992-1995 წწ.) და მე-5 (1999-2004 წწ.) მოწვევის პარლამენტის წევრი. არ ყოფილა რაიმე, მეტ-ნაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა თუ საკითხი საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრებისა, რომელსაც მიხეილ ნანეიშვილი არ გამოხმაურებია, არ გამოუთქვამს თავისი აზრი საპარლამენტო ტრიბუნიდან თუ წერილობით, პუბლიკაციების სახით. ყველა ტალღას საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართულს, ის მშვიდი, პრინციპული აკადემიზმით ახშობდა და იგერიებდა. საპარლამენტო საქმიანობის ბოლო წლებში მისი კრიტიკის მწვავე სუსხი იწვნია რეფორმისტულად სახელდებულმა ოპოზიციამ, განსაკუთრებით-კი ე.წ. „ნაციონალურმა“ მოძრაობამ.

2003 წლის ნოემბრის მოვლენებს მიხეილ ნანეიშვილმა სახელმწიფო გადატრიალება უწოდა; „დემოკრატიის შუქურა“-დ მონათლული „ნაციონალური“ ხელისუფლების, მისი მოხდენილი თქმით, „შპანოკრატიის“ ზნეობრივი სახე, მისი კარიკატურული, „ანტიპოლიტიკური პოლიტიკის“ შეფასება მოგვცა მან ნაშრომში, – „პოლიტიკაზე – პოლიტიკის გაღმიდან“, რომელიც 2008 წელს გამოქვეყნდა.

მიხეილ ნანეიშვილის უშუალო დამსახურებაა მაშინდელი მთავრობისა და მის ორბიტაზე მოტრიალე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი საქართველოს ფედერალიზაციის პროექტის ჩაშლა. მისი ინიციატივითა და თავმდგომობით დაარსდა არაპარტიული, საზოგადოებრივი მოძრაობა – „უნიტარული საქართველო“ ერთადერთი მიზნით, – არ დაეშვა „საქართველოს ფედერალიზაცია, ყველა შემთხვევაში, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოოდ მომშლელი“. ხელისუფლების შემოთავაზებული პროექტის არსს, „არნახულ და არსმენილ საქმეს – ერის კონსტიტუციურ თვითმკვლელობას“ ააშკარავებს მისი მრავალი ინტერვიუ თუ საგაზეთო პუბლიკაცია. 2005 წელს გამოქვეყნდა წერილი – „საქართველოს ფედერალიზაცია: ეროვნული თვითმკვლელობა“, რომელშიც გაანალიზებულია ფედერალიზმის, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოწყობის ფორმის არსი, რომლის შესახებაც, სხვათა შორის, ჩვენს საზოგადოებას, მის განათლებულ, ასე ვთქვათ, ინტელექტუალურ ნაწილსაც-კი ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნდა და გააჩნია დღესაც.

ჩვენ არ ვცდილობთ მიხეილ ნანეიშვილის პრაქტიკული თუ შემოქმედებითი წვლილის შეფასებას თანამედროვე საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, აქ ამის არც ადგილია და არც კომპენტენცია გაგვწვდება საამისოდ. დავტოვოთ ეს მომავლის საქმედ. ამჯერად-კი მოფიქრალ, ერუდირებულ, გემოვნებიან ქართველ მკითხველ საზოგადოებას ვთავაზობთ თანამედროვე საქართველოს რჩეული მოაზრისა და მოსაქმის თხზულებებს.

არაორდინალური ინტელექტი, უდრეკი გონითი ნება, ურყევი ზნეობრივი პრინციპები მიხეილ ნანეიშვილს უქმნიდა ფუფუნებას, ეცხოვრა სინდისის კარნახით, საკუთარი ღირსების შეგნებით, მის შესაფერად. ყმაწვილობიდანვე თავისუფლების გზაზე მდგომი არასდროს მიდრეკილა არც „მარჯულ, არცაღა მარცხულ“, განუხრელად ვიდოდა „მხოლოდ და სწორედ თავისუფლების გზით“, მაშასადამე, ზნეობის გზით.

მიხეილ ნანეიშვილი 2018 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა.

სამწიგნეული, რომელსაც წარმოგიდგენთ, თავს უყრის მოაზროვნის სამეცნიერო-ფილოსოფიურ ნაშრომებს, პუბლიცისტური ხასიათის წერილებს და ინტერვიუებს (საგანგებოდ მივუთითებთ, რომ თანდართული წინათქმა, მცირეოდენი ცვლილებით ბოლოში, გამიზნულად მეორდება სამივე წიგნში).

ეს წიგნი აერთიანებს მიხეილ ნანეიშვილის მრავალრიცხოვანი ინტერვიუების ძირითად ნაწილს. ხშირ შემთხვევაში ისინი საკმაოდ შეკვეცილი და შემოკლებულია იმ მიზნით, რომ გამოკვეთილიყო ინტერვიუში წამოყენებული ძირითადი საკითხი მასზე მკითხველის ყურადღების კონცენტრირებით. დასახული ამოცანა, გვგონია, რომ მიღწეულია.

მაღალი სამეცნიერო-ფილოსოფიური ღირებულების თხზულებათა გვერდით ინტერვიუების გამოქვეყნება, ვფიქრობთ, პრინციპულად სავსებით გამართლებულია;

ჯერ ერთი, აღსანიშნავია აქ წარმოდგენილი ინტერვიუების ქრონოლოგიური დიაპაზონი – 1990-2011 წლები. ამ ხნის მანძილზე ქართველი ერის ცხოვრებაში აღნიშვნისა და დახსომების ღირსი უამრავი ფაქტი მომხდარა, არაერთი ისეთი ვითარება შექმნილა კულტურულ-პოლიტიკური ხასიათისა, რომელიც მიუდგომელ აკადემიურ განმარტებასა და ინტერპრეტირებას საჭიროებდა და, ვგონებთ, არავის გაუკვირდება თუ ვიტყვით, საჭიროებს დღესაც. რესპოდენტი ამ ინტერვიუებისა, ჩაღრმავებული „ქართლის ცხოვრებას“ და „ქართლის ბედს“, მისთვის ნიშნეული არაორდინალური თვალთახედვით ჭვრეტს დღევანდელი „ქართლის ჭირის“ ძირებს და, ჩვენს სა-

ზოგადოებრივ ცნობიერებასა და აზროვნებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებისაგან აბსოლუტურად თავისუფალი, აანალიზებს მათ. მას, ვისაც საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხავები აინტერესებთ, მით უმეტეს, აკადემიური კეთილსინდისიერებით აღჭურვილ მეცნიერ-მკვლევარს, წინ უდევს მახვილი ინტუიციის პოლიტიკოსისა და დიდი ტალანტის ფილოსოფოსის მეცნიერულ-ობიექტური აღწერაცა და შეფასებაც თანამედროვე საქართველოს ცხოვრება-კულტურის ძირეული პრობლემატიკისა, რასაც ამ ცხოვრების სამომავლო კვლევა-ძიებისთვის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა ენიჭება.

მეორე, არანაკლებ არსებითი ისაა, რომ ბევრი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური თუ პოლიტიკური იდეა, პოლიტიკური პროცესი და მოვლენა ამ ინტერვიუებში ნათლად, მკაფიოდ, რიგითი ადამიანისთვის მისაწვდომი ენით არის განმარტებული.

წიგნში მასალა დალაგებული და წარმოდგენილია ქრონოლოგიური პრინციპით სამ რუბრიკად. პირველ ნაწილში განთავსებულია 1990-2003 წწ. ინტერვიუები, მეორეში 2004-2011 წლებისა, ხოლო გრაფა – „სხვადასხვა“ მათ თემატურად აერთიანებს.

გურამ კუტალაძე

1990–2003 ᎦᎦ.

მიზანს მაინც მივაღწევთ

გვესაუბრება საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე **მიხეილ ნანეიშვილი**.

1. როგორ აფასებთ დღეს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, როგორია თქვენი ტაქტიკა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ამ ეტაპზე?

2. მოკლედ თქვენი სამოქმედო პროგრამის შესახებ; შესაძლებლად თვლით თუ არა თქვენი პროგრამის თუნდაც რამდენიმე პუნქტის განხორციელებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე?

3. რა წანამძღვრებია საჭირო საქართველოში ოფიციალური არასაბჭოური არჩევნების ჩასატარებლად?

4. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლის ლიტვური, ლატვური, ესტონური ვარიანტების სახესხვაობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით ამ სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი არაკანონიერად, ბათილად გამოცხადდა. რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოს აქედან ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ?

1. საქართველოში დღეს არსებული პოლიტიკური ვითარება რომ ძალზე საგანგაშოა, მგონი, ყველასთვის აშკარაა. ამ მხრივ თუ შევადარებთ ჩვენს სამშობლოს ბალტიისპირეთის ქვეყნებს, დავინახავთ, რომ იქ არათუ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა დგას, თავისი პოლიტიკური შეგნებულობითა და ორგანიზებულობით ჩვენსაზე საგრძნობლად მაღლა, არამედ იქაური კომუნისტური პარტიებიც კი, უფრო „ეროვნული“ ჩანან მათს აქაურ „მოძმე“ პარტიასთან შედარებით.

მთავარი სატკივარი ჩვენი ერისა, რა თქმა უნდა, ის მდგომარეობაა, რომელიც შექმნილია ქვეყნის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. რაგინდ სამწუხარო იყოს, სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ცხადი გამოხატულებაა იმ ღრმა კულტურული დეგრადაციის, რომელიც განიცადა ჩვენმა საზოგადოებამ ამ 70 წლის განმავლობაში და რომლის პირდაპირი მოწმობაცაა ჩვენი

ოპოზიციური მოძრაობის დაბალი მორალური და ინტელექტუალური დონე. სიმართლე ესაა და ამას ვერსად გავექცევით.

პირველ ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ის ზნეობრივი ატმოსფერო, რომელიც წამლავს და ადამბლავებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, მის სასიცოცხლო ძალებს. ორ ოპოზიციურ დაჯგუფებას შორის წარმოებს ნამდვილი სამტრო-სასიცოცხლო ბრძოლა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანებს, გატაცებულთ ურთიერთმტრობით, დაავიწყდათ, თუ ვინაა მათი ნამდვილი მტერი და რაა მათი ნამდვილი ბრძოლის საგანი. შეიქმნა დიფამაციის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის მეთოდის, მთელი სისტემა. ბეზღობა და ცილისწამება გადაიქცა მეთოდად ნამდვილი პოლიტიკური ტერორისა, რომელიც, ადრე თუ გვიან, სიტყვიდან საქმეზე უნდა გადასულიყო და გადავიდა კიდეც: ბოლოდროინდელი ამბები ნათლად მეტყველებენ, თუ საით მივყავართ იმ ვითომდა „პოლიტიკურ ბრძოლას“, რომელიც გამართულია, ჩვენდა საუბედუროდ და სასირცხვილოდ, ქვეყნის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში, მის ლიდერთა შორის.

მოძრაობაში ჩართული თუ მას აყოლილი ელემენტი ხალხის მასის არცთუ მძლავრ ფენას შეადგენს, რომლის აქტივობაც ცხოვრების ზედაპირზე ქმნის ილუზიას, თითქოს ამ მოძრაობით მთელი ხალხი იყოს მოცული. სინამდვილეში, ამ ზედაპირული ფენის ქვეშ უზარმაზარი პლასტია პოლიტიკურად პასიური და აპათიური ხალხის მასისა. ამ პასიურობისა და აპათიურობის უახლესი მიზეზი კი სწორედ ზემოხსენებული მტრობა-შუღლია, რამაც, ბოლოს და ბოლოს, ხალხი იქამდე შეიძლება მიიყვანოს (ხოლო ეს ტენდენცია უკვე შეიმჩნევა), რომ ადამიანებმა შეჩვეული ჭირი ამჯობინონ შეუჩვეველს და... მხარი დაუჭირონ „ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას“, რისთვისაც ასე იღვწის ჩვენი ხელისუფლება. ამ საშიშროების წინაშე ყველა პარტია, ვისთვისაც ძვირფასია ერის მომავალი, მოვალეა, პრინციპულად გაემიჯნოს ხსენებული ქიშპის ამტეხთა და მონაწილეთ და თავისი სიტყვითაც და საქმითაც თვალნათლივ დაანახოს ხალხს, რომ მათი სახით არსებობს რეალური ძალა, სულდგმული წმინდა პოლიტიკური, ე.ი. ერის სახელმწიფო ინტერესებითა და იდეალებით.

ყველა იმ „აქცია“-ში, რომელთა მოწმენიც ამ ბოლო ხანს შევიქენით (და ადრეც ვყოფილვართ), ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ გარკვეულ სცენარს, სადაც მკვეთრად იხატება მის მოქმედ პირ-

თა სამკუთხედი: ერთმანეთს დაპირისპირებული ხელისუფლება და ორი ოპოზიციური დაჯგუფება. ჩვენ სრულიადაც არ ვამტკიცებთ, რომ ეს უკანასკნელნი ამ სცენარში შეგნებულად მონაწილეობენ, მაგრამ სავალალოდ, ეს გარემოება **ობიექტურ** სურათს ოდნავადაც არ ამსუბუქებს.

ხოლო, რაც შეეხება ჩვენი პარტიის ტაქტიკას არსებულ ვითარებაში, იგი ზემოთქმულიდან ჩანს. აღნიშნული კონფლიქტის მიმართ ჩვენ ვიცავთ აქტიურ ნეიტრალიტეტს, არ ვუცხადებთ რა სოლიდარობას **არც ერთ** მხარეს ამ კონფლიქტში. ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში არსებობენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც სათანადოდ აფასებენ შექმნილ სიტუაციას და ჩვენი პარტიაც სწორედ ამ ძალებთანაა კონსოლიდირებული, რაც მიმდინარე საარჩევნო კამპანიისათვის პრაქტიკულად გამოიხატა ჩვენი გაერთიანებით ბლოკ „თავისუფლება“-ში.

2. თავისთავად იგულისხმება, რომ პარტია შეიმუშავებს ხოლმე იმ პროგრამას, რომლის განხორციელებაც მას სასურველად და **შესაძლებლად** მიაჩნია. ამ მხრივ, არც ჩვენი პარტიაა გამონაკლისი. ცხადია, აქ საუბარი ეხება იმ სამოქმედო პროგრამას, რომელიც სპეციალურადაა განკუთვნილი გარდამავალი ხანისათვის. სწორედ ამ პერიოდში უნდა ჩაეყაროს საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლობას, რისთვისაც საჭიროა რიგ ღონისძიებათა ცხოვრებაში ახლავე გატარება. მთავარი სამუშაო, ჩვენი აზრით, მოგველის ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების სფეროში. მოსკოვი, როგორც კი გამოვაცხადებთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, პირველ ყოვლისა, სწორედ ეკონომიკურ სანქციებს მიმართავს ჩვენ წინააღმდეგ, რათა ამ გზით აიძულოს ჩვენი ხალხი, თუკი ის ამ სანქციებს მოუმზადებელი დახვდება, თავისთვის სასურველ დათმობაზე წაიყვანოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ვიდრე გამოვაცხადებთ დამოუკიდებლობას, საჭიროა, ეს აქტი უზრუნველვყოთ ეკონომიკურად, სათანადო პროგრამის შემუშავებითა და მის განსახორციელებლად კონკრეტული ღონისძიებების დასახვით. ვფიქრობთ, ამ საქმეში კარგ სამსახურს გაგვიწევს ბალტიისპირეთის ქვეყნების, პირველ რიგში კი, ლიტვის გამოცდილების კრიტიკული შესწავლა. რა თქმა უნდა, დიდი მუშაობა მოგვიწევს კანონმდებლობის სარბიელზეც. კერძოდ, ჩვენი სამეურნეო ცხოვრების უფლებრივი მექანიზმების შესაქმნელად. გარდა ამისა, უზენაეს საბჭოში, უნდა შეიქმნას ეკონომიკური კო-

მისია, სადაც მოწვეულ იქნებიან უცხოელი სპეციალისტები ამ კომისიის საკონსულტაციო მომსახურებისთვის.

სხვა საკითხთა შორის, რომელიც უნდა მოაგვაროს გარდამავალი ხანის უზენაესმა საბჭომ, აქ აღვნიშნავდით ეროვნული შეიარაღებული ძალებისა და შინაგანი ჯარების შექმნას.

უნდა გააქტიურდეს ჩვენი საგარეო კონტაქტები, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური, რომელთა უზრუნველყოფაშიც უზენაესმა საბჭომ თავისი გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს. ხელისუფლებამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა გამოვიდეს იმ საერთაშორისო იზოლაციიდან, რომელშიც ჩაყენებული ჰყავს იგი იმპერიას.

ჩვენ უნდა შევიმუშავოთ მოსკოვთან მოლაპარაკების მაქსიმალურად კორექტული და დეტალური პოლიტიკური სცენარი. ცხადია, ამ სცენარის ერთი არსებითი ელემენტი იქნება თვითონ ის იურიდიულ-პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედება ამ მოლაპარაკებას.

ზემოხსენებული პრობლემები მხოლოდ ნაწილია საკითხთა იმ ნუსხისა, რომელიც სამუშაო გეგმად უნდა დაედოს მომავალ უზენაეს საბჭოს, ხოლო მთავარი ამ პრობლემათა შორის, ვიმეორებ, ეკონომიკური საკითხია, რომლის გადაწყვეტაც მოითხოვს ჩვენი ინტელექტუალური ძალების მაქსიმალურ დაძაბვას, რადგან ძირი ჩვენი თავისუფლებისა ეკონომიკაში ძევს. ეს გარემოება ჯეროვნად უნდა გაითვალისწინოს ყველა პარტიამ, რომლებიც იღვწიან ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

3. არასაბჭოური არჩევნების ჩასატარებლად უმთავრესი წანამძღვარი უკვე ხელთ გვაქვს სათანადო საარჩევნო კანონის სახით. ცხადია, ნამდვილი მრავალპარტიული არჩევნებისათვის მხოლოდ კანონის არსებობა არ კმარა, საჭიროა სხვა წანამძღვრებიც. სამწუხაროდ, ამ მხრივ, ჩვენი მომავალი არჩევნები სრულიადაც არაა უზრუნველყოფილი და ეს იმიტომ, რომ ხსენებული არჩევნები, მიუხედავად მისი ფორმალური არასაბჭოურობისა, პრაქტიკულად მაინც საბჭოურ სინამდვილეში წარიმართება, მის პირობებში.

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ის უზარმაზარი უთანასწორობა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, კომუნისტურ პარტიასა და, მეორე მხრივ, ოპოზიციურ პარტიებს შორის. ეს უთანასწორობა მოიცავს, როგორც არჩევნებისათვის საჭირო მატერიალურ

სახსრებს, ასევე იმ პირობებს, რომლებშიც მოუხდებათ მუშაობა ხსენებულ პარტიებს არჩევნების პერიოდში. ჩვენ არას ვამბობთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე, რომლებიც მთლიანად მობილიზებული იქნებიან მთელი თავისი მატერიალური თუ ორგანიზაციული პრივილეგიების უზრუნველსაყოფად. ასე რომ, მომავალი არჩევნები წარიმართება როგორც უთანასწორო ბრძოლა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ თრგუნავს ჩვენს საბრძოლო ენთუზიაზმს, რადგან დამარცხების, ასეთი რომ მოხდეს კიდეც, არ გვეშინია (მხედველობაში მყავს, რა თქმა უნდა, არა ჩვენი ბლოკი, არამედ არჩევნებში მონაწილე მთელი ოპოზიცია).

რაც შეეხება ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ე.ი. ნამდვილად არასაბჭოურ არჩევნებს, შესაძლებელი იქნება მხოლოდ თავისუფალ საქართველოში, მაგრამ გზა ასეთი საქართველოსაკენ სწორედ მრავლპარტიულ არჩევნებზე, ხოლო ამის შემდეგ – ამავე საბჭოურ პირობებში მებრძოლ მრავალპარტიულ უზენაეს საბჭოზე გადის. სხვა გზა არ ჩანს.

4. ის ფაქტი, რომ კრემლმა ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ მათი სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენა „უკანონოდ“ გამოაცხადა, იმის მოწმობაა, რომ რუსეთი ადვილად არ დათმობს თავის საიმპერიო პოზიციებს. მათთვის, ვინც იცნობს რუსეთის ისტორიასა და ლიტერატურას, ნამდვილ სარკეს ერის სულისა, ამაში საკვირველი და მოულოდნელი არაფერია. მაგრამ ისტორიის განაჩენი გამოტანილია. განაჩენი, რომელიც არავითარ „გასაჩივრებას“ არ ექვემდებარება. დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნმა გორბაჩოვმა ეს მშვენივრად უწყის. გორბაჩოვისეული „გარდაქმნა“ სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკა, რომლის მიზანიცაა იმპერიის „ნამდვილ ფედერაციად“ რეორგანიზება (მისთვის თანადროული „ცივილიზებული“ სახის მისანიჭებლად) **მინიმალური ტერიტორიული დანაკარგებით**, ხოლო ასეთ დანაკარგებს რომ ადგილი ექნება, ესეც, უნდა ვიფიქროთ, გორბაჩოვისთვის კარგადაა ცნობილი. კერძოდ, იგი უთუოდ შერიგებული იმ აზრს, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები ადრე თუ გვიან მაინც მოიპოვებენ დამოუკიდებლობას და მისი ამოცანა მხოლოდ ისაა, ამ აზრს მპყრობელი ერის საზოგადოება შეაგუოს, საზოგადოება, რომელიც დღესაც „მონღოლურ-ბიზანტიური“ საიმპერიო ფსიქოლოგიითაა დიდიან-პატარიანად გაჟღენთილი. ასევე გარდაუვალი ჩანს

მოლდავეთის გასვლა სსრკ-ის შემადგენლობიდან და შეერთება დედა რუმინეთთან, რომელიც, რა თქმა უნდა, ამ პროცესის ნეიტრალური მაყურებელი ვერ იქნება. ამ მხრივ, განსხვავებულ საერთაშორისო ვითარებაშია საქართველო, რომელსაც არც ამერიკა ჰყავს მფარველად (როგორც ბალტიის ქვეყნებს) და არც „რუმინეთი“ (როგორც მოლდავეთს). ნათქვამია, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, და რუსეთიც უთუოდ მოეჭიდება ამ ჩვენი „უპატრონობის“ ხავსს.

აქ ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ იმ „ბრძოლას“ თვითონ რუსეთის (რსფსრ-ის) „სუვერენეტიტესა“-თვის, რომელსაც სათავეში ბორის ელცინი უდგას. საქმე ისაა, რომ იმპერიის კრიზისის წინაშე მდგომმა რუსმა საზოგადოებამ „აღმოაჩინა“, რომ, თუმცა მას იმპერია აქვს, მაგრამ თვით ამ იმპერიას პატრონი არ ჰყავს, პატრონი – მეტროპოლის სახით. და ზემოხსენებული „ბრძოლაც“ რუსეთის „სუვერენიტეტისა“-თვის სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლა რუსეთისათვის, როგორც იმპერიის მეტროპოლიისთვის. მას არც რუსი პოლიტიკოსები მალავენ, რომლებიც პირდაპირ ამბობენ, რომ „სუვერენული“ რუსეთი მტკიცე გარანტად უნდა შეიქმნეს „საბჭოთა ფედერაციისა“ (იგულისხმეთ: რუსეთის იმპერიის) და რომ რუსეთისთვის ამ „სუვერენიტეტის“ მინიჭების საჭიროება, პირველყოვლისა, სწორედ ამ გარემოებითაა გაპირობებული. ჩვენც, როდესაც გვექნება მოლაპარაკება ამ „სუვერენულ“ რუსეთთან ეკონომიკურ თუ სხვა საკითხებზე, შესაბამის ხელშეკრულებათა დასადებად (რაც თავისთავად ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სასურველია), უნდა კარგად გვახსოვდეს მისი ეს საიმპერიო ფუნქცია, რათა მახეში არ გავებათ... ეს საკითხი, კერძოდ კი ის, თუ რა სარგებლობა შეიძლება ვნახოთ გონივრული პოლიტიკის წარმოების შემთხვევაში, თვითონ ამ „სუვერენული“ რუსეთისაგან, სპეციალურ საუბარს მოითხოვს და ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებ.

და მაინც, ამ და კიდევ სხვა სიძნელეთა და სირთულეთა მიუხედავად, საქართველოს მიერ მისი სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენა (სიტყვა „სუვერენიტეტის“ ნამდვილი და არა რუსულსაბჭოური გაგებით) **ისტორიულად გარდაუვალია**. საკითხავი მხოლოდ ისაა, შევძლებთ თუ არა ჩვენ მთელი ჩვენი ზნეობრივი და გონებრივი ძალების მობილიზებას, რათა ფეხი ავუწყოთ ისტორიის მსვლელობას და მით მოსახდენი რაც შეიძლება მალე

მოხდეს, ერისთვის რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და უდანაკლისოდ.

წინააღმდეგ ზოგიერთთა მტკიცებისა, ჩვენ სულაც არა ვართ „ეული“ ერი, თუკი მხედველობაში მივიღებთ ჩვენს არა რასობრივ, არამედ კულტურულ-ისტორიულ ვინაობას. სწორედ იმას, რაც ერს ასხვავებს ეთნოსისგან. ქართველი ერი კულტურულ-ისტორიული ვინაობით, ევროპელი ერია, ევროპელი კაცობრიობის ორგანული ნაწილი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა ნამდვილ „ევროპის ფორპოსტს“ აზიაში და ეს თავისი გეოპოლიტიკური (და, ერთობ, გეოკულტურული) როლი მას დღესაც შენარჩუნებული აქვს, თანაც არანაკლები (თუ არა მეტი) ზომით. ეს ისეთი თულფია, რომელიც ქართულმა პოლიტიკამ ძალზე მომგებიანად შეიძლება (და უნდა კიდეც) გაითამაშოს საერთაშორისო სარბიელზე. ზემოთ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, იმდენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქმის ეს მხარე: ვიდრე გამოვაცხადებთ ქვეყნის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენას, ჩვენ უნდა შევიმუშავოთ რიგი ეკონომიკურ ღონისძიებათა, სათანადო პროგრამების სახით, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს ხალხს მოსკოვის საპასუხო ეკონომიკური სანქციების პირისპირ.

და ბოლოს. ის გარემოება, რომ მოსკოვმა ლიტვის (და ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკათა) უზენაესი საბჭოს ზემოხსენებული დადგენილება ბათილად გამოაცხადა, იმას კი არ ნიშნავს, თითქოს, თვითონ ეს გზა უზენაესი საბჭოს მეშვეობით ბრძოლისა არ იყოს სწორი, არამედ მხოლოდ იმას, რომ ეროვნული ხსნის ამ **ერთადერთ** გზაზე მსვლელობა ადვილი არ იქნება და რომ ჩვენ უზენაეს საბჭოს (რაკიღა ჩვენზეა საუბარი) ამ მიმართულებით მეტად „ბრძოლატევადი“ **შრომა** მოელის. და თუკი რიგიანად ვიშრომებთ, არა მარტო უზენაეს საბჭოში, არამედ მის გარეთაც, ჩვენს სწრაფვას თავისუფლებისაკენ ვერანაირი სანქციები ვერ სძლევენ და ერი სანუკვარ მიზანს ბოლოს და ბოლოს მაინც მიაღწევს.

„ლიტერატურული საქართველო“,
№ 41, 12 ოქტომბერი, 1990

„კაპიტალიზმი ჩვენი დასაყრდენია“

არჩევნებამდე ერთი თვეც აღარ დარჩა. უამრავი პრობლემით გონებაგადატვირთული ამომრჩეველი, რომელსაც ჯერ არჩევანი არ გაუკეთებია, ვფიქრობთ, ცოტა დაბნეული იქნება: ამდენი პარტია და პოლიტიკური ორგანიზაცია „აწონებს“ თავს. ბუნებრივია, ბევრ ამომრჩეველს სურს, რაც შეიძლება მეტი იცოდეს ამა თუ იმ პარტიის ყველა წევრზე თუ არა, ლიდერზე მაინც. მით უმეტეს, რომ ჩვენს პირობებში გადამწყვეტ მნიშვნელობას პარტიის პროგრამას კი არა, მის ლიდერს ანიჭებენ.

ბატონ <u>მიხეილ ნანეიშვილს</u>, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარეს, ვფიქრობ, მკითხველთა (იმავე ამომრჩეველთა) წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არც სჭირდება, მაგრამ მის უკეთ გაცნობაზეც, ალბათ, ბევრი არ იტყვის უარს. თვითონ ბატონი მიხეილის შესახებ, მაგალითად, ვიცოდი, რომ თავის დროზე ის კონსერვატორიაში სწავლობდა და იმედის მომცემი პიანისტი იყო. ყველასათვის მოულოდნელად მან კონსერვატორიაში სწავლას თავი დაანება და უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე შევიდა.

ფილოსოფიის შეთავსება ფორტეპიანოსთან არაფრით არ მოხერხდა, **– ამბობს თავად ბატონი მიხეილი.**

ბატონო მიხეილ, რამ განაპირობა თქვენი მოსვლა პოლიტიკაში?

გარემომ, რომელშიც ვიზრდებოდი, ჩემმა ოჯახმა, თავად დედამ, ყველაფერმა ჩემ ირგვლივ ბავშვობიდანვე ჩემი გონების, ასე ვთქვათ, პოლიტიზება მოახდინა. ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში კი, მახსოვს, დიდი როლი ითამაშა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებმა. თოთხმეტი წლიდან დავიწყე სერიოზული მეცნიერული ლიტერატურის კითხვა და იმ დროიდან ვსწავლობ პოლიტიკურ ფილოსოფიას, ისტორიას, კულტურის სხვადასხვა დარგს. მეცადინეობა ჩემი პოლიტიკური ცხოვრების, საერთოდ, მთელი ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მე მიმაჩნია, რომ საქართველოში არსებულმა პარტიებმა თავად უნდა შექმნან იდეოლოგიური და ზოგადკულტურული ბაზისი. ამ მხრივ მათ დიდი მუშაობა მოუწევთ ხალხში, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, თავის თავზე უნდა იმუშაონ, თვითონ უნდა იყვნენ აღჭურვილნი ფართო განათლებით.

თქვენი პარტიის შესახებ რას გვეტყვით?

კარგად მახსოვს, პარტიის შექმნაზე ფიქრი 1957 წელს დავიწყე, 1968 წელს კი, როდესაც საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიაში შევიდნენ, ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო განმიმტკიცდა. მაგრამ იმ დროს ჩემს ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. თანამოაზრეები გვერდით მყავდნენ, მაგრამ პარტიად ჩამოყალიბებას ტექნიკური ბაზა სჭირდება, სჭირდება ფული. ვისაც ფული ჰქონდა, მას რისკზე წასვლა არ უნდოდა. 1974 წელს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ შექმნეს პოლიტიკური ორგანიზაცია, მე მათ შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი, მაგრამ ორგანიზაციის წევრი არ გავმხდარვარ, რატომ – ეს მაშინ ზვიად გამსახურდიასაც ვუთხარი – ეს ორგანიზაცია არც პოლიტიკური, არც ინტელექტუალური და არც მორალური დონით არ მაკმაყოფილებდა... მან მშვიდად მოისმინა ეს ყველაფერი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემი რჩევები ყურად არ იღო – ოპონენტები არასდროს ჰყვარებია. ამავე მიზეზით არც სხვა რომელიმე ორგანიზაციაში გავერთიანებულვარ, თუმცა, როცა ვატყობდი, ვინმე ეროვნული საქმის კეთებას ცდილობდა, რითაც შემეძლო, ვეხმარებოდი. [...]

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის შექმნა 1990 წლის 20 მარტს გამოცხადდა, ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის იდეოლოგიაზე დამყარებული პარტიის შექმნა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. ლდეპ-ის ნაციონალიზმი, განსხვავებით ამჟამად გავრცელებული გაგებისაგან, არის იდეოლოგიური პრინციპი, რომლის წარმომადგენლებადაც თავის თავს მიიჩნევდნენ გასული საუკუნის 60-იანი წლების და შემდგომი ხანის ცნობილი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, მიხეილ წერეთელი, დიმიტრი უზნაძე და სხვები.

დიდი ხნის მანძილზე არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში არ გაწევრიანებულხართ, თქვენი აზრით, აქვს თუ არა თქვენს პარტიას რაიმე უპირატესობა იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან შედარებით? ან იქნებ პოლიტიკაში ასეთი შედარება არ შეიძლება?

ჩვენი პარტიის იდეოლოგიას დიდი ტრადიციები აქვს – ფილოსოფიური, ლიტერატურული, ისტორიული, ბევრი პარტია დღესაც ვერ დაიკვეხნის იდეოლოგიური ბაზისის ქონით, თუმცა ნამდვილი პარტია უამისოდ წარმოუდგენელია. ჩვენი პროგრამა,

ესა თუ ის პრინციპული პოზიცია სწორედ ჩვენი იდეოლოგიიდან გამომდინარეობს.

დღეს საქართველოში თითქმის არ არის პარტია, ილია ჭავ-ჭავაძის მიმდევრად რომ არ თვლიდეს თავს, ილია კი ლიბერა-ლურ-დემოკრატიული ნაციონალისტი იყო. [...]

ამ არჩევნებში საზოგადოების რომელი ფენის იმედი გაქვთ?

უმეტესად ინტელიგენციის, თუმცა კონტაქტი გვექნება სოფლის მოსახლეობასთან, მუშებთან. ასეთ კონტაქტებს ჩვენ-თვის მუდამ კარგი შედეგი მოაქვს და არ არის გამორიცხული, რომ მათაც მოგვცენ ხმები.

და ბოლოს, ნება მიბოძეთ, ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს ამომრჩეველს ვუსურვო, ბოლომდე შეიცნოს თავისუფლე-ბის მნიშვნელობა, რომელიც ასე გამოხატა დიდმა ლიბერალმა ალექსის ტოკვილმა: „ვინც თავისუფლებაში ეძებს სხვა რამეს, გარდა თავისუფლებისა, იგი სამუდამოდ განწირულია მონობი-სათვის.“

სოფიკო ჩხაიძე,
„დრონი“, № 37, 19 სექტემბერი, 1992

ახლა ჩვენში საერთო ეროვნული კულტურული კრიზისია

ბატონო მიხეილ, ჩვენი გაზეთის 25-ე ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ქალბატონ თამარ ჩხეიძესთან, რომელშიც იგი აფასებს ოქტომბრის თვის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას, იზიარებთ თუ არა მის მოსაზრებებს?

ზოგს ვიზიარებ, ზოგს – არა. [...] მოსაზრებას, აფხაზეთში თავიდანვე რომ შექმნილიყო ქართული არმიის ნაწილები, საქმე ომამდე არ მივიდოდაო, ვერ დავეთანხმები, რადგან ეს, ერთი შეხედვით სამოქალაქო ომი გარეშე ძალის მიერ არის ინსპირირებული და იგი შეიძლება ადგილობრივი სამხედრო ფორმირებების შექმნის ცდასთან დაკავშირებითაც დაწყებულიყო.

რაც შეეხება 3 სექტემბრის ხელშეკრულებას, მას რუსეთის მხრივ საიმედოდ არც არავინ მიიჩნევდა, მათ შორის, არც ჩვენი ხელისუფლება (პირველ ყოვლისა, მხედველობაში მყავს მაშინდელი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე). მაგრამ ამ ხელშეკრულების დადებით ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო სარბიელზე მტკიცე პოლიტიკური პოზიცია მოიპოვა. ხელშეკრულების დარღვევით წააგო მოწინააღმდეგე მხარემ (რუსეთმა და მისმა ადგილობრივმა ცოცხალმა ინსტრუმენტმა – აფხაზეთის ხელისუფლებამ). მე პირადად, ამ ხელშეკრულებას ვაფასებ, როგორც გარკვეულ პოლიტიკურ სვლას, რომელმაც მსოფლიოს კარგად დაანახა, ვინ ვინ არის. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ წინა ხელისუფლების „წყალობით“ საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ქვეყანა მორალურ-პოლიტიკურად მეტად დისკრედიტირებული იყო. დღეს ამ მხრივ სურათი მკვეთრად შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ და ამაში 3 სექტემბრის ხელშეკრულებას თავისი წილი უძევს.

რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლების რეაქცია გაგრის ტრაგედიის ადექვატურად არ გამოიყურება, მაგრამ ამის მიზეზი იმ სიტუაციაში უნდა ვეძიოთ, რომელიც დღეს ჩვენი, ვიტყოდი, მეტად „არაჰარმონიული“ ხელისუფლების შიგნით სუფევს (ხელისუფლებაში ვგულისხმობ ქვეყნის ადმინისტრაციას და არა ძველ სახელმწიფო საბჭოს ან დღევანდელ პარლამენტს). ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ სანამ არ მოხდება ამ ხელისუფლების სრული „ჰარმონიზაცია“ ან, როგორც იტყვიან, მასში

სოლიდარობის დამყარება, რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი არ შეგვეძლება.

ჩემი შემდეგი შენიშვნა „კომუნისტური“ ძალების რესტავრაციის საკითხს ეხება. ბუნებრივია, ამ ძალებისადმი არავითარი სიმპათია არ გამაჩნია. მე მათ განვსაზღვრავდი არა როგორც კომუნისტურს, არამედ როგორც გარკვეული სოციალური ტიპის ადამიანებს, რომლებიც თანაბრად მოერგებოდნენ ნებისმიერ არადემოკრატიულ – არალიბერალურ სისტემას. მე მათ არ ვუწოდებ კომუნისტებს იმიტომ, რომ კომუნიზმი (ან სხვა სიტყვებით, მარქსიზმი), მომწონს თუ არ მომწონს, მსოფლმხედველობაა; ხოლო ამ პირთ არავითარი მსოფლმხედველობა (ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით) არ გააჩნიათ. ვეჭვობ, რომ რომელიმე მათგანს არა თუ მარქსის შრომები, კომუნისტური პარტიის მანიფესტი მაინც ჰქონდეს წაკითხული. უბრალოდ, ესენი არიან ადამიანები, რომელთაც გარკვეული სოციალური ინსტიქტები აერთიანებთ. ეს არის და ეს, ხოლო ამ ტიპის ადამიანები პარლამენტს რომ მოეძალენ, თანაც უმრავლესობა – მაჟორიტარული სისტემით არჩეულ დეპუტატთა სახით, ეს უეჭველი ფაქტია და ჯეროვანი ანგარიში უნდა გავუწიოთ. ვფიქრობ, რომ მათი „დამშვიდების“ მიზნით, ამ ძალებისადმი რაიმე დათმობები, ვთქვათ, თანამდებობებზე დაწინაურება, მცდარი და მანკიერია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ჩვენგანს დღეს არ მოსწონს სიტყვა რევოლუცია, უნდა ვაღიაროთ, რომ ვიმყოფებით რევოლუციის ანუ ძირეული გარდაქმნების პერიოდში; რაც ნიშნავს, რომ ასეთ სიტუაციაში საჭიროა პრობლემებისადმი შესაბამისი პრინციპული მიდგომა, ყოველგვარი კომპრომისისა თუ ოპორტუნიზმის გარეშე. ამ ძალებისთვის „კოჭის გორების“ პოლიტიკა კარგს არაფერს გვიქადის. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ელემენტები უხვად მოიპოვებიან იმ პარტიებშიც, რომლებიც სიტყვიერად ყველაფერ კომუნისტურს უპირისპირდებიან. საქმე ის არის, რომ „საბჭოთა ადამიანი“ ყველა ჩვენგანში ზის და ამ „ადამიანს“ არ გაუჭირდება თავისი საქმე აკეთოს რადიკალური ანტისაბჭოთა ლოზუნგითაც. […]

თუ არ მიწყენთ, მითხარით, არ გეუხერხულებათ თქვენი და ჟირინოვსკის პარტიების სახელწოდებათა მსგავსება?

აბსოლუტურად არ მეუხერხულება იმიტომ, რომ ჟირინოვსკის პარტიას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიულ ლიბერალიზმთან. ისტორიამ არც ისე იშვიათად იცის შემთხვევა, როდე-

საც ადამიანთა დაჯგუფებებს თავიანთი მიზნის ნამდვილი არსი შეუნიღბავთ ამ არსის საწინააღმდეგო სახელით. ამ გაგებით, ის, რომ ჟირინოვსკიმ თავისი შეუნიღბავი სახის შესანიღბად აირჩია სწორედ დემოკრატიული ლიბერალიზმის სახელწოდება, სხვათა შორის, მოწმობს ამ პოლიტიკური მიმდინარეობის (დემოკრატიული ლიბერალიზმის) ძალასა და მნიშვნელობას თანამედროვე მსოფლიოში.

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ თქვენ იკვლევთ კულტურისა და ისტორიის ფილოსოფიას. ხომ არ დააკონკრეტებდით თქვენს ინტერესებს კულტურის სფეროში?

ის კრიზისი, რომლითაც დღეს მოცულია ჩვენი ერის ცხოვრება, სხვა არაფერია, თუ არა საერთო ეროვნული კულტურული კრიზისი, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაა, კერძოდ, ეკონომიკური, გნებავთ, პოლიტიკური კრიზისები, რადგან მიმაჩნია (და ამაში სულაც არ ვარ ორიგინალური), რომ ეკონომიკაცა და პოლიტიკაც კულტურის დარგებია. ამიტომ ჩვენ თუ გვსურს, რომ ჩვენი ქვეყანა გამოვიყვანოთ ამა თუ იმ კრიზისიდან, ვთქვათ, ეკონომიკური თუ პოლიტიკურიდან, მთელი ძალისხმევა უნდა მივმართოთ ერის მთელ კულტურულ ორგანიზმზე, რაც გულისხმობს, რომ ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს ერთიანი კულტურული პოლიტიკა. მე ხაზს ვუსვამ, რომ ის რეფორმები, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოში, გააზრებული უნდა იყოს, როგორც საერთო ეროვნული კულტურული რეფორმები.

დალი ჩიკვაიძე,
„ქართული კულტურა“, № 27, 26 ნოემბერი -2 დეკემბერი, 1992

ისტორიის ვერდიქტი

ბატონო მიხეილ, იქნებ გვითხრათ, რა ხდებოდა პარლამენტის დახურული სხდომის დროს, რაზე იყო კამათი და თქვენეული შეფასება მისცეთ იქ განხილულ საკითხებს?

პარლამენტში ცხარე კამათი მიმდინარეობდა რუსეთ-საქართველოს შორის სავარაუდო ხელშეკრულების ირგვლივ აფხაზეთთან კონტექსტში. ამ მომავალმა ხელშეკრულებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში. გარკვეულ აზრთა დაპირისპირებას აქვს ადგილი პარლამენტშიც. მე არ ვაპირებ, კვალიფიკაცია მივცე ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოგვარების საქმეში ხელისუფლების პოლიტიკას უპირისპირდება. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ საუკეთესო შემთხვევაში ის პოლემიკა, რომელიც გამართულია ამ თემაზე, პოლიტიკურ გაუგებრობაზეა აღმოცენებული. პირველ ყოვლისა, ზოგიერთს აღაშფოთებს ის გარემოება, რომ ამ ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება ეწოდება. რასაკვირველია, არც ერთი მეტ-ნაკლებად საღად მოაზროვნე ქართველი რუსეთის მიმართ ილუზიით არ არის შეპყრობილი, რადგან მეტად დიდია ამ ქვყანასთან ჩვენი მწარე ისტორიული გამოცდილებაც და თვალსაჩინოა ის სიტუაციაც, რომელიც ამჟამად რუსეთში, კერძოდ, მის პოლიტიკურ წრეებში სუფევს, მაგრამ კრიტიკოსებს, სიტყვა მეგობრობაზე მსჯელობისას, ავიწყდებათ, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა განსხვავებულია მორალის სფეროში და სულ სხვაა პოლიტიკაში. საქართველომ უკვე დადო ამგვარი ხელშეკრულება თურქეთთან და აზერბაიჯანთან. ამავე ხასიათისაა დეკლარაციაც საქართველო-სპარსეთის ურთიერთობათა შესახებ. ეს ყველაფერი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ჩვენს ხელისუფლებას კარგადა აქვს გათვალისწინებული პოლიტიკური საჭიროება ჩვენი ქვეყნისათვის, დაამყაროს, პირველ რიგში მაქსიმალურად კეთილმეზობლური ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან. ჩვენ შეგვიძლია, თვალის ერთი გადავლებითაც, დავინახოთ, რომ ამ ხელშეკრულებებით და აგრეთვე იმ ხელშეკრულებებით, რომელიც საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებებზე მზადდება, ჩვენი ქვეყანა ისეთ სახელმწიფოსთან ამყარებს მეგობრულ ურთიერთობებს, რომლებიც ისტორიულადაც და დღესაც სულაც არ არიან სამეგობროდ განწყობილნი. მე აქ ვგულის-

ხმობ თურქეთსა და სპარსეთს. რაც შეეხება რუსეთს, მისდამი შინაგანი დამოკიდებულება ამ მუსლიმანური ქვეყნებისა და პირიქით, მისი ამ ქვეყნებისადმი განწყობა, ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს. თუნდაც ეს გარემოება ნათლად ადასტურებს სრულ უსაფუძვლობას მტკიცებისა, თითქოს რუსეთთან ამ „სამეგობრო“ ხელშეკრულების დადებით, საქართველოს მთავრობა რუსულ ორიენტაციას ადგას. ამავე ლოგიკით შეგვიძლია ჩვენ მთავრობას მივაწეროთ სპარსული და თურქული ორიენტაციაც და ამგვარად, ურთიერთგამომრიცხავ ორიენტაციათა აბსურდულ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ. კრიტიკოსებს, რომლებიც ხშირად მიმართავენ მორალურ კატეგორიებს, უნდა ახსოვდეთ, რომ პოლიტიკა ამორალური არ უნდა იყოს, მაგრამ მას გააჩნია ასპექტები, რომლებიც მას **იმორალურად** ყოფენ და იმ ასპექტებს, რომლებიც ასე აწუხებენ კრიტიკოსებს, სწორედ ამ პოლიტიკური იმორალიზმის თვალსაზრისით უნდა შევხედოთ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მართლაც არ ვესწრაფვით ამ ქვეყნებთან მეგობრულ ურთიერთობას, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს ცხოვრების საქმეა და მომავალი გამოაჩენს, რამდენად განხორციელდება ასეთი პოლიტიკური განწყობა.

ამავე კუთხით უნდა შევხედოთ აფხაზურ პრობლემასაც რუსეთთან სავარაუდო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა დააფიქსიროს, თითქოს, დღეს რუსეთი აწარმოებდეს ომს საქართველოს წინააღმდეგ. მოგეხსენებათ, აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტი რუსეთის მიერაა ინსპირირებულიც და ორგანიზებულიც, მაგრამ ეს ფაქტი, ისევე როგორც რუსეთიდან შემოსული შეიარაღებული ფორმირებების ან თუნდაც აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ჯარის მოქმედება, ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს პოლიტიკური განცხადებისათვის, რომ რუსეთი, **როგორც სახელმწიფო,** საქართველოს წინააღმდეგ ომს აწარმოებს. ასე თუ ვიმსჯელებთ, შეგვეძლო ისიც გვეთქვა, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ოფიციალურად აგზავნიდა ამ ქვეყანაში მოხალისეებს, ამ ქვეყანასთან ომს აწარმოებდა. ის განცხადება, რომელსაც კრიტიკოსები მოითხოვენ, პუბლიცისტურ წერილს უფრო შეეფერება, ვიდრე სამთავრობო დეკლარაციას თუ ნოტას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს

მთავრობა ადგას რუსეთის მიმართ, მიუხედავად რუსეთის ქმედებისა აფხაზეთში, ჩვენი ქვეყნისათვის პოლიტიკურადაც და მორალურადაც მომგებიანია. მსოფლიო საზოგადოების, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს ამასწინანდელი რეაგირება აშკარა მოწმობაა იმისა, რომ საქართველო დღეს სწორ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს რუსეთის მიმართ. ამ პოლიტიკის წყალობით ჩვენი მთავრობა რუსეთს მისთვის ფრიად რთულ მდგომარეობაში აყენებს. რუსეთმა ან უარი უნდა თქვას კეთილმეგობრობაზე და ამით საქვეყნოდ ცხადყოს თავისი აგრესიული ზრახვები, ან კეთილმეზობლობის წინადადება მიიღოს და ხელშეკრულების მოთხოვნისამებრ მოიქცეს.

ეს ამ ხელშეკრულების სავარაუდო სასიკეთო შედეგები. და მაინც, შეიძლება თუ არა, რომ ამ ხელშეკრულებით რაიმე საფრთხე დაემუქროს ჩვენი ქვეყნის სამომავლო მიზნებს?

რა თქმა უნდა, ხელშეკრულება მხარეთა მკაცრი პარიტეტის საფუძველზე უნდა დაიდოს. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ის რეალობა, რასაც საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში აქვს ადგილი. ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა მხრიდან გამოითქვა აზრი, რომ დღეს გავლენის სფეროთა გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს, რომელიც მალე დამთავრდება და ახალი პოლიტიკური ვითარება შეიქმნება, რომელიც კარგა ხნის მანძილზე ერთგვარ კანონიერებას შეიძენს. უნდა ითქვას, რომ თვითონ ეს ტერმინი – გადანაწილება – დრომოჭმულია. იგი იმპერიალიზმის ხანას ეკუთვნის. ეს ხანა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. იმპერიებისა და მათთან დაკავშირებული გავლენის სფეროების რღვევა, შეიძლება ითქვას, ისტორიის ვერდიქტია და იმპერიალიზმი, როგორც პოლიტიკური სისტემა (და არა მარტო პოლიტიკური), წარსულს ჩაბარდა სამუდამოდ, რადგან ისტორიულად დამტკიცდა, რომ იმპერიალიზმი, მორალურ მხარეს თავი რომ დავანებოთ, ეკონომიკურადაა კაცობრიობის წინსვლის დამამუხრუჭებელი. ასე, რომ მისი აღსასრული გამოწვეულია არა მარტო მორალური მიუღებლობით, არამედ სავსებით მატერიალური მიზეზებითაც.

ის, რაც მსოფლიოში ხდება, კერძოდ ევროპაში (იუგოსლავია, ჩეხეთი), გავლენის სფეროთა გადანაწილება კი არა, თავისუფალ ან გათავისუფლებულ ერთა საორიენტაციო გადაჯგუფება და დაჯგუფებაა, მათი კულტურულ-ისტორიული ინტერესებისა

და ამა თუ იმ ქვეყნისადმი ისევ კულტურულ-ისტორიული მიზიდულობის საფუძველზე. ეს მდგომარეობა ჩვენც კარგად უნდა გავითვალისწინოთ. ასე რომ, საფრთხე, თითქოს რუსეთი კვლავ დამკვიდრდება საქართველოში და აქ თავის გავლენასა თუ ბატონობას აღადგენს, მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული გაუგებრობაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთის დრამა ისაა, რომ რღვევის პროცესი თვით მას ემუქრება, როგორც მრავალეროვან ქვეყანას. ცხადია, ეს პროცესი დღეს და ხვალ არ დამთავრდება და რუსეთის მის ამჟამინდელ მასშტაბებში შენარჩუნება, ვფიქრობთ, არც დასავლეთისთვისაა საბოლოოდ ხელსაყრელი, თუმცაღა რუსეთში არსებული ამჟამიმდელი ანარქია დიდად აფრთხობს მსოფლიოს და ცდილობენ მის მეტ-ნაკლებად დარეგულირებას. საქართველო თუ გონივრულ პოლიტიკას აწარმოებს და მსოფლიოს დაანახვებს, რომ მისი სახით პოლიტიკურად მომწიფებული ქვეყანაა სარბიელზე გამოსული, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რუსეთი საქართველოში ხელახლა ფეხს ვეღარ მოიკიდებს. ამგვარად, ყოველივე დროის, პოლიტიკური გონიერებისა და საერთაშორისო ვითარების ჯეროვანი გათვალისწინების საქმეა.

ბოლოს შევნიშნავ, რომ ცოტა უცნაურია ახლანდელი ხელისუფლების პრორუსულ განწყობებზე ლაპარაკი, კერძოდ იმ პარტიისგან, რომლის ლიდერმაც თავისი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნისას, მოსკოვში საქვეყნოდ განაცხადა, რომ მზად არის ორივე ხელით მოაწეროს ხელი ერთიანი ეკონომიკური სივრცის ხელშეკრულებას.

ნინო სვანიძე,
„ივერია ექსპრესი“, № 18, 6 თებერვალი, 1993

ლიბერალური რეფორმები — გზა თავისუფლებისაკენ

[...] **საპარლამენტო კრიზისის პარალელურად საქართველოში თვალსაჩინო ხდება ახალი არჩევნებისათვის მზადება. იკვეთება პოლიტიკურ ძალთა დაჯგუფების კონტურები. ახლახან გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა შექმნეს „ალიანსი ლიბერალური რეფორმებისათვის". მისი შექმნის წინა პირობებზე, მიზნებსა და იდეოლოგიურ საფუძვლებზე ჩვენს კორესპოდენტს ესუბრება ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი მიხეილ ნანეიშვილი.**

ბატონო მიხეილ, იქნებ განმარტოთ ამ გაერთიანების იდეოლოგიური საფუძვლები, მისი მიზნები...

დემოკრატია, თანადროული გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა ლიბერალური დემოკრატია. როდესაც ლაპარაკობენ „დიდ დემოკრატიებზე", როგორიცაა აშშ, ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვანი, იგულისხმება, რომ ისინი წარმოადგენენ ლიბერალურ დემოკრატიებს, მიუხედავად იმისა, რომელი პარტიაა ქვეყნის სათავეში. ეს საანბანო ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, არ იციან ჩვენში მოქმედი ბევრი პარტიის ლიდერებმაც კი.

ლიბერალიზმი გახლავთ დღეს მსოფლიოში არსებული ორი უმთავრესი იდეოლოგიიდან ერთ-ერთი (მეორე სოციალიზმია), დანარჩენი იდეოლოგიები წარმოადგენენ ამ ორი იდეოლოგიის ნაირსახეობას, ან ერთგვარ კომბინაციას.

ისტორიამ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ლიბერალიზმს ალტერნატივა არ გააჩნია, რადგან აშკარა გახდა, რომ სოციალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა „გზა მონობისაკენ" (ასე ეწოდება ფრიდრიხ ფონ ჰეიეკის წიგნს, სადაც ეს საკითხი კლასიკური სიღრმითა და სიცხადითაა განხილული).

მაინც რას ნიშნავს ლიბერალიზმი, სახელდობრ, დემოკრატიული ლიბერალიზმი?

ეკონომიკის სფეროში იგი ნიშნავს საბაზრო ეკონომიკას, იმავე კაპიტალიზმს, რომელიც იდეოლოგიურად სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკური ლიბერალიზმი.

სამართლის სფეროში ლიბერალიზმი ნიშნავს პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის მიზნით სა-

კანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაყოფა-გამიჯვნისა და შეწონასწორების პრინციპს.

ე.ი. ლიბერალიზმი ნიშნავს ყოველივეს, რაც თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოს განუყოფელ ნიშანს შეადგენს.

ზემოთქმულის შემდეგ, გასაგები უნდა იყოს, რომ პარტიებს, რომლებიც იცავენ ერისა და პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპს, არაფერი უნდა ჰქონდეთ სადავო ლიბერალიზმის ზოგადი ღირებულებების ირგვლივ.

[...]

თქვენ არ გაგიკეთებიათ აქცენტი ეროვნულ მიმართულებაზე. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ამგვარი მიდგომა იქნება დამახასიათებელი თქვენი მომავალი საქმიანობისათვისაც, განსხვავებით ოპოზიციისაგან, ანუ იმ პოლიტიკური ძალებისაგან, რომლებიც განსაკუთრებით იჩემებენ ეროვნულის სახელს?

ჩვენი პარტია იყო პირველი პარტია, რომელმაც თავის იდეოლოგიად გამოაცხადა ნაციონალიზმი. სხვათა შორის, ყოფილი პრეზიდენტი, რომლის მემკვიდრეებიც არიან ახლანდელი ოპოზიციონერები, ხშირად აცხადებდა, მე ნაციონალისტი არა ვარო, რაშიც მართალი იყო. ნაციონალისტი იმ გაგებით, როგორც ეს ესმოდათ ილია ჭავჭავაძეს და სხვებს, იგი ვერ იქნებოდა.

ჩვენმა პარტიამ პროგრამაში, რომელიც 1990 წლის ივლისში მიიღო, თავისი იდეოლოგია განსაზღვრა, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმი და ბუნებრივია, ის დემოკრატიული ლიბერალიზმი, რომელსაც ჩვენ ვემყარებით, არის ქართული დემოკრატიული ლიბერალიზმი, რომლის სათავეებთან დგას ილია ჭავჭავაძე, რაც თავისთავად უკვე მიუთითებს ჩვენი იდეოლოგიის ნათლად გამოხატულ ეროვნულ მიმართულებას.

მიგვაჩნია, რომ ცივილიზებული მსოფლიოს პირობებში საქართველო თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად უნდა იყოს სწორედ ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფო.

[...]

თამარ წილოსანი,
„ივერია ექსპრესი“, №91, 19 ივნისი, 1993

ვინ და რატომ უპირისპირდება ედუარდ შევარდნაძეს?

ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა
რამდენიმე პარლამენტარს

მიხეილ ნანეიშვილი:

... მართალი გითხრათ, არც დავფიქრებულვარ ამ საკითხზე. პირველი მიზეზი, თუ რატომ უპირისპირდებიან შევარდნაძეს, მე მაინც მიმაჩნია, ეს არის ის ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელმაც ამ ბოლო ხანს თავი იჩინა ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენ აშკარად ვართ ისტორიულად ტრავმირებული ხალხი. ვგულისხმობ, ფსიქოლოგიურ ტრავმას, რომელიც აისახება ხალხის აზროვნებაშიც, გრძნობებშიც და ცხადია, მორალზეც ახდენს სათანადო ზეგავლენას. ამ მოვლენის გაგრძელებაა პოლიტიკური კულტურის კატასტროფული დაცემა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობენ, არ გააჩნიათ არა მარტო ელემენტარული, პროფესიონალური მომზადება, რასაც ვერც მე დავიკვეხნი, არამედ ელემენტარული პროფესიული პასუხიმგებლობაც კი. რაც ხელს უწყობს იმას, რომ შეუძლიათ ილაპარაკონ ისეთ საკითხებზე, რომლებშიც ჯეროვნად გარკვეულნი არ არიან. მაგრამ, მთავარი მაინც მორალური პასუხისმგებლობაა. როდესაც, საზოგადოებაში სუფევს ეს ფენომენი და ადამიანები საკუთარ ვნებათაღელვას კონტროლს ვერ უწევენ, ცხადია, ნორმალურ პოლიტიკურ ცხოვრებაზე ლაპარაკი ზედმეტია. [...] პირადად მე, შეიძლება გარკვეულ საკითხში არ ვეთანხმებოდე მას, მაგრამ როცა ადამიანს აცხადებენ იმ პიროვნებად, რომელიც ყიდის საქართველოს ტერიტორიას, ეს ნორმალური აზროვნების ფარგლებს სცილდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები ინდივიდუალურად არანორმალურები არიან, მე ვგულისხმობ სოციალურ მოვლენას. და, ჩვენ რომ ვიყოთ ნორმალური საზოგადოება, სახელმწიფოს მეთაურს, ისევე როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, სრული უფლება ექნებოდა, პასუხისგებაში მიეცა ამ კატეგორიის ხალხი. ვინაიდან, ეს გახლავთ ცილისწამება. [...]

„მამული“, № 20, ივნისი, 1993

„სოჭის შეთანხმებასთან“ დაკავშირებით გვესაუბრება ბატონი მიხეილ ნანეიშვილი

ბატონო მიხეილ, ტელევიზიით უკვე გამოთქვით თქვენი პოზიცია აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თაობაზე, მაგრამ პრესაში იგი არ დაგიფიქსირებიათ. ხომ არ შეავსებთ ამ „ხარვეზს“ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე?

სიამოვნებით. ხსენებულმა შეთანხმებამ რომ ესოდენ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში, კერძოდ, „პოლიტიკურ წრეებ“-ში, ამაში უცნაური და მოულოდნელი არაფერია, ისევე როგორც არ უნდა გაგვაკვირვოს ამ შეთანხმების შეფასებაში აზრთა პოლარულმა დაპირისპირებამ. მეტიც, მე არ მეგულება საღად მოაზრე არა თუ პოლიტიკოსი, რიგითი მოქალაქეც, ვისაც ცალსახა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს აღნიშნული დოკუმენტისადმი და, მიუხედავად თავისი ამა თუ იმ პოზიციისა, საპირისპირო თვალსაზრისს მთლიანად უარყოფდეს, როგორც უსაბუთოს. ყოველ შემთხვევაში, ჩემი გარკვეული დამოკიდებულება შეთანხმებისადმი სულაც არ გამორიცხავს იმ ეჭვებს, რომლებიც შეუძლებელია, არ ჰქონდეს გონებაფხიზელ ადამიანს, რაგინდ დაჯერებულიც იყოს იგი იმ ნაბიჯის სისწორეში, რომელიც გადადგა რესპუბლიკის ხელისუფლებამ შეთანხმებაზე ხელისმოწერით. და ეს იმიტომ, რომ შეთანხმება თავისი შინაარსით აშკარად გვაჩვენებს, რომ ამ თითქიმის ერთწლიანი ომის განმავლობაში ქართულმა მხარემ წარმატებას ვერ მიაღწია (რბილად რომ ვთქვათ), რის გამოც ფრიად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა მოწინააღმდეგის პირისპირ. ხოლო, თუ ვინაა სინამდვილეში ეს მოწინააღმდეგე, ვფიქრობ, განმარტებას არ საჭიროებს: ყველამ ვიცით, რომ იგი „გუდაუთის დაჯგუფება“ კი არაა, არამედ „მესამე ძალა“, რომელიც ამ „დაჯგუფებას“ თავის პოლიტიკურ ნიღბად და იარაღად ხმარობს და რომელთანაც ჯარი რომც გყავდეს (ხოლო იგი, როგორც ცნობილია, არ გვყავს), მარტონი ვერას გავაწყობთ ბრძოლის ველზე. ამიტომ იმათაც, ვინც თავს „შეურაცხყოფილად“ გრძნობს იმ სამხედრო წარუმატებლობით, რომლის ერთგვარი პოლიტიკური გამოხატულებაცაა შეთანხმება, იმით „ვანუგეშებდი“, რომ ეს მარცხი მოგვივიდა არა „გუ-

დაუთ“-თან, არამედ „მოსკოვ“-თან ჭიდილში, თუმცა ამან სულაც არ უნდა გაგვინელოს გრძნობა სირცხვილისა, რომ დღემდე ვერ შევძელით, არ ვამბობ, არმიის, უბრალოდ „სახალხო ლაშქრის“ შექმნა, ელემენტარული „სამილიციო“ დისციპლინით და ორგანიზაციით, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს. ამგვარად (სოჭის, რაკიღა იქ მოხდა ხელის მოწერა), შეთანხმება წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შეიცავს რიგ ფრიად სამძიმო და საჭოჭმანო პირობებს საქართველოსთვის და რომელზე ხელის მოწერასაც არავინ არ დაუჭერდა მხარს, რომ არა შექმნილი მდგომარეობის მაიძულებელი ზეწოლა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, არ დავმორჩილებოდით ამ მდგომარეობას და, როგორც იტყვიან ხოლმე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გვებრძოლა? – რა თქმა უნდა, ასეთი გზაც არსებობდა (და ახლაც არსებობს).

მართლაც, ჩვენ შეგვეძლო არ მიგვეღო შეთანხმების პირობები და საქვეყნოდ განგვეცხადებინა, რომ ვიომებდით მანამ, სანამ საამისო ფიზიკური შესაძლებლობა გვექნებოდა. ამ სცენარით ჩვენი ხელისუფლება ოფიციალურად დააფიქსირებდა, რომ საქართველო ეომება რუსეთს, რომელიც ცდილობს თავისი დაკარგული პოზიციების, თუ მთლიანად ვერა, ნაწილობრივ მაინც აღდგენას ჩვენს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, აქ საუბარი არ იქნებოდა საქართველოს მიერ რუსეთის დამარცხებაზე, არამედ მხოლოდ ბოლომდე ბრძოლაზე აგრესორის წინააღმდეგ, ვიდრე ეს უკანასკნელი არ მოახდენდა საქართველოს სრულ ოკუპაციას („თბილისის აღება“ და სხვ. და სხვ.), რითაც დავანახებდით მსოფლიოს, რომ რუსეთი კვლავაც ადგას იმპერიალისტური ექსპანსიის პოლიტიკას, ყოვლად შეუთავსებელს საერთაშორისო მშვიდობიანობასა და სამართლიანობის საქმესთან (ცხადია, რუსეთს, მოვლენათა ამ მიმართულებით განვითარებისას, შეეძლო გაჩერებულიყო ენგურზე და იქიდან, ამ „საზღვრის“ გადმოულახავად, ასე ვთქვათ, „დისტანციურად“, ეწარმოებინა ამჯერად უკვე „თავდაცვითი“ ომი, მაგრამ ასეთი ტაქტიკა, ბოლოს და ბოლოს, მაინც იმავე პოლიტიკურ ეფექტს მოგვცემდა: ყველასათვის აშკარა იქნებოდა მოსკოვის აგრესიული პოლიტიკა გაეროს ერთ-ერთი წევრი ქვეყნის მიმართ). რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა ნამდვილი საერთაშორისო სკანდალი, რასაც უთუოდ მოჰყვებოდა დასავლეთის სათანადო რეაქცია, ცხადია, არა „საქართველოს სიყვარულით“, არამედ სხვა არა იყოს რა, თუნდაც იმის გამო, რომ ყვე-

ლასათვის აშკარა შეიქმნებოდა იმპერიის, დემოკრატიული მსოფლიოს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლისა და შრომის შედეგად დანგრეულის, რესტავრაციის ფაქტი („ჯერ“, მართალია, მხოლოდ საქართველოს ხაჯზე), მაგრამ...

მაგრამ ასეთი პოლიტიკა რომ მეტად ძვირად დაგვიჯდებოდა?!

დიახ, სწორედ ამის თქმა მსურდა: მეტისმეტად დიდი იქნებოდა ერის „ხარჯი“ მატერიალურიც, ფიზიკურიც და მორალურიც, ყოველ შემთხვევაში, იმ შესაძლებლობის ფონზე, რომელსაც შეიცავს მეორე გზა, რომელზედაც ახლა მინდა მოგახსენოთ. მაგრამ, ვინმემ ეს ჩემი სიტყვები მსხვერპლის „მეტისმეტობა“-ზე კაპიტულანტობად რომ არ ჩამითვალოს, ერთ განმარტებას გავაკეთებ.

ზოგნი შეთანხმებაზე ხელის მოწერას ამართლებენ მშვიდობის მოტივით, აქაო და, მთავარია, სისხლის ღვრა და ქვეყნის ნგრევა შეწყდებაო. ვინ დავობს, რომ მშვიდობა ყველა ნორმალური ადამიანისთვისაა სასურველი, მაგრამ მშვიდობაცაა და მშვიდობაც, რადგან ხომ არსებობს „ცარიელი“ (ე.ი. სიკეთეს მოცილებული და, მაშასადამე, ბოროტებით აღსავსე) მშვიდობა, რომელზეც ილიას აქვს ნათქვამი, იგი „საფლავშიც გვეყოფა“-ო, რაც ნიშნავს, ზოგჯერ მშვიდობა სიკვდილის ტოლფასია. და მაშინ, როგორც ცალკე კაცი, ასევე მთელი ერი, თუ არაა ზნეობრივად გადაგვარებული, ასეთ „მშვიდობას“ არჩევს ომს, რომელიც ამ შემთხვევაში იქნება ომი სამართლიანი. აკი ნათქვამია „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“-ო! ესეც არ იყოს, თუკი ასეთი აბსოლუტური პაციფისტები ვართ, მაშინ, როდესაც აფხაზეთში პირველად გავარდა თოფი, რატომ არ გამოვედით იქიდან და არ გადავულოცეთ მოსკოვს საქართველოს ეს კუთხე? მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამით სულაც არ დავამტკიცებდით ჩვენს მშვიდობისმოყვარეობას, რადგან მშვიდობა, ასე მოპოვებული, არ იქნებოდა სამართლიანი. ერი, ამ სახელის ღირსი, არასოდეს შეურიგდება მონობაში „მშვიდობას“ და იგი იბრძოლებს მანამ, სანამ არ მიაღწევს თავისუფლებას, რომელიც არის კიდეც სამართლიანი მშვიდობის ერთადერთი ჭეშმარიტი საფუძველი. ასეა მოწყობილი კაცობრიობის ცხოვრება: თავისუფლებას იმსახურებს ის, ვინც მისთვის იბრძვის. და ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სწორედ დღეს წარმოებს, როდესაც თავის ერთგულ შვილთა სისხლის ფასად ყიდულობს ერი თა-

ვისუფლებას, რომლის გარეშეც არც მშვიდობას აქვს აზრი და არც სიცოცხლეს.

ჩემთვის ასევე მიუღებელია ზოგიერთის „სტრატეგიული“ მოსაზრება, სოხუმი რომ დაგვეკარგა, საქართველო დაიღუპებოდაო. არა, ბატონებო, საქართველო არც მაშინ დაიღუპებოდა, მტერს მთელი აფხაზეთის ოკუპაციაც რომ მოეხდინა. ომი რის ომია, რომ ერთი რომელიმე მეომარი მხარე დროებით არ კარგავდეს, მტრის საომარი წარმატების შედეგად, თავისი ტერიტორიის ნაწილს, ხშირად – დიდ ნაწილსაც, არაიშვიათად უდიდესსაც, მაგრამ ამის გამო, ერი, თუკი მისი შვილები სულმოკლეობას არ შეუპყრია, ყრის იარაღს და მტერს ნებდება? მიმოვიხედოთ ჩვენ გარშემო, რა ხდება დღევანდელ მსოფლიოში (ისტორიას, კერძოდ, ჩვენს საკუთარს, თავი რომ დავანებოთ): რამდენი სისხლი იღვრება, რამდენი ოჯახი ინგრევა, მაგრამ ადამიანები მაინც არ ნებდებიან მოვლენილ გარემოებათ და მტკიცედ, გულმაგრად იბრძვიან საქვეყნო საქმისათვის, რაგინდ ცუდად მიუდიოდეთ იგი მათ ამჟამად, – მიუხედავად ამისა. და თუკი ჩვენ სოხუმის, გნებავთ აფხაზეთის, გნებავთ კიდევ უფრო დიდი ტერიტორიის დაკარგვით სასოწარკვეთილებას მივეცემით, ეს მხოლოდ იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენ ღირსნი არ ვყოფილვართ თავისუფლებისა, რადგან არ შეგვძლებია მისთვის ბოლომდე ბრძოლა: თავისუფლება სულმოკლეთა ხვედრი არც ყოფილა, არც არის და არც არასდროს იქნება.

და მაინც, თქვენ მხარს უჭერთ შეთანხმებას.

რა თქმა უნდა და ჩემი ამგვარი პოზიცია სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში ზემორეაღნიშნულთან, რადგან მიმაჩნია, რომ ეს შეთანხმება, დიახაც ფრიად სამძიმო ჩვენთვის, შეიცავს ისეთ პოლიტიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც, თუკი ვისარგებლებთ მით, გზას გვიხსნიან პრობლემების სამართლიანი და, არსებულ პირობებში, შედარებით მშვიდობიანი მოგვარებისაკენ.

ჯერ ერთი, უნდა გვახსოვდეს, რომ ამჟამად (განსხვავებით 1918-21 წლებისგან) ჩვენ მარტონი არ ვართ მსოფლიოში, რადგან საქართველოს ბედი უშუალოდაა დაკავშირებული იმ გლობალურ ისტორიულ პროცესთან, რომლის დედააზრიც მსოფლიოს დეზიმპერიალიზაცია გახლავთ და რომლის კონკრეტული ამოცანაც რუსული იმპერიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციაა, – იმპერიალიზმისა, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა ხალხებს და რომე-

ლიც მუდამ ემუქრებოდა საყოველთაო მშვიდობას. პრობლემა ისაა მხოლოდ, რომ ეს დემონტაჟი რუსული იმპერიისა, რომელიც ჯერ კიდევ არ დასრულებულა, შეძლებისდაგვარად მშვიდობიანად ჩატარდეს. ყველამ ვიცით, რომ დღეს რუსეთში აქტიურად მოქმედებენ იმპერიალისტური ძალები, რომლებიც ვერ შერიგებიან თავიანთ ისტორიულ მარცხს და ცდილობენ რევანშის აღებას. თუკი მათ გაიმარჯვეს რუსეთში, ამით ცივილიზებულ მსოფლიოს დიდი სიძნელეები წამოეჭრება, რომელთა გადალახვაც მას მეტად გაუჭირდება. ამიტომაც ცდილობს დასავლეთი, საქმე არ გაირთულოს, რის გამოც მოქმედებს კიდეც იგი ფრთხილად, რათა ამ ძალებს, თავისი მკვეთრი მოქმედებით არ განუმტკიცოს ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური ნიადაგი (რომელიც ისედაც არსებობს) ქვეყნის შიგნით, ხალხის ბნელ მასაში წარმატებისათვის. რუსი ხალხის დიდზე დიდი უმრავლესობა ამჟამად თავს მეტად დაჩაგრულად გრძნობს, რომ მას დაენგრა უზარმაზარი იმპერია, რომლის „სიდიადესაც“ უგალობდა მთელი რუსული ლიტერატურა, ეს აღმზრდელი და მოძღვარი რუსი ერისა, ლექსითაც და პროზითაც. ხოლო თუ ვინაა მიზეზი ამ ეროვნული „დამცირებისა“, ესეც „ცნობილია“ რუსთათვის – დასავლეთი, რომელიც ამიტომ ცდილობს კიდეც თავისი პოლიტიკით ზედმეტად არ გააღიზიანოს ისინი და შეძლებისდაგვარად რეგულირებადი გახადოს რუსეთში ამჟამად მიმდინარე მძიმე პროცესები, რეგულირებადი, ცხადია (საბოლოო და შეუქცევადი), დეზიმპერიალიზაციის მიმართულებით. და ჩვენც ჩვენი პოლიტიკა ამ გლობალური ისტორიული პროცესის კალაპოტში უნდა ვაწარმოოთ, პროცესისა, რომლის გამოხატულებაცაა მსოფლიოს დიდ დემოკრატიათა ზემოხსენებული პოლიტიკური კურსი. საუბარი იმის შესახებ, თითქოს ამჟამად მსოფლიოს ახალი გადანაწილება ხდება, სრული გაუგებრობაა, რადგან იმპერიალიზმის ხანა საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს ამ საუკუნის 50-იან – 60-იანი წლების მიჯნიდან მოყოლებული. ამიტომაც მსოფლიოს მესვეური სახელმწიფოები, რომლებიც ასეთად გვევლინებიან სწორედ იმის გამო, რომ თავისი პოლიტიკით გამოხატავენ ეპოქის პროგრესულ ტენდენციებს, რა მთავრობაც უნდა ჰყავდეთ მათ მოცემულ მომენტში, ვერ უგულებელყოფენ ამ ისტორიულ პროცესებს და ვერ დაუშვებენ, ვინმეს ძალიანაც რომ „სურდეს“ იქ, რუსეთის იმპერიის აღდგენას თუნდაც ისეთი „პატარა ტერიტორიის“, როგორიცაა საქართვე-

ლო, ან თუნდაც, მისი ერთი ნაწილი აფხაზეთი, დათმობით, რადგან ესეც პოტენციურად საკმარისი იქნება ამ იმპერიალიზმის მეტასტაზის შემდგომი განვითარებისთვის (ხელსაყრელ პირობებში). ეს — ზოგადად.

მეორეც. ამ დოკუმენტზე ხელის მოწერით ჩვენმა ქვეყანამ დაანახა მთელ მსოფლიოს, პირველ ყოვლისა კი დიდ დემოკრატიებს, რომლებზეც კიდია ჩვენი ბედი, საქართველო, მისი მთავრობა, რაოდენ დაინტერესებულია პრობლემის მშვიდობიან მოგვარებაში, ასეთ „ცუდ“ შეთანხმებასაც რომ „დასჯერდა“. ამით ჩვენმა ქვეყანამ, მისმა მთავრობამ უთუოდ შეიქმნა ფრიად მომგებიანი პოლიტიკურ-მორალური ფონი საერთაშორისო სარბიელზე შემდგომი პოლიტიკური მოქმედებისათვის.

მესამეც. შეთანხმებაზე ხელის მოწერით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ სურდა თუ არა ეს მოწინააღმდეგეს, იგი იძულებული გახდა შეეწყვიტა, დროებით მაინც, ცეცხლი, რამაც შექმნა პირობა ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის, როგორიცაა გაერო, უშუალო ჩართვისათვის, კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ამით, რა თქმა უნდა, საერთაშორისო, ამ შემთხვევაში, გაეროს კონტროლქვეშ აღმოჩნდა თვითონ რუსეთი, რაც, უნდა ვიფიქროთ, დიდად სასიამოვნო არ უნდა იყოს მოსკოვ-გუდაუთის „ღერძისა“-თვის. მაგრამ აქ მთავარი მაინც ისაა, რომ ხსენებული ორგანიზაციის (გაეროს) სახითა და გზით კონფლიქტის მოგვარებაში პოლიტიკურად უმტკივნეულოდ ებმებიან დიდი სახელმწიფოები, რომლებსაც გაეროს მეშვეობით ეხსნებათ ხელი ერთდროულად უფრო ეფექტიანადაც და ტაქტიანადაც სამოქმედოდ. გარდა ამისა, როგორც ვიცით, ამავე საერთაშორისო ორგანიზაციული არხებით შეიძლება ამოქმედდეს ნატოც. [...] ახლა – რაც შეეხება თვითონ შეთანხმებას.

რა თქმა უნდა, საქართველოს რესპუბლიკის ჯარების გაყვანა აფხაზეთიდან, თავისთავად არ უპასუხებს სახელმწიფო სუვერენიტეტს, რომლის რაიმეგვარ ხელყოფასაც ჩვენ, ქართველები, გასაგები მიზეზით, მეტად მწვავედ განვიცდით. მაგრამ, ესეც უნდა ითქვას, რომ ასეთი რამ საერთოდ ხდება ხოლმე, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება, როდესაც ამას მოითხოვს პოლიტიკური საჭიროება, იძულებულია ასეთ ნაბიჯზე წავიდეს. ამის მაგალითები საკმაოდაა ცნობილი. ხოლო შეთანხმების დანარჩენი პუნქტებიდან მკითხველის ყურადღებას მივაპყრობდი შემდეგს.

როგორც რეალურნი, ამ პუნქტებიდან გამოიყურებიან მხოლოდ ისინი, რომლებიც მოითხოვენ: ცეცხლის შეწყვეტას, გაეროს მეთვალყურეების ჩამოსვლას და, ბოლოს, ამავე ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების განლაგებას კონფლიქტის ზონაში. უეჭველია, რომ გაეროს მეთვალყურეებისა და სამშვიდობო ძალების ფაქტორი გვარიანად ზღუდავს და ასუსტებს „რუსულ ფაქტორს“, რაც მეტად მნიშვნელოვან გარემოებად მესახება, განსაკუთრებით, თუკი გავიხსენებთ იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება თვითონ რუსეთი. მხედველობაში მაქვს მისი პირდაპირი ჩათრეულობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან კონფლიქტში თითქმის მთელი საზღვრის (ვგულისხმობ რუსეთის საზღვრებს) გასწვრივ: ესტონეთთან („რუსულენოვანი“ მოსახლეობის ავტონომიის საკითხი), მოლდოვასთან (დნესტრისპირეთი), უკრაინასთან (ყირიმი, განსაკუთრებით კი, სევასტოპოლი), აზერბაიჯანთან (ყარაბაღის კონფლიქტი) და ბოლოს, ტაჯიკეთი. წარმოიდგინეთ ეს კონფლიქტური სიტუაციები მათს დინამიკაში და გასაგები გახდება, რომ რუსეთს ბევრი „უსიამოვნებანი“ მოელის, განსაკუთრებით უკრაინასა და შუა აზიაში (ჯერჯერობით ტაჯიკეთის რეგიონში). თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ თვითონ რუსეთშიც მთლად კარგად არაა რუსეთის საქმე (სეპარატისტული მოძრაობა ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგისპირეთში და ა.შ.), შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოფილ „მეტროპოლიას“ ძალიან ღრმად აქვს შეტოპილი როგორც საგარეო, ასევე საშინაო კონფლიქტებში, რაც მეტად ართულებს მის მდგომარეობას საერთოდ მსოფლიოში, რომელიც კარგად ხედავს, რომ რუსეთი მაინც რუსეთია და თავისას არ იშლის. ხოლო თუ რა შეიძლება მოჰყვეს რუსეთისთვის, თუკი ამ უკანასკნელმა ასე გააგრძელა ცხოვრება, იმავე დასავლეთის მხრიდან – ამის განჭვრეტა ძნელი არაა: პოლიტიკური იზოლაცია, აქედან გამომდინარე შედეგებით... და ჩვენც სოჭის შეთანხმება აღნიშნული სიტუაციის დინამიკაში უნდა განვიხილოთ. ვფიქრობ, ასეთ კონტექსტში ეს შეთანხმება სულ სხვა აზრს იღებს, განსხვავებით იმ შთაბეჭდილებისგან, რომელიც რჩება ამ დოკუმენტის მკითხველს, როდესაც იგი მას აანალიზებს ხსენებული კონტექსტის გარეშე.

სურათი კიდევ უფრო იცვლება, თუკი დავაკვირდებით ისეთ პუნქტებს, როგორებიცაა აფხაზეთის ქართული და აფხაზური შეიარაღებული ძალების, მათი საპოლიციო ფუნქციებით აღჭურვის

შემდეგ, „შეერთება“, ლტოლვილების დაბრუნება (მაგ., ქართველებისა გაგრაში?), კანონიერი ხელისუფლების (ეს ვისი? გუშინ რომ ერთმანეთს ხოცავდნენ?) ფუნქციების აღდგენა. გავიხსენოთ, რომ ეს ხელისუფლება, ეს უზენაესი საბჭო თუ მთავრობა, იმავ ქართველებისა და აფხაზებისაგან შედგება და ვიკითხოთ, როგორ შეიძლება ითანამშრომლონ, ვთქვათ, „კანონიერმა“ არძინბამ და არანაკლებ „კანონიერმა“ ნადარეიშვილმა, ან ვინმე სხვამ, თავი რომ დავანებოთ დეპუტატებს, მინისტრებს და ა.შ., ან დამნაშავეთა გამოვლენას და პასუხისგებაში მიცემას (მაგალითად, იმავე გაგრის ამბებში მონაწილეებისა?) ანდა მისცემენ კი „გუდაუთელები“ და ძმანი მათნი საშუალებას „კომისიებს“, გამოიძიონ გაგრის ტრაგედიის საქმე?.. სხვისი არ ვიცი და მე, პირადად, ძალიან მეეჭვება, რომ ყოველივე ამის ცხოვრებაში გატარება შესაძლებელი გახდეს და ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამ პუნქტებში ეს შეთანხმება „ფარატინა ქაღალდი“-ა, ამ მხრივაც ჩვენთვის მომგებიანი, რადგან „ფარატინად“ ხსენებულ დოკუმენტს ჩვენი მოწინააღმდეგენი აქცევენ, სხვა გამოსავლის უქონლობის გამო. ვიმეორებ, ეს გარემოებაც ჩვენ გვაძლევს დიდ შესაძლებლობას (თუკი, რა თქმა უნდა, გამოვიყენეთ) წარმატებული პოლიტიკური ბრძოლისათვის, რასაკვირველია, მეთვალყურეობისა და სათანადო პოლიტიკური მონაწილეობის პირობებში. კიდევ და კიდევ ვამბობ, აქ საკითხი ეხება რუსეთს, თუნდაც ძველსა თუ ახალს, ხოლო თუ გაირკვევა, რომ ძველს, მაშინ დასავლეთის რეაქციაც ძველებური იქნება. ამაში დარწმუნებული ვარ. და ასეთ პირობებში, მითუმეტეს, არავინ „დაუტოვებს“ საქართველოს რუსეთს („სხვა პირობებში“, იგულისხმება, რუსეთი თავისით წავა საქართველოდან, ასე ვთქვათ – უკვე „ახლობლურად“) არა მარტო ზემოხსენებული პრინციპული მოსაზრებით (იმპერიალიზმის ლიკვიდაცია მისი მატარებელი იმპერიითურთ), არამედ იმ გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, რაც აქვს საქართველოს და რაც პოლიტიკურ ფასს სდებს მას.

ამ თემაზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ვშიშობ, გაზეთისთვის რაც ვთქვი, ისიც მეტისმეტად ვრცლად გამომივიდა.

„მამული“, № 27, აგვისტო, 1993

დარწმუნებული ვარ, საქართველო ამ მძიმე კრიზისიდან გამოვა თავისი ტერიტორიული მთლიანობის სრული დაცვით

შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის და მის დაცვაზე კონტროლის მექანიზმის შესახებ... რას უქადის იგი საქართველოს? რას წარმოადგენს: ბრძნულ და შორს გამიზნულ პოლიტიკურ ნაბიჯს თუ კაპიტულაციას? ამ საკითხში გასარკვევად დახმარება ვთხოვეთ საპარლამენტო ფრაქცია „ლიბერალების" თავმჯდომარეს ბატონ მიხეილ ნანეიშვილს.

[...]

კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამმხრივი (ქართულ-რუსულ-აფხაზური) საკონტროლო ჯგუფები განიხილავენ მოსახლეობის მიმართვებს სხვადასხვა საკითხებზე. ხომ არ წარმოიქმნება „დაჩაგრულ" რუსულენოვან მოსახლეობაზე რუსეთის ზრუნვის პროვოკაციული საფუძვლები?

რასაკვირველია, ასეთი შესაძლებლობა არ უნდა გამოვრიცხოთ. მაგრამ იმ საერთაშორისო კონტროლის პირობებში, რომელიც ახლა იქმნება აფხაზეთის ტერიტორიაზე, ასეთ პროვოკაციულ ქმედებებს არ უნდა მოჰყვეს პროვოკატორებისთვის სასურველი შედეგი.

არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ რუსეთი დღეს თავისი საზღვრების გასწვრივ არსებულ რიგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ჩართულია კონფლიქტებში ან კონფლიქტით დამუხტულ სიტუაციებში. ასეთი ზონები რუსეთის საკონფლიქტო ჩართულობისა ჩვენ შეგვიძლია ჩამოვასახელოთ: ესტონეთი (მოძრაობა რუსულენოვანი მოსახლეობის ავტონომიისათვის), დნესტრისპირეთი, უკრაინა (სევასტოპოლის და, საერთოდ, ყირიმის კრიზისი), აზერბაიჯანი (ყარაბაღის პრობლემა) და, ბოლოს, შუა აზია – ტაჯიკეთი. მიუხედავად იმ „რბილი" პოლიტიკისა, რომელსაც დასავლეთი აწარმოებს რუსეთის მიმართ, ჩემთვის სრულიად აშკარაა, რომ იგივე დასავლეთი, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდება, რომ რუსეთი ვერ თუ არ ელევა იმპერიალისტურ ზრახვებს, იძულებული შეიქმნება, შეცვალოს თავისი პოლიტიკის ხასიათი.

ჩვენ კარგად უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთის იმპერიის დანგრევა იყო ხანგრძლივი პროცესის შედეგი, პროცესისა,

რომელიც სათავეს იღებს (თუკი პროგრამულ განცხადებას მივიღებთ მხედველობაში) 1946 წლის 5 მარტიდან, როდესაც უინსტონ ჩერჩილმა ფულტონში წარმოთქვა თავისი ისტორიული სიტყვა. და ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ბოლშევიკური რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ამ თავის ნახევარსაუკუნოვან ბრძოლას დასავლეთი წყალში გადაყრის და დაუშვებს, რომ რუსეთის იმპერია აღდგეს სხვა ფერით (ნაცვლად წითლისა, ვთქვათ, თეთრი ფერით). ეს სიტუაცია, რომელიც წარმოიშვა რუსეთის ამგვარი დამოკიდებულებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, სულ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რადგან აღნიშნული მდგომარეობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც რუსეთს, თუკი მან ამ გზით იარა, კარგს არაფერს უქადის.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის მდგომარეობა, რომელიც არსებობს თვითონ რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ, ისეთ რეგიონში, როგორიცაა ჩრდილოეთ კავკასია, ან კიდევ, ვოლგისპირეთი, სადაც მკვიდრი ხალხები ადგანან ეროვნული თვითგამორკვევის გზას (ასეთი რეგიონი რუსეთში არაერთია).

ყოველივე აღნიშნული რუსეთს უქმნის უმძიმეს პრობლემებს და დასავლეთიც თვალყურს ადევნებს რუსეთის პოლიტიკას ამ სფეროში. ასე, რომ რუსეთს მართებს ფრთხილად იმოქმედოს, კერძოდ საქართველოს მიმართ, ამჯერად აფხაზეთში, რათა თავის ისედაც მერყევ მდგომარეობას საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ უფრო არ შეურყიოს საფუძველი. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ისეთია, რომ რუსეთს აქ არავინ არ გააბატონებს და ადრე თუ გვიან, ეს აშკარა შეიქმნება თვითონ რუსეთისათვის.

ასე რომ, ჩვენ მოსალოდნელი პროვოკაციების არ უნდა გვეშინოდეს, მაგრამ უნდა ვიყოთ ძალიან ფხიზლად, რათა ამ პროვოკაციებს კი არ წამოვეგოთ, პირიქით: ჩვენი გონივრული პოლიტიკით კიდევ ერთხელ ნათელვყოთ რუსეთში მოქმედი ძალების ჭეშმარიტი სახე დემოკრატიული მსოფლიოს თვალში. [...]

რუსეთს ომს რომ ვერ მოვუგებდით, ეს ყველასთვის ნათელი იყო. მაგრამ ნათელი იყო ისიც, რომ ხელისუფლებას რომ არ ერეაგირა იმ პროცესებზე, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობდა სამხედრო კონფლიქტის დაწყებამდე, ჩვენ აფხაზეთი მართლაც შეიძლება დაგვეკარგა.

კრიტიკოსებმა, აგრეთვე, ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ იმ თავგანწირვას, რომელიც ამ ომში გამოიჩინა ჩვენმა ხალხმა, ქართველმა ახალგაზრდობამ, სხვა მხარეც აქვს. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი ხასიათისათვის, ჩვენი ფსიქიკისთვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ამდენი ხნის მანძილზე ქართველობამ პირველად აიღო ხელში იარაღი არა სხვისი საქმის, არამედ საკუთარი საქმის დასაცავად.

ამ ომმა, მე ამაში დარწმუნებული ვარ, უდიდესი გამომაფხიზლებელი ზეგავლენა იქონია აფხაზეთის ქართველებისათვის. და მიუხედავად იმ მსხვერპლისა, რომელიც გაიღო ჩვენმა ქვეყანამ, მე ვიტყოდი, სწორედ ამ მსხვერპლის გამო მოხდა აფხაზეთის ქართველობის საერთო ეროვნული გამოფხიზლება და საერთო ეროვნული კონსოლიდაცია. [...]

რაც შეეხება „ამ მდგომარეობამდე ქვეყნის მიყვანას“, ეტყობა კრიტიკოსებმა კარგად არ იციან პრობლემის ისტორია და ავიწყდებათ ჩვენი უახლოესი წარსულიც (მხედველობაში მაქვს საქართველოს წინა ხელისუფლების პოლიტიკა, კერძოდ, ისევ აფხაზეთში). ის, რაც დღეს მოხდა, მზადდებოდა დიდხანს, ხოლო ჩიხში მოაქცია წინა ხელისუფლების უგუნურმა პოლიტიკამ, რომელსაც იგი აწარმოებდა აფხაზეთის მიმართ. და რომ ჩვენს ეროვნულ სხეულში დაგუბებული სენის ორგანიზმიდან გამოსადევნად, ნება-უნებლიედ, დაგვჭირდა ომის ქირურგიული დანა, ეს უკვე მკაცრი რეალობით იყო გაპირობებული. მე შემთხვევით არ მითქვამს „ნება-უნებლიედ“, იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობა თავისთავად იქ ომს არ აპირებდა. მაგრამ ასე სრულიადაც არ ფიქრობდა მოპირდაპირე მხარე და როდესაც საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება – დაემყარებინა თავისი კონტროლი სარკინიგზო ხაზზე, ამით ისარგებლეს გუდაუთის სეპარატისტებმა და ჩვენში არსებულმა სხვა ბნელმა ძალებმა და საქმე სისხლისმღვრელ ომამდე მიიყვანეს. სამწუხაროდ, ასეთი შედეგი ლოგიკური იყო. [...]

დალი ჩიკვაიძე,
„ქართული ფილმი“, 19 აგვისტო, №26, 1993

ეჭვიც არ მეპარება, რომ დასავლეთი არ გაიმეორებს იმ მძიმე შეცდომას, რაც მან ჩაიდინა 1918-21 წლებში საქართველოს მიმართ

მკითხველს შევახსენებთ, რომ შეთანხმებაზე აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მის დაცვაზე კონტროლის მექანიზმის შესახებ, ჩვენი გაზეთის 19 აგვისტოს ნომერში ვრცელი საუბარი გვქონდა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიისა და საპარლამენტო ფრაქცია „ლიბერალების" თავმჯდომარესთან, ბატონ მიხეილ ნანეიშვილთან. ბუნებრივად მივიჩნიეთ, რომ შეთანხმების შედეგების და, საერთოდ, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი ისევ მისთვის გვეთხოვა.

ბატონო მიხეილ, ხსენებულ ინტერვიუში თქვენ ბრძანეთ: „შეთანხმება, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებამ მოაწერა ხელი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ მძიმე პირობებს შეიცავს, მე მიმაჩნია ისეთ დოკუმენტად, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, ქვეყანა გამოვიყვანოთ მძიმე პოლიტიკური კრიზისიდან და პრობლემა მოვაგვაროთ ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესები. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩვენი პოლიტიკით რამდენად შევძლებთ შეთანხმებაში უთუოდ არსებული შესაძლებლობების რეალიზაციას". ეს ციტატა გვაძლევს თუ არა უფლებას, დავასკვნათ, რომ ჩვენი პოლიტიკა სწორად ვერ წარვმართეთ?

როდესაც ამ განცხადებას ვაკეთებდი, მე ვგულისხმობდი იმას, რომ ხსენებული შეთანხმება შეიცავს რიგს პუნქტებისა, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარე ვერ შეასრულებს, რითაც ჩვენ უნდა გვესარგებლა. რამდენადაც მახსოვს, ეს პუნქტები შეთანხმებისა თქვენთან ინტერვიუშიც ჩამოვთვალე. ვფიქრობ, იმან, რაც მოხდა, დაადასტურა ეს ჩემი შეფასება შეთანხმებისა და ჩემი პროგნოზიც. ასე რომ, ახლა საშუალება გვეძლევა მომგებიანად ვისარგებლოთ იმ უხეში პოლიტიკური შეცდომით, რაც მოწინააღმდეგემ დაუშვა.

წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, საკუთრივ სოჭის შეთანხმებასთან უშუალო მიმართებაში, ვფიქრობ, ხელისუფლებას შეცდომა (ყოველ შემთხვევაში, თვალსაჩინო) არ დაუშვია. სხვა საკითხია, თუ როგორ ითვალისწინებდა ჩვენი ხელისუფლება შე-

თანხმების დარღვევის შესაძლებლობას მოსალოდნელი ქმედებისათვის

[…]

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით და ვამყარებთ საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ ცალკეულ სახელმწიფოებზე. მათ რეზოლუციებითა და განცხადებებით კიდევაც დაუჭირეს მხარი საქართველოს, მაგრამ არძინბას ხროვას ეს ყველაფერი „ჩირადაც არ უღირს“ – და, მახსენდება ანდაზა: „სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი გააძრესო“.

თავისთავად, თქვენს მიერ მოტანილი ანდაზა ჩვენს სინამდვილეში რეალურ აზრს მოკლებული არაა და მაინც, ვფიქრობ, რომ სწორედ იმ პოლიტიკის წყალობით, რომელსაც ადგა და ადგას ჩვენი ხელისუფლება საკუთრივ აფხაზეთის საკითხში, საქართველო არ იქნება იზოლირებული თავისი მთავარი მტრის – რუსეთის იმპერიალისტური ძალების პირისპირ და დიდი დემოკრატიები ჯეროვან დახმარებას აღმოგვიჩენენ. უბრალოდ, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ასეთი დახმარებისათვის აუცილებელი იურიდიულ-პოლიტიკური პროცედურები სწრაფად არ ხორციელდება, რის გამოც მოგვიწევს საკუთარი ძალების მაქსიმალური მობილიზაცია ესოდენ ნანატრი რეალური დახმარების მიღებამდე.

ეჭვიც არ მეპარება, რომ დასავლეთი არ გაიმეორებს იმ მძიმე შეცდომას, რაც მან ჩაიდინა 1918-21 წლებში საქართველოს მიმართ და ამჯერად, საკუთარი ინტერესებიდანვე გამომდინარე, ჩვენს ქვეყანას მარტო არ დატოვებს რუსეთის პირისპირ. მრავალჯერ აღმინიშნავს და ახლაც მოგახსენებთ, რომ დღეს სულ სხვა დროა და დასავლეთიც თავისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლის ნაყოფს (ბრძოლისა, რომელიც მიმართული იყო რუსული იმპერიის ლიკვიდაციისაკენ), წყალში არ გადაყრის. ეს არის ისტორიის ის ტენდენცია, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი ვერ შეცვლის და ჩვენს იმედებს სწორედ ამ ტენდენციების გათვალისწინებაზე ვამყარებთ.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ასეთი დაიმედებით გულზე ხელი დავიკრიფოთ, რადგან ჩვენც ჩვენი წილი უნდა შევიტანოთ იმ მსოფლიო-ისტორიულ პროცესში (ვგულისხმობ იმპერიალიზმის აღმოფხვრას კაცობრიობის ცხოვრებაში), რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორია გაგვრიყავს და მაშინ, ცხადია, ჩვენს ქვეყანას მომავალი აღარ ექნება.

გამართლდა თქვენი პროგნოზი, რომ გუდაუთის დაჯგუფება და მის ზურგსუკან მდგომი ძალები შეთანხმების პირობებს ბოლომდე არ დაიცავდნენ. თქვენ და ხელისუფლებაში მყოფმა ამ საკითხში თქვენმა თანამოაზრეებმა პრაქტიკულად რა გააკეთეთ იმისათვის, რომ შეთანხმების დარღვევას საქართველო მოუმზადებელი არ შეხვედროდა?

სამწუხაროდ, ვერაფერი, და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით ხელისუფლების იმ შტოს, რომელსაც ევალებოდა (და ახლაც ევალება) ქვეყნის მზადყოფნის პრაქტიკული უზრუნველყოფა ამგვარი მოვლენების მოლოდინში. რაც შეეხება ზეპირ განცხადებებს, კერძოდ, სოჭის შეთანხმების თაობაზე, ვფიქრობ, ისინი არც ჩვენი საზოგადოებისათვის და არც, კერძოდ, ხელისუფლებისთვის არ დაგვიკლია; შეიძლება ამ მხრივ გადავაჭარბეთ კიდეც.

გვინდა გავიზიაროთ ოპტიმიზმი იმის შესახებ, რომ „ბოლშევიკური რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავის, თითქმის ნახევარსაუკუნოვან ბრძოლას დასავლეთი წყალში არ გადაყრის და არ დაუშვებს, რომ რუსეთის იმპერია აღდგეს სხვა ფერით“, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსეთში სუსტდებიან დემოკრატიული და ძლიერდებიან რეაქციული ძალები. ელცინი პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებსაც კი დათანხმდა, ხოლო უმაღლესი საბჭოს 18 სექტემბრის სხდომაზე ხაზბულატოვმა და რუცკოიმ (და არა მხოლოდ მათ) აშკარად ილაპარაკეს საბჭოთა კავშირის აღდგენაზე. არ ვიცით (თუმცა, ვხვდებით!) რას მოიმოქმედებს რუსეთის სახალხო დეპუტატთა X ყრილობა, რომელიც ორი თვის შემდეგ ჩატარდება. ვფიქრობ, დამაფიქრებელია ტაჯიკეთის ხელისუფლების ოპოზიციის წარმომადგენლის განცხადება 18 სექტემბერს „ოსტანკინოს“ ტელევიზიის წამყვანის ალექსანდრე ლიუბიმოვის გადაცემაში „წითელი კვადრატი“, იმის შესახებ, რომ რუსეთის აქტიური ჩარევის გარეშე ორი საათიც ვერ იარსებებდა ტაჯიკეთის დღევანდელი ხელისუფლება, რომელმაც დახურა 30-ზე მეტი გაზეთი, ოპოზიციას კი განუცხადა, რომ ტაჯიკეთში მათი ადგილი არ არის.

თუკი ასეთი რამ მოხდა, რისი ალბათობაც, ვფიქრობ, არც თუ მცირეა, დარწმუნებული ვარ დასავლეთი იძულებული შეიქნება გადასინჯოს თავისი ისედაც ფრთხილი ოპტიმისტური მიდგომა რუსეთისადმი; გადასინჯოს, რა თქმა უნდა, რადიკალურად, რასაც უთუოდ მოჰყვება სათანადო რევიზიაც შესაბამისი პოლი-

ტიკისა და მაშინ, უნდა ვიფიქროთ დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედებაც, კერძოდ, საქართველოს საკითხში გაცილებით უფრო ენერგიული და ოპერატიული იქნება. უბრალოდ, დასავლეთი ჯერ კიდევ არ დგამს ასეთ ნაბიჯს, რადგან მიაჩნია, რომ ყველა შანსი რუსეთის დაყენებისა დემოკრატიული განვითარების გზაზე ამოწურული არაა და ამიტომაც არ მიმართავს უფრო მკვეთრ ზომებს, რომლებსაც ასე მოველით ყველანი ამ ქვეყნებისაგან.

[...]

უკანასკნელი წლების პოლიტიკური ცხოვრების ხშირი მოულოდნელობების ფონზეც კი 14 სექტემბრიდან საქართველოში მოვლენები კალეიდოსკოპური სიჩქარით ვითარდება. იქნებ, ზედმეტიც კია კიდევ ერთხელ იმის აღნიშვნა, რომ ამ მოვლენათა რეჟისორი რეაქციული რუსეთია. ღმერთმა არ ქნას და, თუ ჩრდილო კავკასიის კონფედერაციის ჯარებიც ჩაერთო, ძნელია შედეგების წინასწარ განჭვრეტა.

ის, რომ რუსეთი ხელს ურევს საქართველოს საქმეებში, იმდენად ტრივიალური ჭეშმარიტებაა, რომ ამის აღნიშვნა შეიძლება ბანალობადაც ჩამეთვალოს. ასევე, ცხადზე ცხადია, რომ ჩრდილო კავკასიის კონფედერაციის „თვითნებობა“, ვითომდაც დაუმორჩილებლობა მოსკოვისადმი მხოლოდ მეტისმეტად გულუბრყვილოთათვის თუ იქნება დამაჯერებელი. დიდი ჭკუა არაა საჭირო იმის დასანახად, რომ ჩრდილო კავკასიის კონფედერაცია ინსტრუმენტია რუსეთისათვის მისი ინტერესების განსახორციელებლად საქართველოში.

რაც შეეხება 14 სექტემბერს, ამ დღეს მომხდარი ამბავი ლოგიკური შედეგია იმ სიტუაციისა, რომელიც სუფევს ჩვენს პარლამენტში. მართალი მოგახსენოთ, მე პირადად არ მოვუცვივარ იმ პანიკას, რომელმაც ლამის ოპოზიციაც კი შეიპყრო. საქმე ის გახლავთ, ჩემთვის აშკარა იყო, რომ ხალხი სახელმწიფო მეთაურის გადადგომას არ დაუშვებდა და იმასაც მოველოდი, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი თავის სიტყვას იტყოდა. ამიტომაც იყო, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტის კითხვაზე, რომელიც დამისვა მან იმ დღეს პარლამენტის შენობაში – თუ როგორია ჩემი პროგნოზი, მე სიტყვასიტყვით ასე ვუპასუხე: დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფო მეთაურის განცხადება გადადგომის შესახებ არ ნიშნავს მისი კარიერის დასასრულს ამ თანამდებობაზე-მეთქი. და ეს ვთქვი არა

იმიტომ, რომ მიმაჩნდა, თითქოს სახელმწიფო მეთაურმა სპექ-ტაკლი დადგა (თუმცა, მე პირადად ასეთი „სპექტაკლების“ საწი-ნააღმდეგო არაფერი მაქვს), არამედ იმიტომ, რომ ვიცოდი თუ რა მოჰყვებოდა სახელმწიფო მეთაურის ამ განცხადებას.

როგორ იმოქმედებს ამის შემდეგ პარლამენტი, ამას მომავა-ლი გვიჩვენებს. მე პირადად მიმაჩნია, რომ დროა სახელმწიფოს მეთაური ისე მოეპყრას პარლამენტში არსებულ ოპოზიციას, რო-გორც ექცევიან მთავრობის მეთაურები დემოკრატიულ ქვეყნებ-ში. პარლამენტში კონსენსუსის დამყარება, გარდა უიშვიათესი შემთხვევებისა, წარმოუდგენელია. ხოლო თუ რას წარმოადგენს ჩვენი ოპოზიცია, ვფიქრობ, ჩვენმა საზოგადოებამ უკვე ძალიან კარგად იცის.

საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ ამ ოპოზიციურ ძალებთან შეთანხმების პოლიტიკა, რაგინდ კეთილშობილური არ იყოს იგი ზნეობრივი თვალსაზრისით, პოლიტიკური თვალსაზრისით არაპ-რაქტიკულია. თვითონ მაცხოვარმა ვერ შეძლო ადამიანთა შეთან-ხმება სიყვარულის საფუძველზე და იგი იმავე ადამიანებმა ჯვარს აცვეს. მით უფრო, ასეთი რამ შეუძლებელია ჩვეულებრივი ადა-მიანისათვის, თანაც ისეთ სფეროში, როგორიცაა პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა „განსხვავებულ აზ-რთა და საქმეთა ჭიდილის სარბიელი” (ილიას ცნობილი სიტყვები რომ გავიხსენოთ).

დალი ჩიკვაიძე,
„ქართული ფილმი“, 23 სექტემბერი, 1993

აფხაზეთის თემა არავითარ შემთხვევაში არ უნდა „გაცივდეს“

ბატონო მიხეილ, თქვენ სატელევიზიო გამოსვლაში ბრძანეთ, რომ ომი აფხაზეთისათვის არ უნდა შევწყვიტოთ. რას გულისხმობ-დით: პოლიტიკურ ბრძოლას თუ საომარ მოქმედებებს?

ორივეს, როგორც პოლიტიკურს, ასევე საომარს, რადგან აფხაზეთის თემა არავითარ შემთხვევაში არ უნდა „გაცივდეს“. გარდა ამისა, აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ მას შემდეგ, რაც მოხ-და, ყველა ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომელზეც მოწერი-ლი აქვს ხელი ჩვენს ხელისუფლებას აფხაზეთის პრობლემის და-რეგულირების მიზნით, ამჟამად პოლიტიკურად გაუქმებულია, რადგან ახლა უკვე ყველასთვის ნათელი გახდა, რომ გუდაუთის დაჯგუფების სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა რაღაც პოლიტიკურ მხარესთან, არამედ ნამდვილ კრიმინალურ ბანდასთან.

ჩვენ ადრე რომ წავედით დათმობებზე, ეს ჩვენი ადრინდელი დათმობები გამოწვეული იყო იმით, რომ აფხაზეთის საკითხი ნა-თელი არ იყო მსოფლიო საზოგადოებისათვის, რისთვისაც ჩვენ, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაგვეწია. ასევე, დღევანდელი პო-ლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით ჩვენ აღარ უნდა წავი-დეთ იმ კომპრომისზე, რომელიც დავუშვით რუსეთის მიმართ, რომელსაც ჰქონდა და დღემდე აქვს ცალკე პოლიტიკური კავ-შირ-ურთიერთობა გუდაუთის დაჯგუფებასთან, რაც, რა თქმა უნდა, უხეში ჩარევაა საქართველოს საშინაო საქმეებში და წარ-მოადგენს აშკარა ხელყოფას საქართველოს, როგორც დამოუკი-დებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა. რას იტყოდნენ თვითონ რუსები, რომელიმე უცხო სახელმწიფოს ასეთი სპეციალური, სე-პარატული კავშირი რომ დაემყარებინა მის რომელიმე პროვინცი-ასთან? რა თქმა უნდა, რუსეთი ასეთ რამეს მიიჩნევდა შელახვად თავისი სუვერენიტეტისა და ჯეროვნად ირეაგირებდა კიდეც.

დღეს საკითხი ასე დგას: საქართველოში მოქმედებენ სხვა-დასხვა კრიმინალური ბანდები პოლიტიკური ოპოზიციის საფარს ქვეშ და მათი მხარდაჭერა რომელიმე უცხო სახელმწიფოს მხრი-დან უნდა განიხილებოდეს არა მარტო როგორც უხეში ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში, არამედ როგორც დანაშაულებრივი კავშირი კრიმინალურ ელემენტებთან. ჩვენ არავითარ მოლაპარა-

კებაზე არ უნდა წავიდეთ გუდაუთის ბანდასთან, ისევე როგორც იმ ბანდასთან, რომელიც მოქმედებს დღეს საქართველოში ექსპრეზიდენტის მომხრეთა სახით. გუდაუთის დაჯგუფებაცა და ექსპრეზიდენტის დაჯგუფებაც წარმოადგენენ ერთი და იგივე ხასიათის მოვლენას და ჩვენც ასეთი იდენტიფიკაცია უნდა ვაქციოთ იმ საფუძვლად, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარი მოლაპარაკების შესაძლებლობას როგორც ერთ, ისე მეორე დაჯგუფებასთან.

აფხაზეთის საკითხი უნდა მოაგვაროს საქართველოს მთავრობამ, ხოლო უცხო სახელმწიფოებს შეუძლიათ იქონიონ კავშირი მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან.

რით ახსნით, რომ ასეთი ტრაგიზმის მიუხედავად მოსახლეობის ნაწილს არ შეცვლია რწმენა ექსპრეზიდენტისადმი?

ჯერ კიდევ 1990 წლის არჩევნებამდე ერთ-ერთ ინტერვიუში, სადაც ვლაპარაკობდი ჩვენი საზოგადოების ფსიქომორალურ მდგომარეობაზე, აღვნიშნე, რომ ჩვენი საზოგადოება სოციალურად დაავადებულია თავის საკმაოდ დიდ ნაწილში და იგი გარკვეულ ფსიქოთერაპიულ მკურნალობას საჭიროებს. რასაკვირველია, ვლაპარაკობდი რა ასეთ სოციალურ დაავადებაზე, მე, პირველ ყოვლისა, მხედველობაში მქონდა საკითხის არა წმინდა კლინიკური ასპექტი, თუმცა ეს მომენტი უთუოდ გასათვალისწინებელია, არამედ საკითხის სოციალური მხარე, ანუ ფსიქიური მოშლილობა საზოგადოებისა, როგორც სოციალური მოვლენა. ასეთი ფსიქოპათოლოგიის მაგალითები ისტორიისთვის ცნობილია. გავიხსენოთ თუნდაც ის სოციალური ფსიქოზი, რომელმაც მოიცვა გერმანელი საზოგადოება ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის სახით 30-იან წლებში. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, აქ, ცხადია, სხვა ფაქტორები მოქმედებდნენ მთელი 70 წლის განმავლობაში, რამაც მძიმე დაღი დაასვა საზოგადოების ცნობიერებას, გამოიწვია რა ამ ცნობიერების დეფორმაცია და დეგრადაცია. თავი იჩინეს ე.წ. „განდევნილმა მოთხოვნილებებმა“, რომლებიც წლების განმავლობაში საზოგადოებრივი ქვეცნობიერების სიღრმეში იყვნენ ჩაძირულნი, მოკლებულნი ნორმალურ სოციალურ რეალიზაციას. სწორედ ამ „განდევნილმა მოთხოვნილებებმა“, რომლებიც ადამიანთა ქვეცნობიერებაში შეერწყნენ გარკვეულ ინსტიქტს, იჩინეს თავი ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აგრესიული სახით.

ამ თემაზე, რა თქმა უნდა, ბევრი რამის თქმა შეიძლება და იგი, საერთოდ, სერიოზული შესწავლის საგანი უნდა გახდეს. მივაქცევ თქვენს ყურადღებას, კერძოდ, ისეთ ფენომენს ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა, რომელიც ნიშანდობლივი გახდა ჩვენი ხალხის მშვენიერი ნახევრისათვის და რომელსაც მე ვუწოდებდი „პოლიტიზებულ ლიბიდოს“. სხვათა შორის, ამ ფენომენს ადგილი ჰქონდა იმავე გერმანიაში, რომლის ცხოვრების ამსახველი კინოკადრებიც ბევრ ჩვენგანს უნახავს. გავიხსენოთ გერმანიაში ის ისტერიული სიყვარული ფიურერისადმი, რომელსაც ქალთა წრეში თვალსაჩინო სპეციფიკური გამოხატულება ჰქონდა. ასეთ პირობებში საზოგადოებაში შეინიშნება გარკვეული სტრუქტურული ძვრები, ასე ვთქვათ, სტრატიფიკაციული ცვლილებები, როდესაც საზოგადოების დაბალი ფენები ე.წ. „საზოგადოებრივი სარდაფის“ წარმომადგენლები ამოდიან სოციალური ცხოვრების ზედაპირზე და მის სახეს განსაზღვრავენ. [...]

დალი ჩიკვაიძე,
„ქართული ფილმი“, 7 ოქტომბერი, № 33, 1993

„ვინ იცის, რა სიურპრიზებს მოგვიმზადებს ჟამთა სვლა“

[…]

ედუარდ შევარდნაძემ გადაწყვიტა საქართველოს CHГ-ში შესვლა. თქვენ საფუძველშივე წინ აღუდექით ამ აზრს, როცა დაიწყო მისი მოსინჯვა საზოგადოებაში. სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, სხვა გამოსავალი არ იყოო. თქვენ როგორ ფიქრობთ?

ამ საკითხს აქ ვრცლად არ შევეხები, თუმცა ჩემი ზოგადი დამოკიდებულება ზემოთ, მგონია, საკმაოდ მკვეთრად გამოვთქვი. ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია ამზადებს დოკუმენტს, სადაც ხსენებული გადაწყვეტილება სახელმწიფოს მეთაურისა ჯეროვნად იქნება განხილული და შეფასებული, ერთს კი ახლავე მოგახსენებთ: დავუშვათ, ამჟამად „სხვა გამოსავალი“ არაა; ხოლო საკითხავია, როგორ მივედით ამ „გამოუვალ“ მდგომარეობამდე? მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის „რეაქციულ ძალთა“ მიზეზით? თუ ჩვენც, ჩვენივე უთავბოლობით, რომელიც გამოვაჩინეთ ყველამ, დიდმაც და პატარამაც, ერთგვარი კოლაბორანტობა გავუწიეთ, ნებაუნებლიედ, ამ ძალებს? ერთი რამ, ყოველ შემთხვევაში, ცხადია: მთავარი „ფაქტორი“ ჩვენი „გამოუვალი მდგომარეობისა“ ის საშინაო პოლიტიკა იყო, რომელსაც აწარმოებდა ხელისუფლება და რომელშიც, სამწუხაროდ, ყველას გვიძევს გარკვეული წვლილი, რა თქმა უნდა, მეტნაკლებობით.

როგორ გესახებათ მომავალი?

თუკი სახელმწიფოს მეთაურის ეს „გადაწყვეტილება“ ფაქტად იქცა, ე.ი. სათანადო ხელშეკრულებას პარლამენტმა გაუკეთა რატიფიკაცია, ანდა რეფერენდუმის გზით მოხდა მისი ძალაში შეყვანა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ დამთავრდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთი ეტაპი და დამთავრდა იგი მარცხით, და რომ იწყება ბრძოლის ახალი ეტაპი, ბრძოლისა – ამ თავსმოხვეული „თანამეგობრობი“-დან თავის დასაღწევად. მე ვეთანხმები სახელმწიფოს მეთაურს, რომ საქართველოს „სნგ“-ში შესვლა ტრაგედია არაა, რადგან ტრაგედია 1921 წელს მოხდა, ახლა კი ჩვენ ისტორიული ფარსის წინაშე ვდგავართ. მაგრამ, რაც უნდა იყოს, თუკი შეგვრჩენია სულგრძელობა, მივიღოთ ეს გამოწვევაც და განვაგრძოთ შრომა და ბრძოლა მანამდე, სანამ ჩვენსას მივაღწევთ და საბოლოოდ არ აღდგება საქართველო პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ტერი-

ტორიულად მთლიანი. [...] მაგრამ დროს ვაცალოთ, ვინ იცის, სანამ ყოველივე ეს მოხდებოდეს, რა სიურპრიზებს მოგვიმზადებს ჟამთა სვლა...

პაატა ვაშაკიძე,
„კავკასიონი“, 18 ოქტომბერი, № 5, 1993

ჩვენმა საპარლამენტო კორესპონდენტმა ახალი, 1994 წლის დამდეგს ორი კითხვით მიმართა რესპუბლიკის პარლამენტის ზოგი ფრაქციის ლიდერებს:

1. **როგორ შეაფასებდით თქვენი ფრაქციისათვის გასულ საპარლამენტო წელს?**
2. **როგორ გესახებათ მომავალი, 1994 წელი პარლამენტში?**

მიხეილ ნანეიშვილი:

1. მირჩევნია, ვისაუბრო არა მთლიანად „ლიბერალებზე“, არამედ იმ ნაწილზე, რომელსაც შეადგენენ ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის წარმომადგენლები. რადგან ეს ფრაქცია, რომლის თავმჯდომარედაც დღემდე ვითვლები ფორმალურად, ამჟამად, ფაქტობრივად აღარ არსებობს: სახელდობრ, მას შემდეგ, რაც „ლიბერალთა“ ერთმა ჯგუფმა „რეალისტურად“ მხარი დაუჭირა საქართველოს შესვლას „სნგ“-ში, მაშინ, როდესაც ჩვენ ლდეპ-ის წევრმა დეპუტატებმა „იდეალისტურად“ იმთავითვე დავიკავეთ „ანტიესენგისტური“ პოზიცია.

ამგვარად, ჩვენი, ასე ვთქვათ, ლიბერალურ-დემოკრატიული „ქვეფრაქცია“ აღმოჩნდა ოპოზიციაში ხელისუფლებასთან, მაგრამ განსხვავებით არსებული „ოპოზიციისაგან“, ერთი მილიმეტრითაც არ დავახლოვებივართ პოლიტიკურად, წარმოვადგენთ სახელმწიფოს მეთაურის, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში, „ლოიალურ ოპოზიციას“, განვიხილავთ რა, ამ ჩვენ ახალ სტატუსს, როგორც გარკვეულ ფორმას ხელისუფლებასთან (სახელმწიფოს მეთაურის სახით) თანამშრომლობისა.

ეს, ვიმეორებ, ახალი, ლიბერალ-დემოკრატთა საპარლამენტო ჯგუფისათვის, ვითარება, ბუნებრივია, ჯეროვნად აისახა ჩვენს დამოკიდებულებაში საპარლამენტო უმრავლესობისადმი, რომლის შექმნაშიც აქტიური მონაწილეობა მივიღეთ და რომლის მიმართაც ახლა ასეთი „მოდუს ვივენდი“ შევიმუშავეთ: ჩვენ არ ვართ უმრავლესობაში (საიდანაც გამოვედით ზემოხსენებული მიზეზის გამო), მაგრამ ვართ უმრავლესობასთან. ვფიქრობ, გამგები გაიგებს. ასეთია ბოლო ფაქტი, რომლითაც ერთგვარად შეჯამდა 1993 წელი „ლიბერალთა“ ფრაქციის ამ ჯგუფისათვის.

რაც შეეხება ლდეპ-ის დეპუტატთა პარლამენტში საქმიანობის ზოგად შეფასებას, ვფიქრობ, რომ ჩვენ ცუდად არ ვიმუშავეთ, თუმცა, რა თქმა უნდა, მეტის გაკეთება შეიძლებოდა. კონ-

კრეტულ ფაქტებს ჩვენი საქმიანობისა აქ არ ჩამოვთვლი, რადგან ბოლო დრომდე პარლამენტის სხდომები გადაიცემოდა ტელევიზიით და მოქალაქეებს ჰქონდათ საშუალება, თვალყური ედევნებინათ პარლამენტის და, მაშასადამე, ჩვენი, ლდეპ-ის, საპარლამენტო წარმომადგენლობის მუშაობისათვის. შევნიშნავ, მხოლოდ, რომ ჩვენი ყურადღება 1993 წელს ძირითადად კონცენტრირებული იყო შემდეგ საკითხებზე: ეკონომიკა, აფხაზეთის კონფლიქტი და, არსებითად მის კონტექსტში, რუსეთთან დამოკიდებულება; ადგილობრივი მმართველობა, ადმინისტრაციის სტრუქტურული და პერსონალური რეორგანიზაცია; საქართველოს ახალი კონსტიტუცია.

2. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უბრალოდ, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ „ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს“, დარწმუნებული ვარ, რომ 1994 წელი ქვეყნის ცხოვრებაში შემობრუნების წელი იქნება. საამისო ნიშნებს, მეტნაკლებად საიმედოს, ვხედავ, მაგალითად, ხელისუფლების აშკარა გააქტიურებაში კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბოლო ხანს შეინიშნება სიმპტომები, რომ ხელისუფლებამ „ხელი მოკიდა“ ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საქმესაც. მოსალოდნელია, რომ მოხდება ადმინისტრაციის რადიკალური გარდაქმნაც, ყოველ შემთხვევაში, მისი პერსონალური შემადგენლობისა.

არ შეიძლება, ანგარიში არ გავუწიოთ რუსეთის ბოლოდროინდელ ამბებსაც, რომლებმაც გამომაფხიზლებელი როლი უნდა ითამაშონ „გამარჯვების ეიფორიაში“ მყოფი დასავლეთისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთი არ დაუშვებს, რუსეთში კომუნისტურ-ფაშისტური ძალების წარმატების შემყურე, „ახალ მიუნხენს“, გაცილებით სახიფათოსა და სამარცხვინოს, ვიდრე „ძველი მიუნხენი“. რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლება ჯეროვნად შეაფასებს ამ ფრიად „საინტერესო“ სიტუაციას და მასში არსებულ პოლიტიკურ შესაძლებლობებს ეფექტიანად გამოიყენებს საერაშორისო სარბიელზე თავისი დიპლომატიური აქტიურობის წყალობით.

„უწყებანი“, № 40, 29 დეკემბერი, 1993

ჩვენი თანამშრომლობა მთავრობასთან დღეს ოპოზიციიდან გრძელდება

[...]

ბატონო მიხეილ, აქვს თუ არა ალტერნატივა „სნგ“-ს?

როცა ამბობენ, სხვა გამოსავალი არ იყოო, ამაზე ვუპასუხებდი, არ შეიძლება ყველაფერს გამოსავალი დაარქვა. თუ ამ გადაწყვეტილების მიღებას შექმნილი სიტუაციით ხსნიან, მაშინ ისიც უნდა აღიარონ, რომ ეს არის გარკვეული ძალისადმი კაპიტულაცია. ადამიანი რომ ჭადრაკის პარტიას წააგებს, არავინ იტყვის, რომ ეს წაგება გამოსავალია. სვამენ კითხვას, სხვა რა გამოსავალი გვქონდაო. თუ მთავრობამ ისე მიიყვანა საქმე, რომ გამოსავალი არ დატოვა, ეს ძალიან ცუდია მთავრობისათვის. მეორეც, მოხდა თუ არა ყველა ძალის მობილიზაცია მდგომარეობის გამოსწორებისთვის? ჩემი აზრით, – არ მომხდარა. თუ ჩავთვლით იმას, რომ მთავრობას მეტი არ შეუძლია, საზოგადოებას მეტი არ შეუძლია, მაშინ გამოდის, რომ მომწიფებულნი არ ყოფილან თავისუფლებისათვის. მე ამას ვერ დავიჯერებ, რაგინდ კრიტიკულადაც ვიყო განწყობილი ჩვენი დღევანდელი საზოგადოების მიმართ. ამდენად, მე ეს არგუმენტი დამაჯერებლად არ მიმაჩნია, მაგრამ დღევანდელი ადმინისტრაციის ხელში მე სხვა შედეგს არ მოველოდი. იგი აშკარად არარეფორმისტულია. ამ მთავრობის გადამკიდე „სნგ“-შიც ამოვყოფთ თავს და ციმბირშიც. [...] „სნგ“-ში ჩვენ მოგვახვედრა არა საგარეო პოლიტიკამ, რაშიც მხარს ვუჭერდით ქვეყნის მეთაურს, არამედ სუსტმა საშინაო პოლიტიკამ.

თქვენ თვლით, რომ მთავრობა უნდა გადადგეს?

სახელმწიფოს მეთაურს ყოველთვის შეუძლია გამოცვალოს კაბინეტი. პოლიტიკური კრედიტი მას ჯერ არ დაუკარგავს და ალტერნატივაც არ ჰყავს. პოლიტიკური ძალების დანიშნულება ისაა, რომ დაეხმარონ სახელმწიფოს მეთაურს ქმედითუნარიანი ადმინისტრაციის შექმნაში. ოპოზიციის ლოგიკით, ჩვენ შევარდნაძის გადადგომას უნდა მოვითხოვდეთ, მაგრამ ჩვენი რეალური მდგომარეობა იმდენად პარადოქსულია და ტრაგიკომიკური, რომ ჩვენ ამ ლოგიკას ვერ გავყვებით. ვფიქრობთ, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია უხელმძღვანელოს საქართველოს, როგორც პრეზიდენტმა, ეს არის ბატონი შევარდნაძე. ისიც უნდა ითქვას, რომ ვართ რა ოპოზიციაში, ერთი მილიმეტრითაც არ

დავახლოვებივართ არსებულ ოპოზიციას. პირიქით, არსებულ სიტუაციაში ის ხრამი, რომელიც გვყოფს, კიდევაც გაღრმავდა. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ოპოზიცია უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფოს მეთაურთან. ჩვენ გვექნება სრულიად გარკვეული ადგილი პოლიტიკურ ძალთა განაწილებაში ხელისუფლებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. [...]

გუშინ შეიქმნა საქართველოს მოქალაქეთა კავშირი. რა აზრისა ხართ მასზე? ეს გარკვეული მოძრაობაა თუ პოლიტიკური პარტია?

როგორც ინიციატორები ამბობენ, ეს არის მოძრაობა. შეიძლება იგი გამიზნულია იმისათვის, რათა შემდეგ ჩამოყალიბდეს პარტია. სხვათა შორის, ჩვენი პარტია პირველი იყო, რომელმაც გამოთქვა აზრი, რომ სახელმწიფოს მეთაურს სჭირდება ორგანიზებული პოლიტიკური ძალა, რომელსაც ის დაეყრდნობა. ერის ლიდერით დაკმაყოფილება პოლიტიკურ ბრძოლაში არ შეიძლება. ასე ის შეიძლება ატამანად გადაიქცეს. საჭიროა, მას ჰყავდეს გარკვეული პოლიტიკური ძალა. მე სახელმწიფოს მეთაურსაც მოვახსენე ეს აზრი და ვურჩიე ასეთი ძალა შეექმნა. მაგრამ, იქვე გამოვთქვი ასეთი მოსაზრება, რომ პარტია მაინც იმდენად უფრო მყარი ორგანიზაციული გაერთიანებაა, რომ გარკვეულ ხიფათს შეიცავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფოს მეთაური თუ გამოაცხადებს პარტიას ვქმნიო, ისეთი ძალები მიეძალებიან ამ პარტიას, რომ ცუდ სამსახურს გაუწევენ პარტიასაც და სახელმწიფოს მეთაურსაც. [...] დასაწყისში პარტიის ავტორიტეტი შეიძლება განსაზღვროს სახელმწიფოს მეთაურმა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს პარტია თავისი მძიმე შემადგენლობით მას პოლიტიკურად დაძირავს. რაც შეეხება მოძრაობას, ეს უფრო თავისუფალი ფორმაა, უფრო დინამიკური, მოძრაობის ფარგლებში ლავირება და მანიპულირება შედარებით ადვილია. მეც ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნება მოძრაობა იყოს, თუმცა არასასურველი ძალები მის ორგანიზატორებს არ მოაკლდება, მაგრამ მოძრაობის ფარგლებში არასასურველი შედეგების აცილების მეტი შესაძლებლობა არსებობს. რამდენადაც ვიცი, ორგანიზატორები ფიქრობენ, მოძრაობა დაამყარონ ლიბერალიზმის პრინციპებზე. ამას ჩვენც მივესალმებით, რადგანაც ლიბერალები ვართ და ამასთან კონკურენტულ სისტემასაც მხარს ვუჭერთ, რადგან ეს მიგვაჩნია პროგრესის ერთადერთ მექანიზმად. კონკურენცია ლიბერალიზმის პრინციპების განხორციელებაში, წარმოჩენაში, საზოგადოები-

სადმი მიწოდებაში (ლიბერალიზმი სხვადასხვანაირი არსებობს), ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება. ჩვენ ამ მოძრაობაში არ ვართ, მაგრამ ამ მოძრაობასთან ვართ.

[...]

მიხეილ ადამაშვილი,
„რუსთავის ახალი გაზეთი“, № 4, 29 ნოემბერი, 1993

რასაც ოპოზიცია გვთავაზობს, გამოსავლად არ მიგვაჩნია

[...]

პოლიტიკური დოქტრინა – ჩვენი პოლიტიკური იდეოლოგია განისაზღვრება, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმი. ზოგიერთისათვის სიტყვა ნაციონალიზმი არასწორად არის გაგებული. ჩვენი საპროგრამო-იდელოგიური კონცეფცია ნაციონალიზმისა, საიდანაც დემოკრატიული ლიბერალიზმის იდეა გამოგვყავს, ორიგინალურია. მას ჩვენი უცხოური კოლეგებიც გაეცნენ. ეს ის ნაციონალიზმია, რომელსაც თავის მსოფლმხედველობის პრინციპად ილია ჭავჭავაძე ცნობდა. მას, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო ჰიტლერისა და ჟირინოვსკის „ნაციონალიზმთან". ლიბერალ-დემოკრატიული ნაციონალიზმი ჩვენი პარტიის მსოფლმხედველობაა, რომლის თაობაზეც ჩვენ პროგრამის პირველ თავში საკმაოდ ვრცელი ახსნა-განმარტება გვაქვს მიცემული. ამ მხრივ, ჩვენ უფრო ახლოს ვართ ისეთ პარტიებთან, რომლებსაც დასავლეთში კონსერვატორებად მიიჩნევენ. მაგრამ ჩვენ ვერ ვუწოდებთ საკუთარ თავს კონსერვატორებს, რადგანაც ჯერ არავითარი „კონსერვაცია" არ მომხდარა ჩვენში (ჩვენთან ჯერჯერობით აშკარად კარგად არ ესმით ამ სიტყვების მნიშვნელობა). ასე რომ ჩვენ ტრადიციული ლიბერალ-დემოკრატები ვართ და ეს განსაზღვრავს ჩვენს კონსერვატიზმს. [...]

დამოკიდებულება СНГ-სთან – ერი, რომელსაც უნდა, რომ თავისუფალი განვითარების გზაზე გამოვიდეს, თავისთავად, ჩამორჩენილ ქვეყნებს კი არ უნდა შეეკრას, არამედ განვითარებულ ქვეყნებზე უნდა აიღოს ორიენტაცია. გასაგებია, რომ ისინი მას უცებ არ „ჩაიხუტებენ", მაგრამ ქვეყანა მაინც იქეთ უნდა იყოს მიმართული. საქართველო 500 წელია იბრძვის ამისათვის, მაგრამ რატომღაც რუსეთისკენ ეზიდებიან მას. არადა, რუსეთი ევროპა არ არის. დღეს ხდება რუსეთის იმპერიის აღდგენის ცდა. ეს, რა თქმა უნდა, ცუდად დამთავრდება თვითონ რუსეთისათვის. ალბათ, იგი როდესმე დაძლევს ჩამორჩენილობას, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ასეა – რუსეთში იმპერიული მენტალიტეტი ბატონობს. ისინი დღემდე იმპერიალიზმის კატეგორიებით აზროვნებენ. ჩვენ ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ და ფაზებშიც აცდენილნი ვართ დასავლეთის პოლიტიკასთან. გარკვეული შეცდომები დასავლეთის პოლიტიკაშიც იყო, მაგრამ ჩვენ რომ აგვეღო ალღო

და აქტიურობა გამოგვეჩინა (ამას მარტო სახელმწიფოს მეთაურის აქტიურობა ვერ უშველის), შეიძლება საქმე სხვანაირად წასულიყო. შესაძლებელი იყო მაშინაც დავმარცხებულიყავით, მაგრამ ეს მარცხი ხალხს გულს კი არ გაუტეხდა, არამედ იმედს ჩაუსახავდა და ბრძოლის მეორე რაუნდისთვის მოამზადებდა.

საქართველოში შექმნილი სიტუაციიდან რეალურ გამოსავალს ჯერჯერობით ვერ ვხედავ. ის, რასაც ოპოზიცია გვთავაზობს გამოსავლად არ მიგვაჩნია. ხოლო რაც შეეხება ჩვენს ადგილს პარლამენტის პოლიტიკურ სპექტრში, მოგახსენებთ, რომ ლდეპ თანაბრად ემიჯნება როგორც უმრავლესობას, ასევე „ტრადიციულ" ოპოზიციასაც, თუმცა მათთან დიალოგზე, ბუნებრივია, უარს არ ვაცხადებთ.

ნონა ცინცაძე,
„გულანი", № 11, 5-19 აგვისტო, 1994

მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე

1. რა „შედეგებზე“ შეიძლება ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც ერის ცხოვრების სარბიელს, პირველ ყოვლისა, სწორედ ეკონომიკურსა და პოლიტიკურს, წმინდა წყლის კრიმინალური ელემენტები დაჰპატრონებიან, რომლებიც ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდნენ, ხელისუფლების სათანადო „საკადრო“ კურსის წყალობით, ნამდვილ მმართველ კლასად, აქედან გამომდინარე ყველა ეკონომიკური და პოლიტიკური „შედეგით“. ამიტომაც მე მგონია, რომ 1994 წელი ისტორიაში აღინიშნება, როგორც ჩვენი ქვეყნის შემდგომი მატერიალურ-ეკონომიკური გაღატაკებისა და მორალურ-პოლიტიკური ხრწნის წელი.

ხოლო რაც შეეხება „წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას“, ქვეყნისთვის, ასე თუ ისე, სასიკეთო პერსპექტივის თვალსაზრისით (სასიკეთოსი, თუკი, რა თქმა უნდა, ზურგს არ შევაქცევთ, ჩვეულებისამებრ, მასაც), ასეთად მიმაჩნია აფხაზეთის პრობლემის ვითომც დარეგულირების გამო წარმოებული მოლაპარაკებების ჩაშლა, აგრეთვე ამავე საკითხთან მიმართებაში, ევროთათბირის მონაწილე ქვეყნების მეთაურთა ბუდაპეშტში ახლახან ჩატარებული შეხვედრის შედეგები (მხედველობაში მაქვს აფხაზეთში მომხდარი „ეთნიკური წმენდის“, თუმც არა „გენოციდის“, ფაქტის ოფიციალური აღიარება). გარდა ამისა, აღვნიშნავდი ორ მოვლენას, რომლებსაც სათანადო გავლენა ექნებათ ჩვენი ქვეყნის ბედზე: ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის არჩევნებში რესპუბლიკელების გამარჯვება და, ეს უკვე ჩვენს მეზობლად, რუსეთის „კავკასიური კრიზისი“.

2. თუ როგორ ვაფასებ სახელმწიფოს მეთაურისა და **მისი** მინისტრთა კაბინეტის, ისევე როგორც **მისი** საპარლამენტო უმრავლესობის საქმიანობას, ეს, ვგონებ, ცხადი უნდა იყოს ზემოთქმულიდან, მაგრამ პარლამენტში, მეტყვით, უმცირესობაც ხომ არისო. რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ხსენებული „უმრავლესობა“-ც და „უმცირესობა“-ც — ორივე ფრიად პირობითი და გაურკვეველი, მე პირადად, მესახება როგორც ერთი მონეტის ორი მხარე, მონეტისა, რომელსაც პოლიტიკურ მიმოქცევაში ვალუტად მხოლოდ ჩვენსავით დაბეჩავებული ქვეყანა თუ იქონიებს.

3. გააჩნია რას ვუწოდებთ „წვლილს“: თუ მასში საპარლამენტო „სიტყვების“ (კრიტიკულისა თუ პროგრამული ხასიათისა), წერასა და წარმოთქმას ვიგულისხმებთ, არა მგონია, მთლად, „უწვლილო“ ვიყო, მაგრამ თუ ამ „სიტყვების“ თვალსაჩინო პრაქტიკული შედეგებით ვიმსჯელებთ, ვფიქრობ, ხომ არ ვიყავი ამ ჩემი „საპარლამენტო რიტორიკით“ იმ კაცის როლში, რომელიც ერთი ცნობილი ანდაზისა არ იყოს, კედელს ცერცვს აყრიდა. და მაინც, მგონია, რომ ჩემი საქმიანობა მთლად უკვალო და უნაყოფო არ უნდა ყოფილიყო, რადგან ავად თუ კარგად, ჩამომიყალიბებია და განმიცხადებია ჩვენი პოზიცია საჭირბოროტო საკითხებში და ამით ჩვენი წვლილი შეგვიტანია პოლიტიკური აზრის, თუნდაც ალტერნატიულის, ფორმირების საქმეში.

რაც შეეხება ჩემს ოჯახს, ეს წელი ისეთივე იყო მისთვის მატერიალურადაც და მორალურადაც, როგორც იყო იგი ჩვენი ერის უმრავლესობისათვის.

„სამშობლო ფორტე“, 1-7 მარტი, № 1, 1995

ამ ინტერვიუს ხელნაწერი ტექსტი, დაცული მიხეილ ნანეიშვილის პირად არქივში, ასეთია:

შარშან ერთი გაზეთისთვის მიცემულ წინასაახალწლო ინტერვიუში კითხვაზე, თუ რას მოველი დამდეგ, ე.ი. 1994 წელს, ვუპასუხე, იმედი მაქვს სასიკეთო ძვრებისა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, კერძოდ მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში, რადგან, სხვა არა იყოს რა, უბრალოდ „ასე“ აღარ შეიძლება გაგრძელდეს-მეთქი. ახლა, როდესაც ეს წელიც, მაშინ ჯერ კიდევ საპროგნოზო, წარსულს ჰბარდება, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩემი პროგნოზი არ გამართლდა, რადგან მისი „საიმედო“ წანამძღვარი, თითქოს „ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს“, ყალბი გამოდგა: აღმოჩნდა, რომ ცხოვრების „ასე“ გაგრძელება სულაც არ ყოფილა შეუძლებელი. ნათქვამია, უკეთესის უკეთესი არ გამოილევაო, მე კი, იმის შემყურე, რაც ხდება ჩვენს ცხოვრებაში, ასე ვიტყოდი: დღევანდელ საქართველოში თუკია რამე, რაზეც ითქმის, არ ილევაო, ეს გახლავთ „უარესის უარესი“. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელს

მაინც დადგება მომენტი, როდესაც ყველანი დავინახავთ და შევიგნებთ, რომ ისე ცხოვრება, როგორც აქამდე გვიცხოვრია, **აღარ შეიძლება** და რაღაც უნდა ვიღონოთ სულ სხვა, დიამეტრალურად საპირისპირო მიმართულებით, ვიღონოთ არა სიტყვით, არამედ საქმით.

განა აშკარა არაა, თუ რაგვარ, რა თვისებისა და ღირსების „შედეგებზე“ შეიძლება ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც ერის ცხოვრების სარბიელს, პირველ ყოვლისა სწორედ ეკონომიკურსა და პოლიტიკურს, წმინდა წყლის კრიმინალური ელემენტები დაჰპატრონებიან, რომლებიც ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდნენ, ხელისუფლების სათანადო „საკადრო“ კურსის წყალობით, ნამდვილ **მმართველ კლასად,** აქედან გამომდინარე ყველა ეკონომიკური და პოლიტიკური „შედეგით“. ამიტომაც მე მგონია, რომ 1994 წელი ისტორიაში აღინიშნება, როგორც ჩვენი ქვეყნის შემდგარი მატერიალურ-ეკონომიკური გაღატაკებისა და მორალურ-პოლიტიკური ხრწნის წელი. დიდად სამძიმოა ამის აღიარება, მაგრამ რას იზამ, თუ გვსურს, ერთხელაც არის და საშველი დაგვადგეს, ჯერ სინამდვილეს უნდა გავუსწოროთ თვალი და ვთქვათ ის, რაც სათქმელია.

ხოლო რაც შეეხება „წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას“, ქვეყნისთვის, ასე თუ ისე, სასიკეთო პერსპექტივის თვალსაზრისით (სასიკეთოსი, თუკი, რა თქმა უნდა, ზურგს არ შევაქცევთ, ჩვეულებისამებრ, მასაც), ასეთად მიმაჩნია აფხაზეთის პრობლემის ვითომც დარეგულირების გამო წარმოებული მოლაპარაკებების ჩაშლა, აგრეთვე ამავე საკითხთან მიმართებაში, ევროთათბირის მონაწილე ქვეყნების მეთაურთა ბუდაპეშტში ახლახან ჩატარებული შეხვედრის შედეგები (მხედველობაში მაქვს აფხაზეთში მომხდარი „ეთნიკური წმენდის“, თუმც არა „გენოციდის“, ფაქტის ოფიციალური აღიარება). გარდა ამისა, აღვნიშნავდი ორ მოვლენას, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ წელს, მართალია, არა საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ, ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მათ, ცხადია, თითოეულს – თავთავისებურად, სათანადო გავლენა ექნებათ (ისევ და ისევ, თუკი ჩვენც ტვინსა და ხელს გავანძრევთ) ჩვენი ქვეყნის ბედზე: ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის არჩევნებში რესპუბლიკელების გამარჯვება და, ეს უკვე ჩვენს მეზობლად, რუსეთის „კავკასიური კრიზისი“, რომელიც, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ

ამ ეტაპზე რით დამთავრდება, ვფიქრობ, ფრიად „საინტერესო“ ამბების დასაწყისი უნდა იყოს. ხოლო ამერიკაში რესპუბლიკელთა წარმატებას რაც შეეხება, ისე როგორც იმ „პატარა“ უთანხმოებას, რომელმაც თავი იჩინა ზემოხსენებულ ბუდაპეშტის შეხვედრაზე ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის, ეს, ჩემი აზრით, გარკვეული სიმპტომია იმისა, რომ დასავლეთი თავისუფლდება პოსტკომუნისტური „დემოკრატიული რუსეთის“ მიმართ „მიუნხენური განწყობის სინდრომისა“-გან, რაშიც, დარწმუნებული ვარ, თვითონ ეს „დემოკრატიული რუსეთი“ დაეხმარება მას, დასავლეთს, თავისი სათანადო აქტივობით, თუნდაც იმავე ყოფილი საბჭოთა კავშირის „სივრცე“-ში, რაც შეიძლება მალე გამოვიდეს მესამე „ცივ“ – მხოფლიო ომში გამარჯვებით მოგვრილი ეიფორიიდან.

2. თუ როგორ ვაფასებ სახელმწიფოს მეთაურისა და **მისი** მინისტრთა კაბინეტის, ისევე როგორც **მისი** საპარლამენტო უმრავლესობის საქმიანობას, ეს, ვგონებ, ცხადი უნდა იყოს ზემოთქმულიდან, მაგრამ პარლამენტში, მეტყვით, უმცირესობაც ხომ არისო. რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ხსენებული „უმრავლესობა“-ც და „უმცირესობა“-ც ორივე ფრიად პირობითი და გაურკვეველი, მე პირადად, მესახება როგორც ერთი მონეტის ორი მხარე, მონეტისა, რომელსაც პოლიტიკურ მიმოქცევაში ვალუტად მხოლოდ ჩვენსავით დაბეჩავებული ქვეყანა თუ იქონიებს.

3. გააჩნია რას ვუწოდებთ „წვლილს“: თუ მასში საპარლამენტო „სიტყვების“ (კრიტიკულისა თუ პროგრამული ხასიათისა), წერასა და წარმოთქმას ვიგულისხმებთ, არა მგონია, მთლად, „უწვლილო“ ვიყო, მაგრამ თუ ამ „სიტყვების“ პრაქტიკული შედეგებით ვიმსჯელებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩემი „წვლილი“ ნულის ტოლია. ამასთან დაკავშირებით ერთ ჩემს „წვლილს“ გავიხსენებ: შეიძლება გახსოვდეთ (ტელევიზიით გადაიცა) ერთი „ღონისძიება“, რომელიც „ზეგარდმო“ ზეშთაგონებით მოეწყო ა.წ. მაისის პირველ რიცხვებში, რაღაც „ინტელიგენციის პლენუმის“ მაგვარი, სადაც ერთ-ერთი ჩემი საპარლამენტო „სიტყვა“, ძველსაბჭოური ტრადიციისამებრ, „გმობა-მხილების“ საგანი იყო. და აი, გამოვიდა ხსენებულ თავყრილობაზე ერთი დეპუტატი (რომელიც ამ „პლენუმ“-ში, გასაგებია, მონაწილეობდა, როგორც ჩვენი „ელიტური ინტელიგენციის“ წარმომადგენელი და განაცხადა: ნანეიშვილი ადრეც გამოსულა პარლამენტში ამგვარი – „საშინლად

კრიტიკული“ სიტყვით, მაგრამ ჩვენ (უმრავლესობას) „ყურიც არ შეგვიპარტყუნებია“-ო (აქაოდა, ახლა რას „ვიპარტყუნებთ“, არ აჯობებდა, ძველებურად „არ შეგვეპარტყუნებინაო“). ეს პატარა „საანეგდოტო“ ამბავი იმიტომ მოგიყევით, რათა ნათელმეყო, რატომ ვაფასებ ჩემი მოღვაწეობის შედეგს ასე მკაცრად – ნულის ტოლფასად.

რაც შეეხება ჩემს ოჯახს, ეს წელი ისეთივე იყო მისთვის მატერიალურადაც და მორალურადაც, როგორც იყო იგი ჩვენი ერის უმრავლესობისათვის.

რას უსურვებთ ახალ წელს ქართველ ხალხს?

მიხეილ ნანეიშვილი

ყოველმა ჩვენგანმა ახლა მაინც უნდა გამოიტანოს სათანადო გაკვეთილი იმ განსაცდელიდან, რომელიც მოგვიტანა საკუთარმავე თავმა. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ თავისუფლება ძნელი საქმე ყოფილა და მისი მიღწევა შეუძლებელია უდიდესი გონებრივი და ზნეობრივი ძალისხმევის გარეშე. და აი, ჩემი მთავარი საახალწლო სურვილი: გამხდარიყოს 1995 წელი ჩვენი ერისათვის მისი გონებრივი და ზნეობრივი აღორძინებისა და თავისუფლების გზაზე მტკიცედ დადგომის დასაბამი.

მანანა იაშვილი,
„ახალი თაობა“, №1. 5. 01. 1995

ინტერვიუს ხელნაწერი, დაცული მიხეილ ნანეიშვილის პირად არქივში:

პირველი, რასაც ვუსურვებდი ქართველ ერს დამდეგი წლისათვის, გახლავთ ის, რომ გამოგვეტანოს გაკვეთილი იმ განსაცდელიდან, რომელშიც ჯერ კიდევ იმყოფება მთელი ჩვენი ქვეყანა და რომლის მთავარი მიზეზიც ჩვენ თვითონ ვართ. მე მგონია, რომ ჭირსაც და ლხინსაც, რომელსაც ღმერთი თუ ისტორია მოუვლენს ერს, გარკვეული საზრისი აქვს, რომლის გაგებაც თითოეული ერის შვილისათვის, თუკი მას სურს სიკეთე თავისი ქვეყნისათვის, სავალდებულოა. დარწმუნებული ვარ, რომ ის უბედურება, რომელიც გადაიტანა ჩვენმა ხალხმა ამ ოთხი წლის განმავლობაში, თუკი მას მართებულად გავიაზრებთ, სხვა არა იყო, თუ არა ერთგვარი კათარზისი, რომელიც გულისხმობს ჩვენი გონებისა და ზნეობის განწმენდას რუსულ-კომუნისტური წარსულით გადმოცემული ყოველგვარი გონებრივი (თუ ზნეობრივი) მანკიერებისა და სიდუხჭირისაგან. ცხოვრებამ, ვფიქრობ, ჭკუა გვასწავლა, თუკი, რასაკვირველია, ამ კარგ მთქმელს, — ცხოვრებას, ჩვენი სახით კარგი მსმენელი ეყოლება. პირველი გაკვეთილი, რომელიც უნდა შევირგოთ, გახლავთ ის, რომ თავისუფლება, ასე რომ ვესწრაფვით, არის კულტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ

იგი თავის დასაუფლებლად ჩვენგან მოითხოვს სრულიად გარკვეულ, მიზანდასახულ გონებრივ და ზნეობრივ ძალისხმევას. დედაზრი კი ამ კულტურისა გახლავთ აზრის თავისუფლება, რაც გულისხმობს სათანადო ყურადღებასა და პატივისცემას სხვისი აზრის მიმართ. არავის არ აქვს მონოპოლია ჭეშმარიტებაზე და მთავარი მომაკვდინებელი ცოდვა თავისუფლებისთვის არის ის, როდესაც განსხვავებულ აზრს ჩვენ მივიჩნევთ, როგორც ქვეყნისთვის სამტროს.

კიდევ ბევრი რამის სურვილი შემეძლო გამომეთქვა, მაგრამ, ვფიქრობ, ამ მთავარი გაკვეთილის გახსენებაც საკმარისია, რადგან, სადაც ბატონობს აზრის თავისუფლება, იქ გონიერების სამფლობელოა, სადაც სუფევენ ადამიანობის ძირითადი პრინციპები: სიყვარული, სიბრძნე და, რა თქმა უნდა, თავისუფლება.

ყოველმა ჩვენგანმა ახლა მაინც უნდა გამოიტანოს სათანადო გაკვეთილი იმ განსაცდელიდან, რომელიც მოგვიტანა საკუთარმავე თავმა ამ ბოლო წლებში. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ თავისუფლება ძნელი საქმე ყოფილა და მისი მიღწევა შეუძლებელია უდიდესი გონებრივი და ზნეობრივი ძალისხმევის გარეშე. და აი, ჩემი მთავარი საახალწლო სურვილი: გამხდარიყოს 1995 წელი ჩვენი ერისათვის მისი გონებრივი და ზნეობრივი აღორძინებისა და თავისუფლების გზაზე მტკიცედ დადგომის დასაბამი.

„პოლიტიკოსი რეალისტი და იდეალისტი უნდა იყოს“

[...]

პორტრეტი

მიხეილ ნანეიშვილი. დაიბადა 1934 წელს. მამა რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა, **„ასე რომ, დედამ და ბებიამ გამზარდეს**”.

1958 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის მე-7 საშუალო სკოლა და ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი. ორი წელიწადი კონსერვატორიაში სწავლობდა, შემდეგ გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. თუმც, კინაღამ ფილოსოფიასთან გამოთხოვებაც მოუწია:

„ერთ სემინარზე ისეთი რამ ვთქვი, რაც იმ დროინდელ ოფიციალურ მოძღვრებას არ ეთანხმებოდა და... უნივერსიტეტიდან გამრიცხეს. თანაც სტუდენტებში ჯგუფური პროპაგანდა დამაბრალეს. ამან ორი წელიწადი დამაკარგვინა”.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჯერ ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა, შემდეგ – ფილოსოფიისა, სადაც ამჟამად ირიცხება მეცნიერ-თანამშრომლად.

შეკითხვაზე, როგორ მოხვდით პოლიტიკაში? კონკრეტული პასუხი არც კი აქვს.

„გავიზარდე ოჯახში, სადაც სულ იყო საუბარი პოლიტიკაზე. გასაგებია, ეს საუბრები რა ხასიათის იქნებოდა. 1968 წელს ჩეხეთის ამბებთან დაკავშირებით პირველად გამიჩნდა აზრი, რომ დროა საქართველოში შეიქმნას პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ხელსაყრელ პირობებში პარტიად გარდაიქმნებოდა. მაგრამ ამ ჩანაფიქრს დიდხანს არ ეწერა განხორციელება. განზრახვის სისრულეში მოყვანა მხოლოდ 1990 წელს შევძელი, როდესაც ახალგაზრდათა ერთ ჯგუფთან ერთად დავაარსე ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია“.

პარტიის დამფუძნებელი ყრილობა ერთი წევრის ბინაში გაიმართა. სხვათა შორის, პარტია დღესაც უბინაოდ არის.

„კი მითხრეს ჩვენებმა, სადმე, რომელიმე შენობას დავიკავებთო, მაგრამ დავუშალე, რა ვიცი, იქნებ სწორი არც ვიყავი. უბინაობა ძნელია”.

ამას მალე მოჰყვა ყრილობა, რომელზეც მთავარი ადგილი დაეთმო ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობას.

„მას მერე ჩემი და პარტიის ბიოგრაფია განუყოფელია.”

წინა არჩევნებში სხვა სამ პარტიასთან გაერთიანებულ ბლოკ „თავისუფლებაში” იყარეს კენჭი. მაგრამ მანდატები ვერ მოიპოვეს – უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ.

იმ დღეებშივე, არჩევნების შედეგების გამოქვეყნებისთანავე თქვა მიხეილ ნანეიშვილმა ასეთი ფრაზა: **„ამიერიდან საქართველოს თავისუფლების გზა გადის „მრგვალი მაგიდის”, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის გვამზე**”.

მახსოვს საზოგადოების მაშინდელი განწყობილება. კომუნისტების დამარცხებით გამოწვეული სიხარული, საზოგადოების ერთი ნაწილის რაღაცნაირი, თითქოსდა შიში, თუ ეჭვნარევი დამოკიდებულება „მრგვალების” წარმატებისადმი, რასაც საერთო ეიფორია მაინც ფარავდა.

„ის, რაც მოხდა, უდავოდ, ისტორიული მნიშვნელობის არის. სამწუხაროდ, უზენაეს საბჭოს გარეთ დარჩენილი ძალები, რომელთაც შეეძლოთ არსებითი სასიკეთო გავლენის მოხდენა მის საქმიანობაზე, რითაც საბოლოო ანგარიშით მოიგებდა საერთო საქმე”, – ასე გამოთქვამდნენ აზრს არჩევნების შემდეგ.

ამ ძალებმა კი, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ბატონი მიხეილი იყო, უზენაესი საბჭოს გარეთ დააპირეს შეექმნათ საკონსულტაციო საბჭო. მათ თანამდებობაზე პრეტენზია არ ჰქონიათ, უბრალოდ, ხელისუფლებას შესთავაზეს, ასე ვთქვათ, ფაქტობრივად ანონიმური თანამშრომლობა საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა მმართველი ბლოკისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ. **„ვხედავდით, რომ საქმე მეტად ცუდად მიდიოდა და თავს მოვალედ ვრაცხდით, ყველაფერი გველონა, რათა ერი ასცდენოდა იმ განსაცდელს, რომელშიც იგი მაინც აღმოჩნდა”.**

„საქართველოს ჩვენ თვითონ მოვუვლით!” – ასეთი პასუხი მივიღეთ და ჩვენ სხვა რაღა დაგვრჩენოდა – გავემიჯნეთ მათ, კონფრონტაციისთვის კი მაშინვე არ მიგვიმართავს”.

მერე... ყველას ყველაფერი გვახსოვს. გვახსოვს აგვისტოს მოსკოვის პუტჩის დღეები და საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული პოზიცია; გვახსოვს 2 სექტემბერი, 4 ოქტომბერი. მდგომარეობა დღითიდღე იძაბებოდა.

„მაშინ მე მიმაჩნდა, რომ რაც შეიძლება დროზე უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი. რეჟიმი აშკარად მიექანებოდა დამხობისა-

კენ და ჩვენც ამ ფაქტს გავუსწორეთ თვალი. საერთოდ, როდესაც რაიმე კრიზისი მწიფდება, მაშინვე უნდა მოუარო მას: გადადება ყოველთვის მეტ მსხვერპლს მოითხოვს. დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების დროს ჩვენმა პარტიამ გააკეთა განცხადება, სადაც შეიარაღებული ოპოზიციის გამოსვლა დახასიათებული იყო, როგორც „ტრაგიკული აუცილებლობა".

1992 წლის 14 იანვარს ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში" ახალგაზრდა მეცნიერებთან შეხვედრაზე მიხეილ ნანეიშვილმა შეკითხვაზე „რა აზრისა ხართ ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შესახებ?" უპასუხა – **„თუ გავითვალისწინებთ ყველაფერს – ამ პიროვნების მოღვაწეობას, მის საერთაშორისო ავტორიტეტს, მის ჩამოსვლაში კარგის მეტს ვერაფერს ვხედავთ. ოღონდაც ჩამოვიდეს, ჩვენ ყველანაირად უნდა მივეხმაროთ მას".**

„სწორედ ასე იყო. ვთქვი ის, რასაც ვფიქრობდი".

მიხეილ ნანეიშვილი ჯერ საკონსულტაციო, ხოლო მერე სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო. 12 ოქტომბრის არჩევნებში ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ ექვსი მანდატი აიღო. პარლამენტში, ასე ვთქვათ, ცენტრისტული პოზიცია უკავიათ.

ამ ბოლო წლების პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე მეტად რამ შეგძრათ?

„თანამეგობრობაში შესვლამ და რუსეთის ბაზების თაობაზე შეთანხმების ხელმოწერამ. მაშინაც ვამბობდი, რომ ამ ნაბიჯს მძიმე შედეგები მოჰყვება-მეთქი. უპირველესად, მორალურ-ფსიქოლოგიური ნიშნით. უკვე ცხადი გახდა, რომ მართალი ვყოფილვარ. მერე კიდევ ეს ბაზები... პოლიტიკური შედეგები თავისთავად, მაგრამ ეს ყველაფერი ხალხის დემორალიზაციას და ფსიქოლოგიურად მოშლას გამოიწვევდა და საგანგაშო ამით არის".

თუ ბაზების შესახებ ხელშეკრულებაში გაფორმებული შეთანხმება შესრულდა, მაინც პოლიტიკურ მარცხად მიიჩნევთ მას?

„ოღონდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს და პირველი მე მივესალმები სიხარულით ამ ფაქტს და ხმამაღლა ვიტყვი, რომ ჩვენი ხელისუფლება სწორად მოიქცა. მაგრამ ძალზე მეეჭვება. რუსეთს გარკვეული ინტერესები აქვს საქართველოსთან დამოკიდებულებაში და მეც მის ადგილზე ასე მოვიქცეოდი. უფრო მოსალოდნელია ასეთი რამ: საქმე მოეწყობა ისე, რომ რუსეთი იტყვის: აფხაზეთში ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. სინამ-

დვილეში კი არ გავრცელდება. ფაქტია, რომ ჩვენ ძალზე მძიმე მემკვიდრეობას ვუტოვებთ შთამამომავლობას“.

რა არის ეს? – მეოცნების გულგატეხილობა თუ რეალისტის დაღლილობა?

„არც ერთი და არც მეორე. ეს არის იმ მოვლენების ზუსტი შეფასება, რომელთა მომსწრეც მე ვარ“.

თითქოსდა ამ საკითხების მოგვარებისათვისაა მოხმობილი ფედერალიზმის პრინციპი.

„სხვათა შორის, ჩვენი პარტიის 1990 წლის პროგრამაში ჩვენ თვითონ გვაქვს ჩადებული მმართველობაში მაქსიმალური დეცენტრალიზაციის პრინციპი, მაგრამ საკითხი ასე უნდა დაისვას: როდის? ვის მიერ? როგორ? გარკვეულ პირობებში ფედერალიზმი საშინელ დესტრუქციულ ძალად შეიძლება იქცეს. სწორედ ეს საშიშროება გველოდა ახლა“.

მაგრამ, თუკი ეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი, თუნდაც მცირე, მაგრამ ერთადერთი გზაა? მხედველობაში მაქვს ამ პრინციპის მომხრეთა მთავარი არგუმენტი.

„პოლიტიკაში რეალიზმი არის რეალურად არსებული შესაძლებლობების გამოყენება სათანადო იდეალების გათვალისწინებით. რეალისტი იდეალისტიც უნდა იყოს. რეალობაში არსებული რაგინდ პატარა შესაძლებლობებიც კი უნდა დაინახოს, განავითაროს, უფრო რეალური გახადოს და განახორციელოს იდეალი, ანუ უნდა მოძებნოს იდეალის რეალიზების საშუალებები“.

რა არის კომპრომისი პოლიტიკაში?

„პოლიტიკა არის პრინციპების ბრძოლა. იმარჯვებს ან ერთი, ან მეორე პრინციპი. მე მხოლოდ იმგვარი კომპრომისის მწამს, რომელიც ემსახურება პრინციპის რეალიზაციას. კომპრომისი პრინციპის ხარჯზე ოპორტუნიზმია და თანაც – ძალიან ცუდი სახისა. ყველა დიდი პოლიტიკოსი სწორედ იმგვარ კომპრომისებზე მიდიოდა, რომელსაც თავის პოლიტიკური პრინციპების რეალიზაციასთან მიჰყავდა“.

ყველაზე ხშირად რა კითხვას უსვამთ საკუთარ თავს?

„სხვათა შორის, თვითანალიზი არ მახასიათებს. არ ვიცი, ეს კარგია, თუ ცუდი. რას ვეკითხები საკუთარ თავს? ალბათ, იმას, რასაც თითქმის ყველა დღეს საქართველოში – ოღონდ უპანიკოდ – რა

გვეშველება? რა გზა გამოვნახოთ? მე მგონი, სხვა კითხვა საერთოდ აღარც დამრჩა“.

მანდელშტამის ცნობილი სიტყვები: „Наши политики живут не чуя под ногами Родину“. გაუკეთეთ თუ შეიძლება კომენტარი:

„პოლიტიკა პატრიოტის პროფესიაა. პოლიტიკოსი ყოველთვის ემსახურება რომელიმე ქვეყანას. იგი აუცილებლად უნდა გრძნობდეს თავის ერს, სამშობლოს. ერთი ფრანგი ისტორიკოსი წერდა იულიამ პიტის შესახებ: სხვა პოლიტიკოსებმა ძალიან კარგად იცოდნენ ევროპის ისტორია, ნაკლებად – თავიანთი ქვეყნისა. პიტმა – პირიქით, ინგლისი იცოდა, რასაც ნამდვილი ცოდნა ჰქვია, ისე. თავიდან ფეხებამდე ინგლისელი სწორედ ინგლისის ცოდნით ახდენდა ზეგავლენას მთელი ევროპის პოლიტიკაზე.

პოლიტიკაში საშიში მორალური ელემენტი ძევს – პატივმოყვარეობა. ეს პოლიტიკოსის პროფესიული დავადებაა. ხშირად მიფიქრია – რას უნდა სწავლობდეს პოლიტიკოსი მუდამ? დიდი პოლიტიკოსების შემოქმედებას. გაანალიზებული, შესწავლილი უნდა ჰქონდეს თავისი ქვეყნის კულტურა, ერის ფსიქოლოგია. ნილს ბორს აქვს ნათქვამი: „უმაღლესი ჭეშმარიტება პოეტურიაო“. პოლიტიკოსს პოეტური ინტუიცია თუ არა აქვს, იგი თავისი ერის უმაღლეს კულტურულ ცნობიერებას ვერ ჩაწვდება. დიდი პოლიტიკოსები ამ ნიჭით იყვნენ ყოველთვის დაჯილდოვებულნი“.

პოლიტიკა და ზნეობა. ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ?

„რადგან პოლიტიკოსის საქმიანობა საზოგადოებასთან, ადამიანებთან არის დაკავშირებული, მას უთუოდ ზნეობასთანაც აქვს საქმე. პოლიტიკას აქვს განზომილებები, რომლებსაც მე ვუწოდებდი იმორალურს. ამორალურია, როდესაც რაიმეს აქვს მორალური მახასიათებელი, მაგრამ ადამიანი მას არღვევს; იმორალურს ვუწოდებდი შემთხვევას, როდესაც საერთოდ არ შეიძლება მისთვის ზნეობრივი კრიტერიუმის მიყენება. მაგალითად, ხომ ვერ ვიკითხავთ, რა ფერისაა სამკუთხედი? პოლიტიკაში არსებობს ამგვარი იმორალური მომენტი და პოლიტიკოსის უპირველესი ვალია გაარკვიოს, რა არის ამორალური და რა – იმორალური.

მაკიაველისტური აზრი – მიზანი ამართლებს საშუალებას – ამორალური არ არის. საშუალება, რომელიც მიზანთან, იდეალთან მიგვიყვანს, გაუმართლებელი არ არის. საშინელება ის არის, რომ ამ საშუალებას კი იყენებენ, მაგრამ მიზანთან ვერ მიდიან, როგორც მაგალითად კომუნისტები, ადამიანებს სამოთხეს რომ დაჰპირდნენ.

ყველანაირი მსხვერპლი კი ამაო გამოდგა. აღმოჩნდა, რომ იმ საშუალებებმა, რომლებსაც კომუნისტებმა მიმართეს, მიზანთან ვერ მიიყვანა საზოგადოება და, მაშასადამე, მიზანმა ეს საშუალებები არ გაამართლა. საერთოდაც უზნეო გზას არასდროს წაუყვანია ხალხი სიკეთისაკენ, რის ერთ-ერთი მჭევრმეტყველური დადასტურებაა ჩვენი კომუნისტური წარსული.

კანტი ამბობდა: „სადაც მთავრდება პოლიტიკის მორალი, იქ იწყება მორალის პოლიტიკა“. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოლიტიკოსი ერის მსახურია. ერი კი, როგორც კულტურული არსება, პირველ ყოვლისა, ზნეობრივი არსებაა, და, თუ ზნეობრივ არსებას ემსახურები, ცხადია წარმოდგენა უნდა გქონდეს ზნეობაზე“.

რით იზომება ადამიანი?

„ეს საკითხი ფილოსოფიის ფარგლებს სცილდება, რელიგიურ სფეროში გადადის. ბევრი სიტყვა ისე გაცვდა, აღარც მინდა მათი მოხმობა, მაგრამ... ადამიანი იზომება, ალბათ, სიყვარულის უნარით. ჩვენს ერს უხვად აქვს მომადლებული ეს ნიჭი. მე ვგულისხმობ პრინციპს და არა ემოციებს, ვნებებს. სხვაობა უზარმაზარია – ვნება აბრმავებს, სიყვარული ანათლებს“.

სიტყვაც თავად მიუთითებს – ვნებას მხოლოდ ვნება მოაქვს.

„ადამიანთა, ასე ვთქვათ, შეფასების პრინციპი რა არის? ადამიანურობა. ეს კი სწორედ იმით იზომება, თუ ვის რამდენი აქვს სიყვარულის ნიჭი. რისხვაც კი სიყვარულის რეაქცია უნდა იყოს. ზოგჯერ სიძულვილი სიყვარულიდან აღმოცენდება და მერე სიყვარული აღარც ახსოვთ ხოლმე. სამშობლო გვიყვარს, მტერი გვძულს. აი, ამ სიძულვილმა თვით სიყვარულის პრინციპი არ უნდა დაჩაგროს, მოძულე ადამიანებად არ უნდა გვაქციოს“.

***

„**მიხეილ ნანეიშვილი** იდეალისტი პოლიტიკოსია“, ამბობენ ისინი, ვინც ყველაზე უკეთ იცნობენ. პოლიტიკა მისთვის უპირველესად იდეალის განხორციელების საშუალებაა. ალბათ, ამიტომაც შეიწირა მისი ცხოვრებიდან ამდენი რამ – ფილოსოფია, მუსიკა (მასზე იმასაც ამბობენ ვაჟა ჩაჩავასთან ერთად ერთ-ერთ ნიჭიერ და პერსპექტიულ პიანისტად ითვლებოდაო“).

„ოპტიმისტიაო“...

თქვენი არ ვიცი, მე კი სამოცი წლის ვარ და ვაპირებ მოვესწრო ბედნიერ საქართველოსო, მითხრა.

ისეთ მძიმე მემკვიდრეობას ვუტოვებთ შთამომავლობასო?...

ყოველ შემთხვევაში ისეთს არაფერს, რის გამოსწორებაც შეუძლებელი იყოს.

„არ ეშინია სიმართლის თქმის, როცა ფიქრობს, რომ ეს სიმართლე საქმეს სჭირდება და არა მთქმელის ხასიათის ხაზგასმასაო...“

„თუ რამე იწამა, ველარა ძალა შეხედულებას ველარ შეუცვლისო...“ ბევრ რამეს ამბობენ ისინი, ვინც კარგად იცნობენ.

მისი ღრმა ინტელექტი და ფართო ერუდიცია კი მათაც უგრძვნიათ, ვინც არც ისე ახლოს იცნობს. ერთნიც და მეორენიც იმასაც ამბობენ... ჩვენც ყველა კარგად ვგრძნობთ, როგორ სჭირდება დღევანდელ ქართულ პოლიტიკას განათლებული ადამიანები.

გალინა ხარებაშვილი,
„სამშობლო ფორტე“, № 13, აგვისტო, 1995

ვინ აწყობს რუსეთს?

საქართველოს მიმართ რუსეთის ინტერესების არსებობა საყოველთაოდ ცნობილია. ამას თავად რუსეთიც არ მალავს. ბუნებრივია, იმავე რუსეთს თავისი ინტერესების განსახორციელებლად მომავალ ხელისუფლებაში გარკვეული ძალებით გამარჯვება უნდა აწყობდეს. მაინც ვინ აწყობს რუსეთს? ამ შეკითხვით მივმართეთ რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას.

მ. ნანეიშვილი, ლიბერალურ დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე:

რუსეთს, რომელსაც მე არასოდეს ვყოფდი პროგრესისტებად და რეაქციონერებად, საქართველოში სუსტი და არაკომპეტენტური მთავრობის მოსვლა აწყობს. სამწუხაროდ, მის ამგვარ პოლიტიკას საქართველოში საკმაოდ რეალური დასაყრდენი აქვს, ესაა თუნდაც [სტალინის დროს დანატრული] ქართველი ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც ყველამ კარგად ვიცით, რა პარტიებში არის გაერთიანებული. სწორედ ამგვარ ძალებზე დაყრდნობით შეეცდება რუსეთი საქართველოს ყოფილი საბჭოთა კავშირის რეანიმატორად გამოყვანას. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რომელი პარტიებისა და საპრეზიდენტო კანდიდატების მოსვლა დააკმაყოფილებდა მას.

„დრონი", 27-31 ოქტომბერი, № 39, 1995

როგორ შეაფასებდით პერესტროიკას წლების გადასახედიდან?

ზოგადი შეფასება დადებითია, რადგანაც მან საბჭოთა კავშირი დანგრევამდე მიიყვანა. მართალია, ეს პოლიტიკურად მიზანშეუწონელი, არაკონსტრუქციული პროცესი იყო, მაგრამ შედეგებმა ნათელყო, თუ რა მიზნით ხორციელდებოდა ეს პოლიტიკა. პერესტროიკის აზრს ლიბერალური იმპერიის შექმნა წარმოადგენდა. მართალია, ისტორიაში არსებობდა ასეთი იდეა, მაგრამ მისი გატარება მხოლოდ სათანადო კულტურის მქონე ერს შეეძლო და არა რუსეთს. სწორედ ამის გამო, ეს პროცესი მათთან მარცხით დამთავრდა.

„გულანი“, № 4, 1995

„თუ ამ გზით ვიარეთ, წინ კედელი გველოდება და იმ კედელს კიდევ ერთხელ მივარტყამთ ცხვირ-პირს“

[...]

რას გვეტყოდით ახლად დაკომპლექტებულ მინისტრთა კაბინეტზე, როგორ შეაფასებთ მის შემადგენლობას?

ეს პარლამენტი ხალხმა აირჩია (მართალია, იყო დარღვევები, მაგრამ ისეთი არა, რომ ამაზე ხმაური ატყდეს), რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტს, აი, ეს გახლავთ გულისმომკვლელი. ამგვარი ადმინისტრაციით შორს ვერ წავალთ. დღეისათვის მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს მსოფლიოში, განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს ის, რაც ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ხდება. როგორ გამოიკვეთება რუსეთის ადგილი ამ მწვავე კონფლიქტისა და, საერთოდ, საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში; რა არის მოსალოდნელი დასავლეთის დემოკრატიებისაგან, დავუშვათ, იმავე რუსეთის მიმართ; რა ხდება თავად რუსეთში, – ეს უზარმაზარი თემაა და ყველაფერ ამას საქართველომ ადექვატურად უნდა უპასუხოს თავისი პოლიტიკით. ასეთი მთავრობა, რომელიც ახლა ჩვენ მივიღეთ, ამ ამოცანებს ნამდვილად ვერ გადაწყვეტს, რისი იმედი აქვს პრეზიდენტს, ჩემთვის გაუგებარია.

რა კომენტარს გაუკეთებთ 17 იანვრის პლენარულ სხდომაზე პარლამენტის მიერ რუსეთთან თანამშრომლობის კეთილმეზობლობისა და მეგობრობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციას?

[...] საქართველოს პოლიტიკის გენერალური ხაზი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ რაც შეიძლება მალე დააღწიოს თავი რუსულ სივრცეს. ამ მოსაზრებას ტყუილად უპირისპირდებიან ადამიანები, რომლებიც უადგილოდ ხმარობენ ტერმინს – „გეოპოლიტიკა“. გეოპოლიტიკა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული ადგილმდებარეობა არ არის. გეოპოლიტიკური მდგომარეობა განისაზღვრება იმ პოლიტიკით, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა აწარმოებს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ ხელშეკრულებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, მწარედ ცდება. რუსეთს კავკასიაში აქვს თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ინტერესები. ეს ქვეყანა ამ ინტერესების კარნახით მოქმედებს. მას სრულიადაც „არ აწყობს“ ტერიტორიულად

მთლიანი, ძლიერი საქართველო. რუსეთი გერმანია არ არის. გერმანიამ სხვანაირი კრახი განიცადა, იგი დამარცხდა იმ ომში და ამან გარკვეული გარდატეხა მოახდინა. რუსეთი დაინგრა, მაგრამ ახლა ძალიან ძლიერია რევანშისტული განწყობები ქვეყნის აღდგენისა. ამ განწყობებში საქართველოსაც უკავია თავისი ადგილი. ასეთი ხელშეკრულებით რუსეთი საქართველოს ხელიდან არ გაუშვებს. რაც შეეხება ტერიტორიულ მთლიანობას, რუსულმა მხარემ შეიძლება თავს მოგვახვიოს ფედერალურის მსგავსი რაღაც წყობა, რომელსაც საქართველოში არავითარი რეალური ნიადაგი არ გააჩნია (თუ, რა თქმა უნდა, რეალურ ნიადაგად არ ჩავთვლით ჩვენს უთავბოლობას). თუკი ამას მიაღწიეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი დიდი ნაღმი ჩადებულია საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზმში და ერის პოლიტიკური სხეული დასუსტებულია. ამ გზით აფხაზეთის დაბრუნება მაუწყებელი იქნება იმისა, რომ რუსეთმა ეს ეტაპი მოიგო და იგი უკვე იზრუნებს მომავალ ეტაპებზეც. [...]

მოუტანს თუ არა რაიმეს საქართველოს მოსკოვში გამართული დსთ-ს ქვეყნების მოლაპარაკება?

განსაკუთრებულ შედეგებს მოლაპარაკებიდან არ მოველოდი, თუმცა გაკეთდა გარკვეული სახის დეკლარაცია...

რუსეთის მხრიდან არის მცდელობა მოახდინოს დსთ-ს ქვეყნების ინტეგრაცია, თავდაპირველად ეკონომიკური (ჯერჯერობით ამ ინტეგრაციის გეგმაში საქართველო გამოკვეთილად არ ჩანს). რუსები ასე ფიქრობენ: მოვახდინოთ ეკონომიკური ინტეგრაცია და შემდეგ ამ მატერიალურ ბაზაზე ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ ახალი პოლიტიკური გაერთიანება. ეს, რასაკვირველია, უდღეური ჩანაფიქრია, მაგრამ ჩვენ ამ ჩანაფიქრს ჩვენი უთავბოლობით, სიმხდალით და სხვა ამგვარი თვისებით მხარს თუ ავუბამთ, ბევრ უსიამოვნებას გადავეყრებით. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ დროს ვკარგავთ, ჩვენ 5 ისტორიული ოქროს წელიწადი დავკარგეთ. რადგან ერთხელ ცხვირპირი მივიმტვრიეთ და ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ, მექმნება შთაბეჭდილება, რომ კიდევ ერთხელ უნდა მივიმტვრიოთ რაღაცაზე ცხვირ-პირი, რათა გონს მოვეგოთ. ეს გზა, იქნება ეს პოლიტიკური რიტორიკა თუ პრაქტიკული ქმედება, საქართველოს ევროპაში ვერ გაიყვანს. ამგვარი პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ასეთი საკადრო და ეკონომიკური პოლიტიკა, დღეს ჩვენს ქვეყანაში რომ მიმდინარეობს, უპერსპექტივოდ მი-

მაჩნია, თუ ამ გზით ვიარეთ, წინ კედელი გველოდება და იმ კედელს კიდევ ერთხელ მივამტვრევთ ცხვირ-პირს... თუმცა შეიძლება უეცრად შემობრუნდეს ეს პოლიტიკა... ამაზე უნდა ვიოცნებოთ...

ვერიკო თევზაძე,
„ივერია ექსპრესი“, № 1, იანვარი, 1996

ერთი შეკითხვა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარეს მიხეილ ნანეიშვილს

ბატონო მიხეილ, რით ახსნიდით ლიბერალიზმის წარუმატებლობას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დღევანდელი ქართველი საზოგადოება მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ იდეოლოგიის მიღებისთვის?

მე მგონია, მთავარი მიზეზი ლიბერალიზმის ამ წარუმატებლობისა, ჩვენს საბჭოთა წარსულშია საძიებელი. მოგეხსენებათ, კომუნიზმი არც ერთ იდეოლოგიას არ უპირისპირდებოდა ისეთი შეურიგებლობითა და დაუნდობლობით, როგორითაც – ლიბერალიზმს, რაც გასაგებია, თუკი გავიხსენებთ, რომ ლიბერალიზმი არის იდეოლოგია საზოგადოებისა, რომელიც ჩვენში „კაპიტალისტურისა“ და „ბურჟუაზიულის“ სახელით იყო ცნობილი. კომუნიზმი კი სწორედ ანტიკაპიტალისტური და ანტიბურჟუაზიული იდეოლოგია გახლდათ, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ყოველივე „კაპიტალისტურსა“ და „ბურჟუაზიულს“. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ლიბერალიზმი ვერ ჰპოვებდა სარბიელს საზოგადოებაში, რომელიც თავისი ისტორიის საბჭოთა პერიოდში იზრდებოდა სწორედ ანტილიბერალური სულისკვეთების ატმოსფეროში.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კომუნისტურმა რეჟიმმა გაანადგურა ქართველი ინტელიგენცია (ზოგი ფიზიკურად, ზოგი – მორალურად), რომელიც ბუნებრივი მატარებელი და გამავრცელებელი იყო ლიბერალიზმის პრინციპებისა და ღირებულებებისა, მისი კულტურისა. ამდენად, გაწყდა თაობათა კავშირი, რამაც ასევე მძიმე დაღი დაასვა ჩვენს, დღევანდელი ქართველობის, გონებრივ თუ ზნეობრივ ვითარებას. რა თქმა უნდა, დაინტერესებულ ადამიანებს ჰქონდათ საშუალება გასცნობოდნენ ისეთი პოლიტიკური მოაზროვნეების მემკვიდრეობას, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ლოკი ან მონტესკიე, მაგრამ ასეთ ინფორმირებულობას არსებულ პირობებში მხოლოდ „აკადემიური“ ხასიათი თუ ექნებოდა, მოკლებული ყოველგვარ პრაქტიკულ მიზანდასახულობას. ასეთ განყენებულ ცოდნას ის ნაკლიც ჰქონდა, რომ იგი ვერ ასრულებდა პიროვნების მაფორმირებელი ფაქტორის როლს, რჩებოდა რა, ამნაირად, ერთგვარი გონებრივი ფუფუნების საგნად.

ამიტომაც არის, რომ ჩვენს საზოგადოებაში აქა-იქ შეიძლება შეხვდეთ ადამიანს, რომელიც იცნობს ლიბერალიზმის პოლიტიკურ ფილოსოფიას, მაგრამ მეტად იშვიათად ნახავთ პიროვნებას, ამ ფილოსოფიაზე აღზრდილს. მთავარი აქ მაინც ის არის, რომ ჩვენს ხალხს, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ მოეთხოვებოდა ლიბერალიზმის, როგორც იდეოლოგიის ცოდნა, უხდებოდა ცხოვრება ისეთ პირობებში, სადაც ყოველნაირად იზღუდებოდა ადამიანში ინდივიდუალური თავისუფლების შეგნების განვითარება. სხვანაირად რომ ვთქვა, ჩვენ აღვიზარდეთ საზოგადოებაში, რომელიც მოკლებული იყო თავისუფლების კულტურას.

ამგვარმა, ცოდნისა და, რაც მთავარია, აღზრდის დეფიციტმა თავისი დაღი დაასვა ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც, რომელიც მოუმწიფებელი აღმოჩნდა სწორედ იმ თავისუფლებისთვის, რომლისთვისაც იგი ასე გულმხურვალედ იბრძოდა. სამწუხაროდ, მთელ საზოგადოებაზე რომ არაფერი ვთქვათ, თვითონ პარტიები არ აღმოჩნდნენ სათანადოდ მომზადებულნი, რის გამოც მათ ვერ შეძლეს საზოგადოებრივი ცნობიერების ჯეროვანი ფორმირება. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი ინტელექტუალური ავლა-დიდებით მეტად მწირი აღმოჩნდა, რამაც, გასაგებია, თავისი უარყოფითი როლი ითამაშა ერის პოლიტიკური ცნობიერების ფორმირების საქმეში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ლიბერალიზმის უნივერსალური ხასიათისა იმ გაგებით, რომ მას საქმე აქვს თითოეულ ინდივიდთან, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა, ლიბერალიზმი ჩვენში აღმოჩნდა სპეციალური სოციალური ბაზისის გარეშე, რომელიც უნდა შეედგინა მეწარმე-მესაკუთრეთა ფენას. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ეს კულტურული ფენა ჩვენს სინამდვილეში არ ჩამოყალიბდა (რაშიც ლომის წილი ხელისუფლების რეაქციულ პოლიტიკას უძევს) და მათი ადგილი დაიკავეს (იმავე პოლიტიკის წყალობით) ელემენტებმა, რომელთაც თავისი რეალური ინტერესებით არაფერი აქვთ საერთო ლიბერალიზმთან, ამ შემთხვევაში – ეკონომიკურ ლიბერალიზმთან. ამგვარად, ჯერჯერობით ლიბერალიზმი ჩვენში მხოლოდ ზოგადჰუმანიტარულ იდეოლოგიად რჩება და, მოკლებული ზემოხსენებულ სოციალურ ბაზისს, ჰაერში გამოკიდებული ჩანს. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ სანამ არ შეიქმნება მეწარმე-კაპიტალისტთა

და, საერთოდ, მესაკუთრეთა კულტურული კლასი, მატერიალურად დაინტერესებული ლიბერალიზმის პრინციპების დამკვიდრებით ქვეყნის ცხოვრებაში, მანამდე ლიბერალიზმი ვერ გადაიქცევა რეალურ პოლიტიკურ ძალად, ხოლო, სანამ ლიბერალიზმი არ შეიქმნება ჩვენი საზოგადოებრივი წყობის მასულდგმულებელ იდეოლოგიად, მანამდე საუბარი ისეთ სიკეთეებზე, როგორიც არის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, სამართლებრივი სახელმწიფო და სხვა ამგვარი, ცარიელ რიტორიკად დარჩება. ამ თავისებური „მოჯადოებული წრის“ გარღვევა, ჩვეულებრივ, ქვეყნის მთავრობის ისტორიული მისიაა ხოლმე, მაგრამ უნდა ვაღიარო, ეჭვი მეპარება საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის ერთგულებაში ლიბერალიზმის იდეალებისადმი.

რასაკვირველია, თუკი ვიმსჯელებთ დღევანდელი ქართველი საზოგადოებით, იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა დემოკრატიული ლიბერალიზმის საწყისებზე ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნისათვის, მაგრამ ამის მიზეზი ქართული კულტურის, როგორც ასეთის „მოუმწიფებლობა“ კი არ არის, არამედ ის დენაციონალიზაცია, შესაბამისი კულტურული დეგრადაციითურთ, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ რუსეთის კომუნისტური ტოტალიტარიზმის პირობებში განიცადა. ხოლო, რაც შეეხება თვით ქართულ კულტურას, მისი ლიბერალურ-დემოკრატიული ტრადიციები თითქმის საუკუნენახევარს ითვლის და ერთადერთი გზაც ხსნისა სწორედ ამ ჩვენი კულტურული ვინაობის აღორძინებაშია.

„დილის გაზეთი“, № 1, 30 იანვარი, 1996

მოხდა „მცოცავი და ფარული“ კონტრრევოლუცია ურევოლუციოდ

ბატონო მიხეილ, თითქმის ექვსი თვე გავიდა პარლამენტის არჩევნებიდან, რომელშიც ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ გამსვლელი ხმების რაოდენობა ვერ მოიპოვა. ეს დრო, ალბათ, საკმარისია მოვლენების გასაანალიზებლად?

მართალი მოგახსენოთ, „საანალიზო“ ბევრი არაფერია ჩვენი პარტიის ამ წარუმატებლობაში, თუმცა, ბუნებრივია, ასეთი ანალიზი გაკეთდა. [...]

უპირველესი და უმთავრესი მიზეზი კი, ყველა სხვა, ასე ვთქვათ, „მიზეზთა მიზეზი“, გახლავთ პარტიის სრული მატერიალური სიღატაკე (უკეთესი სიტყვა, მდგომარეობის უფრო ზუსტად და ნათლად დასახასიათებლად, ვერ მომიძებნია), მისი სრული უსახსრობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, მათ შორის, ორგანიზაციული სისუსტით.

[...]

პარტიის ასეთი მდგომარეობის მიზეზი რაღაა?

რაგინდ პარადოქსულად გამოიყურებოდეს ის გარემოება, რომ „კაპიტალისტური“ პარტია, „კაპიტალისტური“ თავისი იდეოლოგიით, პროგრამითა და შესაბამისად, პრაქტიკული პოლიტიკური ორიენტაციით, უფულო პარტიაა (ასე ვთქვათ, „თავით – კაპიტალისტური, ჯიბით – პროლეტარული“), ძალიან მარტივი, ვიტყოდი, „პროზაული“ მიზეზით აიხსნება. ამ პარტიას ჩვენს ქვეყანაში არა აქვს სოციალური ბაზისი, როგორიც შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კაპიტალიზმზე ორიენტირებული ვაჭარ-მეწარმეთა და მიწის მესაკუთრეთა ფენა, რომლის შექმნაზეც უნდა ეზრუნა კიდეც, მისთვის სათანადო სამართლებრივი პირობების შექმნით და ჯეროვანი პროტექციონისტური პოლიტიკის მეშვეობით, პირველ ყოვლისა, სწორედ ქვეყნის ხელისუფლებას. ხოლო, რაც შეეხება იმ „წითელ“, გნებავთ „ვარდისფერ“ (დროის შესაფერისად, ასე ვთქვათ, „ფერწასულ წითელ“) „კაპიტალიზმს“, რომლის წარმომადგენელნიც, ყოფილი საბჭოთა სამეურნეო დირექტორატის „წიაღთაგან“ „მკვდრეთით აღმდგარნი“ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკური ლოცვა-კურთხევით, დაუფლებულნი არიან ქვეყნის მთელ სამეურნეო ასპარეზს, სადაც სხვას არავის აჭაჭანებენ (აქ მე, ცხადია, მხედველობაში არ მაქვს „ჯიხუ-

რის ბიზნესი“, საიდანაც, ესეც უნდა ითქვას, „კუთვნილი წილი“ მიდის „სახელმწიფო მოხელეთა“ ჯიბეში), – ვიმეორებ, ამას, დღევანდელ ქართულ სინამდვილეში ერთადერთ რეალურად არსებულ „კაპიტალიზმს“, რა თქმა უნდა, ჩვენეულ კაპიტალიზმთან არაფერი აქვს საერთო და ამიტომაც, გასაგებია, იგი (უკეთ მისი ზემოთ ხსენებული წარმომადგენლები) ვერ შეიქმნებოდა კიდეც ჩვენს „სპონსორად“. ერთი სიტყვით, დემოკრატიულ ლიბერალიზმზე (ამ სიტყვის ნამდვილი და არა ჩვენებური „სახელმწიფო“ გაგებით) „საბაზრო მოთხოვნილება“ არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში პრაქტიკულად არ არის, ხოლო სადაც ასეთი მოთხოვნილება არაა, იქ არც ფულია, თანახმად ცნობილი პრინციპისა: არის მოთხოვნილება – არის ფულიც, არაა მოთხოვნილება – არაა ფული. ხოლო, შეიძლება მითხრან, ყოველივე ამის საპასუხოდ, თქვენც სხვა რომელიმე გზით გეშოვათ ფული, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი პარტია, განა არ იცით, „ფული არ ყარსო!“. სხვათა შორის, ეს გამოთქმა პირადად მსმენია პარლამენტში, სადაც, ჩანს, ამგვარი „ფულისმშოვნელთა პარტიის“ ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა პირმა, როდესაც წამოაძახეს ერთი ბნელი წყაროდან ფულის მიღება, ერთგვარი სიამაყითაც კი (აქაოდა „მორალური ინფანტილიზმის“-გან თავისუფალი ვარ, როგორც „ჭეშმარიტი პოლიტიკოსი“-ო) დაადასტურა ეს ფაქტი და ზემოხსენებული სიტყვებითაც განამტკიცა ეს თავისი საჯარო განცხადება. მე კი მაინც მგონია, მიუხედავად ასეთი „ავტორიტეტული განცხადებისა”, რომ ფულს ყოველთვის სუნი უდის ხოლმე, იმ „კოკის“ სუნი საიდანაც ის „წარმოდინდების“ და განსაკუთრებით – პოლიტიკაში, რომელიც სულაც არ ემყარება ვულგარულად გაგებულ „მაკიაველისტურ“ (თუმცა იგი თვით მაკიაველს არ ეკუთვნის) აფორიზმს „მიზანი საშუალებას ამართლებსო“, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ფულს საერთოდ, მით უმეტეს, ასეთ ფულს, მუქთად არავინ იძლევა და შეიძლება ერთხელაც ამ ფასის გამღებს იგი ძალიან ძვირად დაუჯდეს (თუნდაც იმავ პოლიტიკური თვალსაზრისით).

ასეა თუ ისე, იმ ზოგად პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაში, რომელიც დღეს საქართველოში შეინიშნება, თავისთავად არაფერია „ჯერარნახული“ და „ჯერარსმენილი“ (ამით მაინც ნუ გავიხეთქავთ გულს). [...] მაგრამ, საფიქრებელია, ასეთი ვითარება დიდხანს ვერ გასტანს, რადგან ქვეყნიერებას მოწყვეტილ კუნ-

ძულზე არ ვცხოვრობთ, და ჩვენი იმედიც საიმედოც ამაშია, საიმედო „ჟამთვითარების“ იმედი... (ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო). საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას კი, საშინაოსა და, შესაბამისად, საგარეოსაც, ასე განვსაზღვრავდი: მოხდა „მცოცავი და ფარული“ კონტრრევოლუცია ურევოლუციოდ და არსებული მდგომარეობაც სწორედ ამ „უცნაური“ კონტრევოლუციის შედეგია, ასე რომ, ერთი „სახელოვანი რევოლუცია“, ჩანს, ჩვენც მოგველის. [...]

ლორდ აქტონის ცნობილი ნათქვამი მახსენდება: ყოველი ხელისუფლება კორუმპირებულია, აბსოლუტური ხელისუფლება – აბსოლუტურად კორუმპირებულიაო. [...]

თუ შეიძლება, გაგვაცანით პარტიის საშინაო და საგარეო კურსი.

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის პოლიტიკური კურსი, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში, ჩვენ მიერ არაერთგზის დაფიქსირებული, ქართული ტრადიციული პოლიტიკური ორიენტაციის შესაბამისია, – ტრადიციისა, რომლის სათავეებთან დგანან ილია ჭავჭავაძე და მისდაგვარი ქართველი პოლიტიკური მოაზროვნეები: ერთადერთი გზა საქართველოს „გამოხსნა-აღდგომისა“ არის „გზა ევროპისკენ“, რაც გულისხმობს, რომ საქართველო უნდა იქცეს თანადროულ ევროპულ ქვეყნად, ანუ ქვეყნად, რომლის მთელი ცხოვრება დაფუძნებული იქნება დემოკრატიული ლიბერალიზმის პრინციპებსა და ღირებულებებზე. და ამით ყველაფერია ნათქვამი ქვეყნის როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე სამართლებრივ-პოლიტიკურ (და სხვ...) წყობაზე იმათთვის, ვინც იცის, რა იგულისხმება „დემოკრატიულ ლიბერალიზმში“.

მაია გერაძე, ალექსანდრე თარხნიშვილი,
„დილის გაზეთი“, 24 აპრილი, № 60, 1996

„მსოფლიო დონის პოლიტიკოსს“ ასეთი დემარშები არ შეეფერება

საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე მიხეილ ნანეიშვილი 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ერთგვარად ჩრდილში იმყოფება, მაგრამ მისი შეხედულებები კვლავ რჩება ქართული პოლიტიკის კულისების სამსჯელო თემად, მით უმეტეს, რომ პრობლემები ამ კულისებში არასდროს ილევა. „მერიდიანი 44“-მა რამდენიმე კითხვით მიმართა **მიხეილ ნანეიშვილს.**

„მერიდიანი 44“: არსებობს თუ არა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის ხელახლა შექმნის საშიშროება. როგორ აფასებთ საქართველოს ხელისუფლებისა და კონფლიქტის მოგვარების საკითხში ერთ-ერთი შუამავლის, ეუთო-ს დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი?

მიხეილ ნანეიშვილი: რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლება კომპრომისზე წასვლას აპირებს. კომპრომისი პოლიტიკაში, ჩვეულებრივ, დასაშვებია. მაგრამ ამ შემთხვევაში „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის აღდგენა (თუნდაც სხვა სახელწოდებისა იყოს იგი) ძალიან მძიმე შეცდომა, დიდი დანაშაული იქნება. ხელისუფლება ვალდებულია, თუნდაც თავისი პრესტიჟის ხარჯზე, შეცდომა აღიაროს და გამოასწოროს.

რაც შეეხება ეუთო-ს, მე რამდენჯერმე შევხვდი ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებს და მივედი დასკვნამდე: ეს არის ბიუროკრატიული ორგანიზაცია. მისგან არ უნდა ველოდოთ საკითხის გადაწყვეტას ისე, როგორც ამას სამართლიანობა მოითხოვს.

„მ 44“: როგორ შეაფასებთ იმ სამშვიდობო ღონისძიებებს, რომლებიც დღემდე გატარდა აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად?

მ.ნ.:

ამ პრობლემასთან დაკავშირებით არის საუბარი საქართველოს ფედერალურ მოწყობაზე. რასაც არც კულტურულ-ისტორიული და არც, საკუთრივ, პოლიტიკური გამართლება მოეპოვება. ფედერალური მოწყობა დაასუსტებს ჩვენს ქვეყანას, მყიფედ და ფეთქებადად აქცევს მას. ვინ არ იცის, რომ საქართველოს ფედერალიზაცია რუსეთის გეგმაა. აფხაზეთის ფედერაციის სუბიექტად ქცევა მისი სტატუსის ამაღლებას ნიშნავს, რაც აფხაზებს

ახალ საფეხურს შეუქმნის შემდგომში სეპარატისტული საქმიანობისათვის. [...]

რაც შეეხება ა.წ. აპრილში პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით, მის პოლიტიკურ „ღირსებაზე“, მრავალთა შორის, თუნდაც ასეთი ფაქტი გვაძლევს წარმოდგენას: ამ დოკუმენტში აფხაზი სეპარატისტები კვალიფიცირებული არიან აგრესორებად და ოკუპანტებად, რაც სრული გაუგებრობაა, რადგან აგრესორი და ოკუპანტი შეიძლება იყოს მხოლოდ უცხო სახელმწიფო. საგულისხმოა კონფლიქტის დარეგულირების მონაწილე „ხუთი სუბიექტის“ ჩამონათვალიც. პირველი მათ შორის არის აფხაზური მხარე, რომელიც ამავე დოკუმენტში, სულ რამდენიმე სტრიქონით ზევით, დასახელელბულია, როგორც გენოციდის მომწყობი.

მეორე სუბიექტად დოკუმენტი ასახელებს აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი არაფერს არ წარმოადგენს სინამდვილეში. სეპარატისტები მათ დაუპირისპირდნენ, როგორც ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს.

კონფლიქტში მონაწილე მეოთხე სუბიექტად რუსეთის ჩართვით საქართველოს ხელისუფლება პირდაპირ ცნობს ამ სახელმწიფოს უფლებას, ჩაერიოს ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში. და ბოლოს, მეხუთე სუბიექტი – ეს გახლავთ გაერო. [...]

საერთოდ, ამ თემაზე ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად ამ მოკლე შენიშვნით შემოვიფარგლებით.

„მ 44“: 13 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ის პრეზიდენტის ბილ ქლინთონის მიწვევით ვაშინგტონში მიემგზავრება. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ვიზიტს, მით უმეტეს, რომ იგი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინ იმართება?

მ.ნ.: ამერიკის პრეზიდენტისათვის ეს პერიოდი ისეთია, რომ იგი უბრალოდ ჭიქა ყავაზე არავის მიიპატიჟებს. უნდა ვიფიქროთ, რომ რაღაც ძალიან სერიოზული პოლიტიკური პროცესები იწყება, რომელშიც ჩვენმა ქვეყანამ, თავისი პრეზიდენტითურთ, გარკვეული როლი უნდა ითამაშოს.

„მ 44“: რას იტყოდით 1993 წლის 14 სექტემბრის ფაქტზე სამი წლის შემდეგ?

მ.ნ.: შევარდნაძის მხარდამჭერად მაშინ მეც ვითვლებოდი, თუმცა იმ აურზაურის დროს არავითარი ინიციატივა არ გამომი-

ჩენია. როცა ჩემთან „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი მოვიდა, მას ვუთხარი: „შემიძლია დაგამშვიდოთ, რომ სახელმწიფოს მეთაურის ეს განცხადება სრულიადაც არ ნიშნავს მისი კარიერის დასასრულს ამ თანამდებობაზე“. რა თქმა უნდა, ეს არ დაბეჭდეს.

მსგავსი დემარშები შეიძლება გამართოს ადამიანმა, მაგრამ უფრო მაღალი მიზნებისათვის. ამგვარი გამოსვლა შევარდნაძეს შეეძლო მოეწყო ჩვენებურ „პინოჩეტობაზე“ პრეტენზიის მქონე ორი პიროვნების თავიდან მოსაშორებლად – ან მე, ან ისინიო. ეს ქვეყანას ბევრ უბედურებას ააცილებდა, მაგრამ პარლამენტის დასათრგუნად ასეთი დემარშის მოწყობა დემაგოგობად მიმაჩნია და არა მგონია ამგვარი რამ დიდი პოლიტიკის ადამიანს შეეფერებოდეს.

„მ 44“: მართლა რომ გადამდგარიყო შევარდნაძე, ჰყავდა თუ არა ალტერნატივა?

მ.ნ.: არ ჰყავდა, მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანაში გზას უხსნიან და აწინაურებენ ისეთ ინდივიდებს, რომლებიც ვერასდროს ვერ გახდებიან ნამდვილი პოლიტიკოსები და რომელთა შემყურე ხალხიც (მათ შორის ვარ მეც) ამბობს: არა, ამათ ისევ „ის“ მირჩევნია. აი, რატომ რჩება ერთადერთ და „შეუცვლელ ლიდერად“ ბატონი პრეზიდენტი.

„მერიდიანი 44“, № 49, 3-6 სექტემბერი, 1996

ქართველი პოლიტიკოსები ბჭობენ, აფხაზები კი რეალურ ნაბიჯებს დგამენ

[...] გაეროსა და ეუთოზე აქცენტირებულ საქართველოს მხარეს ცივი წყალივით გადაევლო გაეროს პირადი წარმომადგენლის ედუარდ ბრუნერის განცხადება აფხაზეთში არჩევნების ჩატარების მიზანშეწონილების თაობაზე. მიუხედავად გავრცელებული ხმებისა, რომ ეს მხოლოდ ბრუნერის პირადი მოსაზრებაა, რიგი პოლიტიკოსებისა მიიჩნევს, რომ [...] აფხაზეთში მაინც ჩატარდება არჩევნები, რომელიც კანონიერად ჩაითვლება და არჩევნებს რეფერენდუმი მოჰყვება. საერთაშორისო აღიარება კი კიდევ ერთხელ გაიმეორებს ბოსნიის მაგალითს – სეპარატისტთა მიერ დანიშნული არჩევნები საბოლოოდ მოექცევა კანონიერების ფარგლებში.

კითხვით, თუ რა ზომებს უნდა მიმართოს საქართველომ [...], მივიღოთ გაეროს მიერ შემოთავაზებული ბოსნიის ვარიანტი, მივაღებინოთ მონაწილეობა არჩევნებში აფხაზეთის გარეთ დარჩენილ ლტოლვილ მოსახლეობას და ამით ვიმოქმედოთ მის რეზულტატზე, თუ საერთოდ უარი ვთქვათ მასში მონაწილეობაზე? — ბ-ნ მიხეილ ნანეიშვილს მივმართეთ [...]

ნონა ბურნაძე

აფხაზეთი ბოსნია არ არის

ამბობენ, ბატონმა ბრუნერმა აშკრად იუარა, – ასეთი არაფერი მითქვამსო. ამიტომაც, სანამ „დაფარული გაცხადდებოდეს“, სიფრთხილეს გამოვიჩენ და კითხვას ასე დავსვამ: **თუკი** ასეთი რამ მართლაც თქვა გაეროს წარმომადგენელმა, რამდენად მისაღებია იგი ჩვენთვის? თუმცა, რა საკითხავია: სად ბოსნია და სად... გნებავთ, საერთოდ საქართველო, გნებავთ, კერძოდ, აფხაზეთი! ხოლო ეტყობა, „ბოსნიური მოდელი“, შემოთავაზებული საკუთრივ აფხაზეთისათვის, ემყარება რაღაც „ანალოგიას“, ბოსნიასა და საქართველოს ამ პროვინციას შორის, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ამით თითქოსდა გვეუბნებიან: **აფხაზეთი – ეს საქართველოს ბოსნიაა**. ხოლო აქედან – ლოგიკური კითხვა: თვითონ საქართველო, ამ მიმართებაში, რაღა გამოდის? – და ლოგიკური პასუხიც აქვეა: იუგოსლავია. როგორ მოგწონთ, – **საქართველო –**

კავკასიის იუგოსლავია! მაგრამ სხვებზე ნუ აღვშფოთდებით, რადგან ასეთი „ანალოგიისთვის“ საფუძველი თვით ჩვენმა რუსულ ყაიდაზე „გაამერიკელებულმა“ მთავრობამ მისცა გაეროსა თუ მის წარმომადგენელს: აკი სადაც მიეწევიან, ყველგან გაიძახიან ჩვენი უბედური ქვეყნის ბედნიერი მესვეურები, საქართველო **ფედერაციად** უნდა გარდაიქმნასო. არა, ბატონებო, „ბოსნიური ვარიანტი“ აფხაზეთის მიმართ არათუ გამოუსადეგარი, არამედ პირდაპირ ძირგამომთხრელია ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის. **აფხაზეთი ბოსნია არ არის**. ეს უკანასკნელი (ბოსნია-ჰერცოგოვინა) იუგოსლავიის ფედერაციის „სუვერენული სუბიექტი“ გახლდათ, ისევე როგორც საქართველო და სხვა „მოკავშირე რესპუბლიკები“ – ყოფილი სსრკ-ისა, ხოლო აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია, მსგავსად მისი სხვა ისტორიული პროვინციებისა, – არც მეტი, არც ნაკლები. ამიტომაც ამ „ბოსნიური ვარიანტის“ (თუ „მოდელის“) გამოყენებით, გვინდა არ გვინდა, ჩვენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამდით დანარჩენი საქართველოს მიმართ აფხაზეთის, როგორც სუვერენული პოლიტიკური ერთეულის, სტატუსის ცნობის გზაზე, ანუ კიდევ უფრო განვამტკიცებდით უკვე ისედაც გავრცელებულ და დამკვიდრებულ წარმოდგენას, გამოხატულს ასეთს ფორმულაში: საქართველო **და** აფხაზეთი, – რითაც გასავალი ეძლევა აზრს, რომ აქ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ქვეყანასთან. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ სეპარატისტების მიერ მოწყობილ არჩევნებში მონაწილეობის მიღებით ჩვენ პრაქტიკულად ვცნობდით სეპარატისტთა „მთავრობის“ ლეგიტიმურობას, – „მთავრობისა“, რომელსაც სხვათა შორის თვითონ საქართველოს ხელისუფლება ბრალსა სდებს უმძიმეს დანაშაულში – აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის გენოციდში (თუმცა ამას, ესეც საგულისხმოა, სრულიადაც არ შეუშლია ხელი ამავე ხელისუფლებისათვის, რომ ეს „ნიურნბერგის სატრიბუნალო“ „მთავრობა“ ეცნოთ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ერთერთ სუბიექტად).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სრულიად უქმ სიტყვებად მიმაჩნია, თუ: მაინც როგორ უნდა მიიღონ „დევნილმა ქართველებმა“ მონაწილეობა ამ „არჩევნებში“, რომლის საერთო კონტროლიც, რა თქმა უნდა, ჩვენ ხელთ არ იქნება? ვინ დადგება გარანტად, რომ ეს „არჩევნები“ წესიერად ჩატარდება, რუსეთისა და გაეროს წარმომადგენლები? – მე ჩემდა თავად, **არცერთს**

ამათგან **იოტისოდენადაც** არ ვენდობოდი. მაგრამ ეს, როგორც ვთქვი, ყოველგვარ პრინციპულ მნიშვნელობას მოკლებული კითხვებია და, თუკი მაინც დავაფიქსირე ისინი, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთგვარად ნათელმეყო „შემოთავაზებული წინადადებების“, მათ სხვა „სიკეთეებთან“ ერთად, პირწმინდად ავანტურისტული და პროვოკაციული ხასიათი.

მართალი მოგახსენოთ, მაინც მიჭირს ბოლომდე დაჯერება, რომ ასეთი აბსურდული წინადადება შემოეთავაზებინოს გაეროს წარმომადგენელს ჩვენი ხელისუფლებისთვის, მაგრამ, თუ აღმოჩნდა, რომ ბატონმა ბრუნერმა მართლა „უთავაზა“ ამ ხელისუფლებას ასეთი რამ, ეს მხოლოდ იმის დადასტურება იქნება, რომ გაეროს წარმომადგენელს მეტისმეტად დაბალი წარმოდგენა ჰქონია საქართველოს ხელისუფლებაზე, ვიტყოდი – ყოველი გონებრივად ნორმალური ადამიანისთვის პირდაპირ **შეურაცხმყოფელად** დაბალი.

მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე.

„ახალგაზრდა ივერიელი“, № 24, 24-31 ოქტომბერი, 1996

ქვეყნის ფედერალიზაცია ჩვენთვის მიუღებელია

ბატონო მიხეილ, როგორც ჩანს, საქართველო ფედერალურ სახელმწიფოდ ყალიბდება. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ფედერალიზაცია, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური კავშირებით, ანუ სიუზერენისა და ვასალების ურთიერთობა თუ თანასწორუფლებიან სუბიექტთა კავშირი?

საქართველოს ფედერალიზაცია, სულერთია, რა ფორმით, პრინციპულად მიუღებელია პირადად ჩემთვის და იმ პარტიისთვისაც, რომლის წევრიც გახლავართ, და ამიტომაც თქვენს კითხვაზე, თუ როგორ წარმომიდგენია იგი, შემიძლია მხოლოდ ასე გიპასუხოთ: არანაირად.

ამ საკითხზე მომზადებული მაქვს მოზრდილი წერილი, რომელსაც ადრე თუ გვიან გამოვაქვეყნებ, როგორც იტყვიან, „მომენტის შერჩევით". ახლა კი ვეცდები, მოკლედ განვმარტო ჩვენი პრინციპული პოზიცია ხსენებულ საკითხში და ამ სახით გავცე პასუხი თქვენს კითხვას.

როგორც ცნობილია, ფედერალურ სახელმწიფოს ქმნიან მასში შემავალი სახელმწიფოები, რომელთა კონსტიტუციურად გაფორმებულ (დაკანონებულ) ნებაზეა დამყარებული კიდეც მისი (ამ ფედერალური ანუ სამოკავშირეო სახელმწიფოს) არსებობა. ნამდვილი აზრი ტერმინისა „ფედერაციის სუბიექტი" სწორედ ესაა და ამაზე გვმართებს კარგად დაფიქრება.

თუკი ფედერალიზმზე მისი კლასიკური („ამერიკული") მოდელით ვიმსჯელებთ, დამოკიდებულება ფედერალურ მთავრობასა და შტატების მთავრობებს შორის ხასიათდება არა სუბორდინაციის ვერტიკალით, არამედ შესაბამის სუვერენიტეტთა (ერთი მხრივ, ფედერალურ მთავრობის სახით და მეორე მხრივ, – შტატების მთავრობათა, ყველასი ერთად თუ თითოეულის ცალკე, სახით) ურთიერთგამაწონასწორებელი ჰორიზონტალური უფლებრივი მიმართულებებით. სხვანაირად რომ ვთქა, ამერიკული ფედერალური სისტემა, თავის იდეაში მაინც, ემყარება ფედერალურ და საშუალო ხელისუფლებათა წონასწორობის პრინციპს. ამის გასათვალისწინებლად, თუ რა წარმოდგენები ბატონობდნენ 1787 წლის კონვენტში, სადაც წყდებოდა აშშ-ის კონსტიტუციის საკითხი, საკმარისია გავიხსენოთ, რომ კონვენტის მიერ მიღებულ (და დღემდე მოქმედ) კონსტიტუციაში კონკრეტულად ჩამოთვლილ-

განსაზღვრულია ფედერალური მთავრობის პრეროგატივები, მაშინ, როდესაც იგივე არაა გაკეთებული შტატების მთავრობების მიმართ, რაც აშკარად გვიჩვენებს, რომ კონვენტის უმრავლესობისთვის მთავარი საზრუნავი იყო ფედერალური მთავრობის უფლებათა რეგლამენტაცია და მით შტატების უფლების უზრუნველყოფა ამ მთავრობის მიერ ხელყოფისგან.

მაგრამ როგორიც უნდა იყოს ამა თუ იმ ფედერალური სახელმწიფოს წყობა „კლასიკური" თუ „არაკლასიკური", ერთი რამ ცხადია: **ურთიერთობა** სახელმწიფო ფედერალურ მთავრობასა და „ფედერატთა" მთავრობებს შორის ვერანაირად ვერ იქნება ანალოგიური, თუნდაც მეტაფორული გაგებით, სუზერენ-ვასალის ურთიერთობისა. ასე რომ, ამგვარი „ფედერალური ფედერალიზმის" ილუზიებით (მით უმეტეს, რომ ასეთი „ფედერალიზმი" ისტორიას საერთოდ არ ახსოვს) ნურავინ მოიტყუებს თავს და ნურც სხვას მოატყუებს. ერთი რამ კი უნდა შევახსენო ჩვენებურ „ფედერალისტებს": ამერიკულ ფედერალიზმს არაფერი აქვს საერთო „ეთნიკურ ფედერალიზმთან", რომელსაც გვთავაზობენ კიდეც ეს ჩვენი „ფედერალისტები" ისტორიული სკოლისა. თანაც, დამოუკიდებლად იმისგან, „სიმეტრიულია" ფედერაცია თუ „ასიმეტრიული", რაკიღა საქმე გვაქვს ფედერაციის სუბიექტებთან, ლაპარაკი შეიძლება იყოს მათი სახით, მხოლოდ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებზე, საკუთარი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებით, საკუთარი პოლიციით (იქნებ მილიციითაც), საკუთარი ბიუროკრატიით და ა.შ. ამ ატრიბუტიკის გარეშე ფედერაციის სუბიექტი არ არსებობს და, მაშასადამე, არც თვითონ ფედერაცია. ხოლო ფედერაციის ფიქციით ვერავის ავუბამთ თვალს, [...] მტკიცება, თითქოს, თუ სახელმწიფო დემოკრატიული ლიბერალიზმის პრინციპებზეა აგებული, იგი აუცილებლად ფედერალური უნდა იყო, მხოლოდ მამტკიცებელთა გაუგებრობას ამტკიცებს. სახელმწიფო შეიძლება იყოს უნიტარული და ამავე დროს არანაკლებ ლიბერალურ-დემოკრატიული, ვიდრე ფედერალური სახელმწიფო. მთავარი თითოეულ შემთხვევაში ისაა, თუ ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის როგორ წესს მოითხოვს მოცემული ქვეყნის კულტურულ-ისტორიული რეალობა, ამ სიტყვის ფუნდამენტური და არა „მომენტური" გაგებით. სწორედ ასეთ ნიადაგზე შეიქმნა ჩვენთვის დღესდღეობით

ცნობილი ყველა ფედერალური სახელმწიფო. მათ შორის, პირველ ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები.

მე აქ, რა თქმა უნდა, ვერ შევჩერდები ამ სახელმწიფოს შექმნის ისტორიაზე, რომლის გათვალისწინებაც, თავისთავად, აუცილებლად გვმართებს. აღვნიშნავ მხოლოდ რამდენიმე პუნქტს. აშშ არ შექმნილა მანამდე არსებული უნიტარული სახელმწიფოს „დეცენტრალიზაციის" შედეგად, არამედ იგი შედგა ცალკეული სახელმწიფოებისაგან, რომლებადაც ბუნებრივად გარდაიქმნენ გათავისუფლებული კოლონიები და რომელთა მოსახლეობის პატრიოტიზმი იმ დროს სხვა არა იყო, თუ არა საკუთარი შტატის პატრიოტიზმი. და საერთოდ, სახელმწიფოს შექმნაც სწორედ შტატების მოსახლეობის სურვილს ემყარებოდა, უზრუნველყოფილიყო თითოეული შტატის თავისუფლება გარეშე ხელყოფისგან. ამიტომაც ამბობენ, ამერიკის რევოლუცია ამერიკის ერს კი არ მოუხდენია, არამედ თვითონ ამ რევოლუციამ შექმნა ამერიკელი ერი: რევოლუციის მოქმედი კოლონიების ხალხები იყვნენ (ვირჯინიელნი, ნიუჰემშირელნი და ა.შ. და არა ამერიკელი ერი), რომლებიც მხოლოდ მოგვიანებით ჩამოყალიბდნენ ერთ – ეროვნებით ამერიკელ ხალხად. ასე რომ, ძალიანაც რომ სდომოდა ვინმეს (ასეთი ვინმე კი იყო თვით **ჰემილტონი** – ამერიკული ფედერალიზმის მამა!), მეტის მიღწევა უბრალოდ შეუძლებელი იყო, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, ყოველ შემთხვევაში, მიმართულება ამერიკული ფედერალიზმისა იყო ცენტრისკენული და არა ცენტრიდანული, ეს იყო მანამდე არსებითად დამოუკიდებელი (სუვერენული) სახელმწიფოების (შტატების) გამაერთიანებელი პრინციპი, რაც ნათლადაა ასახული, სხვათა შორის, **ჰემილტონის, ჯეის და მედისონის ავტორობით ცნობილ „ფედერალისტში", – ფედერალიზმის ამ მართლაც ბიბლიაში,** – რომლის მთელი პოლემიკური პათოსი მიმართულია არა უნიტარიზმის, არამედ კონფედერაციული წყობისა და მეტიც, შტატების დამოუკიდებლობის მომხრეთა წინააღმდეგ. თვითონ **ჰემილტონი,** ეს უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნე, სულაც არ ყოფილა ამ კონსტიტუციის თანამგრძნობელი, მისი პოლიტიკური იდეალი სულ სხვა იყო, მაგრამ ამ იდეალის მიუღწევლობისა გამო, იძულებული იყო თავისი გენიის მთელი ძალა აემოქმედებინა სწორედ შემოთავაზებული კონსტიტუციის მისაღებად. საბოლოოდ, იმისთვის, რომ ეს კონსტიტუცია ნამდვილად შექმნილიყო ამერიკელი ერის ჭეშმარიტ „დიად

ქარტიად", საჭირო შეიქნა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში უმძიმესი სამოქალაქო ომის გადატანა ლინკოლნის ხელმძღვანელობით, ომისა – კონსტიტუციურად რევოლუციურის. ამ თემაზე მეტს ვერას ვიტყვი აქ, მაგრამ, ვფიქრობ, თქმულიდანაც ნათელი უნდა იყოს პრინციპული სხვაობა ამერიკული ფედერალიზმსა და „ქართული ფედერალიზმის" კულტურულ-ისტორიულ წინამძღვრებს შორის. ამგვარადვე, სულ სხვა ტრადიციები განსაზღვრავენ გერმანულ, შვეიცარულ, ავსტრიულ, ბელგიურ, ესპანურ და ა.შ ფედერალიზმებს, რომელთა განხილვისთვის ამ წერილში არც დროა და არც ადგილი. აღვნიშნავ, მხოლოდ, რომ ამ ფედერალიზმებს ასევე ღრმა ისტორიულ-კულტურული საფუძველი აქვს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო იმ „წინამძღვრებთან", ჩვენებური „ფედერალისტები" (თუ „რეგიონალისტები") რომ ეძებენ საქართველოში. გვითითებენ გვიან ფეოდალურ საქართველოს, მის ფეოდალურ დაქუცმაცებულობას სამეფო სამთავროებად და გვარწმუნებენ, რომ ეს „ტრადიცია" გვკარნახობს ქვეყნის ფედერალურ მოწყობას. როდესაც ისეთი დიდი გერმანელები, როგორიც იყვნენ გოეთე, ნიბური და სხვანი, გამოდიოდნენ გერმანიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების წინააღმდეგ, მათ, სხვათა შორის, არგუმენტად მოჰყავდათ ის უდიდესი კულტურული მიღწევები, რომლებიც ჰქონდა გერმანელ ერს, ამ მისი მრავალსაუკუნოვანი დანაწევრებულობის მანძილზე: დიდი სავაჭრო თუ საუნივერსიტეტო ცენტრები, განვითარებული ქალაქები, ლუთერი, კეპლერი, დიურერი, ბახი, კანტი, გოეთე... – ყველა ესენი (და კიდევ რამდენი!) ამ სახელმწიფოებრივ ერთიანობას მოკლებული გერმანიის შვილები იყვნენ. საინტერესოა, რა კულტურულ აყვავებას ხედავენ ჩვენი „ფედერალისტები" გვიან ფეოდალური საქართველოს პირობებში? განა აშკარა არაა, რომ ის ექსტრაორდინალური პიროვნებები, რომლებიც ამ პერიოდის განმავლობაში მაინც ევლინებოდნენ ხოლმე ჩვენს ქვეყანას, კიდევ უფრო უსვამენ ხაზს იმ კულტურულ სიდუხჭირეს, რომელშიც ჩაცვენილი იყო მაშინდელი ქართველობა და რომლის დაძლევასაც, მის წარმომშობ ამ პირობებთან ერთად, სწირავდნენ თავის მთელ ენერგიას? და სწორედ ამ შავბნელი ეპოქის „ტრადიციებია" ის ნიადაგი, რომელზეც უნდა აშენდეს „პროგრესული" ფედერალური სისტემა საქართველოში?

თქვენი აზრით, რა ადგილი უკავია საქართველოს „ნატო-რუსეთ-საქართველო“ — სამკუთხედში, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ურთიერთობა თითოეულ მათგანთან?

საქართველოს ადგილს იმ პიკანტურ სამკუთხედში თქვენ რომ გამოხაზეთ, ფიგურალურად ასე განვსაზღვრავდი: საქართველო არის ნესტან-დარეჯანი, რომელიც დატყვევებული ჰყავს ქაჯეთს (რუსებს), ხოლო ნატო... ვინ იცის, იქნებ ტარიელად გამოდგეს! ყოველ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ნესტანმა ხმა მიაწვდინოს ტარიელს, რაც, ვგონებ, მოხდა კიდეც. თუ ვისი წყალობით მოხდა ეს, ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს, და მეც ამ ფაქტს სიამოვნებით ვადასტურებ.

საქართველოსთვის სასიცოცხლო აუცილებლობად მიმაჩნია რუსეთის ორბიტიდან გამოსვლა, რაც თავისთავად გულისხმობს მის დამკვიდრებას ევროპაში, სწორედ ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ საფარველქვეშ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საქართველო-რუსეთის ნორმალურ ურთიერთობებზე საუბარი, – ურთიერთობებზე, რომლებიც დამყარებული უნდა იყვნენ მშვიდობიანი მეზობლობის, ურთიერთმომგებიანი ეკონომიკური კავშირების, ერთმანეთის საქმეებში სრული ჩაურევლობის პრინციპებზე, ხოლო რაც შეეხება ნატოს და რუსეთის ურთიერთობას, აჯობებდა, ისინი პირისპირ დაგვეტოვებინა: ჩვენს ჩარევას ეს ურთიერთობები არ საჭიროებენ. მთავარია, საქართველოს ჰქონდეს საკუთარი პოზიცია ნატოსთან ურთიერთობაში, როგორც სუვერენულ მხარეს. ხოლო გვმართებს დიდი სიფხიზლე რუსეთის მიმართ, რადგან სულაც არ არის გამორიცხული ახალი პროვოკაციები ზოგიერთ რეგიონში, რისთვისაც ყოველნაირად უნდა ვიყოთ მზად, პირველყოვლისა, პოლიტიკური თვალსაზრისით. საქართველოსთვის პრეზიდენტის ვიზიტმა და წარმოთქმულმა სიტყვამ აზერბაიჯანში შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ ამ მხრივ მთლად ცუდად არ უნდა იყოს საქმე, მაგრამ ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, და პოლიტიკური სიფხიზლეც ამიტომ ვახსენე. [...]

როგორ ხედავთ თქვენს პარტიას საქართველოს შიდა პოლიტიკურ სპექტრში?

დღეს დიდ მოდაშია „ცენტრისტობა” („მემარჯვენე” და „მემარცხენე”) და არ მეგულება პარტია, რომელიც „ცენტრში” არ ათავსებდეს თავის თავს („მემარჯვენესა” თუ „მემარცხენეში” გემოვნებისდა მიხედვით). ამიტომ ამ კითხვაზე პასუხს თავს ავარი-

დებ. პირადად მე, მართალი მოგახსენოთ, ჩვენი პარტიის პოლიტიკურ სპექტრში ადგილის განსაზღვრაზე ფიქრით თავს არ ვიტკივებ, მით უმეტეს, რომ ხეირიანად არ ვიცი, არსებობს კი ეს „პოლიტიკური სპექტრი" ჩვენს სინამდვილეში, თუ „სპექტრობანას" თამაშთან გვაქვს საქმე. ჩვენი თავის სატკივარი სულ სხვაა: რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოში ყოფნის საკითხი და, რაც მთავარია, ქვეყნის ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის საკითხი, ესე იგი საკითხები, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ კიდეც ჩვენს პოზიციას ხელისუფლების მიმართ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ დღესდღეობით უმთავრესი სწორედ ამ საკითხების მიმართ პრინციპული თვითგამორკვევაა, რომელმაც უნდა გვაჩვენოს კიდეც, თუ პოლიტიკურად ვინ ვინაა სინამდვილეში, და არა თვითმარქვია „მემარჯვენე" თუ „მემარცხენე" „ცენტრისტობა" ქვეყნის არეული ცხოვრების შესაბამისად მღვრიე პოლიტიკურ სპექტრში.

ალექსანდრე თარხნიშვილი,
„დილის გაზეთი", №38, 28 თებერვალი, 1997

„ეს ასე უბრალოდ არ ჩაივლის“ ანუ სსრ კავშირი ვერ აღდგება, მაგრამ...

რუსეთის სახელმწიფო დუმის მიერ 15 მარტის გადაწყვეტილებას 1991 წლის ბელოვეჟის ხელშეკრულების დენონსაციის თაობაზე პრეზიდენტ ბორის ელცინის მხრიდან უფრო „კულტურული“ პოლიტიკის განხორციელება მოჰყვა, რაც რუსეთ – ბელორუსიის შეთანხმებასა და ოთხთა კავშირის შექმნაში გამოიხატება.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ უკვე მკაფიოდ გამოხატა თავისი სიმპატიები ე.წ. გაღრმავებული ინტეგრაციისადმი. [...]

როგორ შეაფასებდით ბელორუსია – რუსეთის შეთანხმებას. ნიშნავს თუ არა ეს, რომ იწყება სსრ კავშირის აღდგენა ახალი ფორმით? როგორი იქნება საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება აღნიშნული პროცესებისადმი? – ამ შეკითხვით მივმართეთ საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს. გთავაზობთ მათ კომენტარებს.

მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე:

ჩემი აზრით, საბჭოთა კავშირის აღდგენა არარეალურია. დღეს სხვანაირ მსოფლიოში ვცხოვრობთ. იმპერიალიზმის ხანა უკვე გადასულია. ვინც ამჟამად იმპერიალიზმის პოზიციას დაადგება, ის ამით თავის თავს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს. პირადად მე მცდელობები რუსეთის იმპერიის აღდგენისა მიმაჩნია რუსული პოლიტიკური აზრის ტრადიციული სენის მორიგ გამოვლინებად. ეს არის, ვიტყოდი, ტიპოლოგიური (და არა „ქრონოლოგიური“) ჩამორჩენილობა ეპოქის პოლიტიკური აზრისა და საერთოდ, პროგრესული მსოფლმხედველობისაგან. ტიპოლოგიურს იმიტომ ვამბობ, რომ თუ რუსეთის ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, ისინი ქრონიკულად ჩამორჩენილები არიან. ყოველთვის რაღაც იმპერიულ იდეებს ეპოტინებიან. თავისთავად, რუსი პოლიტიკოსები თითქოს ინფორმირებული უნდა იყვნენ იმის შესახებ, თუ რა ხდება მსოფლიოში, მაგრამ როგორც ჩანს, შინაგანი იმპულსები მათ ამ ინფორმირებულობას პრაქტიკულ მსვლელობას არ ანიჭებს. რუსები, ასე ვთქვათ, თავიანთი პოლიტიკური ინსტიქტების ამარა რჩებიან. ეს მათი უბედურებაა, თუმცა, ამავე დროს, გარკვეულ ზიანს აყენებს მეზობელ ქვეყნებსაც.

რაც შეეხება ბელორუსიას, მისი ნაბიჯი იზოლირებულად რომ განვიხილოთ, შეიძლება ჩავთვალოთ სსრკ-ს აღდგენის მცდელობად. მაგრამ არა მგონია, აღნიშნულმა ნაბიჯმა კარგი შედეგი გამოიღოს ამ პოლიტიკის ავტორებისათვის. ეს ასე უბრალოდ არ ჩაივლის. მით უმეტეს, უნდა გავითვალისწინოთ ბელორუსიის გეოპოლიტიკური მდებარეობა: იგი შეადგენს იმ ქვეყნების რიგს (ბალტიის რესპუბლიკები, თვით ბელორუსია, უკრაინა, მოლდავეთი), რომლებიც ევროპისთვის ერთგვარ „სანიტარულ“ კედელს ქმნიან ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ვფიქრობ, ბელორუსიის ამგვარი „საპროგრამო“ და სტრატეგიული ადგილი ხსენებული ქვეყნების სისტემაში თავისას გაიტანს და, ადრე თუ გვიან, იგი მაინც ჩადგება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიგში. რასაკვირველია, ამ ხალხს თავისი ტრაგედია აქვს – ეროვნულად გაჩანაგებულნი არიან სწორედ რუსეთის წყალობით. ისინი თავიანთი კულტურული წარსულით ყველაზე უფრო მეტად ევროპასთან არიან დაკავშირებულნი. უბრალოდ, შეგახსენებთ: როცა ამბობენ, ლიტვის სამთავროში რუსულად ლაპარაკობდნენო, ეს ველიკორუსული რუსული კი არ იყო, არამედ – ბელორუსული. ასე რომ, ამ ხალხს მნიშვნელოვანი ისტორიული წარსული აქვს, რომელიც სახით ევროპისკენ არის მიქცეული. უეჭველია, დროთა განმავლობაში აქ გარკვეული ძალები გამოცოცხლდებიან, ისტორია და კულტურული პროგრესი მაინც თავისას გაიტანს

[...]

თეონა ბოლქვაძე,
„კრიმინალი და ეკონომიკა“, № 1, 8 აპრილი, 1997

მოქალაქეთა კავშირი — პოლიტიკური ვინეგრეტი

[...]

დსთ-ს ქვეყნების მოსკოვის სამიტის შემდეგ თითქოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში გარკვეული წინსვლის იმედი გაჩნდა. გავიდა ის ერთი თვე, რომლის განმავლობაშიც სამშვიდობო ძალებს მთელი გალის რაიონის გაკონტროლების გეგმა უნდა შეედგინათ. პრაქტიკულად კი არაფერი შეცვლილა. რას შეიძლება ველოდოთ 31 ივლისამდე რუსეთისა და საქართველოს მთავრობის მხრიდან?

ამგვარ კითხვაზე მე ხშირად გამიცია პასუხი და მართალი მოგახსენოთ, მათი ერთგვაროვნების გამო უკვე გარკვეულ უხერხულობასაც განვიცდი. რას უნდა ველოდეთ? რასაკვირველია, არაფერს. თანაც, ეს უკეთეს შემთხვევაში. იმედი, რომ რუსეთის დახმარებით მოხდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ის ილუზიაა, რომელიც პოლიტიკოსისთვის დანაშაულის ტოლფასია. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ტერიტორიულად მთლიანი და პოლიტიკურად სტაბილური საქართველოს არსებობა რუსეთის ინტერესებში არ შედის. აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩივილს იმის თაობაზე, თითქოს რუსეთს თავისი ინტერესები არ ესმის. ერთხელ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, არ შეიძლება მოთხოვო მგელს, რომ მას ბატკნის ინტერესები ესმოდეს: მგელი მგელია, ბატკანი — ბატკანი, ერთიც და მეორეც ღვთის გაჩენილია და არსებობენ. ასე რომ, აქ არ არის ლაპარაკი იმის შესახებ, ვინ არის ცუდი, ვინ — კარგი. საუბარი ეხება გარკვეული პოლიტიკური ინტერესების არსებობას და ამას ჯეროვანი ანგარიში უნდა გავუწიოთ. მოთხოვნა იმისა, რომ რუსეთმა იაზროვნოს ისე, როგორც აზროვნებენ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მთავრობები, ტოლფასია მოთხოვნისა, რომ რუსეთი რუსეთი არ იყოს, მისი დღევანდელი სახით (მომავალში როგორი იქნება რუსეთი, ეს უკვე სხვა საკითხია).

[...]

მიმომხილველები უკვე სერიოზულად საუბრობენ განსხვავებული დაჯგუფებების არსებობაზე მმართველ პარტიაში. რამდენად რეალურია ამ დაჯგუფებების არსებობა?

ამ კითხვაზე ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ ჩემი აზრი. მე ძალიან ვერიდები ჩემი დასკვნების გამოტანას იმ ხმებიდან, რომლებიც ცირკულირებენ საზოგადოებაში და ჩემამდეც აღწევენ, მაგრამ თავისთავად უცნაური იქნებოდა, რომ ისეთ პოლიტიკურ ვინეგრეტში, როგორიცაა თავისი შემადგენლობით „მოქალაქეთა კავშირი“, ბოლოს და ბოლოს დაჯგუფებები არ შექმნილიყო.

მეც მგონია, რომ „მოქალაქეთა კავშირში“ მართლაც უკვე უნდა არსებობდეს „ინტერესის ჯგუფები“, რომელსაც, სამწუხაროდ, პოლიტიკურად კონსტრუქციულ ძალად ვერ მივიჩნევ. თავისთავად პარტიაში ფრაქციების არსებობა ბუნებრივიცაა და მისასალმებელიც, მაგრამ ვეჭვობ, რომ ის ფრაქციები, რომლებიც შესაძლებელია არსებობდეს „მოქალაქეთა კავშირში“, „პოლიტიკურის“ (ამ სიტყვის სერიოზული გაგებით) სახელს იმსახურებდნენ. რაგინდ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დღეს საქართველოში პარტიული სპექტრი არსებითად არ არსებობს. ისე წარიმართა ქვეყნის პოლიტიკური განვითარება, რომ მრავალპარტიული სისტემა ჩანასახშივე დეგრადაციის გზას დაადგა. [...]

თეა მათეშვილი,
„დილის გაზეთი“, №87, 8 მაისი, 1997

ბანდიტებთან ეროვნულ შერიგებაზე ლაპარაკი არ შეიძლება

მახსენდება დიდი ქართველის მიხეილ წერეთლის საუკუნის დასაწყისში ნათქვამი, – გარეშე სატანა შინაური იდიოტების ხელით მოქმედებსო. ვგულისხმობ იმ ქართველებს, ვინც 9 თებერვლისა და 19 თებერვლის ტერაქტები დაგეგმეს. ნათელია, რომ ერთი და იგივე დაჯგუფება მოქმედებს. ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი ამ საქმისა არის რუსეთი. მინდა მივულოცო საქართველოს, პირადად ბატონ პრეზიდენტს, რომ ცხრა თებერვალს პოლიტიკურ კატასტროფას გადავურჩით. 9 თებერვალიც და ის, რაც დღეს ზუგდიდში ხდება, საკმაოდ ფართოდ ჩაფიქრებული ღონისძიებაა. ეს ძალები მუშაობენ, რათა საქართველოში ნავთობსადენის საქმე ჩაშალონ. ნავთობსადენი კი საქართველოს არა მარტო ეკონომიკური აღმავლობის საწინდარი, არამედ პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიცაა.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელისუფლება, გაერო, უცხო სახელმწიფოები შეძლებენ ინციდენტის მოგვარებას. ბანდიტები კი შესაფერისად უნდა დაისაჯონ. არ მესმის, ბანდიტებთან რომელ ეროვნულ შერიგებაზე შეიძლება საუბარი.

„საქართველოს რესპუბლიკა“, №44, 22. 02. 1998

„ხელისუფლება პოლიტიკური ცუღლუტობით ცდილობს პარლამენტის გარეთ დარჩენილი პარტიების ასპარეზიდან ჩამოცილებას“

ბატონო მიხეილ, რა პირობებშია დღეს პარლამენტ გარეშე პარტიები, რამდენად ახერხებენ ისინი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას? […]

ეკონომიკური სიდუხჭირე და სხვა ფაქტორები, მათ შორის 1991-1992 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ საზოგადოების ნაწილის კრიმინალიზაცია და კორუმპირებულობა, რიგ პარტიებს და მათ შორის ჩვენ, არ გვაძლევს პოლიტიკური პრინციპების განხორციელების საშუალებას. დღეს ზოგიერთი პარტიის ე.წ. გაძლიერება სულაც არ არის მათი პოლიტიკური იდეებისა თუ პლატფორმის გაძლიერების შედეგი. ამას სხვა მიზეზები აქვს და ამ მიზეზებს ჩვენს გასაძლიერებელ ინსტრუმენტად ვერ გამოვიყენებთ.

რას გვეტყოდით „პარტიების” შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე?

ეს დრაკონული კანონია. საერთოდ ჩვენთან კანონშემოქმედებაში ასეთი სტილი დამყარდა: კანონებს ქმნიან იმის მიხედვით, თუ რა აწყობს ხელისუფლებას. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა; სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობიდან ამოკრეფილი მუხლებით და, რა თქმა უნდა, თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით, მიიღეს ეს კანონი. შეიძლება ოთხი ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციიდან ისეთი საკანონმდებლო კომბინაცია (კონსტიტუცია ან კანონი) შექმნა, რომელიც ცენტრალური აფრიკის დესპოტურ სახელმწიფოსაც კი შეშურდეს. ჩვენს ხელისუფალთ ხშირად კუდი ყავარზე აქვთ გადებული და აშშ-ის ქვევით არ ჩამოდიან ხოლმე. მაგრამ თუ დასჭირდებათ გეტყვიან: – პოსტსაბჭოთა სივრცეში (მაგალითად, უზბეკეთში) ასეთი კანონია მიღებულიო. მე ხმამაღლა ვამბობ: ეს არის კანონმდებლობა პოლიტიკური ცუღლუტობის სამსახურში. ეს ისეთი ცუღლუტობაა, რომელსაც წესიერ ქვეყანაში არ კადრულობენ ხოლმე.

„პარტიების შესახებ” კანონის შემთხვევაშიც ასე დაყნოსეს და დაძებნეს მუხლები სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებში და შედეგად მიიღეს ისეთი კანონი, რომელიც ზღუდავს პარტიე-

ბის თავისუფალ წარმოქმნას და მათ თავისუფალსავე გაქრობას. კერძოდ, მიღებული კანონის თანახმად, პარტია რეგისტრაციაში რომ გატარდეს, მას 1000 წევრი მაინც უნდა ჰყავდეს.

პარტიების ისტორიაში ცნობილია 25-კაციანი პარტიებიც; მაგალითად, გასულ საუკუნეში, გერმანიაში შეიქმნა ერთი ასეთი პარტია (პარტიის წევრები იყვნენ ლეოპოლდ რანკე – ისტორიოგრაფიის მამა და სავინიე – ცნობილი იურისტი), მასში ისეთი ხალხი იყო გაერთიანებული, რომ მისი თითო წევრი გადაწონიდა ჩვენს მეცნიერებათა აკადემიას. ახლა წარმოვიდგინოთ, რომელი უფრო პარტიაა, ის 25-კაციანი, სადაც რანკეა გაწევრიანებული, თუ ჩვენი პარტია (სხვას არ ვასახელებ), რომელმაც რეგისტრაციას 1500-კაციანი სია ჩააბარა და რომლის წევრიც მიხეილ ნანეიშვილია? ამიტომ რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა. ხელისუფლებამ მცირე პარტიებსაც უნდა მისცეს არსებობის საშუალება, თუ, რა თქმა უნდა, ისინი ტოტალიტარიზმს ან სხვა ამდაგვარს არ ქადაგებენ. თუმცა, ჩვენი ხელისუფლება კომუნისტებს ითმენს [...]

გიორგი კახიძე,
„კავკასიონი", №44, 24 მარტი, 1998

რაც პრეზიდენტის ენაზე სიმწიფეა, ჩემთვის სიდამპლეა

[...] **შეგახსენებთ, 5 წლის წინანდელ თქვენს მწვავე რეაგირებას ვახტანგ გოგუაძის გამოსვლაზე „ოსტანკინოს“ ტელევიზიით, როდესაც საქართველოში მან პირველმა განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა არის დსთ-ში შესვლა. მაშინ თქვენ სპიკერის გადადგომა მოითხოვეთ... ჩვენ დღესაც დსთ-ში ვიმყოფებით და ხელისუფლება ამბობს, რომ ჯერ არც ამ გაერთიანებიდან გამოსვლა არ შეიძლება და არც, ე.წ. სამშვიდობო ძალების გაყვანა. არადა, 5 წლის წინ თუ გოგუაძის გადაყენება მოითხოვეთ, დღეს რა მოსაზრებით არ იზიარებთ პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნას?**

გოგუაძისა და შევარდნაძის გადადგომას შორის განსხვავებაა.

რა თქმა უნდა, პიროვნულ ფაქტორს მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თქვენ გადადგომა მოითხოვეთ დსთ-ში შესვლის გამო და რა მნიშვნელობა აქვს, იქით ვინ წაგვიყვანს?

[...] როგორც თქვენ აღნიშნეთ, პიროვნულ ფაქტორს აქვს მნიშვნელობა. მაქსიმუმი, რის გაკეთებაც იმ პირობებში შეგვეძლო და კიდევაც გავაკეთეთ, გადავედით ოპოზიციაში. შევარდნაძის ფაქტორი მაინც განსხვავდება სხვა პოლიტიკოსებისგან, მით უმეტეს ისეთისა, როგორიც არის გოგუაძის ფენომენი.

გარკვეულად, მართლაც, ტრაგიკომიკურ სიტუაციაში ვიმყოფებით. დიდი პოლიტიკოსობა არ სჭირდება იმის დანახვას, რომ რუსეთის პოლიტიკა იქითაა მიმართული, რომ ჩვენი ხელისუფლების, კერძოდ, პრეზიდენტის მხრიდან გამოიწვიოს რუსეთის ინტერესების შესაბამისი ქმედებები [...] რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ მას რუსეთი გულზე ეხატებოდეს. ეს არის ამ ადამიანის პოლიტიკური სტილი, რომელიც მუშაობს მაქსიმალურ დაზღვევაზე. [...]

ბ-ნო მიხეილ, არც თქვენი ლოგიკა მესმის და არც ჩვენი ხელისუფლებისა, თუკი ის მართლაც ასე იქცევა...

როგორც გითხარით, პრეზიდენტს თავისი პოლიტიკური სტილი აქვს: მაქსიმალური დაზღვევა. ის ხშირად ამბობს, პრობლემა ჯერ არ მომწიფებულაო. რაც მის ენაზე სიმწიფეს ნიშნავს, ჩემს ენაზე ნიშნავს დალპობას. პრობლემა რომ დალპება, მერე, რაღაცნაირად, გადაჭრის.

როგორ გადაჭრის? მაგალითად, ტერიტორიული პრობლემის დალპობად რას მიიჩნევთ?

განა უკვე არ ლპება? ამ პრობლემასთან დაკავშირებით ხალხი დემორალიზებულია, ღრმა დეპრესიაშია, არის მსხვერპლი, ათასგვარი დაპირებაა გაცემული, ხალხი დაიღალა, აბა თვითონ პრობლემა როგორ უნდა დალპეს?! მაგრამ რამდენიც არ უნდა ვაკრიტიკოთ ჩვენი პრეზიდენტი, ენა არ მომიბრუნდება იმის სათქმელად, რომ იგი შინაგანად რუსული ორიენტაციის და რუსეთის კაცია. ცნობილი ფაქტია, ქართველ პოლიტიკოსთაგან თუ ვინმეს ჰყავს მტერი რუსეთის სახით, ეს არის შევარდნაძე.

ბ-ნო მიხეილ, რა მნიშვნელობა აქვს, იგი შეგნებულად იქნება რუსეთის მეგობარი თუ თავისდაუნებურად განახორციელებს მის გეგმებს?

გზა, რომლითაც მიდის პრეზიდენტი, დასავლეთისკენაა მიმართული, მაგრამ ამ გზაზე იგი ძალიან უხეშ შეცდომებს უშვებს. არავის ეპარება ეჭვი არც შევარდნაძის დასავლურ ორიენტაციაში და არც იმაში, რომ დასავლეთი დაინტერესებულია მისი პრეზიდენტობით. ეს ადამიანი არის დასავლეთის წარმომადგენელი არა მარტო საქართველოში, არამედ, მთლიანად ამ რეგიონში.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სტრატეგიული მიმართულება და ტაქტიკა. მე ტაქტიკას მხარს არ ვუჭერ და ამდენად არასწორად მიმაჩნია, ამ არასწორი ტაქტიკის გამოა, რომ ხშირად ბუნდოვანი ხდება თვითონ სტრატეგიული მიმართულება. მაგრამ ეს მიმართულება კი ფაქტია. ვიცით, როგორ ირეაგირა ამერიკამ, როდესაც თავს დაესხნენ შევარდნაძეს. არა მგონია, ასე მოქცეულიყო, თუნდაც, ელცინზე თავდასხმის შემთხვევაში. ამას უნდა გავუწიოთ ანგარიში.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს არჩევანი არც გვაქვს. რუსეთის ანალიტიკოსები და პროგნოზისტები წერენ, რომ რუსეთი მაშინ შეძლებს საქართველოში თავისი პოზიციების აღდგენას, როდესაც ხელისუფლების სათავეში აღარ იქნება შევარდნაძე. შეიძლება ამაზე თვითონაც იზრუნონ და მოაწყონ ტერორისტული თავდასხმა ან გალის მოვლენების მსგავსი რამ, რაც მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. რუსეთი ცდილობს ამ ანტირუსული განწყობით ისარგებლოს პრორუსული საქმისათვის.

ეს როგორ ხდება?

გვინდა არ გვინდა, ჩვენ გაგვდის-გამოგვდის რუსული აგენტურის ქარი. თითს არავის დავადებ, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენი ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ან შეგნებულად მუშაობს რუსეთზე, ან შეუგნებლად მისი პოლიტიკის ღრმა ინსტრუმენტია. ეს ანტირუსული და შევარდნაძისადმი ოპოზიციური განწყობა რუსეთს ძალიან კარგად შეუძლია გამოიყენოს იმისათვის, რომ დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, რომ ეს ხელისუფლება დაეცეს ქართული დროშისა და დიდი პატრიოტული ფრაზების ტკაცა-ტკუცში. ერთ დღესაც გამოვლინდება, რომ რომელიღაც ასეთი „პატრიოტი" თურმე ყოფილა რუსეთის აგენტი, ვიღაცა კიდევ პოლიტიკური სულელი, რომელიც რუსეთის ხელში სათამაშოა.[...] ერთი რამე ვიცი: ვინც დღეს შევარდნაძის გადაყენებას ითხოვს, ის აკეთებს რუსეთის საქმეს. წარმოიდგინეთ, მართლა რომ წავიდეს!

მაგრამ, გვინდა არ გვინდა, როცა იქნება, ხომ წავა?

კი ბატონო, მაგრამ რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევს კონსტიტუცია, ეს წასვლა, რაც შეიძლება, უნდა გადაიდოს. დღეს მძიმე სიტუაციაა და ესეც პრეზიდენტის ბრალია, რომ თავის პოლიტიკურ მემკვიდრეზე არ ზრუნავს.

მაპატიეთ, გამსახურდიას დროინდელი სიტუაცია მახსენდება, როდესაც ხელისუფლების წინააღმდეგ ყველა ხმისამომღები იყო კრემლის აგენტი, გამსახურდია კი შეუცვლელი. [...]

არაკორექტული შედარებაა. გამსახურდია თავის მომხრეებს გენიოსად მიაჩნდათ. მე შევარდნაძეს ვაკრიტიკებ და არ ვამბობ, რომ ის თუნდაც დამაკმაყოფილებელ პოლიტიკას ეწევა. ამაში პრინციპული სხვაობაა. მეორეც, გამსახურდიას დროს დასავლეთი პრინციპულად აცხადებდა: სანამ ეს კაცი ხელისუფლებაშია, თქვენკენ არ მოვიხედავთო. იმასაც ვხედავთ, რომ დასავლეთი უფრთხილდება შევარდნაძის პრეზიდენტობას. მე იმედი მაქვს არა შევარდნაძის, არამედ დასავლეთისა. თანაც არა იმიტომ, რომ დასავლეთს ძალიან უყვარს საქართველო, არამედ იმიტომ, რომ დასავლეთს საქართველო სჭირდება. ამ თვალსაზრისით შეუცვლელია დღეს შევარდნაძე? დიახ! [...] მაინც არის განსხვავება იმაში, კიბო მომკლავს თუ გრიპი. მართალია, სიკვდილი სიკვდილია, მაგრამ თუ გრიპი მჭირს, მორჩენის შანსი მაქვს. რუსეთი შევარდნაძეს თუ გადააგდებს, საქართველოს ვერ მოსპობს, მაგრამ მისი სახელმწიფოებრიობა კარგა ხნით დაიმარხება. საქართველო მაინც აღსდგება. მას ვერც შევარდნაძე მოერევა თავისი

შეცდომებით და ვერც რუსეთი თავისი ზრახვებით. მე ვიყურები მსოფლიო ისტორიული ტენდენციების მიმართულებით, რომელსაც საქართველოს დღევანდელ პირობებში, ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც სხვებზე უკეთ, ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი წარმოადგენს. მე ვუკვირდები იმ ოპოზიციას, რომელიც მოითხოვს მის გადადგომას და ყველა ეს ძალა ძალიან საეჭვოდ მიმაჩნია. [...] დასავლეთი აცხადებს, რომ მისთვის საქართველოს აქვს გეო-სტრატეგიული მნიშვნელობა, ე.ი. ჩვენ პრინციპულად გადარჩენილი ვართ. მაგრამ ხელისუფლებამ ამას ადექვატურად უნდა უპასუხოს. არ შეიძლება ქვეყანა იყოს ჩემოდანივით და ელოდოს, კარგი პატრონი დამეპატრონებაო. მე პრინციპულად ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და დანაშაულად მიმაჩნია შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა. თუმცა, ვერავითარ გარანტიას ვერ მივცემ ვერც საკუთარ თავს და ვერც სხვებს, საკითხის ეს პრინციპული გადაწყვეტა, თავის მთლიანობაში, რამდენად სასურველი იქნება ქართველი ერისთვის.

გთხოვთ, დააზუსტოთ...

თუ საქართველოს ფედერალიზაცია განხორციელდება, მივიჩნევ, რომ არავითარი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ მომხდარა და ქართველ ერს საშვილიშვილო თავსატეხი გაუჩნდა. [...]

არსებობს აზრი, პოლიტიკაში არაფერი ესაქმება ოპოზიციონერს, რომელიც ფიქრობს, რომ ხელისუფლების წასვლის შემთხვევაში, თვითონ მას არ შეუძლია მისი შეცვლა...

ვინც ასე ფიქრობს, მან ცუდად იცის პოლიტიკის ისტორია. ინგლისში რომ გადადგა დიდი (დღევანდელ ქართველ პოლიტიკოსებზე მოდიდო) პოლიტიკოსის, გლადსტონის მთავრობა და მეორე დიდ პოლიტიკოსს დიზრაელს შესთავაზეს მოსვლა, ოპოზიციამ განაცხადა, მზად არ ვართ, ხელისუფლებას ვერ ჩავიბარებთო. ოპოზიციონერობა ის კი არ არის, ხელისუფლების ცარიელ ადგილს ისე ეცე, როგორც მშიერი ტურა ხორცს, პოლიტიკურად უნდა იაზროვნო და როცა საჭიროა, ხელისუფლებასთან ითანამშრომლო, მიუხედავად კრიტიკისა. მიკვირს იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც მართლა გულწრფელად ცდებიან: რატომ არ ესმით ეს? მაგრამ მათ ან ისეთ საქმეს მოჰკიდეს ხელი, რაც არაა მათი საქმე, ან უარესი უნდა ვიფიქროთ.

ისევ და ისევ ხაზს ვუსვამ: რუსეთი ძალიან ეფექტიანად მოქმედებდა და მოქმედებს ნანეიშვილებისა და სხვა ქართველი პოლიტიკოსების წინააღმდეგ კი არა, საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, რაშიც (პარადოქსია) გარკვეულად ხელს უწყობს თვითონ პრეზიდენტის პოლიტიკა. თუ შესრულდება ოპოზიციის მოთხოვნა, რუსეთი მიაღწევს ისტორიულ გამარჯვებას და ისე ვერ ვნახავთ გაერთიანებულ საქართველოს, როგორც მე ვერ ვიხილავ რამზეს მეორეს. ამას უნდა დაუკვირდნენ. თუ უმეცრები არიან, თავი უნდა დაანებონ პოლიტიკას.

თქვენ ბრძანეთ, რომ დასავლეთის გზას ვადგავართ და დარწმუნებული არ ვარ, ქართველი ერისთვის რამდენად დადებითი იქნება ამ გზის ბოლოს გასვლა, თუნდაც, ფედერალიზაციის პრინციპიდან გამომდინარეო. პრეზიდენტი ხომ ამბობს, რომ საქართველოს მოწყობა ასიმეტრიული ფედერალიზმის პრინციპით განხორციელდება. მე მაინც არ მესმის თქვენი ლოგიკა, ბ-ნო მიხეილ, ანდაზისა არ იყოს, რა მნიშვნელობა აქვს, მგელი შემჭამს თუ მგლისფერი ტურა?

იმედი მაქვს, რომ მგლისფერ ტურას უფრო მოვერევით, ვიდრე მგელს... მეორეც, ფედერალიზმი პერსპექტივაა და ცხვირზე არ გვადევს. კიდევ ის მაიმედებს, რომ ჩვენს ხელისუფლებას ბევრი რამ უთქვამს, ბევრი დაპირება გაუცია (ქვეყნის შიგნით თუ გარეთ), რაც არ განხორციელებულა. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ტაქტიკური განცხადებები იყოს.[...]

ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ. ოპოზიცია თუ შევარდნაძეს გადააყენებს და თავისი „ბრძნული“ თავითა და „მტკიცე“ ხელით წარმართავს ქართველი ერის საჭეს, ის ტერიტორიულად როგორ მოაწყობს საქართველოს? ეს ფედერალიზაცია კი არა, უკეთეს შემთხვევაში, კონფედერაცია იქნება.

ასე რატომ ფიქრობთ?

იმიტომ რომ აჭარის ლიდერის ირგვლივ მყოფნი ამას პირდაპირ ამბობენ. ჩვენთან ძალიან ბევრი „ფედერალისტი“ გაჩნდა...

მოდით, კარტები გავხსნათ და ნუ ვამბობთ: ჩვენი კოლმურნეობის თავმჯდომარე, გვარს არ დავასახელებო...

[...] პირდაპირ ვამბობ: ყველა ის ძალა, რომელიც პოლიტიკურად ეფლირტავება და „ეარშიყება“ აჭარის ვაჟბატონს, საქართველოსთვის სახიფათო ძალად მიმაჩნია. ისინი ქვეყანას კი არ გააერთიანებენ, საერთოდ, დააქუცმაცებენ.

ფედერალიზმის გამო?

ფედერალიზმს კი არა, უარესს მოაწყობენ. ფედერალიზმით საქართველო კი არ დაიღუპება, თავსატეხი გაუჩნდება, ხოლო ისინი მაქსიმუმს გააკეთებენ საქართველოს მიწაში ჩასადებად. ეს ძალები: კომუნისტები, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები, აჭარის „ფაშა“, მისი მომხრე ქართული ოპოზიცია, ვითომ ერთმანეთს კბენენ, მაგრამ ერთ წერტილში ურტყამენ, მთავარი ის კი არაა, ისინი ერთმანეთს ესალმებიან თუ არა, ბანკეტებზე ერთად დაიარებიან თუ არა, საქმე ისაა, რომ ისინი ერთ საქმეს ემსახურებიან. ამ საქმეს რომ მათზე ჭკვიანი და გამოცდილი კოორდინატორი ჰყავს, ესეც ცხადია. გარეშე სატანა შინაური დეგენერატების ხელით მოქმედებსო, – მიხეილ წერეთელმა თქვა. გარეშე სატანა რუსეთია.

პარადოქსულ და სასაცილო სიტუაციაში ვართ – ამ სიტუაციას ვაკრიტიკებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ არ შეიძლება შევარდნაძე გადადგეს. დღეს ვიმყოფებით საომარ მდგომარეობაში, როდესაც უნდა ხდებოდეს პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია. კოალიცია უნდა იქმნებოდეს და მისი ვერ მოწყობაც ხელისუფლების ბრალია. მაგრამ ჩვენი ხელისუფლება რაც არ უნდა შეცდომებს უშვებდეს, მე თუ ჩემი თავი უფრო ჭკვიანად მიმაჩნია, გავაკრიტიკებ, მაგრამ ფეხს არ დავუდებ არა იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება მიყვარს, არამედ კარგად ვიცი, რომ მისი გადავარდნის შემთხვევაში, უარესები მოვლენ. ქართველების უბედურებაა, რომ ცუდსა და უარესს შორის გვაქვს არჩევანი. მე ნაკლებად ცუდი მაწყობს.

დალი ჩიკვაიძე,
„დრო“, № 33 (126), 22-24, ივნისი, 1998

აჭარაში ისევეა დემოკრატია, როგორც არქტიკაში პალმა

(ინტერვიუ ლიბერალურ-დემოკრატიული
პარტიის თავმჯდომარესთან)

[...] **კონკრეტულად რას გულისხმობთ ასლან აბაშიძის ზურგსუკან რუსეთის დგომაში?**

კონკრეტულად იმ ტონს, რა ტონითაც ლაპარაკობს ასლან აბაშიძე; იმას, თუ როგორ ამწვავებს საკამათო საკითხებს. არსებითად, ასლან აბაშიძე იქცევა, როგორც სუვერენული სახელმწიფოს წარმომადგენელი. რა ხანია, იგი საერთოდ არ ჩამოსულა თბილისში იმ მიზეზით, თითქოს რაღაცის ეშინია. ამას, ცხადია, სერიოზულად ვერავინ მიიღებს. ის იქცევა ისე, როგორც იქცევა კონფედერაციის (ფედერაციისაც კი არა) ერთ-ერთი წევრი. რა აძლევს მას ასეთ დაიმედებასა და სიმხნევეს? ცხადია ის, რომ აჭარაში რუსეთის ჯარი დგას. რუსები არ მალავენ და ამბობენ, რომ საქართველოში არსებობს წერტილები, რომლებსაც ავამოქმედებთ, თუ საქართველოდან გასვლა მოგვიწევსო. ერთ-ერთი ასეთი წერტილი, მე მგონი, აჭარაა. კიდევ სხვა წერტილების ჩამოთვლა შეიძლება.

მაგრამ რუსის ჯარი არა მხოლოდ აჭარაში, საქართველოს სხვა ადგილებშიც არის, განა ცენტრალურმა ხელისუფლებამ დააყენა ამ ჯარის გაყვანის საკითხი და აჭარა არ დაემორჩილა?

რუსეთის ჯარის აქ ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. საქართველო ამაზე ლაპარაკობს, მაგრამ აჭარა ხომ სპეციფიკური მხარეა. ის, რომ თბილისში არის რუსების პატარა ბაზა, საქართველოს იმ ტიპის საშიშროებას არ უქმნის, რასაც უქმნის რუსის სამხედრო ნაწილები აჭარაში. აჭარა ავტონომიაა, რომელიც პრაქტიკულად აცხადებს პრეტენზიას სუვერენიტეტზე, თუმცა, ხმამაღლა გაიძახის: ჩვენ საქართველოს განუყოფელი ნაწილი ვართ, ქართველები ვართ და ა.შ. ეს მომენტი (აჭარის იურიდიული სტატუსი, ამავე დროს, მისი ფაქტობრივი სტატუსი და იქ რუსის ჯარის ყოფნა) აჭარის პრობლემას სპეციფიკურს ხდის საქართველოს ისეთ წერტილთან შედარებით, როგორიცაა, ვთქვათ, ვაზიანში მდგომი რუსის ჯარის საკითხი.

რატომ აღიქმება ასეთ ტრაგედიად ბ-ნი ასლანის აქ ჩამოუსვლელობა? ბ-ნი პრეზიდენტი ხომ ჩადის იქ და როგორც თავად აღ-

ნიშნავს, ყოველთვის ჩავა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, მათ შორის, აჭარაშიც.

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო აბაშიძე ადგილობრივი ხელისუფალია. პრეზიდენტი კი არ უნდა ეახლებოდეს თავის ხელქვეითს, არამედ – ის უნდა ჩამოდიოდეს აქ. იგი საერთოდ არ ჩამოდის, ამბობს, არ ჩამოვალო. ახლა, პატარა კრიზისი შეიქმნა პარლამენტში და განაცხადა, ჩვენს დეპუტატებს გამოვიწვევთო. არცერთ ავტონომიას ასეთი უფლება არ აქვს. საქართველოს პარლამენტი არის საერთო ეროვნული დაწესებულება და იქ ავტონომიიდან წასული დეპუტატები იმავე უფლებებითა და პასუხისმგებლობით იღებენ მონაწილეობას, როგორც ნებისმიერი სხვა რაიონიდან ჩამოსული დეპუტატები. სწორედ ის, რომ პრეზიდენტს უხდება ჩასვლა, თვითონ აბაშიძე კი არ ჩამოდის, არანორმალურ ურთიერთობაზე მეტყველებს. [...]

... ძალიან კარგად ვიცით, რომ იქ ისე არაა დემოკრატია, როგორც არქტიკაში – პალმა. აჭარაში დამყარებულია ჩვეულებრივი ადგილობრივი დიქტატურა, [...] იქაური ლიდერის ერთპიროვნული ბატონობა. [...] აჭარაში [...] თუ არჩევნები ჩატარდება მართლა დემოკრატიულად და არა – ტერორის ქვეშ, დარწმუნებული ვარ, სიტუაცია გამოიცვლება და არა მგონია, ამჟამინდელი ხელისუფლება ისევ სათავეში დარჩეს.

დალი ჩიკვაიძე,
„დრო“, №18, 29. 04. – 01. 05. 1998

„მმართველი პარტიის გვერდით რომ ვდგავარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასზე ფეხით ვარ მიბმული“

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია და მისი ხელმძღვანელი მიხეილ ნანეიშვილი არსებულ ხელისუფლებას ოპოზიციაში მას შემდეგ ჩაუდგა, როცა საქართველოს კონსტიტუციის საკითხი იხილებოდა. [...] ლიბერალ-დემოკრატები პრინციპული წინააღმდეგნი არიან საქართველოს ფედერალიზაციის: „გინდა სიმეტრიული დაარქვი და გინდა ასიმეტრიული, რადგან სიმეტრიულად დამჩეხავ თუ ასიმეტრიულად, ამას არა აქვს მნიშვნელობა“.

ბატონ მიხეილ ნანეიშვილს საკმაო ხანი ვეძებდით პარლამენტში, რომ არ ჩანდა, არდადეგებს დავაბრალეთ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ იგი ავად იყო და ფიზიკურად არ შეეძლო პარლამენტში გამოჩენა.

ბატონო მიხეილ, თქვენ და თქვენი პარტია ადრე ხელისუფლების ოპოზიციად ითვლებოდით, ახლა კი სწორედ მმართველი პარტიის სიებით აღმოჩნდით პარლამენტში, რატომ?

[...] მმართველმა პარტიამ თვითონ გამოიჩინა ასეთი პოლიტიკური გონიერება, ტაქტი და მოგვმართა ჩვენ, რათა ერთად გამოვსულიყავით სიებით. [...]. სხვანაირად, ბევრ საკითხზე ჩვენს სათქმელს არავინ გვათქმევინებდა, არც ტელევიზიით და არც პრესიდან. ეს რომ შეძლო, აუცილებლად უნდა იყო პარლამენტში.

მაინც რა გაქვთ მოქალაქეთა კავშირთან საერთო და რაში ეწინააღმდეგებით მას?

პრინციპული საკითხი ჩვენთვის იყო ფედერალიზაციის საკითხი და დსთ-ში გაერთიანება. მაგრამ დსთ-ს საკითხი ფედერალიზაციის საკითხთან შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან [...] დღეს იქნება თუ ხვალ, რუსული ბაზები გავა, დუსტს მოაყრი და გათავდება, ხოლო რაც შეეხება ფედერაციის საკითხს, [...] ეს ისეთი ოპერაციაა ერის სხეულზე, რომელსაც, რაც არ უნდა კერო, იარები მაინც დარჩება საუკუნოდ. [...]

თქვენ ბათუმური ალიანსი ახსენეთ. პირველი, რაც მათ პრეზიდენტის არჩევნების წინ მოითხოვეს, არის ის, რომ შეიცვალოს კონსტიტუცია და მასში დაფიქსირდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. რამდენად შესაძლებელია ამ სიტუაციაში კონსტიტუციის შეცვლა?

[...]

ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებისას ვთქვი, რომ ეს საქმე ცუდად დამთავრდებოდა, თუმცა დიდი შორსმჭვრეტელობა არ გამომიჩენია. ახლა აჭარამ რაღაც მოითხოვა, მაგრამ კოჭების გორება არ შეიძლება, რეალურად უნდა დაურტყა მაგიდაზე მუშტი. თუ ბოიკოტს გამოაცხადებენ, დაე ასე იყოს, მაგრამ ჭკვიანად იყვნენ, შეიძლება ცხოვრებამ გამოუცხადოს მათ საერთოდ ბოიკოტი.

რაც შეეხება ავტონომიას, ავტონომია თავისთავად უნიტარული სახელმწიფოს მახასიათებელია, ფედერალურის კი არა. რა ფორმის იქნება ავტონომია, ეს სხვა საკითხია. ასეთ ინსტრუქციებზე ხელისუფლებამ არ უნდა ირეაგიროს. აჭარის მმართველი რა ინტერესებს დებს, ეს გასაგებია, მას საქართველოს მთლიანობა ისე აინტერესებს, როგორც მე — რა ამინდია მარსზე.

ბატონო მიხეილ, საპრეზიდენტო არჩევნები გვიახლოვდება. საზოგადოებაში კი გაჩნდა აზრი ახლანდელი პრეზიდენტის უალტერნატივობის შესახებ. მე მესმის, ახლა თქვენ მმართველი პარტიის გვერდით დგახართ, მაგრამ ეს სხვა მომენტია. ამჯერად მე ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ხლმძღვანელის პოზიცია მაინტერესებს.

მმართველი პარტიის გვერდით რომ ვდგავარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასზე ფეხით მიბმული ვარ. მე უმრავლესობაში ვარ, მაგრამ დამოუკიდებელი დეპუტატი ვარ და არც ერთ ფრაქციაში არ გავერთიანებულვარ.

დღეს ქვეყანაში პოლიტიკური სპექტრის არარსებობასაც უჩივიან. რას იტყოდით ამის შესახებ?

ეს მართალია. საქართველოში პოლიტიკური სპექტრი არ არსებობს. ქვეყნის ინტელექტუალური დონე ხელისუფლებაში ყველა შტოზე აისახება – საკანონმდებლოზეც, აღმასრულებელზეც, სასამართლოზეც, მაგრამ განსაკუთრებით წმინდა სახით – მედიაზე. როდესაც მას ვუყურებ, ძალიან მძიმე დიაგნოზს ვუსვამ ჩვენს საზოგადოებას.

[...]

საერთოდ პოლიტიკაში უზნეობა ხომ ისჯება, უტვინობა – კიდევ უფრო მეტად. ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკაში უნდა მოხდეს სელექცია, უტვინოები უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან. ასეთი

თამაში კანონებით არასერიოზულია. ამაზე ყველა პოლიტიკურმა ძალამ უნდა აგოს პასუხი.

პოლიტიკურ კულუარებში საუბრობენ, რომ მმართველი პარტია უკვე ფიქრობს პოსტშევარდნაძისტული პერიოდისათვის საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად გახადონ. როგორია თქვენი მოსაზრება?

მე ამის მაგვარი რამ არ მსმენია. უნდა ითქვას, რომ მმართველ პარტიაში არის რამდენიმე ფრთა და ვინ რას ფიქრობს, არ ვიცი. მიმაჩნია, რომ ასეთ ცვლილებას სერიოზული მუშაობა სჭირდება, რადგან სახელმწიფო მმართველობის ფორმის განსაზღვრა ძალიან ძნელია.

და მაინც, მმართველობის რომელი ფორმის მომხრე ხართ?

მე ყოველთვის ვიყავი და ვრჩები საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრედ.

ბოლო ხანებში საკმაოდ დაიძაბა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, ჩვენი პრეზიდენტი მონაწილეობს სამიტში. თქვენ როგორ უყურებთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას და როგორი პერსპექტივები შეიძლება არსებობდეს?

რუსეთთან უნდა გვქონდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა, მაგრამ საქართველო აუცილებლად უნდა გამოვიდეს მისი ორბიტიდან. ჩვენ ჯერ კიდევ კარგად არ გვაქვს გაცნობიერებული, რა ლახვარი ჩასცა რუსეთის ბატონობამ საქართველოს. ჩვენ დასავლეთზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი სახე დავკარგოთ. [...]

ნათია ვერძეული,
„მეოთხე“, 28 იანვარი-4 თებერვალი, № 3, 2000

როცა გმობ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაგმო რეჟიმი, რომელმაც ძალადობამდე მიიყვანა ხალხი

საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება „1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“ შესაშური ერთსულოვნებით მიიღეს. წინააღმდეგი არავინ ყოფილა. მხოლოდ ორმა პარლამენტარმა თქვა უარი კენჭისყრაში მონაწილეობაზე პროტესტის ნიშნად: მიხეილ ნანეიშვილმა და გია ყარყარაშვილმა.

ბატონი მიხეილ ნანეიშვილი დღეს ჩვენი სტუმარია.

რით იყო თქვენი პროტესტი გამოწვეული?

იმით დავიწყებ, თუ რატომ წინააღმდეგ არ მივეცი ხმა. სიტყვით გამოსვლას ვაპირებდი, დარბაზში შესვლა ცოტათი შემაგვიანდა, ბატონი პრეზიდენტი უკვე ტრიბუნაზე იდგა. უმალ შევიგრძენი ატმოსფერო: იდილიური, ინტიმურიც კი. მივხვდი, რომ დარბაზი მზად არ იყო ჩემი კრიტიკული შენიშვნების მოსასმენად. ჩემი გამოსვლა შეიძლება უტაქტობადაც კი აღქმულიყო. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ პროტესტი არ გამომეხატა. ამიტომ საერთოდ არ მივიღე მონაწილეობა ხმის მიცემაში, დემონსტრატიულად ავდექი და დავტოვე დარბაზი.

ახლა მოტივების შესახებ. ხაზი მინდა გავუსვა, რომ, თავისთავად, ამ დოკუმენტის იდეა, რასაკვირველია, მისაღებია. არა მგონია, ნორმალური ადამიანი იმის წინააღმდეგი იყოს, რომ ქვეყანაში მტრობა და დაპირისპირება აღიკვეთოს. მაგრამ ეს დოკუმენტი, ამავე დროს, შეიძლება წარმოვიდგინოთ თაფლის სავსე კასრად, რომელშიც ორი კოვზი კუპრი ჩაასხეს... ორი დებულების სახით.

პირველი: „1991-92 წლების მოვლენების შედეგებით დამხობილ იქნა კანონიერი ხელისუფლება“.

უდავოა, ის ხელისუფლება წარმოშობით კანონიერი იყო, მაგრამ მთელი თავისი პოლიტიკური პრაქტიკით აშკარად კანონსაწინააღმდეგო, დემონსტრაციული მოქმედებებით, კონსტიტუციურ უფლებათა ძალიან უხეში დარღვევებით თავისი თავი კანონგარეშე დააყენა. ვინც კანონს არღვევს, მას კანონიც აღარ იცავს.

მეორე: „დაგმობილ იქნება ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა“.

რასაკვირველია, სამოქალაქო ომს და სისხლისღვრას ყველა უნდა ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ იმ კონტექსტში, სადაც ეს დებულება ზის, იგი ერთობ არაკორექტულად გამოიყურება. ჯერ ერთი, რამე თუ დასაგმობი იყო, უნდა დაეგმოთ ისეთი რეჟიმი, რომელიც თავისუფლებისა და სამართლიანობის ძიებაში ხალხს ნაჯახთან მიიყვანს.

თქვენი აზრით, როგორ უნდა ყოფილიყო ფორმულირებული პარლამენტის დადგენილების ეს დებულებები?

დადგენილების ტექსტის შემდგენლებს ჩემთვის რომ ეკითხათ, საშუალება რომ მქონოდა მათთვის მერჩია, ერთ ამბავს მოვუთხრობდი და არავითარი თავის მტვრევა არ დასჭირდებოდათ. ესპანეთში არსებობს მემორიალური სასაფლაო, რომელიც ფრანკოს რეჟიმის დროს შეიქმნა. იქ ორ პარალელურ რიგში დაკრძალული არიან სამოქალაქო ომში დაღუპულნი, ერთ რიგში ფლანგისტები, მეორეში – რესპუბლიკელები. ამ სასაფლაოს შექმნის იდეა ის არის, რომ ფლანგისტებიც, რესპუბლიკელებიც ესპანეთის ღვიძლი შვილები, ესპანეთის პატრიოტები იყვნენ. ისინი იმ ომში დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს ესპანეთისთვის, ესპანეთის მომავლისა და ბედნიერებისთვის, როგორც მათ ესმოდათ.

ამ დადგენილებაშიც უნდა თქმულიყო, რომ ყველა, ისინი ვინც დაიღუპა „იქიდან“ თუ „აქედან“, ჩვენი ძმები არიან, ამაზე კეთილშობილი იდეა რა შეიძლება იყოს, რა დასაბუთება, რა იურიდიული კვალიფიკაცია, თუ ისტორიული შეფასება სჭირდება? ამ პათოსით რომ ყოფილიყო დადგენილების ტექსტი გაჟღენთილი, იგი კაცთმოყვარული, ნამდვილად ეროვნული სულისკვეთების დოკუმენტი იქნებოდა. მიმაჩნია, რომ საპროტესტო ქმედებით სწორედ ეს „ესპანური“ იდეა დავიცავი. პრაქტიკულადაც ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჭრილობა მოშუშდეს და ალბათ მოშუშდება, ბოლოს და ბოლოს, ყველანი ქართველები ვართ, ერის სხეული და სული უნდა გამთლიანდეს.

ბატონო მიხეილ, უკვე გაჟღერდა აზრი: რაკი ვაღიარებთ, რომ 1991-92 წლებში ძალადობით დაემხო ლეგიტიმური ხელისუფლება, ესე იგი ვაღიარებთ, რომ მის ადგილას მოვიდა არალეგიტიმური ხელისუფლება და ეს დღემდე გრძელდება...

ძალადობის გზა თავისთავად დესტრუქციული გზაა, მაგრამ, როცა გმობ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაგმო რეჟიმი, რომელმაც ძალადობამდე მიიყვანა ხალხი.. რაც შეეხება არალეგიტიმუ-

რობას, როცა ხელისუფლება კანონიერი გზით მოდის, მან ეს კანონიერება უნდა დაიცვას კიდეც. იმ ხელისუფლებამ კი, როგორც უკვე გითხარით, თავისი თავი კანონგარეშე დააყენა. თავის დროზე ჰიტლერის მთავრობაც ლეგიტიმურად მოვიდა, მაგრამ შემდეგ მისგან რაც მივიღეთ, ვიცით.

[...]

საქართველოში უკვე რამდენი წელიწადია არსებობს ლეგიტიმური ხელისუფლება და ყოველგვარი ცდა ამ რეალობის გაუკუღმართებისა წაგებულთა პოპულისტური მცდელობაა, დაიკმაყოფილონ ჯერ კიდევ დაუმცხრალი ამბიციები.

ალექსანდრე ალექსიძე,
„საქართველოს რესპუბლიკა“, 23-24 აპრილი, №109-110, 2000

კონსტიტუციაზე პოლიტიკური ქულების დაგროვება პოლიტიკური მკრეხელობაა

(გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის წევრი)

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს მომავალი მთავრობის ახალი შემადგენლობა წარუდგინა დასამტკიცებლად. ედუარდ შევარდნაძეს სურს, ძველი მინისტრების 60-70 პროცენტს თანამდებობა შეუნარჩუნოს. ეს ცოტა უცნაურია: აღმასრულებელ ხელისუფლებას ნორმალურად მუშაობა რომ შეძლებოდა, ქვეყანა ნამდვილად არ იქნებოდა ასეთ სავალალო მდგომარეობაში. მაინც რატომ ვერ ელევა შევარდნაძე „ძველ მეგობრებს“?

თქვენი კითხვების პასუხი თავად შეკითხვაშივეა: თუ შევარდნაძეს ეს ადამიანები თავის პოლიტიკურ მეგობრებად მიაჩნია (იმედი მაქვს, საქართველოს პრეზიდენტი, ისევე, როგორც ყველა ნორმალური პოლიტიკოსი, ასხვავებს პირად და პოლიტიკურ მეგობრებს), მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მან ზოგიერთი პიროვნება, რომლებსაც მე კატასტროფულად ოდიოზურ პერსონებად მივიჩნევ, მაინც შეინარჩუნა მთავრობის ახალ შემადგენლობაში. [...]

რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ამ ეტაპზე საქართველოში პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის აღდგენა?

როდესაც საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე მიმდინარეობდა მუშაობა და ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის საკითხი წყდებოდა (მაშინ საკონსტიტუციო კომისიისა და სარედაქციო საბჭოს წევრი ვიყავი), საპრეზიდენტო რესპუბლიკის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი გახლდით.

ყველა სისტემას, საპარლამენტოსაც და საპრეზიდენტოსაც, რა თქმა უნდა, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. ერთ-ერთ ასეთ სისტემაზე აგებულ ქვეყანას თავისი არსებობის კრიზისულ პერიოდში ბევრი უხერხულობა შეხვდება ხოლმე შესაბამისი სისტემების სუსტი წერტილების გამო. ჩვენ რომ მმართველობის ფორმები ამის მიხედვით ვცვალოთ, არაკეთილგონივრული იქნება.

თუ დღეს საქართველოში არსებული საპრეზიდენტო სისტემა ნაკლოვანებებს ამჟღავნებს, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საჭიროა საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა; მერე, როდე-

საც მის სუსტ წერტილებს დავინახავთ – კვლავ საპრეზიდენტო მოდელზე დაბრუნება და ასე დაუსრულებლად.

საპრეზიდენტო მმართველობაში ყველაზე კარგად არის გამოხატული ხელისუფლების დაყოფისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპი. გარდა ამისა, საპრეზიდენტო სისტემის დროს ვიღაც აუცილებლად არის პასუხისმგებელი მთელი ადმინისტრაციის მუშაობაზე.

ახლა წარმოიდგინეთ მდგომარეობა, როდესაც მინისტრთა კაბინეტის შექმნაში ორი მხარე – პრეზიდენტი და პარლამენტი – მონაწილეობს. ამას აღმასრულებელ ხელისუფლებაში გარკვეული დუალიზმი შეაქვს, რაც არასასურველია. თუ ასეთი სისტემა შემოვიღეთ, იგი შეზღუდავს პრეზიდენტის უფლებამოსილებას და, შესაბამისად, მის პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, შეიქმნება სარბიელი არაჯანსაღი ინტრიგებისა და ჭიდილისათვის.

ერთი სიტყვით, ძლიერ პრეზიდენტს ძლიერი პრემიერ-მინისტრი დაასუსტებს?

ყოველ შემთხვევაში, დუალიზმი გარდაუვალი იქნება.

თუ პრემიერის პოსტი საქართველოში მაინც შემოიღეს, ეს, ალბათ, რიგ საკონსტიტუციო ცვლილებებს მოითხოვს. მაშინ ხომ არ გახდება მთლიანად გადასახედი და ხელახლა გადასაწერი ქვეყნის ძირითადი კანონი, რადგან ამ შემთხვევაში თვისობრივად ახალ მმართველობით სისტემას მივიღებთ?

ეს აუცილებლად დასჭირდება კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას, მისი მმართველობის ფორმას. საერთოდ, ძირითადი კანონის ეს „მონაკვეთი“ ყველაზე შემოქმედებითი ნაწილია.

[...] ამ საქმეს მეტი ცოდნა და პასუხისმგებლობის გრძნობა სჭირდება, ვიდრე ამ იდეის მატარებლებს აქვთ. კონსტიტუციაზე პოლიტიკური ქულების დაგროვება პოლიტიკური მკრეხელობაა: კონსტიტუცია იგივეა სახელმწიფოსათვის, რაც ეკლესიისთვის – საღვთო წერილი. ეს ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს.

გიორგი ანაიშვილი,
„დილის გაზეთი“, 17 მაისი, № 109, 2000

ვისზე ეჭვიანობს შევარდნაძე

[...] **მიხეილ ნანეიშვილი**:

არ არის მართალი, როცა ამბობენ, პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა. პოლიტიკა პირველ რიგში პრინციპების დაცვაა. პრინციპების დასაცავად, რა თქმა უნდა, შეგიძლია მიმართო გარკვეულ მანევრებს. მაგრამ პრინციპი მიჩქმალული ან საქვეყნოდ გახმაურებული არ უნდა იყოს. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ზოგჯერ წამოაყენებენ საღ პრინციპს, მაგრამ შემდეგ, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ეს პრინციპი უკანა პლანზე გადადის, და ვღებულობთ იმას, რასაც თვითონ ისინი გონივრულ კომპრომისს უწოდებენ.

მოქალაქეთა კავშირი 1995 წლიდან არსებობს, რა თქმა უნდა, იქ თავიდანვე შეიქმნა გარკვეული ჯგუფები, მაგრამ მათ შორის დაპირისპირებამ კულმინაციას სწორედ დღეს მიაღწია. სხვათა შორის, ამის მიზეზად შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო ვადას ასახელებენ.

შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო ვადა ჩვენი ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს ხუთწლეული ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ქვეყანას თავის პოლიტიკურ ცხოვრებაში ტეხილის გაკეთება მოუწევს, ანუ ხელისუფლება ვიღაცის ხელში უნდა გადავიდეს. ჩვენ კი ასეთი გამოცდილება ჯერ არ გვაქვს. ჩვენი მტრები ტუჩებს ილოკავენ, — ისინი მოელიან, რომ ხელისუფლების შეცვლის დროს შეიძლება ქვეყანაში გარკვეული კრიზისი დადგეს, გარკვეული ვაკუუმი შეიქმნას და, რა თქმა უნდა, ისინი „ბნელი ძალებით“ და აქ არსებული მეხუთე კოლონით არ დააყოვნებენ ამ ვაკუუმის შევსებას. [...]

ზოგიერთს ძალზე აშინებს მოქალაქეთა კავშირში მიმდინარე პროცესები და ფიქრობენ, ეს ისეთ დაპირისპირებაში გადაიზრდება, რომ შეიძლება 9 წლის წინანდელი ამბები მონაგონი იყოსო?

არა მგონია, მე ასეთ ანალოგიას ვერ გავაკეთებ. ესენი სხვადასხვა ტიპის მოვლენებია. ისე, მართალი რომ გითხრათ, ჩემი აზრით, განხეთქილების შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას ძალზე არასასურველი პროცესები ელოდება. კონფრონტაციის შემთხვევაში 9 წლის წინანდელი ამბავი არა, მაგრამ სხვა ვარიანტი გამეორდება — შეიქმნება ვაკუუმი, რომელსაც მეხუთე კოლონის ვირთხები შეავსებენ. [...]

გიორგი კვიტაშვილი,
„ახალი თაობა“, 13 ივნისი, №160, 2000

„მათი ადგილი, რბილად რომ ვთქვა, არ არის პარლამენტში“

მაშ ასე. საქართველოს პარლამენტი, უმძიმესი სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ფონზე, დროებით დაემშვიდობა ამომრჩეველს და „დამსახურებულ“ არდადეგებზე წავიდა... მაგრამ წავიდა სკანდალით, დასახიჩრებული ბიუჯეტით, უმრავლესობაში განხეთქილებითა და ათასგვარი სხვა ინტრიგებით დამძიმებული... მოსახლეობას კი, იგივე დაუტოვა, რაც შარშან, 31 ოქტომბერს შეიტანა უმაღლეს საპარლამენტო ორგანოში – ფუჭი დაპირებები, ტყუილები, ხალხის კუთვნილი ქონებით ნაპატივები ყველა ჯურის ხელისუფალთა და ჩინოვნიკთა ფიზიონომიები და ქვეყნის გამთლიანება-განვითარების გაურკვეველი პერსპექტივები... ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება იმ პოლიტიკოსის შეფასება მიმდინარე პროცესებისა, რომელიც პარლამენტში მოქალაქეთა კავშირის სიით მოხვდა, მაგრამ არ არის ამ პარტიის წევრი და, როგორც თავადაც ბრძანებს, „მარტოა პარლამენტში“... რა იმედით მივიდა პარლამენტში, რა დახვდა იქ და რას ფიქრობს დღეს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე **მიხეილ ნანეიშვილი**?

ის, რაც ბოლო თვეებში ხდება ქვეყანაში, ვერ ვიტყვი, რომ მოულოდნელი იყო ჩემთვის, მაგრამ იმის იმედი მქონდა, ხელისუფლება ფორსირებულად შეუდგებოდა სვლას სტრატეგიული მიმართულებით. ერთ-ერთ ასეთად მიმაჩნდა რადიკალური გარდატეხა საკადრო პოლიტიკაში, უწინარესად, აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მაგრამ როდესაც ბოლოს დაკომპლექტდა მინისტრთა კაბინეტი, თუნდაც ეკონომიკურ ბლოკში ორი ისეთი ფიგურა გამოერია, ეკონომიკის მინისტრი და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი, რომ მათი კანდიდატურების არათუ განხილვაში არ მიმიღია მონაწილეობა, არამედ მათ წინააღმდეგ პულტის ღილაკისათვისაც არ დამიჭერია თითი. პოლიტიკურად იმდენად არაჰიგიენურ საქციელად მივიჩნიე მათ მიმართ რაიმე დამოკიდებულების გამოხატვაც კი...

ალბათ უკვე კარგად გაიცანით მმართველი ძალა, უმრავლესობა და საინტერესოა მათი „შინასამზარეულოს“ შეფასება, რომელშიც მიმდინარე პროცესები ხშირად სცილდება მის ფარგლებს და გაუთავებელ სკანდალებში გადაიზრდება ხოლმე...

მე არა ვარ ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის წევრი და, ბუნებრივია, ამ „შინასამზარეულოზე“ შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ იმ ინფორმაციის და სურათის ანალიზის შედეგად, რასაც უმრავლესობის სხდომებზე ვხედავ და ვისმენ ხოლმე: რასაკვირველია, იქ პარტიული ერთსულოვნება არ არის. მრავალრიცხოვანი პარტიებისთვის ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ აშკარაა, რომ ეს არის სრულიად სხვადასხვა ინტერესის მატარებელ ადამიანთა კონგლომერატი და ამას ხედავს ხალხი. ორგანულ ერთიანობასაც ამ პარტიაში ვერ ვხედავ. ამიტომ ვუსურვებდი მათ, რადგან არის მათში ბუნებრივი ტენდენცია ფრაქციებად ჩამოყალიბებისა, დროულად ჩამოყალიბებულიყვნენ. პრეზიდენტს საკონსტიტუციო ვადა 5 წლის შემდეგ უმთავრდება და თუ ეს პარტია დაიხლიჩება და შედეგად – საერთოდ მოისპობა, სამწუხაროდ, მე სხვა პოლიტიკურ ძალას ვერ ვხედავ, რომელსაც შეეძლება ქვეყანას ააცილოს გარკვეული ქაოსი. ამიტომ, უნდა შეიქმნას ფრაქციები საკუთრივ მოქალაქეთა კავშირში, უწინარესად, ვგულისხმობ იმ ადამიანთა მიერ ფრაქციის შექმნას, რომლებიც ზურაბ ჟვანიას ჯგუფში მოიაზრებიან.

მაგრამ, ჩანს, მათ „რაღაც“ თუ „ვიღაც“ აკავებთ, გადადგან ეს ნაბიჯი. აქ მივადექით ნიკო ლეკიშვილის გადადგომის ფაქტსაც, რამაც კიდევ ერთი დიდი ბზარი გააჩინა მმართველ ძალაში...

რა აკავებთ მათ, მთლად ნათელი არ არის, მაგრამ თუ მათ აკავებთ ის, რომ ფიქრობენ – შინაპარტიული ფრაქციის შექმნა დაშლით ემუქრება მოქკავშირს – ძალიან ცუდია და მიანიშნებს იმაზე, რომ პარტია არც ისე მონოლითურია, რომ გაუძლოს ასეთი ფრაქციების არსებობას. ამასთან შეიძლება აკავებთ ის, რომ ამ ახალგაზრდებს პარტიულ ერთიანობაზე ძველებური წარმოდგენა აქვთ, ანუ არ სურთ შიდადაპირისპირებებისა და აზრთა სხვადასხვაობის საჯაროდ გამოტანა... ძალიან მიკვირს ამ ახალგაზრდების, რომლებიც ასე მწვავედ რეაგირებენ ნებისმიერ განცხადებაზე, რომ აი, მოქკავშირში პოზიციების დაპირისპირებაა. მე ამას შევხედავდი, როგორც ნორმალურ, ჯანსაღ პროცესს... რაც შეეხება ნიკო ლეკიშვილის გადადგომას უმრავლესობის ლიდერის პოსტიდან, მე ჯერ ბოლომდე არ ვიცი, რა მოხდა და ამიტომ თავს შევიკავებ კომენტარისგან... საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ თუ ადამიანები ერთმანეთს რაღაც საკითხში უპირისპირდებიან, ისინი რატომღაც მტრებად გადაიქცევიან ხოლმე, ანუ

დისკუსიის კულტურა, როგორც ზნეობრივი ძალა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩვენში არ არის და მოქკავშირის მაგალითზე ეს ნათლად გამოჩნდა...

თქვენ, როგორც პარლამენტის უმრავლესობაში, ასე ვთქვათ, გარედან მისული პოლიტიკოსი, რას იტყოდით საკუთრივ პარლამენტართა კორუმპირებულობის ხარისხზე?

ოთხწლიანი შესვენების შემდეგ პირველად მივედი პარლამენტში და შინ საშინლად დათრგუნული დავბრუნდი! 1992-95 წლების პარლამენტზეც, რომლის წევრიც გახლდით, არ ვიყავი მაღალი აზრის, მაგრამ ის, რაც ამ მოწვევის პარლამენტში ვნახე, მივხვდი, რომ მაშინდელი პარლამენტი გაცილებით საინტერესო იყო პოლიტიკური თვალსაზრისით. ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში ორი ძირითადი ძალაა, — მოქალაქეთა კავშირი და ბლოკი „აღორძინება“, მე ნამდვილი და ქვეყნის მამოძრავებელი პოლიტიკური დაპირისპირება ვერ დავინახე და ამ ორ ძალას შორის არსებულ სხვა ინტერესების დაპირისპირებას კი ჰქონდა და აქვს ადგილი. ვერც „მრეწველებზე“ ვიტყვი, რომ ისინი რაღაც პოლიტიკური ფიზიონომიის მქონე ძალას წარმოადგენენ. მეორეც: როდესაც პირველ დღესვე პარლამენტში თავშეყრილ პერსონალიას გადავხედე, უწინარესად, მოქალაქეთა კავშირის სიით გასულ უმრავლესობას, მივხვდი, რომ საპარლამენტო უმრავლესობას თავი შემოაფარეს ისეთმა ადამიანებმა, რომელთა ადგილი, რბილად რომ ვთქვა, პარლამენტში არ არის. ეს გახლავთ კორუმპირებული და პოლიტიკურად ძალიან საეჭვო ხალხი, რომელმაც მონახა ადგილი მოქკავშირის სიაში და აღმოჩნდა ხელისუფლების ფარქვეშ! ეს ფაქტია და ამ ადამიანებთან პოლიტიკურად არანაირი ურთიერთობა არა მაქვს. ჯერჯერობით მარტო ვმოქმედებ. გარკვეული კონტაქტი მაქვს ზურაბ ჟვანიასთან და მის ჯგუფთან... პარლამენტში, ფაქტობრივად, მარტო ვარ! ისე კი ყოველთვის ვამბობ, რომ მხარს ვუჭერ ამ ახალგაზრდათა ჯგუფს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ შეცდომებს უშვებენ. იმავე მინისტრთა დამტკიცებისას დიდი შეცდომა დაუშვეს. არ შეიძლება ამა თუ იმ კანდიდატზე მკვეთრად ილაპარაკო, დაიწყო იმის დემონსტრირება, რომ „ჩვენი პარტია ერთსულოვანი და მთლიანია“ და კენჭისყრის წინ საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგე! ეს არასწორია. არადა, ეტყობა, მათ მიიჩნიეს, რომ დიდი პოლიტიკოსობა გამოიჩინეს კომპრომისზე წასვლით...

როგორ წარმოგიდგენიათ ამ ე. წ. რეფორმატორთა პოლიტიკური მომავალი?

თუ მათი პოლიტიკური თვითგამორკვევა არ მოხდა თავად ამ პარტიის შიგნით, თუ არ მოხდება საერთოდ მოქალაქეთა კავშირის შინაპარტიული, ფრაქციული თვითგამორკვევა და, იმავდროულად, თუ ვერ შეძლებენ ერთიანობის შენარჩუნებას, მათი მომავალი ძალიან საეჭვოა. ამას მალაპარაკებს ქვეყნის ინტერესები, რათა ქაოსი და არეულობა არ მოჰყვეს ხელისუფლებაში ბნელი ძალების შესაძლო მოსვლას და არა ის, რომ მოქკავშირის პატრიოტი ვარ.

ვისი ბრალია ამგვარი ვითარების შექმნა?

რასაკვირველია, ჩვენი ბრალიცაა, ვგულისხმობ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს და, უწინარესად, ეს არის ხელისუფლების ბრალი, რომელმაც ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ საღ ოპოზიციურ ძალებს არ ეხარათ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. რაც შეეხება ძალიან ბნელებს, სწორედ მათ დაიკავეს პარლამენტში საღი ოპოზიციური ძალების ადგილი. სხვათა შორის, პრეზიდენტს პირდაპირ ვუთხარი: „თქვენ ლომის წილი მიგიძღვით იმაში, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს საღი პოლიტიკური სპექტრი“ და შევარდნაძეც დამეთანხმა...

აუცილებელია მოხდეს შედარებით ნორმალური პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია, რომელიც პოლიტიკურ მეტოქეობას გაუწევს მოქკავშირს. თავად მოქკავშირი უნდა ეცადოს, რომ სერიოზული ოპონენტი, „ხმის გამცემი“ ჰყავდეს გარედან. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტია ვერ განვითარდება. ხოლო იმის თქმა, რომ „აღორძინება“ განსაკუთრებულ უხერხულობას უქმნის პარლამენტში მოქკავშირს, ან მთელ უმარავლესობას, ამას ვერ ვიტყვი. ეტყობა, მათთან გარკვეული გარიგებები და შეთანხმებები შესაძლებელია, როდესაც საარჩევნო კანონთან დაკავშირებით მოხდა მათ შორის შეთანხმება, მგონი, მარტო მე ვიყავი, ვინც ამის წინააღმდეგ გამოვედი, ისევე როგორც აჭარის ავტონომიის სტატუსის დაფიქსირებისას, როდესაც რამდენიმე დეპუტატთან ერთად მეც წინააღმდეგი წავედი ამ ფორმით საკითხის დასმაზე. მე მომხრე ვარ კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიური პოლიტიკური ერთეულის დაფიქსირებისა. ამათ კი მოინდომეს და დააფიქსირეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ეს ერთი მხრივ სასა-

ცილოა, მეორე მხრივ კი, ამაში საკმაოდ ვერაგული რუსული აზრია ჩადებული...

ბატონო მიხეილ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ე.წ. ბიუჯეტის კატასტროფაზეა საუბარი, აკრიტიკებენ და ლანძღავენ ყველას და ყველაფერს, მაგრამ რატომღაც ყველაზე ნაკლები „ცეცხლის ქვეშ“ არის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

პარლამენტი კანონმდებელი და მაკონტროლებელი ორგანოა და გეთანხმებით, რომ ამ საკითხზე პარლამენტის სათანადო კომიტეტი აგებს პასუხს, მით უფრო, რომ ბიუჯეტის კანონპროექტების განხილვა პირველად ამ კომიტეტში ხდება. ბუნებრივია, პასუხიმგებლობა პარლამენტს ეკისრება მთლიანად და პირველ რიგში, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ სთხოვენ პასუხს ამ კომიტეტს, შეიძლება რაღაცის ერიდებათ, არ უნდათ, რომ მტერი გაიჩინონ პარლამენტის შიგნით, შეიძლება ვიღაც-ვიღაცები „კუდით“ არიან გადაბმულნი ერთმანეთთან და ა.შ. სხვა მხრივ, მიჭირს რაიმეს თქმა. ეტყობა, რაღაც მოტივები აქვთ იმავე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც თავის თავზე იღებენ სიტყვიერად პასუხისმგებლობას, მაგრამ არ ამბობენ, რომ ბიუჯეტის კანონები პარლამენტის ხელშია გავლილი და რატომ არ აღძარით ეს საკითხებიო? ალბათ, ურთიერთინტერესები აქვთ, თუმცა საქვეყნო ინტერესები კი არა, არამედ სკამის ინტერესები... საერთოდ კი პარლამენტი გადაიქცა აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლო ინიციატივათა მარეგისტრირებელ ორგანოდ! ვერ ვიტყვი, თითქოს პარლამენტში დიდი შემოქმედებითი მუშაობა დუღს კანონმდებლობის დარგში. ეს პარლამენტი არ არის „კანონების ფაბრიკა“. პრივატიზაციისა და სატენდერო საკითხების ქვეკომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც ვარ, სამი კაცისგან შედგება და დღემდე ორი წევრი კომიტეტისა ჩემს ოთახში თვალით არ მინახავს, არადა, თურმე ერთ-ერთს დიდი სიმპათიით ვხვდებოდი, ველაპარაკებოდი და როცა გავიგე, რომ ჩემი ქვეკომიტეტის წევრი იყო, ვუთხარი — შემოიარე, რა დაგიშავეთ, ეს თანამდებობა მოქკავშირმა შემომთავაზა, რომლის წევრიც არა ვარ მეთქი და თუ გნებავთ, გადავდგები-მეთქი. არაო, რას ბრძანებთო, მომიგო, მაგრამ მაინც არ შემოდიან და მარტო ვარ(!). მსგავსი რამ სხვა კომიტეტებსაც ახასიათებს, რაც მიუთითებს, სწორედ უმრავლესობის შემადგენლობის დაბალ ხარისხზე. ეს ერთხელ კიდევ დაადას-

ტურა ბიუჯეტის გახილვა-დამტკიცებისას მომხდარმა ფაქტმა, როცა ასეთი სერიოზული საკითხის განხილვისას დარბაზი... ცარიელი იყო.

საერთოდ ამ ე.წ. ბიუჯეტის კანონის დამტკიცებისას გამართული კენჭისყრისას მიხვდნენ, რას აძლევდნენ ხმას?

ძალიან მეეჭვება. მგონი, მათ კარგად არ ესმით, რა გააკეთეს. მოგეხსენებათ, მოხდა შემოსავლების ხარჯვის გეგმის შეკვეცა და მე ყურადღებას ვამახვილებ შემოსავლების ამოღებაზე. საქართველოში, რასაკვირველია, არსებობს საგადასახადო-საშემოსავლო რესურსები, რომელთა ამოღებაც სადღეისოდ ქვეყნის ბიუჯეტს შეავსებდა. დავუშვათ არსებობს N რაოდენობის საშემოსავლო რესურსი და 100%-ით უნდა ავითვისოთ სახელმწიფოსათვის განკუთვნილი ეს რესურსები, მაგრამ გამოდის, რომ მთავრობა ახერხებს მარტო 30%-ის ათვისებას. ბიუჯეტიც ხელს ადებს ამ 30%-ს და აცხადებს ეს 30% ჩემია. ეს ნიშნავს იმას, რომ დანარჩენ 70%-ს უკანონებს ამ გზით სწორედ იმ კორუმპირებულ ელემენტებს, რომლებსაც ჩვენი ხელისუფლება ლამის „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“ ებრძვის. როდესაც ასეთი გარკვეული „ნორმაა“ ჩამოყალიბებული, სწორედ ის კორუმპირებილი ელემენტები, რომელთა „მთავარი შტაბი“ მთავრობაშია, ბუნებრივია, ეცდებიან, რომ თავისი „ნორმა“ მაინც შეასრულონ, ანუ თუ პირობითად 100%-ის 30% შემოდიოდა, ახლა შემოვა ამ 30-ის 30%! რაც შეეხება ხარჯებს, რა თქმა უნდა, ხელისუფლება უკიდურესად აგრესიული უნდა იყოს გადასახადების 100%-ით ამოღებისა და მაქსიმალური მომჭირნეობით ანაწილებდეს მის ხელთ არსებულ რეალურ შემოსავლებს. ამას კი სჭირდება საღი საგადასახადო კანონის შემუშავება (რაც არ არის), შესაბამის სტრუქტურებში ინსტიტუციონალური რეფორმების გატარება და სათანადო საკადრო პოლიტიკა. ამის შემდეგ კი, შემოსავლების მკაცრად განსაზღვრული პრიორიტეტებით განაწილება, რაშიც არ იგულისხმება მწერალთა კავშირები და სხვა პარაზიტული ორგანიზაციები. ანუ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ჩვენი საკუთარი ჯიბით! ამისთვის უნდა იბრძოდეს ხელისუფლება დღენიადაგ და არა იმისთვის, რომ რაღაც ზღვარს აკანონებდეს. ახლა კი, თუ გადასახადების გეგმის შესრულება გადაჭარბებით მოხდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს ნამატი წავა არა ხაზინაში, არამედ მავანთა ჯიბეში... ამიტომ, როდესაც კონკრეტული დეპუტატები, ხელისუ-

ფალნი საჯაროდ ლაპარაკობენ, თუ რა ძარცვა-გლეჯაა, რა კორუმპირებული ძალები მოქმედებენ, თანაც ასე „გულწრფელად“ და „აღშფოთებით“, რომ ლამისაა ცრემლებიც ყარონ, არ მჯერა მათი, რადგან სწორედ ისინი არიან ამ „საქმეების კაპიტნები“...

მაშ, ქვეყნის ხსნას, გნებავთ, სრული დეფოლტისაგან თავის დაღწევას ისევ გარედან მიღებული დახმარებებისგან უნდა ველოდოთ. ამ მხრივ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, სწორედ ამ დროს სტივენ სესტანოვიჩის მორიგი ვიზიტი საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი, როდესაც ამერიკელი სტუმარი საქართველოს პრეზიდენტს და სახელმწიფო მინისტრს ჩვენი გაუბედურებული ბიუჯეტის საკითხებზე ესაუბრებოდა და აკეთებდა საჯარო კომენტარებს...

ჩემთვისაც საიმედო უცხოური წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოსადმი, ჩვენდა საბედნიეროდ, კვლავ არის ისეთი გეოსტრატეგიული ინტერესი, რომ დეფოლტს საქართველოში არ დაუშვებენ. სამწუხაროდ, თავის დროზე დასავლეთმა შეცდომა დაუშვა საქართველოსთან ურთიერთობისას. საქართველოში აშშ-ის პირველ ელჩს გამუდმებით ვეუბნებოდი — ნუ გვეხმარებით ასე გულუხვად, გვიკარნახეთ და პასუხი მოგვთხოვეთ, ყელში ხელი წაგვიჭირეთ, თუ აქ კორუფცია და ქურდობა იქნება. ხოლო, თუ კრედიტებსა და გრანტებს მოგვცემთ, თქვენვე გააკონტროლეთ და თქვენვე გაანაწილეთ-მეთქი და ა.შ. მაგრამ ის ელჩიც და სხვებიც საჯაროდ აცხადებენ, თქვენთან ყველაფერი კარგად მიდის, საქართველო სწორ კურსს ადგასო. მხოლოდ დღეს, როდესაც ქვეყანა მივიდა სოციალური აფეთქების ზღვარზე, ახლა მოგვიჭირეს ყელში ხელი. ეს მძიმე შეცდომაა მათი მხრიდან.

და ამ ფონზე კვლავ გაისმის ხმები დასავლეთის „უვარგისობასა“ და რუსეთის „ვარგისიანობაზე“...

პირდაპირ გეტყვით: ყველა კორუმპირებული ელემენტი, პოლიტიკურად მაინც, რუსეთის საიმედო საყრდენია საქართველოში. მეტიც, კორუმპირებული პროამერიკულად განწყობილი ელემენტებიც პოტენციურად ასევე რუსების საყრდენი არიან. ამით სარგებლობენ ის აშკარა თუ შეფარული პრორუსული ძალები, რომლებიც გაიძახიან: აი, თქვენმა ამერიკამ სადამდე მიგიყვანათ!

სოციალური აფეთქების საფრთხემ პრეზიდენტი აიძულა, რომ ბოლოს და ბოლოს, შეექმნა შვიდკაციანი კომისია, რომელიც მოსამზადებელ სამუშაოებს გასწევს იმ დიდი ანტიკორუფციული კომისიის ჩა-

მოსაყალიბებლად, რომელიც „ღვთის რისხვად“ უნდა დაატყდეს კორუმპირებულ ჩინოვნიკს თუ დეპუტატს. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტმა ამ კომისიის შექმნის შესახებ სესტანოვიჩის ვიზიტის წინ გამოაცხადა, რაც სესტანოვიჩმა „პოზიტიურ მოვლენად“ შეაფასა.

ამდენი იმედგაცრუების შემდეგ, რომ ვთქვა, იმედი მაქვს-მეთქი ამ ანტიკორუფციული კომისიის წარმატებისა, შეიძლება დაეჭვდეთ ჩემს გულწრფელობაში; მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და არა მგონია, რომ საქართველომ ასე სამარცხვინოდ დაამთავროს არსებობა... თავისთავად ის, რომ კომისია მცირერიცხოვანია, უკვე კარგია, რადგან პატარა ჯგუფებზეა კონცენტრირებული გარკვეული პასუხისმგებლობა. მე ამ კომისიაში მეგულება რამდენიმე პირი, რომლებიც არანაირ კომპრომისზე არავის წინაშე არ წავლენ. ხომ უნდა დასრულდეს ხრწნის პროცესი და დაიწყოს გამოჯანმრთელების ეტაპი...

როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა აკაკი ელიავას ფიზიკური ლიკვიდაცია სწორედ ახლა და არა ექვსი თვის, თუნდაც ერთი ან ორი წლის წინ? თქვენ ეთანხმებით იმ კულუარულ ინფორმაციას, რომ ელიავასთან გარკვეული კონტაქტები ჰქონდათ საქართველოსადმი მტრულად განწყობილ შინაურ და გარეშე ძალებს?

ელიავას მსგავს ადამიანებს დასავლეთში, ელემენტარულად, პირდაპირ უსწორდებიან. ჩვენთან კი, სახელმწიფო დონეზე პროვინციალ-უბნური ფსიქოლოგია ბატონობს. გამოჩნდება კაცი, გავარდება ტყეში, მოაწყობს ამბოხს, დადის შეიარაღებული და ა.შ. მაგრამ მთლად ასე არ არის საქმე, რომ ტყეში თავისით გავარდა! მე ყოველთვის პრეზუმპირებული მაქვს ერთი რამ: აქ რუსეთი ან წინასწარ მოქმედებდა, ან მერე იმოქმედებს, ამასთან, ან უშუალოდ, ან ვიღაცის მეშვეობით და მართავს სიტუაციას თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. ხოლო როდესაც კაცი იარაღით ხელში ტყეში გავარდება და დაიწყება ლაპარაკი – ქართველია და სისხლს ვერ დავღვრით, მოდით მოვილაპარაკოთო და ა. შ. ეს უკვე სახელმწიფო აღარ არის. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ქართველს ქართველი უფრო უყვარს, ვიდრე ინგლისელს – ინგლისელი, ან ამერიკელს – ამერიკელი, ძალიან შემცდარია! იმათ უფრო უყვართ ერთმანეთი, ვიდრე ჩვენ და მათ იციან, რომ მსგავსი ქმედება საფრთხეს უქმნის ძალიან ბევრი მათი თანამემამულის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, გნებავთ სახელმწიფო ინტერესებს და ადგილზე უსწორდებიან. აქ კი, ასეთმა პროვინციალ-უბნურმა

გარიგებებმა ლამის სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა, როდესაც ქუთაისს მიადგნენ ტანკებით. დღეს კი ასეთი უპრინციპო პოლიტიკის ფონზე ხდება ქუჩური და უნიჭო ანგარიშსწორება, აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს რაღაც ვერაგულ ჩანაფიქრს, მაგრამ შეიძლება ელემენტურ უჭკუობასთან, ან შეგნებულ პროვოკაციასთანაც გვქონდეს საქმე. ხოლო, თუ რა კონკრეტულმა მიზეზმა გამოიწვია ასეთი ქმედება სწორედ ახლა, ჩემთვის უცნობია.

ბატონო მიხეილ, რა სტადიაშია იმ ავტოავარიის საქმის გამოძიება, რომელიც თქვენ შეგემთხვათ?

გასული წლის 13 დეკემბერს გადასასვლელზე დამეჯახა ავტომანქანა. თვითმხილველთა ჩვენების საფუძველზე გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ ეს იყო წითელი ფერის ორკარიანი „ბმვ“. მას კარი ჰქონდა დაზიანებული და რომლის ნომრის ორი ციფრიც იყო – 33! გამოძიებამ დღემდე ვერც მანქანას და ვერც მძღოლს ვერ მიაგნო და მეც იძულებული გავხდი, მეთქვა ზურაბ ჟვანიასთვის, რომ თუ პარლამენტარს ამას უკეთებენ, რიგით მოქალაქეს რას უზამენ-მეთქი? შემდეგ ჟვანიამ მიიღო კახა თარგამაძის ოფიციალური წერილი, რომელშიც წერია, რომ ნანეიშვილმა „სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღოო(!)“..., „საქმეზე წინასწარი გამოძიება აყვანილია განსაკუთრებულ კონტროლზე და მიმდინარეობს ღონისძიებები დანაშაულის გახსნის მიზნით...“. ეს წერილი დათარიღებულია 17 თებერვლით! ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს და ჯერ ერთი, ეჭვი მეპარება, რომ ისინი მართლაც იდიოტები არიან, რადგან მე მქონდა ბარძაყის მოტეხილობა ორ ადგილზე. ოპერაცია თითქმის სამი საათი გრძელდებოდა, რისი დამთავრების შემდეგაც ექიმები ერთმანეთს ულოცავდნენ ჩემს გადარჩენას და ეს არის „სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება?!“ მეორეც: ამ „განსაკუთრებული კონტროლის“ ფონზე არაფერი გაკეთებულა, მაგრამ საკითხავია, მე რომ მქონოდა მძიმე დაზიანება და ვყოფილიყავი დარაჯი, არ უნდა აეყვანათ ეს საქმე „განსაკუთრებულ კონტროლზე?!“ დიახ, ეს არის საბჭოური ფსიქოლოგია. არადა, დემოკრატიულ ქვეყანაში ყველაფერი განსაკუთრებულ კონტროლზე უნდა იყოს.

ზურაბ მჭედლიშვილი,
„კვირის პალიტრა“, 17-23 ივლისი, №28, 2000

მოქკავშირის ყანყალი 2005 წლამდე გაგრძელდება

დღეს თითქმის უკიდურესობამდე მომაბეზრებლად იქცა იმის განსჯა, კიდევ დიდ ხანს იზეიმებს თუ არა პერმანენტულ-პოლიტიკურ პარტიად ქცეული, თავის დროზე მხოლოდ საზოგადოებრივ ორგანიზაციად ჩამოყალიბებული „მოქალაქეთა კავშირი“. თუმცა, ფაქტია, რომ სწორედ ამ გაურკვეველი ორიენტაციის პარტიის წყალობით საქართველოში პოლიტიკური სპექტრი საკმაოდ მწირია და პოლიტიკური გარემოც საერთოდ არაკონკურენტუნარიანია. მართალია, ერთი კაცის პარტია კონკურენციის საშუალებას ნამდვილად არ იძლევა, მაგრამ არც დანარჩენ პარტიებს გამოუდიათ თავი, რომ თავიანთი სიტყვა ძალუმად ეთქვათ. [...] ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე მიხეილ ნანეიშვილი შექმნილ ვითარებას საკმაოდ მშვიდად აფასებს:

როგორი მთავრობაცაა, ისეთი ოპოზიცია გვყავს, როგორი ოპოზიციაცაა, ისეთი მთავრობაა, სწორედ ამაზე ითქმის – ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო. ზოგჯერ ისინი ერთ სულ და ერთ ხორც არიან. ხელაღებით მარტო მთავრობას ხელს ვერ დავადებ, ეს დანაშაული გადანაწილებულია, რადგან, სადაც პარტიული სპექტრი არ არსებობს, იქ ქვეყანა უპატრონოა.

[...]

თქვენ ფიქრობთ, რომ სამომავლოდ მოქკავშირი ისევ იქნება?

არა, მე ამას არ ვფიქრობ, უბრალოდ, ვამბობ, რომ არის იმის შესაძლებლობა, რომ მოქკავშირმა თავისი სახე შეინარჩუნოს.

იმ უპირატესობითვე და იმ ძალით, რასაც ის დღეს ფლობს?

არა, ასეთი უპირატესი ძალით ვერ დარჩება, რადგან 2005 წლისთვის (ყოველ შემთხვევაში, კონსტიტუციით ასეა) მათი ლიდერი შევარდნაძე არ იქნება, მაგრამ მე ვაკეთებ არა პროგნოზს, არამედ ვამბობ, რომ ამის შესაძლებლობა არის და უკვე მათი საქმეა, თვითონ როგორ ისარგებლებენ ამ შესაძლებლობით. თუმცა ხალხი ალბათ მაინც არ ცდება, როცა მიიჩნევს, რომ მოქკავშირის დაშლის შესაძლებლობა უფრო რეალურია. მაშინ სიტუაცია ძალიან აირევა. [...]

თქვენ ამას 2003 წლის საპარლამენტო პერიოდისთვის ვარაუდობთ?

დიახ.

მაშინ იქნებ დააკონკრეტოთ, რომელ და როგორ ორ პარტიაზე იქნება საუბარი, მოქკავშირის ორ ნაწილად გაყოფილ პარტიებზე?

ერთი, ახალგაზრდა ნაწილი, მეორე – დანარჩენი.

მაშინ, მოქკავშირის ამ ახალგაზრდა ნაწილმა 2003 წლამდე უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი პარტია და დეკლარირებულადაც გამოეყონ ძირითად მოქკავშირს.

სავსებით ლოგიკური შენიშვნაა, მაგრამ მე მაინც არა მგონია, რომ ვიდრე ქვეყანას ჩვენი ახლანდელი პრეზიდენტი უდგას სათავეში, რომელიმე მხარემ, ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდა ნაწილმა ასეთი ნაბიჯი გადადგას, განზე გადგეს და თავისი გზით წავიდეს. ჩემი აზრით, ეს ახალგაზრდები ასეთი რისკის გამწევი არ უნდა იყვნენ. ისე, რისკი შეიძლება გაწიოს ძალიან გონიერმა კაცმაც და გიჟმაც.

[...]

იმის მისაღწევად, რაც უნდათ, რისკი აუცილებელია. ამიტომ მათ მაინც უნდა მოუწიოთ რისკის გაწევა.

კი, ბატონო! თუმცა აქ უკვე სხვა საკითხი დადგება. კერძოდ, როცა დგება განხეთქილების მომენტი, გასათვალისწინებელია ის, თუ ვინ გადადგამს პირველ ნაბიჯს და გამოიჩენს აქტიურობას. ორივე მხარე ცალ-ცალკე იფიქრებს იმაზე, რომელი ჯობს, თვითონ გადადგას პირველი ნაბიჯი, თუ მეტოქემ გააკეთოს ეს. პოლიტიკა ასეთ შემთხვევებს იცნობს. ამიტომ, იმისთვის, რომ ადამიანმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს, თუ ხედავს, რომ სხვა გამოსავალი არ არის, მაშინ ისიც ასაწონ-დასაწონია, ინიციატორი ვინ უნდა გამოვიდეს. ამისთვის სჭიროა, საზოგადოების პულსზე გედოს ხელი და ზუსტად დასვა დიაგნოზი, მოცემულ შემთხვევაში რა ჯობს – მე მიმატოვონ თუ მე მივატოვო. ეს საკმაოდ ფაქიზი საკითხია. ამიტომ ამის პროგნოზირება არც შეიძლება, თანაც მოვლენები საკმაოდ სწრაფად ვითარდება, მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ინტუიციით, სიტუაცია ძალიან საგანგაშოა. ჯერჯერობით მე ვერ ვამჩნევ იმას, რომ საგანგაშო მდგომარეობის ნათელი შეგრძნება ჰქონდეთ თუნდაც თავად მოქკავშირში.

როგორ ფიქრობთ, შეძლებს კი დღეს რომლიმე საზოგადოების პულსზე ხელის დადებას და სწორი დიაგნოზის დასმას?

დავაკვირდეთ ერთ რამეს – დღემდე მოქკავშირი დაჟინებით უარყოფს იმას, რომ კრიზისული სიტუაციაა. ისინი ხედავენ, რომ

მოქკავშირის გახლეჩა თავისთავადაც ცუდია, მაგრამ, მეორე მხრივ, არ არიან დარწმუნებული, რომ ამ გახლეჩის შედეგად თუ ორი დაჯგუფება შეიქმნა, რამდენად ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდება ეს ორი დაჯგუფება, ან ერთ-ერთი მათგანი თუნდაც, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. კიდევ ვიმეორებ, რომ მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება. არც სიურპრიზებია გამორიცხული, შეიძლება მოულოდნელად ახალი ძალაც გამოჩნდეს. ჩემთვის ერთი რამ არის მთავარი, მე აშკარად ვხედავ იმას, რომ სიტუაცია არასახარბიელოა.

[...]

მაია გიგოლაშვილი,
„ახალი თაობა“, 8 იანვარი, №6, 2001

კონსტიტუციური შეთანხმება: პოლიტიკა თუ რელიგია?

კონკორდატის თემა კვლავ აქტუალურია. საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო შესწორებები, რომლებიც ნიადაგს შეუქმნის ახლო მომავალში სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებას. „ახალი ეპოქის“ კითხვაზე: „რამდენად აუცილებელი იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის პრიორიტეტული სტატუსის განსაზღვრისთვის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა და რამდენად წაადგება კონსტიტუციური შეთანხმება თვით მართლმადიდებლურ ეკლესიას?“ უპასუხებენ ქართველი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები.

მიხეილ ნანეიშვილი (საპარლამენტო უმრავლესობა): კონსტიტუციური შესწორებები არის კონსტიტუციური საფუძვლის შემზადება კონსტიტუციური შეთანხმებისათვის, რომელიც არის ძირეულად რეაქციული და დისკრედიტაციას უწევს ქართულ სახელმწიფოს, ქართულ ეკლესიასა და ქართველ ერს.

როგორ შეიძლება რეაქციული იყოს აუცილებელი?! ჩვენს ეკლესიას აბსოლუტურად არ სჭირდება ქართველ ერთან, მის სახელმწიფოსთან დადოს რაღაც შეთანხმება. ეს უპირველეს ყოვლისა, მორალურად უხერხულია. ეს იგივეა, რომ ადამიანმა საკუთარ სინდისთან, საკუთარ სულთან გააფორმოს რაღაც შეთანხმება. კონსტიტუციაში სრულიად ამომწურავად არის განსაზღვრული ეკლესიის იურიდიული სტატუსი – მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან.

შეთანხმებით კი ეკლესია სახელმწიფოსთან სამართლებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში ჩაერთვება. ამით ირღვევა სხვადასხვა სარწმუნოების იურიდიული თანასწორობის იდეა, თორემ, ფაქტობრივად, მართლმადიდებელ ეკლესიას, მისი ისტორიული როლიდან გამომდინარე, ისედაც ექნება უპირველესი მდგომარეობა. ლაპარაკი, თითქოს ის შეთანხმება სხვა სარწმუნოებათათვის არ შექმნის ერთგვარ იურიდიულ პრეცენდენტს საკუთარი მდგომარეობის კონსტიტუციურ დონეზე განსაზღვრის პრეტენზიისათვის, უკეთეს შემთხვევაში, გულუბრყვილობაა.

„ახალი ეპოქა“, 3-5 აპრილი, № 24, 2001

„მუხროვანის ეპოპეა“ – პროტესტის დაუშვებელი ფუფუნება

მუხროვანში ატეხილი ვნებათაღელვა თითქოს ჩაცხრა, ყველაფერი უსისხლოდ დასრულდა. ხელისუფლებამაც და ამბოხებულებმაც (შეთანხმებულივით) მომხდარს სოციალური პროტესტი დაარქვეს, თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც.

„მუხროვანის ეპოპეაზე“ „ახალ ეპოქას“ ესაუბრა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე მიხეილ ნანეიშვილი.

თქვენ როგორ აფასებთ „მუხროვანის ეპოპეას“?

თავისთავად, ამ გამოსვლას წინ უძღოდა სოციალური უკმაყოფილება, მაგრამ, მშვენივრად იცით, სოციალური უკმაყოფილების პოლიტიკურში ტრანსფორმირება ძალიან ადვილია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამას გამოსვლის ყველა მონაწილე ვერ აცნობიერებდა; თუმცა, ვიღაც-ვიღაცები, ბუნებრივია, წამოეგნენ ან კავშირში არიან იმ ძალებთან, რომლებმაც ამ სოციალურ უკმაყოფილებას მიანიჭეს პოლიტიკური ელფერი. საეჭვოა ასეთი თანხვედრა: ერევანში დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების საბჭოს სხდომა (მოგეხსენებათ, საქართველო არ არის ამ საბჭოს წევრი), ფოთში NATO-ს ახლო მომავალში ჩასატარებელი სწავლებები და 25 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის წინა დღეს – ხდება ასეთი გამოსვლა. ვეჭვობ, ასეთი დამთხვევა შემთხვევითი იყოს. არ მინდა ამინდის ცვალებადობაც რუსეთს დავაბრალო, მაგრამ ფაქტია, კრემლის აგენტურა საქართველოში ძალიან ნაყოფიერად მუშაობს და, სამწუხაროდ, ჩვენთან არსებობენ ადამიანები, პოლიტიკური ძალები, რომლებიც ზიზღის გარეშე თანამშრომლობენ რუსეთთან – ქვეყანასთან, რომელმაც ქრთველ ერს იმდენი ზიანი მიაყენა, არც ერთ მტერს რომ არ მიუყენებია.

ჩემზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა იმის შეგრძნებამ, რომ ეს აქცია სპონტანური არ ყოფილა. ამ სამხედროებს დილით, გაღვიძებისთანავე ხომ არ გადაუწყვეტიათ ამბოხი? უშიშროების სამსახურს ან თავდაცვის სამინისტროს როგორ გამოეპარათ უკმაყოფილების ასეთი დუღილი?

როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის მოქმედებას? ედუარდ შევარდნაძემ, მართალია, დააცხრო და დააშოშმინა ეს ხალხი, მაგრამ, მეორე მხრივ, მან, როგორც ბრძანეთ, კიდევ ერთი პრეცედენტი შექ-

მნა – შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ იარაღით გამოსვლა პრობლემების გადაწყვეტას „აჩქარებს“. ჩვენს ისედაც ურწმუნო საზოგადოებაში ეს მომენტი კიდევ უფრო ხომ არ გააძლიერებს კანონისადმი უპატივცემულობას და სამართლებრივ ნიჰილიზმს?

სწორედ ეს ვთქვი... შექმნილ მდგომარეობაში პრეზიდენტმა მოქმედების ერთადერთი სწორი გზა აირჩია. წარმოიდგინეთ, ყველაფერი იმ დღესვე რომ არ დასრულებულიყო, რა მოხდებოდა. ჩემი ინფორმაციით, პროტესტანტებთან შეერთებას სხვა სამხედრო ნაწილებიც აპირებდნენ. პრეზიდენტმა ოპტიმალური გამოსავალი მოძებნა, მაგრამ თქვენ მართალი ბრძანდებით... ჩვენთან იტყვიან, სხვა რა გამოსავალი არსებობსო? მაგრამ ამ ჩიხურ მდგომარეობამდე რატომ მიგვყავს ქვეყანა?

სხვათა შორის, ისიც ნიშანდობლივია, რომ მუხროვანის ინციდენტის დარეგულირება მოუხდა ქვეყნის პირველ პირს და არა მის რომელიმე ქვეშევრდომს, მინისტრს. თვითონ პრეზიდენტის შეცდომა ხომ არ არის, რომ ქვეყანაში შექმნილი ნებისმიერი პრობლემა უიმისოდ ვერ გადაჭრილა?

რასაკვირველია, ეს მისი შეცდომაა. ჩვენთან ისეთი სისტემა შეიქმნა, რომ რატომღაც ავტორიტეტი მხოლოდ პრეზიდენტს აქვს, ხელისუფლების დანარჩენი რგოლების წარმომადგენლებს არანაირი ავტორიტეტი არ გააჩნიათ. ამ მხრივ, ერთგვარად იმ ტომებს ვემსგავსებით, რომლებსაც ბელადის გარეშე ვერაფერი გადაუწყვეტიათ. ჩვენ საშინელი უბედურება გვჭირს – სახელმწიფო ინსტიტუციონალურად ჩამოუყალიბებელია და არც ერთ ინსტიტუტს თავისთავად ავტორიტეტი არ აქვს – არც მთავრობას, არც პარლამენტს, არც სასამართლოს.

სამწუხაროდ, ხელისუფლებაც ბევრს ვერაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხალხი ამ დონემდე არ მიიყვანოს და გამწარებულებს სამშობლოსათვის საზიანო ნაბიჯი არ გადაადგმევინოს.

დიახ, რიტორიკის გარდა არაფერი კეთდება... ფლობერმა გააკეთა „ბურჟუაზიის ლექსიკონი“. ფლობერამდე ბევრი მიკლია, მაგრამ მსგავსი ლექსიკონისთვის ორიოდ სიტყვა უკვე მაქვს. მაგალითად, ჩვენში პატიოსანი კაცი ჩერჩეტთან, სულელთან ასოცირდება – ესე იგი, „ცხოვრება არ იცის“. მეორე მხრივ, როცა ვინმეზე იტყვიან – ჭკვიანი კაციაო – ესე იგი, დიდი ოხერია, კარგად ერგება ამ ცხოვრებას.

გიორგი გიგაური,
„ახალი ეპოქა“, 29-31 მაისი, №41, 2001

აღორძინებასთან გარიგება დაუშვებელია

ბატონო მიხეილ, უმრავლესობაში თქვენ მათ რიცხვს ეკუთვნით, ვინც საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგია. რა ხდება, არ მოგწონთ უმრავლესობის იდეები?

დიახ! წინააღმდეგი ვარ და, საერთოდ, წინააღმდეგი ვარ კონსტიტუციისადმი იმ დამოკიდებულებისა,[...] რომელიც ჩვენში არსებობს; არ შეიძლება კონსტიტუციის ცვლა კონიუნქტურის მიხედვით.

აქ საუბარია იმაზე, რომ შესაძლებელია უმრავლესობამ მიიღოს ერთ-ერთი ოპოზიციური დაჯგუფების („აღორძინება") წინადადება საქართველოს რეგიონალური მოწყობის შესახებ. მე პრინციპული მოწინააღმდეგე ვარ საქართველოს ფედერალიზაციისა, ამიტომ, ძალიან ვფრთხილობ ნებისმიერი ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც თუნდაც მიგვაახლოებს ასეთ სისტემასთან.

მართალია, უმრავლესობა ჯიუტად აცხადებდა, რომ პრინციპულ დათმობებზე არ წავიდოდა ოპოზიციასთან, მაგრამ დღეს ჩანს, რომ ის უკვე მიდის დათმობაზე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მას ასე ძალიან სჭირდება საკონსტიტუციო ცვლილება?

საერთოდ, კომპრომისი ჩვეულებრივი ამბავია პოლიტიკაში, მაგრამ გააჩნია, რის ხარჯზე. გარდა ამისა, ისიც უნდა გაითვალისწინო, ვისთან მიდიხარ კომპრომისზე. პირადად მე ამ ე. წ. აღორძინების ბლოკთან არავითარ კომპრომისზე არ წავიდოდი. ეს ის ხალხია, ვისაც კომპრომისი კი არ ამშვიდებს, პირიქით, მეტ მადას უღვიძებს.

რა ამოცანა აქვს აღორძინების ბლოკს?

ამისთვის საკმარისია გაგახსენოთ მათ მიერ შეთითხნილი ის კონსტიტუცია, რომელიც შექმნეს აჭარისთვის. გამოუჩნდათ მაგათაც მედისონები და ჯეფერსონები და შექმნეს... ეს არის კონფედერაციის კონსტიტუცია, [...] ცხადია, აქ სრულიად გარკვეული ინტერესები მოქმედებს, რომელთაც საქართველოს ინტერესებთან არაფერი აქვს საერთო. მეტიც, ეს არის საქართველოს ინტერესების უარყოფა. ამის დასტურია სწორედ მათი ეს კონსტიტუციაც.[...] ჩვენი პოლიტიკური სიტუაცია დღეს საბედისწერო ინფანტილიზმის აშკარა ნიშნებს ატარებს.

[...]

რა გაძლევთ იმის საფუძველს, რომ ასეთი მყარი განცხადება გააკეთოთ, თითქოს ჩვენს ხელისუფლებაშიც არიან რუსეთის აგენტები? ინტერესების გამტარებლები?

ორასწლიანი რუსეთის ბატონობა საქართველოში უკვალოდ არ ჩაივლიდა, თანაც ეს უკანასკნელი მოწყვეტილი იყო ნამდვილ ცივილიზებულ მსოფლიოს. თავად რუსეთი მსოფლიო ცივილიზაციის პროვინციას წარმოადგენდა ყოველთვის, საქართველო კი ამ პროვინციის პროვინცია იყო. ამან თავისი დაღი დაასვა. ბევრს კონკრეტულად ხელი რომ დაადო და ასეთი რამ უთხრა, შეიძლება გულწრფელადაც კი ეწყინოთ, მაგრამ ასე არის, გაუცნობიერებლადაც კი გული მიუწევთ რუსეთისკენ. ზოგიერთი ამას გაამართლებს იმით, რომ ტოლსტოი უყვარს, როგორც მწერალი. იცით რა, ომარ ხაიამი მე მიმაჩნია ერთ-ერთ უდიდეს პოეტად მსოფლიო პოეზიაში, მაგრამ ამით მე ყიზილბაში ვერ გავხდები.

მაია გიგოლაშვილი,
„ახალი თაობა“, 23 ივნისი, №170, 2001

კუთხის სიყვარული, შვილის სიყვარულისა არ იყოს, არ შეიძლება პოლიტიკურ კატეგორიად იქცეს

გაზეთ „ახალი ეპოქის“ წინა ნომერში (№56, 20-23 ივლისი) გამოქვეყნდა თბილისელი პედაგოგის, ნია ღურჯიას წერილი „ეგრე არ არის თაყაო“, რომელშიც ავტორი გულისტკივილს გამოხატავდა იმის გამო, რომ ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარეს ერთ-ერთ რეგიონულ თავყრილობაზე ოფიციალურად სთხოვეს, წარმომავლობით ჩვენი კუთხიდან ხარ და საკანონმდებლო ორგანოში ჩვენი ლობი იყავიო. ამ ფაქტთან დაკავშირებით [...] საუბრობს მიხეილ ნანეიშვილი – პარლამენტარი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე, ფილოსოფოსი:

თავიდანვე დაბეჯითებით გთხოვთ: თუ შეიძლება, ჩემს პასუხში ერთი რამ არ გამოტოვოთ, ისე როგორც ეს ამას წინათ, ამავე საკითხზე კორესპონდენტთან საუბრის შემდეგ, ტელევიზიის პირველმა არხმა გააკეთა. მათ ინტერვიუდან სწორედ ის ნაწილი ამოჭრეს, ზუგდიდში ზურაბ ჟვანიას ვიზიტს რომ შეეხებოდა.

[...] იმ ინტერვიუშიც აღვნიშნე და ახლაც ვამბობ, რომ ის სიტყვები, რომლებიც შემდეგ არაერთხელ გაისმა ზუგდიდის თავყრილობაზე, გულში ნემსივით გამერჭო. ჯერ ერთი, ისმის კითხვა: რა ლობირება სჭირდება საქართველოში საქართველოსავე რომელიმე კუთხეს ან ვის წინაშე უნდა გააკეთონ ეს? სულ სხვა საქმეა, როცა ჩვენს ქვეყანას სხვა რომელიმე სახელმწიფო უწევს ლობირებას საერთაშორისო სარბიელზე. მიმაჩნია, რომ ჟვანიას ძალზე უხეში შეცდომა მოუვიდა, როდესაც დარბაზიდან მომდინარე სიბნელის გამომხატველი გამოხდომა იმთავითვე არ აღკვეთა. როგორ შეიძლება ასეთი, უბნური კატეგორიებით აზროვნება? ასე თუ გაგრძელდება, მივალთ სასაცილო მდგომარეობამდე, სატირალზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს ფაქტი კიდევ იმასაც მოწმობს, რომ ჩვენთან საქმე მთლად კარგად ვერ არის. კუთხურობის პრობლემა ჩვენ წინაშე დიდი ხნის წინათაც იდგა, ამას XIX საუკუნის 70-იან წლებში ილია ჭავჭავაძის წერილებიც მოწმობს. საკუთარი კუთხის სიყვარული სრულიად ბუნებრივი რამ არის. კაცი თავის სოფელში როცა ჩადის, თავისთავად უჩნდება ხოლმე მისდამი განსაკუთრებული გრძნობა, მაგრამ ეს ყველაფერი პოლიტიკაში არ უნდა გადაიზარდოს, ისევე, როგორც შვილის სიყვარული არ შეიძლება პოლიტიკური კატეგორია იყოს. კუთხური

ტენდენციები გამჯდარია მხოლოდ ეროვნულად განუვითარებელი საზოგადოების ცნობიერებაში. ამ მხრივ, ხელისუფლებასაც მოსვლია უხეში შეცდომები, მაგალითად, როდესაც ხმამაღლა აცხადებდნენ, ხელისუფლებაში ამა და ამ კუთხის წარმომადგენელი უნდა იყოსო და სხვა მისთანები. რა შუაშია კუთხე? საქართველოს მართავენ ქართველები, საქართველოს მოქალაქეები, იმისგან დამოუკიდებლად, თუ წარმომავლობით საიდან არიან.

საკითხავია, როგორი რეაქცია აქვთ ჩვენს მოხელეებს? მგონია, რომ მაინცდამაინც მწვავე არა. ის კი არა, იმასაც უნდა მოველოდეთ, ზოგიერთმა საკუთარი კარიერა ასეთი, მე ვიტყოდი, გვიანფეოდალური წარმოდგენების სპეკულაციით გაიკეთოს.

„ახალი ეპოქა“, 24-26 ივლისი, № 57, 2001

რეფორმატორები თამაშგარე მდგომარეობაში დარჩნენ

ბატონო მიხეილ, თქვენი აზრით, რატომ უშვებს ჟვანია-სააკაშვილის გუნდი შეცდომას შეცდომაზე? იქნებ გამწარებულები, დაბნეულები არიან და სხვა გამოსავალი არ აქვთ?

ჯერ ერთი, ეს გუნდი მთლად დიდი გონიერებით არ გამოირჩევა და კრიტიკულ სიტუაციებში ვერანაირ მოქნილობას ვერ ამჟღავნებს. როდესაც მოქმედების ვიწრო სფეროდან გამოდიან და შედარებით მაღალ დონეზე ადიან, იქ მაშინვე იჩენენ გონებრივ უსუსურობას. ეს ქართული პოლიტიკის სენია. მეორეც – ეს გუნდი დაბნეულია, ისტერიის მსგავსი რაღაც დაემართათ და ვეღარ იღებენ ადეკვატურ გადაწყვეტილებებს. ყველაზე ამას ვერ იტყვი – ზოგი შედარებით ჭკუადამჯდარია და მასთან შესაძლებელია დიალოგი, ზოგთან კი საერთოდ შეუძლებელია ლაპარაკი. კარგი იქნებოდა, თუ ერთმანეთს გაემიჯნებოდნენ ჭკუადამჯდარები და ის ადამიანები, რომლებსაც რადიკალებს და ექსტრემისტებს უწოდებენ. თუ ისინი ერთად იქნებიან, აქედან კარგი არაფერი გამოვა. მათ უკვე რეფორმატორ-თალიბებს უწოდებენ და ამიტომ, რაც მალე მოხდება მათგან გამიჯვნა, მით უკეთესია.

გიორგი კვიტაშვილი,
„ახალი თაობა“, 26 ნოემბერი, №326, 2001

რეფორმატორები პოლიტიკურად გაკოტრდებიან

[...]

რადიკალიზმი, თქვენი აზრით, სადამდე მიიყვანს რეფორმატორებს?

დარწმუნებული ვარ, თუ განწირულები არ ვართ, რეფორმატორები პოლიტიკურად გაკოტრდებიან.

და რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

იმიტომ, რომ პოლიტიკა ტყუილის ლაპარაკის ხელოვნება არ არის და არც ქვეყნის ინტერესებით სპეკულაცია შეიძლება. ეს არაკეთილსინდისიერებაა, რომელიც ისჯება პოლიტიკაში.

ისე, საინტერესოა, თქვენი დაკვირვებით, რა დოზისაა რეფორმატორების გავლენა ქართულ პოლიტიკაზე?

მიჭირს ამაზე პასუხის გაცემა თუნდაც იმიტომ, რომ პარლამენტში ვარ და გარეშე თვალით ვერ ვუყურებ მოვლენებს. ჩემი აზრით, მათ გარკვეული გავლენა შეინარჩუნეს პარლამენტში და ამაში ისიც თამაშობს როლს, რომ მათი კანდიდატი გავიდა პარლამენტის თავმჯდომარედ. [...]ბუნებრივად მიმაჩნია ის, რომ საზოგადოებაში რეფორმატორთა რადიკალური ფრთა პოპულარობით სარგებლობს – ხალხი დემორალიზებულია ამდენი გაჭირვება-დამცირებისაგან და სიამოვნებთ გულის მოსაფხანი სიტყვების მოსმენა.

ბოლო დროს მიხეილ სააკაშვილს ზურაბ ჟვანიასგან დამოუკიდებლად უჭირავს თავი, თუმცა არის მოსაზრება, რომ სააკაშვილი თავისი რადიკალიზმით ცხვირს წაიმტვრევს და ისევ მოუწევს ჟვანიასთან მიბრუნება.

იცით, მე მათი პარტიული ურთიერთობები არ მაინტერესებს და სულ ერთია, ვინ ვისთან მივა ან არ მივა. თუ საზოგადოება აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, ეს დემაგოგია და პოპულიზმი მათთვის ძალზე ცუდად დამთავრდება. მე ამას არ ვუსურვებდი რეფორმატორებს და ვურჩევ, ნუ დაადგებიან ასეთ გზას.

[...]

სააკაშვილის ფრთა ძალზე აქტიურად უტევს ედუარდ შევარდნაძეს და საზოგადოება იმაზე მკითხაობს, თუ რა კონტრზომებს მიიღებს პრეზიდენტი სააკაშვილისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით.

პოლიტიკას აქვს ერთი კანონი – შური არ უნდა იძიო. როგორც კი პოლიტიკოსი იწყებს შურისძიებას, ის თავისთვის სამარეს ითხრის. სხვა საკითხია, ჩათვლის თუ არა მათ შევარდნაძე იმდენად საშიშად, რომ რეფორმატორებს პოლიტიკურად დაუპირისპირდეს. არ მგონია, შევარდნაძე იმდენად გულუბრყვილო იყოს, შურისძიების გრძნობას აჰყვეს.

და თქვენ, პირადად, რეფორმატორები მიგაჩნიათ შევარდნაძისათვის საშიშ ძალად?

სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ჯერჯერობით არ აწარმოებს საშინაო პოლიტიკას, რაც ქმნის ნიადაგს სპეკულაციებისათვის და ნაირ-ნაირი დემაგოგიისთვის. ჩვენს პირობებში რეფორმატორები საკმაოდ მობილურები, ენერგიულნი და ეფექტიანები ჩანან. ამდენად, ამ ფონზე მათი იგნორირება უხეში შეცდომა იქნება. [...]

გიორგი კვიტაშვილი,
„ახალი თაობა“, 4 თებერვალი, № 32, 2002

მოქკავშირი მხოლოდ ერთი კაცისთვის, შევარდნაძისთვის, შეიქმნა

ბატონო მიხეილ, „მოქკავშირში“ მიმდინარე ამბები ერთდროულად სასაცილოც არის და სატირალიც. ისე, ალბათ რამდენიმე წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ყოფილი მმართველი პარტიის წევრები ერთმანეთში მუშტებით გაარკვევდნენ იმას, ოპოზიციონერები არიან თუ პრეზიდენტის პოლიტიკის დამცველები.

„მოქკავშირში“ მოხდა გარკვეულ ინტერესთა დაპირისპირება. ეჭვი მეპარება, ეს დაპირისპირება პოლიტიკური და კონცეპტუალური იყოს. მოგეხსენებათ, ჩვენთან ქცევის კულტურა არ დგას სათანადო დონეზე და, როგორც ჩანს, არგუმენტები შემოელიათ და მუშტებს მისცეს გასაქანი. ეს არის და ეს.

და რაზე მიანიშნებთ, როცა აცხადებთ, რომ მოქკავშირში არსებული წინააღმდეგობა არ არის პოლიტიკასთან დაკავშირებული?

როდესაც ამას ვამბობ, ვგულისხმობ იმას, რომ „მოქკავშირში“ მიმდინარე ამბებს ნამდვილ პოლიტიკასთან არაფერი აქვს საერთო. ეს არის ჯგუფური ინტერესების შეჯახება, ბრძოლა მიდის პარტიაში პოზიციების გასამყარებლად, მაგრამ ეს ყველაფერი წარმოებს ისეთი სახით, რომ გამორიცხავს ბრძოლას პოლიტიკური პრინციპებისათვის. ყველაზე უხერხული კი ის არის, რომ თავის დროზე „მოქკავშირი“ რაიმე იდეოლოგიური მოსაზრებების გამო არ შექმნილა — ის შეიქმნა ერთი კაცისთვის.

ანუ შევარდნაძისთვის?!

დიახ! შეიქმნა შევარდნაძისთვის და საკუთარ თავს შევარდნაძის პარტიას უწოდებდნენ. სწორედ ეს დანიშნულება ჰქონდა „მოქკავშირს“ და მისი წევრებიც შევარდნაძის ირგვლივ დარაზმულ ადამიანებად წარმოაჩენდნენ თავს. ამ ადამიანებმა სწორედ პირადი სამსახურით გაიკეთეს პოლიტიკური კარიერა.

ანუ პირადი სამსახურით შევარდნაძისათვის?

დიახ! ეს ხალხი საკუთარ თავს შევარდნაძის მოწაფეებსა და თანამოაზრეებს უწოდებს. აქედან გამომდინარე, მათ მოიპოვეს გარკვეული პოლიტიკური პოზიციები. ახლა კი ეუბნებიან შევარდნაძესა და მის მხარდამჭერებს – ახლა წადით აქედან, ეს უკვე ჩვენი პარტიაა. მოკლედ, დაავლეს ხელი „მოქკავშირს“ ჩემოდანივით და სადღაც მიაქვთ თავისთვის. ადამიანი, რომელსაც თავ-

მოყვარეობა და პოლიტიკოსის ღირსება აქვს, ასე არ იქცევა. ეს ძალიან ულამაზო საქციელია.

ჟვანიას გუნდი სულ სხვანაირად სვამს საკითხს: შევარდნაძესთან მანამ ვიყავით, სანამ რეფორმები ხორციელდებოდა, მერე კი, როცა შეწყდა ეს პროცესი, ყველანი ერთად გადავდექითო. სხვათა შორის, საკუთარი ნებით თანამდებობის დატოვებით ისინი ძალზე ამაყობენ კიდეც.

ეს არაგულწრფელობაა! ჯერ ერთი, ისინი თავიდან რეფორმებზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ შევარდნაძის ერთგული ხალხის როლს თამაშობდნენ. ჟვანიამ თქვა კიდეც – მე პრეზიდენტის ადვოკატი ვიყავიო. ეს ასეც იყო და „რეფორმატორები“ ხშირად ძალზე ულამაზო ფორმით ახორციელებდნენ შევარდნაძის ნებასურვილს და არავითარი პრინციპები იქ არ ჩანდა. კარგი, ვთქვათ, დავუჯერეთ მათ და ჩავთვალეთ, რომ „რეფორმატორები“ რეფორმების განხორციელების მიზნით თანამშრომლობდნენ პრეზიდენტთან. თუ ასეა, თანამშრომლობის დამთავრების შემდეგ უნდა წამოხვიდე შევარდნაძის პარტიიდან და შექმნა ახალი პოლიტიკური ძალა, უფრო ზუსტად კი ყველანი „ნაციონალურ მოძრაობაში“ უნდა გადავიდნენ, მაგრამ მათ სურთ იმ პარტიის დათრევა, რომელიც შევარდნაძემ შექმნა და შევარდნაძისთვის შეიქმნა, სურთ მისი სტრუქტურების, ქონების ხელში ჩაგდება და „მოქკავშირის“ საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება. დღეს ისინი აღარ არიან პრეზიდენტის ადვოკატები, გადაიქცნენ პროკურორებად და ამას არავითარი გამართლება არა აქვს.

ასეა თუ ისე, „მოქკავშირმა“ თავი ოპოზიციურად გამოაცხადა და სწორედ აქედან დაიწყო მთელი დავიდარაბა.

გასაგებია, რომ ეს ადამიანები ცდილობენ, გამართლება მოუძებნონ თავიანთ ტრანსფორმაციას, მაგრამ ეს ყველაფერი პოლიტიკური მეთოდებით უნდა ხორციელდებოდეს. ყველაზე კარგი კი ის იქნება, თუ გამოვა ეს ხალხი და აღიარებს თავის შეცდომებს — ვცდებოდით, მაგრამ ახლა ყველაფერს ხაზი გადავუსვით და სხვანაირად ვიწყებთ მოქმედებასო. მაგრამ ისინი ამას არ აკეთებენ — „რეფორმატორები“ ცდილობენ ძველი საქმიანობის გამართლებას და მისთვის სხვანაირი ელფერის მიცემას. ადრე ისინი შევარდნაძის ნების უსიტყვო გამტარებლები იყვნენ, დღეს კი პრეზიდენტის ყველაზე მწვავე ოპოზიციონერები არიან. აქედან

გამომდინარე, ისინი ცოტა უხერხულად გამოიყურებიან. ეს ყველაფერი კი მათი პოლიტიკური ცნობიერების კრახზე მიუთითებს.

მართლაც, „მოქკავშირი“ საკმაოდ მწვავედ მოქმედებს ხელისუფლების მისამართით. ისე, როგორ ფიქრობთ, ხომ არ დაუშვა პრეზიდენტმა შეცდომა, როცა გადადგა „მოქკავშირის“ თავმჯდომარეობიდან და „რეფორმატორებს“ პარტიაში თავისუფალი მანევრირების საშუალება მისცა?

საერთოდ, შევარდნაძემ თავისი მოწინააღმდეგეები თავისი ხელით გამოზარდა და რაც დათესა, ის მიიღო. რაც შეეხება შევარდნაძის გადადგომას საკუთარი პარტიის თავმჯდომარეობიდან, ამაზე ვერ ვისაუბრებ, რადგან პრეზიდენტს თავისი მეთოდები აქვს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გაგრძელდება ბრძოლა იმისთვის, რომ „მოქკავშირს“ შევარდნაძის მხარდამჭერი ჩაუდგეს სათავეში. სხვათა შორის, „რეფორმატორების“ ასეთ ქცევაზე ძალიან მწყდება გული. იცით, ალბათ, რომ მე მათ ვიცავდი ხოლმე, დღეს კი ვაღიარებ — ჩემი იმედები მათთან დაკავშირებით უსაფუძვლო ყოფილა. რა დაემართა თუნდაც ჟვანიას ამას წინათ?! შეიძლება აღელდე, ანერვიულდე, მაგრამ როგორ უნდა თქვა — პავლიკ მოროზოვივით ვწვდები კაცს ყელშიო. პავლიკ მოროზოვი ერთი ნაძირალა ბავშვია, რომელმაც ჩეკისტებს ჩაუგდო საკუთარი ოჯახი ხელში და ეს სახე საიდან ამოტივტივდა ჟვანიას ცნობიერებაში, გაუგებარია.

ჟვანიამ ზემოთ ხსენებული განცხადება იმ კონტექსტში გააკეთა, რომ მე დღეს ბევრი ჩემი მეგობარი მიპირისპირდება (ლევან მამალაძეს გულისხმობდა), მაგრამ თუ ისინი ჩვენს იდეებს კვლავაც გადაეღობებიან, პავლიკ მოროზოვივით ვწვდები ყელშიო.

და პავლიკ მოროზოვი რა, კეთილშობილი იდეების დამცველი არის?! სამწუხაროა, რომ ჟვანიამ თავის მეხსიერებაში სხვა სახე ვერ მოძებნა. მოგეწონებათ, მე რომ ვთქვა – კეთილშობილი იდეისთვის ვიბრძოლებ და ვინც ამას წინ აღუდგება, ბერიასავით მოვექცევი-მეთქი? სამწუხაროა, რომ ლიდერს ცნობიერებაში დღეს, როდესაც კომუნისტები მოვიშორეთ თავიდან, პავლიკ მოროზოვის სახე ამოუტივტივდა.

[...] საინტერესოა, დაახლოებით როდიდან შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება ე. წ. რეფორმატორების მიმართ?

ეს ერთი გადამწყვეტი მომენტი არ ყოფილა. ერთ-ერთი რუსთავი 2-თან დაკავშირებული ამბები იყო. აშკარად გამოჩნდა,

თუ რა როლს თამაშობდნენ „რეფორმატორები“ სტუდენტების მიტინგებში. [...]

სხვათა შორის, საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით ჟვანიამ აღნიშნა, რომ იქ პროვოკაცია მზადდებოდა, უნდა განმეორებულიყო 9 წლის წინანდელი ამბები და მერე ყველაფერი რეფორმატორებს დაბრალებოდათ.

ეს სრული სიყალბეა და არც არავინ მოტყუვდება. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. რეფორმატორები ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს აქციას ამერიკელები უჭერდნენ მხარს. არადა, პირიქით, ამერიკელები მხარს უჭერდნენ პრეზიდენტ შევარდნაძეს და იმედს გამოთქვამდნენ, რომ ხალხი დემაგოგებს არ აყვებოდა. დემაგოგებში ვისაც გულისხმობდნენ ამერიკელები, ალბათ კარგად ხვდებით. შემდეგში „რეფორმატორები“ მიხვდნენ, რომ ასეთი არევ-დარევით სხვა ძალა ჩაიგდებდა ხელში ხელისუფლებას და თვითონვე დაიხიეს უკან.

[...]

კიდევ ერთ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება; მოხდა უმნიშვნელოვანესი ფაქტი ამერიკა-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სახით და ეს შევარდნაძის პოლიტიკის დიდი გამარჯვებაა. ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტია და ამ ფონზე ყველამ ხელები უნდა დავიკაპიწოთ და ერთად ვიმუშაოთ. ამ დროს კი მოქკავშირელი ოპოზიციონერები, რომლებიც სიტყვით ერთიანობისკენ მოუწოდებენ ხალხს, პარტიის ხელში ჩასაგდებად ახალ ტალღას იწყებენ და ტეხენ აყალ-მაყალს და გამოდის, თითქოს ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა პოლიტიკურ ცხოვრებაში და არა „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ დაწყება. მათ უნდათ, რომ ამერიკის დახმარების ფაქტი, რომელიც პრეზიდენტის ავტორიტეტს მაღლა სწევს, მიჩქმალონ და ასეთი ხმაურით მიიპყრონ ყურადღება. ეს უკვე პრეზიდენტის მტრობა კი არა, ქვეყნის მტრობაა.

გიორგი კვიტაშვილი,
„ახალი თაობა“, 18 მარტი, №74, 2002

„ნაცმოძრაობა“ ფსიქიკურად შეშლილია

ბატონო მიხეილ, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების განცხადებით, საფრთხე ემუქრება მათ ლიდერ სააკაშვილს. თქვენ პირადად გჯერათ ამის?

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სააკაშვილს არანაირი საფრთხე არ ემუქრება. სამწუხაროდ, ეს არის საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში ყოფნის იაფფასიანი ხერხი.

ისე, ეს ხერხი არაერთ პოლიტიკურ ლიდერს გამოუყენებია.

რა თქმა უნდა, მაგრამ, როდესაც ეს იქცევა მეთოდად, საქმე გვაქვს ლიდერებისა და პოლიტიკური ძალების უსუსურობასთან. სხვათა შორის, ეს მეტყველებს საზოგადოების სისუსტეზეც, თუ, რა თქმა უნდა, საზოგადოება ამ ანკეესს წამოეგო.

და თქვენ როგორ ატყობთ, წამოეგო საზოგადოება სააკაშვილის ანკეესს?

გარკვეულწილად წამოეგო და ეს არც არის გასაკვირი – მათი ფრაზეოლოგია ისეთი იყო, რომ საქმეში ჩაუხედავ მოქალაქეს კი არა, ხანდახან მეც მხვდებოდა გულზე. მაგრამ მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოება ნელ-ნელა ფხიზლდება და თანდათან ერკვევა „ნაციონალური მოძრაობის“ დემაგოგიურ ხერხებში. არ შეიძლება, გულის მოსაფხან ფრაზეოლოგიას ქვეყნის მომავალი გადააყოლო. [...]

ისე, უახლესი წარსული გვიჩვენებს, რომ როდესაც ესა თუ ის პოლიტიკოსი ამოწურავდა ყველა რესურსს, სწორედ მაშინ იწყებდა საუბარს რაღაც საფრთხეზე, საშიშროებაზე და ათასგვარ ხიფათზე.

აბსოლუტურად გეთანხმებით. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ „ნაციონალური მოძრაობის” ლიდერები თუ სხვა „რეფორმატორები“ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს იყენებენ საკუთარი პოლიტიკური პრესტიჟის შესანარჩუნებლად. თუ საზოგადოება ამ თამაშს აჰყვება, ეს შეიძლება ძალზე ძვირად დაგვიჯდეს. [...]

ე. ი. იმის თქმა გინდათ, რომ რეფორმატორებისთვის პოპულიზმი და პოლიტიკა უკვე იდენტური ცნებებია?

რასაკვირველია, და ეს ძალზე სამწუხაროა. მკრეხელობაა ყველაზე მტკივნეული თემებით მანიპულირება და არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში პოლიტიკოსს ამას არ აპატიებენ.

თუმცა პოპულიზმიც არის და პოპულიზმიც. ალბათ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მხრიდან არცთუ მორალურია იმის პროპაგანდა, რომ ვიღაც მათ ჩასაძირად სამოქალაქო ომს აპირებს.

ამ შემთხვევაში მორალურობა-ამორალურობაზე არ არის საუბარი. ეს უკვე ფსიქოთერაპიის სფეროს განეკუთვნება. ეს ადამიანები ხშირად არ იწვევენ ჩემში მორალურ აღშფოთებას, რადგან მექმნება შთაბეჭდილება, რომ შეიძლება ისინი არცთუ ისე ჯანსაღად იყვნენ. სიყალბესაც აქვს თავისი საზღვარი. იყო დრო, ისინი პრეზიდენტის თითოეულ ნაბიჯს ეთანხმებოდნენ, მერე კი მომენტალურად შემოუბრუნდნენ ამ ადამიანს. თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი აცხადებდა – შევარდნაძე იდეალური ინტელიგენტის განსახიერებაა. საინტერესოა, ახლა რას ფიქრობს სააკაშვილი? [...] თურმე მათ აიძულეს შევარდნაძეს პროდასავლური კურსის გატარება, თურმე მათ შემოიყვანეს ამერიკელები და ა. შ. ეს ხომ სიცრუეა?! როდესაც ამას სჩადიან ადამიანები, რა თქმა უნდა, ეჭვი შეგეპარება როგორც მათ მორალურ, ისე ფსიქიკურ სიჯანსაღეში.

ე. ი. თქვენი აზრით, სააკაშვილი საბოლოოდ ჩამოყალიბდა საქართველოს მტრად?

სამწუხაროდ, ასეა! სააკაშვილი ოპონენტი კი არა, უკვე მტერია. [...]

გიორგი კვიტაშვილი,
„ახალი თაობა“, 10 აპრილი, № 97, 2002

ვაღიარებ, რომ შევცდი

თქვენ თავის დროზე სიმპათიით იყავით განწყობილი „მოქალაქე-რეფორმატორებისადმი“. რატომ შეგეცვალათ მათზე აზრი?

სააკაშვილს პირადად ხეირიანად არც კი ვიცნობდი, მაგრამ ჟვანიასა და მისი თანამოაზრეებისადმი მართლაც მქონდა სიმპათიები – მათ გარკვეული კრიზისული მომენტებისას სრულიად გულწრფელად ვემხრობოდი; შემდეგში ისე განვითარდა მოვლენები, იძულებული გავხდი მეღიარებინა, რომ ვცდებოდი.

კონკრეტულად რის საფუძველზე დაასკვენით ეს?

მოხდა რამდენიმე ფაქტი, რომელთა შეფასების შემდეგ, მიზანშეუწონლად მივიჩნიე ამ ხალხთან თანამშრომლობა.

„ბოლო აკორდი“ კი იმ „შიზოიდური მოძრაობის“ [...] შექმნა იყო, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ დაარქვეს. მათი საარჩევნო ლოზუნგი „თბილისი – შევარდნაძის გარეშე“, სხვა არაფერია, თუ არა სეპარატისტული ლოზუნგი და მოწოდება სახელმწიფო გადატრიალებისკენ. წარმოიდგინეთ პრეზიდენტი, ხელისუფლება, რომელსაც არ ექნება დედაქალაქი. პროვინციული სეპარატიზმი მსმენია, მაგრამ ასეთი რამ პირველად გავიგონე.

დავით ბერიძე,
„ახალი ეპოქა“, 17-20 მაისი, №38, 2002

პარტიები კლანურ დაჯგუფებებს დაემსგავსნენ

[...] პარლამენტარი მიხეილ ნანეიშვილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ძალები კლანურ-ჯოგური პრინციპებით მოქმედებენ და მათთვის უცხოა ისეთი ელემენტარული ცნებები, როგორებიცაა სამოქმედო კონცეფცია ან პოლიტიკური პროგრამა.

სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკური პარტიები არასწორ გზაზე დგანან, ისინი ერთიანდებიან პიროვნებების წინააღმდეგ და არა რაღაც იდეის გარშემო. ეს განსაკუთრებით „მოქალაქეთა კავშირიდან“ გამოყოფილ პარტიებს ეხება. მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „დემოკრატების“ მთავარი მიზანია, შევარდნაძე გამოიყვანონ ისეთი ოდიოზური ფიგურის როლში, რომლის ვადაზე ადრე გადაყენება აუცილებელია. ეს ძალიან ცუდ შედეგს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

ცოტა საეჭვოა, რომ მარტო ჟვანია-სააკაშვილის პოლიტიკური გაერთიანებები იქცევიან ასე და სხვა პარტიები განსხვავდებიან იმით, რომ ისინი კონკრეტულ პოლიტიკურ ან ეკონომიკურ პროგრამებზე მუშაობენ და მთელი ყურადღება პიროვნებებთან ბრძოლაზე არ აქვთ გადატანილი.

სამწუხაროდ, ყველა პარტია ერთი ტაქტიკით მოქმედებს. მათი მთავარი მიზანი ძალაუფლების ხელში ჩაგდება ან რაღაც გარიგებებში მონაწილეობაა. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ პარტიათა პროგრამები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. ქართული პარტიები პოლიტიკური ორგანიზაციებიდან კლანურ დაჯგუფებებად გადაიქცნენ, რომელთა მთავარი მიზანი პიროვნული ამბიციების განხორციელებაა.

ალბათ ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ისიცაა, რომ ხშირად პარტიებს შეუძლიათ რომელიმე კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ გაერთიანება და გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ ერთმანეთს დაერევიან ხოლმე.

რა თქმა უნდა, პარტიების მოქმედებაში ჯოგური პრინციპი ჭარბობს. ეს კი უკვე პოლიტიკა აღარ არის. პრობლემა მხოლოდ პარტიათა საქციელში კი არა, მათ პერსონალურ შემადგენლობაშიცაა.

პერსონალურ შემადგენლობაში პოლიტიკოსების არაპროფესიონალიზმს გულისხმობთ?

არაპროფესიონალიზმსაც და იმასაც, რომ ბევრს ელემენტური პოლიტიკური განათლება აკლია. კერძოდ, სახელმწიფოსა და ხელისუფლების ცნებებს ერთმანეთში ურევენ, აკლიათ სახელმწიფოებრივი აზროვნება, პირად ამბიციებს ყველაზე წინ აყენებენ და ა. შ.

და ეს რისი ბრალია — საქართველოში შექმნილი პოლიტიკური გარემოსი თუ ქართველი პოლიტიკოსების მენტალიტეტის?

როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ქვეყანაში ლოზუნგომანია დაიწყო. წლების განმავლობაში ვერა და ვერ ამაღლდა პოლიტიკური კულტურის დონე, ვერ ჩამოყალიბდნენ კლასიკური პარტიები და ა. შ. თუმცა მე იმედს არ ვკარგავ — ყოველ შემთხვევაში პარტიები უნდა შეეცადონ, რომ 2003-2005 წლები საქართველოსათვის საბედისწერო პერიოდი არ გახდეს.

გიორგი კვიტაშვილი,
„მთავარი გაზეთი“, 13 ნოემბერი, № 50, 2002

პრეზიდენტს ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი

ისტორია ისეთი რამ არის, რომ დროთა განმავლობაში ჟამთააღმწერლებს მასში მნიშვნელოვანი კორექტივებიც შეუტანიათ. ჯერ კიდევ მოქმედი პოლიტიკოსის მოღვაწეობის შეფასება შეიძლება ამ ეტაპზე ნაადრევია, მაგრამ რადგან პრეზიდენტ შევარდნაძეს საიუბილეო თარიღი აქვს, „დილის გაზეთი“ შეეცადა მისი 12-წლიანი მოღვაწეობა პარლამენტართან და ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარესთან მიხეილ ნანეიშვილთან ერთად შეეფასებინა.

არ დაბადებულა არც ერთი დიდი პოლიტიკოსი, რომლის მოღვაწეობაც არ შეიცავდეს როგორც დადებით, ასევე უარყოფით ელემენტებს. ასეა არა მარტო პოლიტიკაში, არამედ კულტურის ნებისმიერ დარგში. პოლიტიკოსების მოღვაწეობის ზოგადი შეფასება, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დარგის წარმომადგენელთა, გულისხმობს წარმატებებისა და წარუმატებლობების გათვალისწინებასა და საერთო ბალანსის გამოყვანას. თუ პრეზიდენტ შევარდნაძის მოღვაწეობას ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, რა თქმა უნდა, იგი დადებითად უნდა შეფასდეს. ასე მოიქცევა ნებისმიერი ობიექტური შემფასებელი, იმის მიუხედავად, ეთანხმება თუ არა პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკის ამა თუ იმ ასპექტს. მისი მოღვაწეობის შესაფასებლად, უპირველესად, საჭიროა ის მომენტი გავიხსენოთ, როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა. ეს იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრების გაურკვეველი პერიოდი, როცა სახელმწიფოებრივი ცხოვრება აბსოლუტურად მოშლილი იყო და პერსპექტივა ქვეყანას კარგს არაფერს უქადდა. პრეზიდენტ შევარდნაძის უპირველესი დამსახურება ის არის, რომ მან ქვეყანა ქაოსიდან გამოიყვანა და მას გარკვეული სახე შეუქმნა. შედეგად დღეს საქართველო, ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც, მსოფლიო თანამეგობრობაში გამოიყურება როგორც ქვეყანა, რომელსაც აქვს საკუთარი სახელმწიფოებრიობა და ადგილი დემოკრატიულ მსოფლიოში. ყველას კარგად გვახსოვს ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებას რაოდენ აქტიურად გამოეხმაურნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების თვალსაჩინო პოლიტიკოსები. გავიხსენოთ თუნდაც გენშერისა და ბეიკერის ჩამოსვლა საქართველოში. ამას მოჰყვა საქართველოს გაწევრიანება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. რაც მთავარია, პრეზი-

დენტ შევარდნაძის დაუღალავი, თავგანწირული მუშაობის შედეგად საქართველო დასავლეთისა და, კერძოდ, აშშ-ის გეოსტრატეგიული ინტერესების ერთ-ერთ საკვანძო ქვეყნად იქცა. ამ დამსახურებას პრეზიდენტ შევარდნაძეს ვერავინ დაუკარგავს. ამის შედეგია ის, რომ დღეს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ვერ ბედავს საქართველოს მიმართ თავისი იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებას. სწორედ პრეზიდენტ შევარდნაძის გონივრული პოლიტიკის შედეგია ის, რომ აღსრულდა საქართველოს საუკეთესო შვილთა 500-წლოვანი ოცნება.

დღეს ვხედავთ, რომ საქართველოში გამოჩნდნენ ამერიკელი სამხედროები, რომლებიც ქართული ქმედითუნარიანი არმიის შექმნაში გვეხმარებიან. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ ამ პოლიტიკამ შეიძლება მიგვიყვანოს და მიგვიყვანს კიდეც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე. ამას ძალიან კარგად გრძნობს თვით რუსეთიც, რასაც ადასტურებს მისი უგუნური პოლიტიკა აფხაზეთში – მოსახლეობისათვის რუსეთის პასპორტების დარიგება და რკინიგზის ამოქმედება. ნათელია, რომ რუსეთი პანიკაშია. ეს არის ჩვეულებრივი ნერვებზე თამაში, რომელსაც, რასაკვირველია, პრეზიდენტი შევარდნაძე არ აჰყვება და არც ჩვენ უნდა ავყვეთ.

ოპონენტები პრეზიდენტ შევარდნაძეს, უპირველესად, ეგრეთ წოდებული კლანური ჯგუფების შექმნაში ადანაშაულებენ, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ ობიექტებს მართავენ და რომლებიც მნიშვნელოვან შემოსავლებს სხვა მიმართულებით წარმართავენ...

ის სიტუაცია, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება (კორუფცია, სხვადასხვა კლანური დაჯგუფება), უჩვეულო არ არის ეგრეთ წოდებული განვითარებადი ქვეყნებისათვის, მით უმეტეს, პოსტსაბჭოური სინამდვილისათვის. უნდა ითქვას, რომ კორუფცია, რომელიც ჩვენს ხელისუფლებაში უთუოდ არსებობს, ასევე ფეხგადგმულია არასამთავრობო სექტორშიც, უბედურება ის არის, რომ ჩვენს პირობებში კორუმპირებულია უკვე თვით კორუფციასთან ბრძოლა. პრეზიდენტის მოღვაწეობის შეფასებისას მის საშინაო პოლიტიკას მთლიანად ვერ გავამართლებ, თუმცა ვითვალისწინებ, რა პირობებში უხდებოდა და უხდება მას მოღვაწეობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კორუფცია ჩვენი ქვეყნისათვის, სამწუხაროდ, ის სენია, რომელსაც ვერ ავცდებოდით. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ მას რაც შეიძლება ენერგიულად უნ-

და ვებრძოლოთ. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ყველაზე კორუფცირებულები ის ადამიანები და დაჯგუფებები არიან, რომლებიც ყველაზე მეტს ლაპარაკობენ კორუფციაზე და რომლებიც საკუთარ თავს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ ოპოზიციად ასაღებენ. რა თქმა უნდა, ამ ძალების არსებობას ჩვენში რეალური საფუძველი აქვს და ამას კვებავს ის შეცდომები, რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ დაუშვა... [....] ამასთან, არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის უხეში შეცდომები(ც), რომლებიც პრეზიდენტმა საკადრო პოლიტიკაში დაუშვა. [...] სწორედ ამ არასწორი პოლიტიკის წყალობით, ის ძალები, რომლებიც თხემით ტერფამდე თავად კორუმპირებულნი არიან, პრეზიდენტ შევარდნაძეს შემოუბრუნდნენ, როგორც ვითომ კორუფციასთან მებრძოლნი. ამაში პრეზიდენტმა, უპირველესად, საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულოს. არასწორი საკადრო პოლიტიკის ფონზე, ასევე, შეცდომები იქნა დაშვებული ეკონომიკაში, რამაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციალური მდგომარეობა განსაზღვრა. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი ჯეროვნად არ ითვალისწინებდა საკუთარი საკადრო პოლიტიკის სოციალურ შედეგებს. მე მგონია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტაცია საკმარისი არ არის, რადგან იგი იმდენნაირია, რამდენი ქვეყანაც არსებობს საბაზრო ეკონომიკით. დღემდე სწორად არ არის განსაზღვრული, რა სახის საბაზრო ეკონომიკას ვაშენებთ. მე, პირადად, მაშფოთებს ის სოციალისტური თუ მოსოციალისტურო ფრაზეოლოგია, რომელიც არცთუ იშვიათად გაისმის ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენში ეკონომიკური იდეოლოგია მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ არის. ასეთ პირობებში ხელისუფლება ვერ შეასრულებს იმ კულტურტრეგერულ როლს, რომელიც მას უნდა ეკისრა.

პრეზიდენტ შევარდნაძეს ყოველთვის საგარეო პოლიტიკას უქებდნენ. ის, რაც აფხაზეთთან დაკავშირებით უკვე მოხდა და ის, რაც დღეს ხდება (რუსული პასპორტების გაცემა, სოხუმი-სოჭის მიმართულებით რკინიგზის ამუშავება), არის თუ არა მისი საგარეო პოლიტიკის მარცხი რუსეთთან?

სამწუხაროდ, რუსი პოლიტიკოსების მენტალიტეტი არ იცვლება. ყოველ შემთხვევაში, ევოლუციას მეტისმეტად ნელა განიცდის. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკა, რომელიც დასავლეთისაკენ და, უპირველესად, აშშ-საკენ არის მიმართული, ერთადერთი სწორი პოლიტიკაა. რუსეთთან ურთიერ-

თობაზე ჩემი აზრი არაერთხელ გამომითქვამს და ახლაც მოგახსენებთ. სამწუხაროდ, რუს პოლიტიკოსებს მხოლოდ ერთი არგუმენტი სწამთ, ეს არის ძალა. რუსეთთან დათმობის პოლიტიკა სასიკეთოდ არასდროს დამთავრებულა იმ ქვეყნისთვის, რომელიც დათმობებზე წასულა. ის გაღიზიანებაც, რომელიც აშკარად ჩანს რუსეთის პოლიტიკაში, ნათლად გვიჩვენებს, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკა აშკარად სწორია. რა აღიზიანებს რუსეთს? ის, რომ იგი ნათლად ხედავს, რომ საქართველო უკვე დაცულია, მას ძლიერი მოკავშირე ჰყავს და, ადრე თუ გვიან, საქართველო მთლიანად გამოვა რუსეთის გავლენის სფეროდან. [...] დღეს რუსეთი საქართველოს მტერია და თავისი აგრესიულობით იგი შეცდომებს უშვებს. უბრალოდ ამ შეცდომების არ უნდა გვეშინოდეს. გავიხსენოთ თუნდაც 11 სექტემბრის მუქარა, რომელიც იმით დამთავრდა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ საქვეყნოდ ამხილა საკუთარი თავი და ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია. რასაკვირველია, პრეზიდენტ შევარდნაძეს კიდევ ბევრი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი და ეს თვითონაც მშვენივრად იცის. ამიტომ მას ვულოცავ საიუბილეო დღეს და ვუსურვებ, წარმატებით მიიყვანოს ბოლომდე ის პოლიტიკა, რომლის მთავარი შემოქმედიც თვითონ არის.

თამარ სუჯაშვილი,
„დილის გაზეთი“, 20 იანვარი, № 11, 2003

ფერი ფერს და მადლი ღმერთს

თითქოს არაფერი მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო იმაში, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება კულმინაციას მიაღწევდა. დიდი სიურპრიზებისთვის საზოგადოებაც თითქოს მზად იყო და არავის არაფერი უნდა გაკვირვებოდა. მაგრამ გასაკვირი მაინც ხდება. გვესაუბრება დეპუტატი მიხეილ ნანეიშვილი:

ოპოზიციის საქციელი სრულ მარაზმს ემსგავსება. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ჩვენი პოლიტიკის ასპარეზზე მყოფი ადამიანების პოლიტიკოსებად ფორმირება ეროვნული მოძრაობის პერიოდიდან მოხდა. მშვენივრად გვახსოვს, რომ იმ დროიდან მოყოლებული, მუშტი-კრივი მიიჩნეოდა ერთ-ერთ საუკეთესო პოლიტიკურ ინსტრუმენტად. გახსოვთ ოფიციალური შენობების ოკუპაციები, ტელევიზიის აღებები, შიდაპარტიული ცემა-ტყეპა, პარტიებს შორის დაპირისპირება, მათ შორის, შეიარაღებული თავდასხმებიც. ახლახან ცსკ-ს რა ამბავი დააწიეს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. თავისი გონებრივი წყობით ეს არის ქუჩის ხალხი. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რა ოჯახში გაიზარდა, ვგულისხმობ მთლიანად ოპოზიციას. შეიძლება რომელიმე მათგანი თავის დარგში რაიმეს წარმოადგენდეს, მაგრამ ის დარგი, მგონი, ახლა მიტოვებული აქვს. შეიძლება წესიერი ოჯახიდანაც არიან, მაგრამ ესეც არ შველის საქმეს. ტრადიციებს რაც შეეხება, ხალხი მშვენივრად ხედავს, რა ხდება პარლამენტში. ერთმანეთს ურტყამენ, აგინებენ, შეურაცხყოფას აყენებენ. ამასაც მთავრობა უკეთებს პროვოცირებას? მაშინ ესენი საერთოდ წყალწაღებული იდიოტები ყოფილან. არც ამას გამოვრიცხავ, მაგრამ რაღაცას ხომ უნდა დაუფიქრდე (თუმცა, იდიოტი რას დაუფიქრდება!). [...]

როგორ ფიქრობთ ამით რას მიაღწევენ?

თუ რამეს მიაღწევენ, მაშინ ქვეყანა ყოფილა წყალწაღებული. ერთ დროს მაგათ ვუჭერდი მხარს, ვგულისხმობ ახლად ჩამოყალიბებულ „გაერთიანებულ დემოკრატებს“, მაგრამ ახლა ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ მათ არც ქვეყანა აინტერესებთ, არც ჭკუა აქვთ.

მაია შონია,
„დილის გაზეთი“, 6 თებერვალი, № 26, 2003

არტისტული გადატრიალება

შევარდნაძე გადადგა.

ემოციები ჯერაც საბოლოოდ არ დამცხრალა.

სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები, ჩვეულებრივი მოქალაქეები ხშირად ურთიერთგამომრიცხავად აფასებენ ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს. ზოგი უფრო არგუმენტირებულად, ზოგიც — ნაკლებ დამაჯერებლად.

და მაინც, მთავარია, რომ ყველაფერი უსისხლოდ მოხდა. დაპირისპირებულ მხარეებს აღმოაჩნდათ უნარი, სახიფათოდ გაღვივებული კონფლიქტის ურთულეს ვითარებაში სწორი ნაბიჯები გადაედგათ და ერთმანეთის ძალისხმევა დაეფასებინათ.

ახლა მთავარია ფიქრი ქვეყნის მომავალზე, იმაზე, თუ, უწინარესად, რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რათა პროცესები ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

ჩვენი გაზეთის კითხვებს უპასუხა რამდენიმე რესპონდენტმა.

1.რამდენიმე სიტყვით როგორ გამოხატავთ თქვენს დამოკიდებულებას ამ ბოლო დროს საქართველოში განვითარებული მოვლენებისადმი?

2.„ხავერდოვანი რევოლუციის“ დადებითი და უარყოფითი მხარეები. თქვენი აზრით, როგორ აისახება ეს ყველაფერი დღევანდელი საქართველოს ცხოვრებაზე?

3.იმოქმედებს თუ არა პრეზიდენტის გადაყენება საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე. პირადად თქვენზე რამ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება, ან რა გეთაკილათ, რა არ მოგივიდათ თვალში?

4.არსებობს თუ არა საფრთხე, რომ ეს ყველაფერი ხალხს, საზოგადოებას მიაჩვევს რევოლუციებს და გაუჭირდება გამოიმუშავოს კანონმორჩილების უნარ-ჩვევები?

5.რა მიგაჩნიათ დღეს ქვეყნის წინაშე მდგარ ყველაზე რთულ და საშურ პრობლემად და როგორია მათი მოგვარების გზები?

მიხეილ ნანეიშვილი, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი:

1. მოკლედ რომ მოგახსენოთ, მოხდა ის, რაც არაერთგზის მომხდარა ჩამორჩენილი, „დაგვიანებული“ ერების ისტორიაში: ხელისუფლებაში მოსვლის დაუოკებელი წყურვილით შეპ-

ყრობილ პოლიტიკოსთა კარგად ორგანიზებულმა ჯგუფმა, გარეშე ძალების ფართომასშტაბიანი ფინანსური და ინტელექტუალური დახმარებით, შეძლო დემაგოგიის ნაცადი მეთოდებით მოსახლეობის უკმაყოფილების გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის, რომლებსაც, ცხადია, თავისთავად არაფერი აქვს საერთო თვითონ ამ გაჭირვებული ხალხის რეალურ ინტერესებთან და პრობლემებთან. არახალია, ძველია: დისკრედიტირებულია ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, აქედან გამომდინარე, პრაქტიკული შედეგებით, ქართული სახელმწიფოებრიობა ან, როგორც დღეს მოდაშია, „დემოკრატია“, და გაბრიყვებული ქართველი ხალხი. ნიშანდობლივია, რომ ასეთ არასასახელო საქმეში ხსენებულ დემაგოგებს გვერდში ედგა ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის როლიც ამ საშვილიშვილოდ სასირცხო საქმეში საფუძველს მაძლევს, კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ ქართველი საზოგადოება იმყოფება უმძიმესი გონებრივი და ზნეობრივი კრიზისის (მეტი რომ არ ვთქვა) მდგომარეობაში.

2. ამ კითხვას არსებითად უკვე ვუპასუხე. ნათქვამს მხოლოდ დავაზუსტებ. „გარეშე სატანამ“ აისრულა გულისწადილი, შევარდნაძის გადადგომა, თავისი მეხუთე კოლონის, ჩვენი „შინაური იდიოტების“ მეოხებით. აკი ვიხილეთ ამ „გარეშე სატანის“ წარმომადგენლის, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ქართველი „იდიოტების“ სასიყვარულო სცენა პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე. ალბათ, არასდროს ყოფილა ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ ისე აქტუალური, როგორც დღეს. გირჩევთ, კიდევ ერთხელ წაიკითხოთ, რათა დაინახოთ დღევანდელი საქართველოს სახე: არა საცოდავი, არა საბრალო, არამედ „რაღაც“ უარესი...

3. ჩემზე მხოლოდ ერთმა რამემ მოახდინა კარგი კი არა, აღმაფრთოვანებელი შთაბეჭდილება: პრეზიდენტ შევარდნაძის პიროვნული ღირსების გრძნობით აღსავსე ნაბიჯმა, მისმა „სახელმწიფო ზრდილობამ“, რომლის ფონზეც სირცხვილის კიდევ უფრო მწვავე განცდა დამეუფლა „ქამოკრატიის“ საპარპაშოდ ქცეული ჩემი სამშობლოსათვის. რაც შეეხება იმას, თუ როგორ იმოქმედებს მომხდარი საქართველოს „იმიჯზე“, მოგახსენებთ: არანაირად, რადგან საქართველოს, დღეისთვის მაინც, არავითარი „იმიჯი“ არ აქვს.

4. რაც მოხდა, ის „რევოლუციის“ პატივსადებ სახელს აშკარად არ იმსახურებს: რევოლუცია გულისხმობს გარკვეულ ღირებულებებს, რომელთა დამკვიდრებისთვისაც ის ხდება კიდეც. „რევოლუციური“ ფრაზეოლოგია ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნამდვილ რევოლუციას. გარდა ამისა, რევოლუციას საზოგადოება სჭირდება, საზოგადოება კი, გნებავთ, ხალხი, ერი, – ამ სიტყვათა ჭეშმარიტი მნიშვნელობით, ჩვენში არ არსებობს. ამიტომ კითხვა, თუ რას შეეჩვია, რას არა ქართველი „საზოგადოება“, უსაგნოდ მიმაჩნია. ვიმეორებ, ჩვენ ხომ ილიას „ბედნიერი ერი“ ვართ.

5. დღესდღეობით საქართველოში ხელისუფლება პრაქტიკულად არ არსებობს. დაველოდოთ არჩევნებს, სამომავლო „კარგ სანახაობას“, ვნახოთ, რას წარმოგვიჩენს ის. როგორც უნდა იყოს, დარწმუნებული ვარ, ჩემდა სამწუხაროდ, რომ ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ყველაფრის ფასად, რათა შეინარჩუნოს „მონაპოვარი“. ამიტომაც კითხვა, თუ მე „რა მიმაჩნია“, ჩემთვის უადგილო კითხვაა.

„ახალი ეპოქა“, 28 ნოემბერი – 4 დეკემბერი, № 46, 2003

ხელისუფლებაში მოვიდა შპანა, ეს არის ნამდვილი შპანოკრატია

(„ტრიბუნა“ ესაუბრება მიხეილ ნანეიშვილს)

„ტრიბუნა“: ბატონო მიხეილ, როგორ შეაფასებდით საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებს?

ნანეიშვილი: ის, რაც მოხდა, რევოლუცია ნამდვილად არ იყო. რევოლუცია ის მოვლენაა, რომელიც ემყარება გარკვეულ ღირებულებებს. რევოლუცია არის მმართველობისა და მასთან დაკავშირებული ღირებულებების შეცვლა. მსგავსი რამ არ მომხდარა. ეს გახლდათ უბრალო გადატრიალება ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. ეს გააკეთეს ადამიანებმა, რომლებიც ადრე პრეზიდენტ შევარდნაძის გვერდით იყვნენ, მაგრამ დაინახეს, რომ შევარდნაძე მათ თავიანთ მემკვიდრედ ვერ ხედავს. ერთ-ერთმა მათმა წარმომადგენელმა, რომელიც ჩემთან გახლდათ სახლში, განაცხადა, შევარდნაძეს ჩვენ არ მოვყავართ ხელისუფლებაში, ჩვენ ვიცით, რომ შევარდნაძე ძალას სცემს პატივს და ჩვენც მას ძალას ვუჩვენებთო. ასეთ იდეურ კაპიტალზე დამყარებული აქცია რევოლუცია არ არის. ეს არის პატივმოყვარეობითა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილით შეპყრობილი ადამიანების ამბიციების განხორციელება.

[...] რაც მოხდა, დემოკრატიის გამოვლენა აშკარად არ ყოფილა. საქართველოში არსებობს მძიმე მანკი – კორუფცია. სარევოლუციოს კორუფცია არაფერს წარმოადგენს. ნათქვამია, „მგელს მგელი დაერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოო“. ყველაზე კორუმპირებული ძალები თავმოყრილია იქ, საიდანაც განხორციელდა ეს გადატრიალება. [...]

რევოლუციონერების აქციები ვითარდებოდა მოწოდებებით – დაგვიბრუნეთ ხმები და რომ არჩევნები გაყალბდა. ვინ გააყალბა არჩევნები სინამდვილეში?

გასარკვევია, სად გაყალბდა სიები. როცა სიები გადაეცა ამერიკულ ორგანიზაციას, მან „რუსთავი-2“-დან მოიწვია საკომპიუტერო მომსახურება და სწორედ იქ მოხდა ამ სიების გაყალბება. სიების გაყალბება წინდაწინ იყო დაგეგმილი. [...] წინასწარ იყო დაგეგმილი სასკანდალო სიტუაცია. სასამართლომ დადგენილება გამოიტანა დაგვიანებით. კონსტიტუციაში ნათლად არის აღნიშნული, რომ როგორც კი ცესკო გამოიტანს დადგენილებას,

პრეზიდენტი ვალდებულია, ხუთ დღეში მოიწვიოს პარლამენტის სხდომა. ძველი პარლამენტი წყვეტს უფლებამოსილებას, როგორც კი ახალი პარლამენტი შეიკრიბება. ამ დროს შემოვარდა დარბაზში ე. წ. დემოკრატია. მაგიდაზე მოხტუნავე „დემოკრატებმა“ ძალით გაყარეს პარლამენტი. ყველაფერი მოხდა დემოკრატიის პრინციპების დარღვევით, კანონის უზენაესობის უხეში, ურცხვი ხელყოფით. ახლა წამოაყენეს ორიგინალური იდეა. წინასწარ დაარეგისტრირებენ, ვინ მოვა პრეზიდენტის არჩევნებზე. [...] ესენი ლამის ხალხსაც კი ნიშნავენ.

თქვენ ბრძანებთ, რომ სიების გაყალბება წინასწარ იმისთვის მოხდა, რომ მერე ეს რევოლუცია მომხდარიყო?

რასაკვირველია. მე ამაზე პრეზიდენტს მოვახსენე წლინახევრის წინ. ადგილობრივი არჩევნების დროს წამოაყენეს „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა ლოზუნგი – „თბილისი შევარდნაძის გარეშე“. რას ნიშნავს დედაქალაქი პრეზიდენტის გარეშე? მხოლოდ იმას, რომ შევარდნაძე ვადაზე ადრე უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან.

რა გიპასუხათ ბატონმა ედუარდმა?

ამაზე არ მინდა ლაპარაკი.

დაახლოებით მაინც რა თქვა?

მოისმინა და არასწორს მეუბნებიო, არ მითხრა.

არის რეალური საფრთხე, რომ აჭარა გამოვიდეს საქართველოს შემადგენლობიდან?

ფორმალურად არ გამოვა, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობა თუ არ მიიღო, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ამ ეტაპზე ეს რეგიონი დამოუკიდებლად არსებობს.

ამით ამ ხელისუფლების ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება?

ლეგიტიმურობა თავისთავად დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. თავს ნუ მოვიტყუებთ იმით, რომ ამერიკამ ეს ხელისუფლება ცნო. ეს არის წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება. ის ქალბატონი, რომელიც ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, არ არის ლეგიტიმური. არჩევნების შემდეგ დაიწყება ბრძოლა ამ სამეულის შიგნით, ვინ ვის სძლევს. შესაძლოა ნაცმოძრაობის ლიდერი გახდეს პრეზიდენტი, მაგრამ ამით არ დამთავრდება პროცესი. მერე დაიწყება ბრძოლა პარლამენტისთვის და აქ უნდა ველოდოთ კონფრონტაციას მათ შორის.

[...]

დასავლეთი მართავდა ამ პროცესებს თუ რუსეთი?

რუსეთის ხელი ერია, მაგრამ არ მგონია, რომ პირველი ვიოლინო რუსეთი ყოფილიყო. მიაქციეთ ყურადღება, როგორ აქტიურობდა აქ ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტი, ე. წ. ენ-დი-აი. ამერიკის ელჩიც ნეიტრალური არ იყო ამ სიტუაციაში, არც სოროსი... ენ-დი-აი ამერიკაში გარკვეულ ძალასთან არის დაკავშირებული.

თქვენი აზრით, ვისი დამსახურება იყო, რომ ყველაფერი უსისხლოდ დასრულდა?

რა თქმა უნდა, პრეზიდენტ შევარდნაძის, რომელიც, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ერთადერთი პოლიტიკოსია საქართველოში. ესენი მიდიოდნენ აშკარა პროვოკაციაზე. მე იმასაც ვშიშობდი, რომ მეორე მხარეს, სადაც პოლიცია იდგა, თავისი კაცი არ შეეგზავნათ და იქიდან არ ესროლათ. ამით დაიწყებოდა სისხლის ღვრა. პრეზიდენტი ამაზე არ წავიდა. აქ ორი ადამიანიც რომ დაღუპულიყო, ეს იქნებოდა მძიმე მორალურ-პოლიტიკური დარტყმა პრეზიდენტისთვის. პრეზიდენტს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქვეყანა აარიდა სისხლის ღვრას. რაც შეეხება ამათ, ესენი ჩვეულებრივი პროვოკატორები არიან. ხელისუფლებაში მოსულია „შპანა“, ეს არის ნამდვილი „შპანოკრატია“.

პოლიტიკური დევნის შეფასება რამდენად შეიძლება მიეცეს მამალაძის, მოლაშვილის, ჟორდანიას, ჩხაიძის მიმართ საქმის აღძვრას?

არსებითად ეს არის პოლიტიკური ღონისძიება. მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორების საშუალებაა, ხალხს უნდათ დაანახონ, რომ კორუფციას ებრძვიან. კარგი იქნებოდა, კონტროლის პალატის სხვა მასალებისთვისაც გადაეხედათ, სამზეოზე გამოეტანათ ის მასალები, რომლებიც თვითონ მათ ეხებათ [...] მაგრამ ამას ისინი არ გააკეთებენ.

თამარ ნინიძე,
„ტრიბუნა“, № 155, 08. 12. 2003

2004–2011 ᎩᎩ.

ნოემბერში მომხდარ მოვლენებს რევოლუციას ვერ დავარქმევ; საეჭვო რეპუტაციის ჯორჯ სოროსმა საქართველოს მთავრობა იყიდა

საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული (ეროვნული) პარტიის ლიდერი, 1999 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი მიხეილ ნანეიშვილი ნოემბრის მოვლენების შემდეგ პარლამენტში არ გამოჩენილა და, შესაბამისად, არ დაუფიქსირებია თავისი პოზიცია მომხდარ და მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. „ახალი თაობა“ მიხეილ ნანეიშვილს ქვეყანაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ესაუბრა.

თვლით თუ არა, რომ რევოლუციის შემდეგ საქართველოში სისტემური ცვლილებები მოხდა?

რევოლუცია გულისხმობს საზოგადოებაში ღირებულებითი ორიენტირების შეცვლას. საქართველოში მომხდარ მოვლენებს მხოლოდ წინდაუხედაობით ან გაუგებრობით უწოდებენ რევოლუციას. სამწუხაროდ, ამ ტერმინს უპასუხისმგებლოდ ხმარობენ უცხოელი მეგობრებიც და მნიშვნელობა არა აქვს, ამერიკის პრეზიდენტი უწოდებს საქართველოში მომხდარს რევოლუციას, თუ რომის პაპი (მათდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად). ეს რეალობის ამსახველი არ არის. ახლა რაც შეეხება ცვლილებებსა და მიმდინარე მოვლენებს. ქურდებთან და ბაცაცებთან ბრძოლა არ ნიშნავს სისტემურ ცვლილებებს და კრიზისის დაძლევას. [...] ამ ძალებმა, რომლებიც ახლა ქვეყანას მართავენ, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბი გამოიყენეს თავიანთი დაუოკებელი მისწრაფებისათვის, მოსულიყვნენ ხელისუფლების სათავეში. კორუფცია მხოლოდ ფულის აღებ-მიცემობა არ არის და ახლანდელი მმართველები სულაც არ არიან თავისუფალი კორუფციისგან. [...] ზოგადად, კანონის დარღვევით უკანონობასთან ბრძოლა რყვნის მებრძოლს.

საქართველოში მომხდარ მოვლენებს მიესალმნენ უცხოეთში...

[...] თუმცა სინამდვილეში, მათი (ამერიკის ადმინისტრაციის) ჩანაფიქრი საქართველოში ვერ განხორციელდა. ამერიკელებს სულ სხვა გეგმები ჰქონდათ. მისალმებას რაც შეეხება, როგორც დეგენერატებს, გვეფერებიან.

რა ჩანაფიქრი ჰქონდათ ამერიკელებს?

[...], მათ უნდოდათ, რომ 2 ნოემბრის შემდეგ აქ ხელახალი საპარლამენტო არჩევნები დანიშნულიყო. შევარდნაძის წასვლა არ იგეგმებოდა, სამაგიეროდ, გათვალისწინებული იყო მისი პარალიზება და მორალური დისკრედიტაცია. წინა ხაზზე გამოვიდოდა ჟვანიას ჯგუფი. მომზადდებოდა ნიადაგი შევარდნაძის ამ ჯგუფის წარმომადგენლებით ჩასანაცვლებლად, მაგრამ, როგორც ცნობილია, ჟვანიას გაერთიანებამ 2 ნოემბრის არჩევნებში 7-პროცენტიანი ბარიერიც კი ვერ გადალახა. ცესკომ მას ხმები აჩუქა. ამან კი ლახვარი ჩასცა ჟვანიას რეპუტაციას მათ თვალში. ისე, რაც მოხდა, შევარდნაძემ თავის თავს დააბრალოს, იმიტომ, რომ ახლანდელი ლიდერები მან გამოზარდა. ამერიკელებისთვისაც და ჟვანიასააკაშვილისთვისაც მოულოდნელი იყო შევარდნაძის გადადგომა. ამის გამო ამერიკელებიც ცოტა გაბუტულები არიან და ამბობენ, შევარდნაძემ გაგვაბითურაო. ისე, გასაკვირია, რომ ამერიკელები ამდენი ხნის განმავლობაში იცნობენ შევარდნაძეს, იციან მისი როლი საბჭოთა კავშირის დაშლაში და, მიუხედავად ყველაფრისა, შევარდნაძის ნაბიჯების გათვლა ვერ ისწავლეს.

ერთ პარტიად გაერთიანების მიუხედავად, სააკაშვილისა და ჟვანიას გუნდებში ერთიანობა ეჭვს იწვევს...

ახლა სააკაშვილის გუნდი უნდობლად ეკიდება ჟვანიას გუნდს და მის ჩაძირვას ცდილობს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მე ის მაწუხებს, რომ ქვეყანაში პერსპექტივა არ ჩანს.

ამაში რას გულისხმობთ?

არ ჩანს ღირსეული ფიგურა, ლიდერი, რომლის ზურგსუკანაც ძალა იქნებოდა და რომელიც ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანდა. [...]

ხალხი მხარს უჭერს „რევოლუციურ“ ხელისუფლებას...

ნოემბრის მოვლენებიდან მოყოლებული, ჩვენი საზოგადოება სრულ პოლიტიკურ უმწიფრობას ამჟღავნებს. ისიც სირცხვილია, რომ დამოუკიდებლობის წლებში ვერ მოხერხდა, არჩეულ ლიდერს თავისი უფლებამოსილება ბოლომდე ძალის ჩაურევლად შეესრულებინა. ე. წ. რევოლუციის დღეებში ხალხმა გონებრივი სიმწირე გამოიჩინა, ბევრი იჟრიამულა და, რაც ყველაზე უცნაურია, ამ პროცესებში ბავშვები ჩართო.

ახლა რას მოელით?

[...] ისეა ჩვენი საქმე, რომ სანამ ცხვირ-პირს მაგრად არ წა-

ვიმტვრევთ, არაფერი გვეშველება. სხვანაირად საქმე წინ ვერ წავა. ისე, ზნეობრივ დეგრადაციას ბევრი ერი გადაუშენებია.

[...]

მთლად განწირულები არ ვართ?

არა მგონია, განწირულები ვიყოთ. არც ამერიკა მიგვატოვებს, თუნდაც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ მანამდე, როგორც აღვნიშნე, ცხვირ-პირის წამტვრევა და თავზე ლაფის დასხმა არ აგვცდება. აუცილებელია ეროვნული ღირებულებების წინ წამოწევა. მე ამ სიტყვებს სიფრთხილით წარმოვთქვამ, რადგან ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ისინი გააუფასურა. [...].

კიდევ რა არის აუცილებელი?

უნდა ვისწავლოთ ჩვენს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა, კონსტრუქციული კამათი, ჩვენი პოზიციების დაცვა და არა ლაქუცი. მიხეილ წერეთელი ამბობდა, ქართველებმა უცხოელებთან საუბარი არ ვიცითო და მართალი იყო. [...].

[...] ჯორჯ სოროსმა საჯაროდ განაცხადა, საქართველოში წარმატებული ექსპერიმენტი ჩავატარეო.

ამ განცხადებას მე რაღა უნდა დავამატო? დანაშაულად მიმაჩნია ის, რომ სოროსი, როგორც კერძო პირი, აფინანსებს საქართველოს ახალ მთავრობას. ამას მე კორუფციას ვუწოდებ. საეჭვო რეპუტაციის კერძო პირი ჯორჯ სოროსი ყიდულობს ქვეყნის მთავრობას და მარქსის მოძღვრებით გატაცებული მარქსის პრიზმიდან ახორციელებს გლობალიზაციის იდეებს საქართველოში. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ყიდულობს მთელ ქვეყანას, ერს, ანუ ფულსაც იხდის და მუსიკასაც უკვეთავს. [...] სოროსის მიერ დაფინანსებული კომკავშირლები, „კმარას“ წევრები, ისეთი ხალხია, რომ „თხა და გიგო“ რომ უკარნახო, იმასაც შეცდომით დაწერენ. ჩვენ ახლა ერადყოფილი ხალხი ვართ და ისევ ერად უნდა ვიქცეთ. ერს ვერ უწოდებ კაცი ვერც აგრესიულ ბრბოს, რომელიც ვერ აზროვნებს და ვერც იმ „ინტელიგენციას“, რომელიც ხელისუფლების ნასუფრალის ნამცეცებით იკვებება და ხელისუფლების სხივებით თბება. მე მაინც მგონია, რომ საქართველოში დადებითი ტექტონიკური ძვრები მოხდება.

მარიკა მჭედლიშვილი,
„ახალი თაობა“, №70, 12 მარტი, 2004

სახელმწიფო ფედერალური თუ უნიტარული?

ბატონო მიხეილ, თქვენი შეხედულებები ფედერაციული მოწყობის საქართველოზე ცალსახად უარყოფითია. რამ განაპირობა თქვენი ასეთი დამოკიდებულება?

ფედერაციული მოწყობის სამართლებრივი საფუძველი როგორი უნდა იყოს, ისიც კი არ იციან იურისტებმა. მოგეხსენებათ ჩვენთან ცოდნის დიდი დეფიციტია. რაც შეეხება საქართველოს ფედერაციული მოწყობის გეგმას – ეს უტოპიაა. ფედერალური საქართველო იქნება ინვალიდი სახელმწიფო. დავაკვირდეთ, ვის უნდა ჩვენი სახელმწიფოს ასეთი მოწყობა? რუსებს. იმიტომ, რომ მათ გაცილებით კარგად იციან, – თუ აჭარა, აფხაზეთი, „ვითომ ოსეთი“ იქნება ფედერაციის სუბიექტი, თუნდაც შეზღუდული, გნებავთ, შეუზღუდავი ფორმით, საქართველო დაიშლება.

თქვენი აზრით, ფედერალიზმი შესაძლოა საქართველოს დაშლის მიზეზი გახდეს?

საქართველო დაიშლება იმიტომ, რომ თვითშეგნება ყანწების დონეზეა. ჩვენი პატრიოტიზმიც ყანწების დონეზეა. ჩვენ უკულტურო ერი ვხდებით, რადგან ძველ კულტურას ვკარგავთ.

მაშინ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რა ფორმა არის ადექვატური ქართული სინამდვილისათვის?

საქართველო უნდა იყოს დეცენტრალიზებული, უნიტარული სახელმწიფო, სადაც ერთადერთი ავტონომია იქნება – აფხაზეთის ავტონომია. ეს მორალური იმპერატივია, დანარჩენ ერთეულებს კი ავტონომიის სტატუსი არ უნდა გააჩნდეთ.

ამ კონტექსტში საინტერესოა აჭარის სტატუსიც...

აჭარა განხილვის სხვა თემაა, ხოლო რაც შეეხება ოსეთს, რატომ უნდა ჰქონდეს მას ავტონომია. თუ დავუკვირდებით არსებობს ე.წ. სამხრეთი ოსეთი და ჩრდილოეთი ოსეთი. ვინ მაძლევს იმის გარანტიას (არა სინდისით), რომ ერთ დღეს არ იტყვიან: რა დააშავა გერმანიასავით ორად გაყოფილმა ოსეთმა, მოდით გავაერთიანოთ, ვინ მაძლევს გარანტიას? საჭიროა საქართველოს, აშშ-სა და სხვა ქვეყნების ისტორიის კარგი ცოდნა – ყველა ხელისუფალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ისეთ ფორმას ირჩევდა, რომელიც მისაღები და შესაბამისი იყო თავისი ქვეყნისთვის. ჩვენ კი გვინდა აშშ-ს მივბაძოთ და ვამბობთ: აშშ

ფედერაციული ქვეყანაა. აშშ, სხვათა შორის, პირველი დაწერილი კონსტიტუციის და პირველი დემოკრატიული ქვეყანაცაა.

შესაძლებელია თუ არა ფედერალური მოწყობის პირობებში სამხრეთ საქართველოს საკითხის გააქტიურება?

რა თქმა უნდა, თუ ოსებს აძლევთ ავტონომიას, რა დააშავეს ებრაელებმა, რომლებიც 26 საუკუნეა საქართველოში ცხოვრობენ და სხვა ერებმაც.

თქვენ აზრით, რომელი გადაწყვეტილებაა ჩიხიდან გამოსავალი?

დეცენტრალიზებული უნიტარიზმი კარგად განვითარებული თვითმმართველობით არის საუკეთესო გადაწყვეტილება. საერთოდ, სახელმწიფომ უნდა შეზღუდოს თავისი ჩარევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ ხელისუფალი იტვირთავს და შეასრულებს თავის მოვალეობებს, საზოგადოება თავის ფუნქციას შეასრულებს. ხალხი უნდა განიტვირთოს ხელისუფლების ჩარევისაგან საზოგადოებრივ საქმიანობაში და თუ იარსებებს ძლიერი ცენტრი და ძლიერი, მოქმედი თვითმმართველობა, რაღა საჭიროა ახალი სახელისუფლებო რგოლების შექმნა?

[...]

თამარ ბაგრატია, ანა ნაცვლიშვილი, ქრისტინე ნიჟარაძე,
„ქართული უნივერსიტეტი“, № 5, 24-30 მარტი, 2004

ფედერალიზმი საქართველოს დააქუცმაცებს

საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციის გამოქვეყნებამ ქვეყნის მომავალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხს, რომელიც კონსტიტუციაში ღიადაა დარჩენილი, განსაკუთრებული სიმწვავე შესძინა.

მართალია, პროექტის ავტორები – კონსტანტინე კუბლაშვილი, არჩილ გეგეშიძე, ივლიანე ხაინდრავა და პაატა ზაქარეიშვილი – მსოფლიო ისტორიულ გამოცდილებას დოკუმენტში დიდ ადგილს უთმობენ, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავენ – საქართველოს შემთხვევაში საკითხი არასტანდარტულად უნდა გადაწყდეს: „სიტუაციის განსაკუთრებულობამ შეიძლება მიგვიყვანოს ისეთ მდგომარეობამდე, როცა სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი აღმოჩნდება. სწორედ ასეთ დროს არის საჭირო საკითხისადმი თავისუფალი, სტერეოტიპებისა და დოგმებისაგან დამოუკიდებელი მიდგომა“.

ზაქარეიშვილ-კუბლაშვილის პროექტის საპირისპიროდ შეიქმნა მოძრაობა „უნიტარული საქართველო“, რომლის ანტიფედერალურ განწყობებზე სახელწოდებაც მეტყველებს.

ვიდრე საკითხის შესახებ ორი მხარის პოზიციებს გაგაცნობდეთ, მოვიყვანთ რამდენიმე, ჩვენი აზრით, პრინციპულ და ნიშანდობლივ ნაწყვეტს წარმოდგენილი პროექტიდან.

„...მას (აფხაზეთს – მ. ბ., მ. ხ.), როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამომყალიბებელი ერთ-ერთი ერის – აფხაზების – ერთადერთ სამშობლოს, განსაკუთრებული, ყველასგან განსხვავებული სტატუსი უნდა ჰქონდეს... ყველაზე გონივრული იქნება, საქართველომ უპირატესობა მიანიჭოს ასიმეტრიული ფედერალიზმის პრინციპს“;

„საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაშია სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული აფხაზეთი... მისი (აფხაზეთის – მ. ბ., მ. ხ.) „სახელმწიფოებრიობა“ არ არის წარმოებული საქართველოს სახელმწიფოს ნებისაგან... აფხაზეთი არის ფედერალური ქართული სახელმწიფოს წევრი (წევრი-სახელმწიფო) და არა ნაწილი“.

ახლა კი მოვუსმინოთ „უნიტარული საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფის წევრს, ფილოსოფოს მიხეილ ნანეიშვილს:

ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლით საქართველოს სულიერად ღუპავენ, ფედერალიზმის იდეა კი მის ფიზიკურ მოსპობას ისახავს მიზნად. ფედერაცია არის რამდენიმე სახელმწიფოსგან (ან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისაგან) შემდგარი სახელმწიფო. ამ შემთხვევაში მთელს წინ უსწრებს ნაწილები: ჯერ არსებობს ცალკეული სახელმწიფოები, რომლებიც საკუთარი ნებით ქმნიან ახალ სახელმწიფოებრივ სხეულს. უნიტარულ სახელმწიფოში კი მთელი პირველადია, ის თავის თავში გარკვეულ ნაწილებს საჭიროებისამებრ ანიჭებს ავტონომიას. აშშ-ის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას ფედერალიზმს გამაერთიანებელი ძალა ჰქონდა, ეს იყო გამაერთიანებელი ფედერალიზმი. საქართველოში ფედერალიზმი საპირისპირო მიმართულებით, ქვეყნის დაქუცმაცებისაკენ წაგვიყვანს.

უნიტარულ საქართველოში აფხაზეთი ფართო უფლებებს მიიღებს?

რასაკვირველია! ავტონომიისა და ფედერაციის ცნებებს ერთმანეთში ურევენ. იტალიაში ხუთი ავტონომიაა, მაგრამ ეს ქვეყანა ფედერაცია არ არის. ადგილობრივი თვითმმართველობის მხრივ სანიმუშო ქვეყანაა ინგლისი, რომელიც უნიტარული სახელმწიფოა. ასეთ სახელმწიფოში ავტონომიას შეიძლება ძალიან დიდი უფლებები ჰქონდეს, მაგრამ იგი არ არის სახელმწიფო სახელმწიფოში, როგორც ეს არის ფედერაციის შემთხვევაში. ხოლო ძნელი წარმოსადგენი არ არის, რას უქადის ქვეყანას შემოთავაზებული, ეთნიკურ პრინციპზე დამყარებული, ფედერალიზმი. საქართველოში „ფედერალიზმით“ გატაცება არის ფეოდალური ცნობიერების რეციდივი, რომელმაც, შესაძლოა, ქვეყნის სხვა კუთხეებშიც ჰპოვოს ნოყიერი ნიადაგი, რადგან ეროვნული სოლიდარობის გრძნობა (ამ სიტყვის ნამდვილი, კულტურულ-პოლიტიკური გაგებით) საქართველოში ძალიან სუსტია, აქ კუთხურობის განცდაა ძლიერი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მხოლოდ უნიტარული სახელმწიფოს სახით შეიძლება აღდგეს.

იქნებ კომპრომისი აუცილებელია?

ქართველი ერის ხარჯზე ნურავინ წავა კომპრომისზე. წარმოდგენილი პროექტით, საქართველოს მთავრობა კი არ ანიჭებს აფხაზეთს რაიმე უფლებას, არამედ აღიარებს, რომ აფხაზეთი უკვე არსებობს, როგორც სუვერენული სახელმწიფო, რომელიც საქართველოში ნებაყოფლობით შემოდის. არადა, კულტურულად

აფხაზეთი პირწმინდად ქართული მხარეა, იქ არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები ამის საუკეთესო დასტურია.

ქართული მონასტრები თურქეთშიცაა...

აფხაზეთი XVI საუკუნეში რომ დაეპყრო უცხო სახელმწიფოს, ცხადია, მის დაბრუნებას ვერ მოვითხოვდით. მთავარია, ჩვენი სახელმწიფო როგორ განიხილავს საკითხს: საკუთარი ნებით ამბობს უარს საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე? აფხაზეთი არის ქართველი ერის სამშობლოს ნაწილი და აფხაზი ხალხის სამშობლო. მაგრამ წარმოდგენილი პროექტი აფხაზებს აცხადებს ერად, რომლის სუვერენიტეტი აფხაზეთში ერთპიროვნულად გაფორმდება. დასკვნა: აფხაზეთი საქართველოს უერთდება, როგორც არა-საქართველო.

საქართველოს ფედერალიზაცია მისგან სხვა ნაწილების ჩამოშორებას გამოიწვევს?

რა თქმა უნდა! „სამხრეთი ოსეთი“ ჩრდილოეთთან მიერთებას მოითხოვს – ხომ აღიარეთ, რომ გაყოფილი ერი ვართ, ჰოდა, ჩრდილოეთ ოსეთთან გვინდა გაერთიანებაო. მერე ჯავახელი სომხები იტყვიან, ჩვენც მოგვეცით ავტონომია, რა დავაშავეთო...

კონსტიტუციით ხომ განსაზღვრული იქნება მათი უფლებები?

ადგებიან და გაამწვავებენ სიტუაციას, დაიღვრება სისხლი და იძულებული გავხდებით, კონსტიტუციაში ცვლილება შევიტანოთ. მორჩა და გათავდა! სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს ფედერალიზაციის პროექტის ავტორი რუსეთია, კერძოდ კი მის უკან **პრიმაკოვი** დგას.

აფხაზები ფედერაციაზე სასაუბროდ წამოვლენ?

ღმერთმა ქნას, არ წამოვიდნენ! სხვა შემთხვევაში საქართველო საკუთარი სახელმწიფოს დაშლას იურიდიულად გააფორმებს.

მაია ბუთბაია, მანანა ხიდაშელი,
„კვირა“, № 2, 22-29 იანვარი, 2005

რატომ აღარ იქნება აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველო

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ხელისუფლება საქართველოს ფედერალიზაციას ჩვენი ქვეყნის მოწყობის ლამის ერთადერთ ვარიანტად განიხილავს. მთავრობის განცხადების მიხედვით, საბჭოთა ავტონომიებსა და დემოკრატიულ ფედერაციებს შორის არსებითი განსხვავებაა, რაც სრულებითაც არ აკმაყოფილებთ ფედერალიზაციის მოწინააღმდეგეებს, რადგან, მათი აზრით, „სწორედ დეცენტრალიზებული, უნიტარული საქართველო, დამყარებული დემოკრატიული ლიბერალიზმის პრინციპებზე, ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს აფხაზეთის ფართო ავტონომიას, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ ავტონომიასა და მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ადგილობრივ თვითმმართველობას". უფრო მეტიც, საქართველოს ფედერალიზაციას ისინი ერის სახელმწიფოებრივ თვითმკვლელობად განიხილავენ, მაშინ, როდესაც ხელისუფლებას ფედერალიზაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთ გამოსავლად მიაჩნია.

იმას, თუ როგორი იყო ისტორიულად საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპი და მიგვიყვანს თუ არა ქვეყნის გამთლიანებასთან სეპარატისტული რეგიონებისათვის ფედერაციების სტატუსის მინიჭება, მოძრაობა „უნიტარული საქართველოს" დამფუძნებელი, მიხეილ ნანეიშვილი განგვიმარტავს.

პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველმა, იგორ კვესელავამ თქვა, რომ საქართველო ორჯერ – დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის ეპოქაში – იყო ერთიანი სახელმწიფო; რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ბუნებრივი მდგომარეობა არის არა უნიტარული, არამედ, ფედერაციული მოწყობა. ისტორიულად, ქართული სახელმწიფოსათვის, მართლაც, უჩვეულოა მმართველობის ცენტრალიზებული ფორმა?

საქართველოს ისტორიის ფარნავაზამდელ ეპოქას ვერ შევეხებით, რადგან, გარკვეულწილად, იგი ბურუსითაა მოცული. ფარნავაზის დროიდან, მართალია, ტერმინი უნიტარიზმი არ არსებობდა, მაგრამ არსებობდა მონარქიის გაგება, ამდენად, თუ სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა, ის აუცილებლად უნიტარული უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება უფრო გვიანდელ პერიოდს, ქართული ფეოდოდალური სახელმწიფოს ახალი გაერთიანება მოხდა

ბაგრატ მესამის დროს და ის სახელმწიფო, რა თქმა უნდა, უნიტარული იყო. სიტყვა მონარქია ნიშნავს ერთხელმწიფებას, თანამედროვე ტერმინოლოგიით კი – უნიტარულ სახელმწიფოს. ბაგრატიდან მოყოლებული ვიდრე თამარ მეფემდე და ცოტა მოგვიანებითაც, ქართული სახელმწიფო მონარქიული იყო. შემდეგ ქვეყანამ საშინელი დარტყმები განიცადა, რის შედეგადაც ის დაიშალა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, XV საუკუნის მიწურულამდე, ქართული სახელმწიფო იბრძოდა იმისათვის, რომ როგორმე დაეძლია ფეოდალური დაქსაქსულობა და ისევ ბუნებრივ მდგომარეობას დაბრუნებოდა. საგარეო ვითარების გათვალისწინებით, XV საუკუნის მიწურულში ქართველი პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ საქართველოს გაერთიანებას ჯერჯერობით პირი არ უჩანდა, თუმცა, აქ საინტერესოა ქართული პოლიტიკური აზროვნების დონე. აი, ამ დაქსაქსულ სამეფო-სამთავროებს უწოდეს მათ „საქართველოები". ანუ ყველა საქართველოა, საქართველოები კი უნდა გაერთიანდნენ ერთიან საქართველოდ! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის, საქართველო, თუკი ის არსებობდა, უნდა ყოფილიყო უნიტარული. გვეუბნებიან, რომ ქართული სახელმწიფოსთვის დაშლილი მდგომარეობა იყო ორგანული მაშინ, როდესაც ორგანულ მდგომარეობას არ ებრძვიან. ყველა ქართველი პოლიტიკოსი კი ამ მდგომარეობას ებრძოდა, რადგან ქართული სახელმწიფოსთვის სამეფო-სამთავროებად დაშლა ტრაგედია იყო და არა ორგანული მდგომარეობა... უფრო მოგვიანებითაც, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო გაერთიანდა, რა, ეს იყო ქართლისა და კახეთის ფედერაცია? ის იყო, მართალია, ნახევარი საქართველო, მაგრამ უნიტარული სახელმწიფო!

პირველი რესპუბლიკის დროს თუ დადგა საქართველოს ფედერაციული პრინციპით მოწყობის საკითხი?

1918 წელს შექმნილ პირველ ქართულ რესპუბლიკას საქართველო ერქვა. მინდა გავახსენო ჩვენს ოპონენტებს, რომ მაშინდელი საქართველო ინტელექტუალურად გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე დღევანდელი... გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ზურაბ ავალიშვილი და ასე შემდეგ. კაციშვილს არ მოსვლია აზრად საქართველოს ფედერალური მოწყობა, ეს საკითხი არც დამდგარა! ბუნებრივია, დაისვა აფხაზეთისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების საკითხი.

აჭარისთვისაც...

აჭარასთან მიმართებაში, მოგეხსენებათ, პოლიტიკური პრობლემა არსებობდა, მაგრამ აფხაზეთისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება მორალური იმპერატივი იყო.

რატომ?

იმიტომ, რომ აფხაზეთი, მართალია, კულტურულ-ისტორიულად ძირძველი ქართული ტერიტორიაა (რადგან ის ისეთივე ქართული პროვინცია იყო, როგორც ქართლი, კახეთი და ასე შემდეგ), მაგრამ ამ ტერიტორიაზე, როდის და საიდან, არ აქვს მნიშვნელობა, ჩამოყალიბდა ის ხალხი, რომელსაც ჩვენ დღეს აფხაზებს ვუწოდებთ და ეს ტერიტორია, ამავე დროს, მათივე სამშობლოა. აი, ეს ორი მომენტი უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ვამბობთ, რომ აფხაზ ხალხს რაღაც სტატუსი უნდა მიენიჭოსო. არასამთავრობოების მიერ მომზადებული კონცეფციით კი საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ, აფხაზები გამოცხადებულნი არიან სუვერენულ ერად, რომელიც სუვერენულად ფლობს თავის ქვეყანას. ესე იგი, აფხაზეთი არის აფხაზი ერის ქვეყანა, რომელიც არ არის საქართველო. ის, როგორც სრულიად დამოუკიდებელი მხარე, ფედერალურ საწყისებზე შემოდის სახელმწიფოში, რომელსაც საქართველო ჰქვია, რაც არასწორია! ტყუილზე აგებულმა პოლიტიკამ კი შეიძლება, კატასტროფამდე მიიყვანოს ორივე მხარე. არც ერთ ერს თავისი ტერიტორია ნებით არ დაუთმია; მაგრამ, მეორე მხრივ, მსგავს სიტუაციაში, რომლის ანალოგსაც ვერ ვიხსენებ, არის ასეთი გამოსავალი – აფხაზეთს უნდა მიეცეს ძალიან ფართო ავტონომია. მართალია, ავტონომია სახელმწიფო არ არის, მაგრამ ავტონომიით უზრუნველყოფილი იქნება აფხაზი ხალხის თავისუფალი, კულტურული განვითარება. ლაპარაკობენ იმასაც, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი ეროვნებით აუცილებლად აფხაზი უნდა იყოს. მოგეხსენებათ, საუბარია კვოტებზეც საქართველოს პარლამენტში. ეს მიმართულია ეროვნული სახელმწიფოს ნგრევისაკენ და, ამავე დროს, არის სრული დისკრიმინაცია აფხაზეთში მოსახლე ერთი ერის (ქართველების), მეორე ხალხის (აფხაზების) სასარგებლოდ. სხვათა შორის, სწორედ ამას გულისხმობს ეგრეთ წოდებული პოზიტიური დისკრიმინაცია. თავის დროზე ამერიკაშიც იყო ამის მცდელობა, როდესაც, თუკი ერთ ადგილზე პრეტენზიას აცხადებდა შავკანიანი და თეთრკანიანი, იმისდა მიუხედავად შეეფერებოდა თუ არა

ამ თანამდებობას, აუცილებლად ზანგი უნდა მიეღოთ. მაგრამ ამან, ბოლოს და ბოლოს, სათანადო რეაქცია გამოიწვია; და, აი, სწორედ ამ პოზიტიურ დისკრიმინაციას გვთავაზობენ დღეს კონცეფციის ავტორები სახელისუფლებო და არასამთავრობო წრეებიდან. თუმცა აქ სხვა საკითხიც დგება. როდესაც სახელმწიფოს სუბიექტი ხარ, შენი მოვალეობაა კულტურის ძეგლების დაცვა. რომელი კულტურის ძეგლები უნდა დაიცვან აფხაზებმა? ბედია?! ამდენად, ეს ვითომ ფედერალისტები არა მარტო ქართული ტერიტორიის, არამედ, ქართული კულტურისა და ისტორიის ექსპროპრიაციას ეწევიან. აფხაზეთის მონაკვეთში, ხალხს თავის ისტორიასა და კულტურას ართმევენ; ანუ, ლაპარაკია იმაზე, რომ, ვთქვათ, ბედია ან სხვა ქართული არქიტექტურის ძეგლები კი არ არის, არამედ, აფხაზურია. ერთი სიტყვით, წარმოუდგენელ ფალსიფიკაციასთან გვაქვს საქმე. ეს არ არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობა. საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა იმას ჰგავს, ავადმყოფს ურჩიონ, მაინც ვერ მორჩები და ჯობს, თავი მოიკლაო. ასე რომ, ეს გამოსავალი არ არის.

ფაქტია, რომ XIX საუკუნემდე აფხაზური სეპარატიზმის ცნება, როგორც ასეთი, არ არსებობდა. რამ გამოიწვია ის და რატომ ვერ შეაფასა ქართულმა ინტელიგენციამ ეს საკითხი?

ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ აფხაზებს XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ასე ზრდიდნენ. რუსებმა თავდაპირველად ისინი დაარბიეს და ამის შემდეგ, რაკი აფხაზები ვერ დაუპირისპირდებოდნენ მათ, მიუხედავად მტრული განწყობისა რუსების მიმართ, რადგან ძალები ძალიან არათანაზომიერი იყო, საკომპენსაციოდ მისცეს თემა, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის, ეს თქვენი ტერიტორიაა და ქართველები მოძალადეები არიანო. მიუხედავად იმისა, რომ საფრთხის შეგრძნება არსებობდა, ქართულმა ინტელიგენციამ ის სათანადოდ მაინც ვერ შეაფასა. თუმცა მაშინ, როდესაც პირველი რესპუბლიკის დროს საქართველომ ავტონომიით უზრუნველყო აფხაზეთი, ეს პრობლემად არ ქცეულა. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, რუსეთმა აქტიური მოქმედებები დაიწყო საქართველოს დასაბრუნებლად თავის წიაღში და აფხაზი ხალხის ლიდერებს, კერძოდ, კომუნისტებს (ნ. ლაკობა, ე. ეშბა, ნ. აკირტავა და სხვ.) დაჰპირდა, რომ, თუკი ბოლშევიზმს დაუჭერდნენ მხარს, მათ მიეცემოდათ დამოუკიდებლობა. აფხაზებმა და,

სხვათა შორის, ეგრეთ წოდებულმა სამხრეთელმა ოსებმაც (ვ. სანაკოევი, ა. ფლიევი, ა. ჯათიევი და სხვ.) აქტიური მონაწილეობა, ბუნებრივია, ისე, როგორც შეეძლოთ, მიიღეს საქართველოს ბოლშევიზაციაში. ეს საჯაროდაც ითქვა და მათ პრიზის სახით გადასცეს ავტონომიების სტატუსი. ახლაც იგივე გრძელდება. ამიტომაც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირებები, არსებითად, ქართულ-რუსული დაპირისპირებაა.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს უნდა მიენიჭოს ავტონომიური სტატუსი. მართალია, ჯერჯერობით უცნობია მისი ზუსტი სახელწოდება, მაგრამ, როდესაც არსებობს ჩრდილოეთი ოსეთი, ანუ ოსი ხალხის სამშობლო და საქართველოში იქმნება ამ ეთნიკური ჯგუფის ავტონომია, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ იმავეს მოთხოვნის უფლება ენიჭება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასაც?

საქართველოს მოწყობა ორ ავტონომიურ რესპუბლიკად და არაფრისგან „სამხრეთ ოსეთის“ შექმნა ლენინისა და სტალინის დამსახურებაა. როდესაც ამ ტერიტორიას, თუნდაც ავტონომიის დონეზე, არქმევენ „სამხრეთ ოსეთს“, ეს ნიშნავს, რომ ეს საქართველო კი არა, ოსეთია. აქედან გამომდინარე, თუ დაისმება საკითხი მათი გაერთიანებისა, რაზეც უკვე ლაპარაკობენ ოსები, რას უპასუხებენ ამაზე ქართველები?! რომ ჩვენ ვაღიარებთ სამხრეთ ოსეთს, ესე იგი, იმას, რომ ეს არ არის საქართველო, მაგრამ წინააღმდეგი ვართ თქვენი გაერთიანების?! მოსკოვში გამოიცა წიგნი „Южная Осетия“, რომელშიც შეტანილია „ოსური კულტურის ძეგლები“, ანუ ქართული კულტურის ძეგლები გამოცხადებულია ოსური კულტურის ნიმუშებად. თავის დროზე ცნობიერება ნაცისტებმა გერმანელ ერს აურიეს, ამდენად, ოსები და აფხაზები, ამ მხრივ, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენენ. წიგნი იხსნება, არც მეტი და არც ნაკლები, ანტისთემეს, პლატონის უფროსი თანამედროვის, სოკრატეს მოწაფის სურათით, იმიტომ, რომ ანტისთემე ოსი ყოფილა! ასე რომ, აქ უკვე იმაზე კი არ არის ლაპარაკი, რომ ქართველები ოსებსაც შეაძულეს, არამედ, ეს უკვე არის ის მარაზმი, რასაც უბრალო მოლაპარაკება ვერ უშველის. ამიტომაც ვამბობთ, თუ ჩვენი ხელისუფლება მართლაც ასეთი ყოჩაღია და მთელი მსოფლიო გაოცებულია „ვარდების რევოლუციით“, რომელიც „ობოლი ვარსკვლავივით“ კიაფობს მსოფლიო პოლიტიკურ ცაზე, მიაღწიოს ერთ რასმე – ორივე რეგიონი-

დან გაიყვანოს რუსეთის საოკუპაციო ჯარები და, გარწმუნებთ, როდესაც მას გამოეცლება ეს გამამხნევებელი და წამქეზებელი ძალა, ის გონს მოეგება და უფრო რეალურად დაიწყებს აზროვნებას. გამოსავალი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გამოჩნდება. გამოსავლის ერთ-ერთი წყაროა ისიც, რომ ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და დასვას გენოციდის საკითხი. იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ხელი უნდა გავიშვიროთ აფხაზი ხალხისაკენ, აი, თქვენ დამნაშავეები ხართო, არამედ, ამით უნდა ვუთხრათ მათ, თუ რა საშინელებას სჩადიოდნენ მათი სახელით ადამიანები, რომლებიც ლიდერებად მიაჩნდათ. ქართველი ერი არასდროს ყოფილა ერიჭამია და ამაზე მოწმობს ის, რომ სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობებს ძალიან უყვართ საქართველოში ცხოვრება, ოღონდ, მათ მადა არ უნდა გავუღვიძოთ, რათა შემდეგ თავიანთი ეთნიკური ნაკრძალები არ შექმნან.

ხელისუფლება საუბრობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებასა და საქართველოს დანარჩენი რაიონების რეგიონალიზაციაზე. თქვენი აზრით, რეგიონალიზაცია გამართლებული ნაბიჯია?

თუ მიაქციეთ ყურადღება, პროექტში წერია, რომ პირველ ეტაპზე უნდა შეიქმნას რეგიონები. ისმის კითხვა, რა იქნება მეორე ეტაპზე? ავტონომიებს შექმნიან?! მე ამას ფეოდალური მდგომარეობისკენ უკან დაბრუნებას ვუწოდებ, მიუხედავად იმისა, ამას ავტონომიზაცია ერქმევა თუ ფედერალიზაცია. ეს, რა თქმა უნდა, მოემსახურება კუთხურობისა და პროვინციალიზმის გაძლიერებას და საქართველო ინვალიდ ქვეყნად გადაიქცევა.

საუბრობენ იმაზე, რომ ფედერაცია ეს არის ავტონომია, ოღონდ, ევროპული გაგებით. რა განსხვავებაა ამ ორ ცნებას შორის?

ეს ცარიელი სიტყვების ბრახუნია, მაგრამ მე ვსვამ კითხვას, ავტონომია რატომ მხოლოდ ოსებს და რატომ ამ სახელით? მაშინ ხომ სავსებით ბუნებრივად დასვამენ მსგავს კითხვას სომხები და აზერბაიჯანელები? პროექტის ერთ-ერთი ავტორისგან ასეთი არგუმენტი მოვისმინე — იმათ იმიტომ უნდა მივცეთ ავტონომია, რომ იომესო! ეს პროვოკაციული განცხადებაა... სხვა ეთნიკური ჯგუფებიც წავლენ ამაზე, თუკი ამ გზით დამოუკიდებლობას მოიპოვებენ... ესე იგი, მათ დაუფარავად ეუბნებიან, გინდათ ავტონომია? იომეთ! ეს უკვე მეტისმეტია. ისინი ან უმეცრების გამო სჩადიან ამას, ან შეგნებულად მიჰყავთ საქმე საქართველოს დაშ-

ლისკენ. მეც ბევრ რამეში ვარ უმეცარი, მაგრამ ხომ ვიცი, რა ვიცი და რა – არა?! ხოლო, თუ ეს არ ვიცი, ესე იგი იდიოტი ვყოფილვარ. ამიტომ საზოგადოება უნდა გამოფხიზლდეს და მეტად დაინტერესდეს ამ საკითხით, რადგან მათ მიერ შედგენილ პროექტში იმდენი უმეცრებაა, რაც სკოლის მოსწავლესაც კი არ ეპატიება. თუმცა ამაზე პასუხის გაცემის უფლებას სხვა დროისთვის ვიტოვებ. მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ფედერალიზაციის პროექტი **პრიმაკოვის** პროექტის სახელითაა ცნობილი...

თუკი განხორციელდა საქართველოს ფედერალიზაცია, არსებობს რამე სამართლებრივი მექანიზმი სამომავლოდ ამის გასაუქმებლად?

მე ვერ ვხედავ ასეთ მექანიზმს. მით უფრო, თუკი ეს პროცესი საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით განხორციელდება.

ნინო ხაჩიძე,

ჟურნ. „თბილისელები“, 31 იანვარი-6 თებერვალი, № 5, 2005

ცხინვალში შეიძლება ყველაფერი მოხდეს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აპირებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას წარუდგინოს ცხინვალის კონფლიქტის მოგვარების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, ამ ტერიტორიას ავტონომიურ სტატუსს შესთავაზებენ. „ახალი თაობა“ ამ საკითხებზე ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის ლიდერ **მიხეილ ნანეიშვილს** ესაუბრა.

საქართველოს ხელისუფლება აპირებს, ცხინვალის რეგიონს ავტონომია შესთავაზოს. რამდენად მიზანშეწონილია ამის გაკეთება?

პირველ რიგში, აქ მთავარი პრობლემა ტერმინი „სამხრეთი ოსეთია“. თუ ცხინვალის რეგიონს სახელი „სამხრეთი ოსეთი” შერჩა, ეს ადრე თუ გვიან გამოიწვევს ორი ოსეთის („ჩრდილოეთი“ და „სამხრეთი“ ოსეთის) გაერთიანების საკითხის დაყენებას. თუ ერთმანეთის გვერდით იარსებებს ორი ოსეთი, ანუ ორად გაყოფილი ოსეთი, მაშინ აუცილებლად დადგება ჩრდილოეთი (ნამდვილი ოსეთის) და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანების საკითხი. დასახელება „სამხრეთი ოსეთი“ იმას ნიშნავს, რომ ეს ოსეთია და არა საქართველო. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ტერიტორია შეიძლება ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანდეს. უკვე მიდის საუბარი იმაზე, რომ „ჩრდილოეთი” და „სამხრეთი“ ოსეთი ერთი ხალხის ტერიტორიაა და ის უნდა ერთიანი იყოსო. ძალიან მაინტერესებს, რა პასუხს გასცემს ამ მისწრაფებას საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ახლა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის აღდგენის ინიციატივით გამოდის. იტყვის – „სამხრეთ ოსეთს“ ვაღიარებ, მაგრამ ამათი გაერთიანების წინააღმდეგი ვარო? „სამხრეთი ოსეთი“ თავისთავად ნიშნავს, რომ ეს ტერიტორია საქართველოს არ ეკუთვნის. ისმის კითხვა: ვის ატყუებს ასეთი ინიციატივით საქართველოს ხელისუფლება? მსოფლიოს?

მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ ავტონომია ამ კუთხეში სხვა სახელწოდებით აღდგეს?

ესეც ძალიან მძიმე კომპრომისი იქნება, იმიტომ, რომ ეგრეთ წოდებულ „სამხრეთელ ოსებს“ არ შეიძლება იმაზე მეტი პრეტენზია ჰქონდეთ ავტონომიაზე, ვიდრე საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანლებსა და სომხებს. ახლანდელი აზერბაი-

ჯანლები, ანუ თურქმენული ტომები, მე-17 საუკუნის დასაწყისში დაასახლა შაჰ-აბასმა, შემდეგ ქართველმა მეფეებმა ისინი აღარ აყარეს. თუ ხნოვანებაზე მიდგება საქმე, აზერბაიჯანლები სხვებზე უფრო დიდი ხანია ცხოვრობენ საქართველოში. ასე რომ, თუ ოსებს აძლევ ავტონომიას, მაშინ ავტონომია აზერბაიჯანლებსაც უნდა მისცე! როგორც ცნობილია, სომხებიც დიდ პრეტენზიას აცხადებენ. ისინი იმასაც კი ამბობენ, ჯავახები სომხები არიანო. ჯავახეთში სომხები (და თურქები) რუსის მთავრობამ ჩაასახლა 1829 წელს, მანამდე კი იქიდან ქართველები აყარა და თურქეთში გადაასახლა. ასე რომ, ავტონომიას კომპაქტურად მცხოვრები სომხებიც მოითხოვენ, მით უმეტეს, რომ ისინი ასეთ მოთხოვნას უკვე აყენებენ. ამისთვის პარტია „ჯავაკხიც“ იბრძვის. თანაც ეს პროცესები მათი ისტორიული სამშობლოს საზღვარზე ხდება: ჯავახეთი სომხეთს ესაზღვრება, ბორჩალო კი – აზერბაიჯანს. ამიტომ, როცა ოსებს ავტონომიას ჰპირდები, ცოტა წინ გახედვაა საჭირო. ავტონომია ყოვლად მიუღებელია, მისი შემოღება ნიშნავს **პრიმაკოვის** გეგმის შესრულებას. მოგეხსენებათ, ადრე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთს“ ჩრდილოეთ ოსეთზე მეტი უფლებები ექნება. ჩრდილოეთ ოსეთი არის რუსეთის ფედერაციის სუბიექტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ის სახელმწიფოა (ფედერაციის სუბიექტები სახელმწიფოებია). ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში წარმოიშობა ახალი, მძიმე ეთნიკური პრობლემები.

ცხინვალის რეგიონში ამჟამად გართულებულ მდგომარეობას რას უკავშირებთ?

ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ზაფხულში დაიწყო. მაშინ იქ პროვოკაცია მოხდა, ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული. თუნდაც პრეზიდენტის განცხადება გავიხსენოთ – ამ საკითხზე პუტინს მოველაპარაკეო. თუ ასეთი მოლაპარაკება შედგა, ასეთი რამის ხმამაღლა განცხადება არ შეიძლება. რა მოხდა ცხინვალში ზაფხულში? ესენი შევარდნენ ამ რეგიონში, იქაურ რეჟიმს 48 საათიანი ვადა მისცეს, ჭკუას მოეგეთ, თორემ საქმე ცუდად წაგივათო. ისიც გახსოვთ, როგორ დამთავრდა იქ ყველაფერი. სამწუხაროდ, ამ ყველაფერს ადამიანები შეეწირნენ, თანაც მომზადებული სამხედროები. ეს რომ წინა ხელისუფლების დროს მომხდარიყო, ამ მოვლენების ორგანიზატორები ხომ ქვეყანას დააქცევდნენ. ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, ამ პროვოკაციულ მოვლენებს 32

კაცი შეეწირა. ჯერ ხალხი იმსხვერპლეს, შემდეგ კი კოკოითთან მოსალაპარაკებლად დარბოდნენ. რუსებმა ესენი, როგორც ქუჩის ბიჭები, ისე გააბითურეს.

ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ახლანდელი მოვლენებიც პროვოკაციულია?

ამ რეგიონში ყველაფერია მოსალოდნელი. არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებას ილუზიები შეუქმნან და მიანიშნონ, შედით ცხინვალში, ჩვენ თვალს დავხუჭავთო. რომ შევლენ, სისხლი დაიღვრება, სიტუაცია დაიძაბება. წარუმატებელი ოპერაციები ყოველთვის წარუმატებელ მხარეს ბრალდება. ცხინვალის რეგიონში დაიძაბება მდგომარეობა და ჩვენ გაგვიჭირდება საუბარი იმ ქვეყნებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით.

მოხდება თუ არა ამ ქვეყნების გააქტიურება საქართველოს კონფლიქტების (კერძოდ, ცხინვალის რეგიონის) პრობლემის მოგვარების საქმეში?

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ პრობლემა თვითონ დასავლეთში არსებობს. მოგეხსენებათ, აშშ-სა და ევროკავშირს შორის დაძაბულობაა. ჩემი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია აქტიური პოლიტიკის გატარება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველო გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი რეგიონია. ამერიკაში, უთუოდ, უნდა გააცნობიერონ, რომ ფედერალური საქართველო მყიფე წარმონაქმნი იქნება, რომელიც აშკარად ვერ გამოდგება პლაცდარმად ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და იმავე დასავლეთ ევროპისთვის. ამისთვის მუშაობაა საჭირო. მე **პრიმაკოვის** გეგმა ვახსენე და ვთქვი, რომ ცხინვალის რეგიონისთვის ავტონომიის მინიჭება ამ გეგმის ნაწილია-მეთქი. თუ დასავლეთი დარწმუნდება, რომ საქართველოში ეს გეგმა ნებაყოფლობით სრულდება, ის ამას არ შეეწინააღმდეგება, დასავლეთში ხომ არ აგვიკრძალავენ ამ გეგმის მიღებას! შეიძლება დასავლეთმა საქართველოს ხელისუფლებას რჩევები მისცეს, მაგრამ ის ოფიციალურად ამ პროცესებში ვერ ჩაერევა. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ევროპაში არსებობს ეროვნული სახელმწიფოების შესუსტების გეგმა. ეს შეიძლება შესრულდეს, ერთი მხრივ, ამ ეროვნული სახელმწიფოების დიდ რეგიონალურ კავშირთან (მაგალითად, ევროკავშირთან) გაერთიანებით, რითაც

ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტის შესუსტება ხდება და, მეორე მხრივ, ეს ხდება ეროვნული სახელმწიფოების ფედერალიზაციით. რატომღაც აცხადებენ, რომ ფედერალიზაცია (რასაც აფხაზეთის თაობაზე კონცეფციაც გულისხმობს) დემოკრატიულობას ნიშნავს. ეს აბსურდია, იმიტომ, რომ ფედერალური მოწყობა ნამდვილად არ გულისხმობს დემოკრატიულობას. საქართველოსთვის კი ფედერალური მოწყობა დამღუპველია. ფედერალიზმის იდეის პროპაგანდას ეწევიან ისინი, ვინც ისტორია არ იცის, ხოლო მათ, ვინც ისტორია იცის, შეურაცხყოფას აყენებენ. კომკავშირლებივით თავს ესხმიან მეცნიერებს, რომლებიც უნიტარული მოწყობის მომხრეები არიან და ფედერალიზაციას ეწინააღმდეგებიან. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ფედერალიზაციის იდეის მომხრეები სხვა ქვეყნების ისტორიასაც ამახინჯებენ. ასე, მაგალითად, აცხადებენ, რომ დიდი ბრიტანეთი ფედერალური სახელმწიფოა, ხოლო გერმანია, გაერთიანებამდე დეცენტრალიზებული სახელმწიფო იყო. გერმანია 1871 წელს გააერთიანა ბისმარკმა, მანამდე გერმანიის ერთიანი სახელმწიფო საერთოდ არ არსებობდა! სამწუხაროდ, ხელისუფლებაში ბიჭ-ბუჭები არიან, რომლებიც გაუაზრებელ ნაბიჯებს დგამენ. [...]

მაკა მჭედლიშვილი,
„ახალი თაობა“, № 23, 25 იანვარი, 2005

ჟვანიას სიკვდილით ხელისუფლება დასუსტდება

რას შეცვლის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში პრემიერ-მინისტრის გარდაცვალება?

[...] პრეზიდენტმა დაკარგა ხელისუფლების წევრი, რომელიც შემაკავებელ და გამაწონასწორებელ ფუნქციას ასრულებდა. ისიც ცნობილია, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის გარკვეული კონკურენციაც არსებობდა. ამ თვალსაზრისით პრეზიდენტი თავს უფრო თავისუფლად და ხელგახსნილად იგრძნობს. [...] მეორე მხრივ, რასაკვირველია, პრემიერ-მინისტრის დაღუპვის გამო ხელისუფლება, როგორც პოლიტიკის გამტარებელი ორგანო, დასუსტდება, რაც პრეზიდენტისთვისაც არასასურველია. ასე რომ, ამ ფაქტს ორმაგი შედეგი აქვს – გარკვეული თვალსაზრისით სასურველი და არასასურველი.

პრემიერ-მინისტრის გუნდს რა ბედი ელის?

მმართველი პარტიის შიგნით მართლაც არსებობს ჯგუფი, რომელსაც ჟვანიას გუნდი ჰქვია. ეს გუნდი უთავოდ დარჩა და ის ველარ იარსებებს როგორც მთლიანი გაერთიანება. ეს გუნდი დაიქსაქსება და ერთობლივი ჯგუფის სახეს დაკარგავს. მმართველი პარტიის მმართველი ბირთვი ამ გუნდის ნაწილის სრულ ასიმილაციას მოახდენს.

მეორე ნაწილი სად წავა?

ამ გუნდის მეორე ნაწილი აუტსაიდერი იქნება, თანდათან მოხდება ამ ნაწილის განაპირება.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურების დასახელების პარალელურად, მიდის საუბარი იმაზე, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტი უნდა გაუქმდეს და რომ ეს თანამდებობა გარდამავალი პერიოდისთვის სპეციალურად ჟვანიასთვის შეიქმნა...

პირადად მე იმის მომხრე ვარ, რომ საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყოს. ამდენად, სწორად არ მიმაჩნია დუალიზმი, რომელიც ახლა არსებობს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის. ეს არც თავისთავადაა სწორი, ჩვენთვის კი უბრალოდ მავნებელია. აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელსაც ოპერატიულობა ევალება, აუცილებლად მონოლითური უნდა იყოს. იქ დუალიზმი და ორმაგი დაქვემდებარება არ შეიძლება. ამდენად, თუ მოხდება ხელახალი ცვლილებები კონსტიტუციაში

პრემიერ-მინისტრის უფლებების შეკვეცის (თუ ამ პოსტის გაუქმების) თვალსაზრისით, ეს გასაგები და კანონზომიერი იქნება. რამდენადაც ვიცი, პრეზიდენტი იძულებით წავიდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღებაზე. არის ინფორმაცია, რომ ის „მეგობარმა ქვეყნებმა“ აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგა. მათი მოტივაცია იმაში მდგომარეობდა, რომ პრემიერ-მინისტრს საქართველოში რაღაც ადგილი უნდა ჰქონოდა. ახლა სავსებით შესაძლებელია, რომ პრეზიდენტმა პოლიტიკური და პირადი მოსაზრებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ პრემიერ-მინისტრი დაიღუპა, მისი ღირსეული შემცვლელი კი არ ჩანს, გახდეს პრემიერ-მინისტრის პოსტის გაუქმების ინიციატორი. მე უფრო მოსალოდნელად მიმაჩნია, რომ ხელისუფლება ამ ნაბიჯზე წავიდეს. თუ ეს არ მოხდა, ამის მიზეზი შეიძლება სხვა რამ იყოს.

რას გულისხმობთ?

ამ ცვლილებებისგან თავშეკავების მიზეზი შეიძლება იყოს პოლიტიკური უხერხულობა და იმის შიში, არავინ თქვას, პრემიერ-მინისტრი გარდაიცვალა თუ არა, მისი პოსტი მაშინვე გააუქმესო. ამ უხერხულობის გამო ამ ცვლილებების გატარება შეიძლება გადადონ. [...]

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის დაღუპვის გარემოებებს, თქვენ გჯერათ, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო?

უპასუხისმგებლოდ მიმაჩნია ჩემი სუბიექტური მოსაზრების გამოთქმა ამასთან დაკავშირებით. უფრო გონივრული იქნებოდა საჯაროდ იმის თქმა, რომ ოფიციალურის გარდა, სხვა ვერსიებიც არსებობს. უფრო ზუსტად: ხელისუფლება ავრცელებს ვერსიას, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო. არსებობს სხვა, ოფიციალურის საპირისპირო, ვერსიებიც. ოფიციალური ვერსიისა და სხვა ვერსიების თანაფარდობა 50/50-ზეა.

არიან თუ არა ძალები, რომლებსაც შეეძლოთ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ოგანიზება?

ამასთან დაკავშირებით ვეცდები, თავშეკავებული ვიყო. ვფიქრობ, რომ თუ ეს უბედური შემთხვევა კი არა, მკვლელობაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობენ ძალები, რომლებსაც ენდომებოდათ პრემიერ-მინისტრის თავიდან მოშორება. ერთი შემიძლია ვთქვა: ეს ძალები რუსეთში არ არიან.

მარიკა მჭედლიშვილი,
„ახალი თაობა“, № 36, 7 თებერვალი, 2005

ოპოზიციის აზრი ჯორჯ ბუშისთვის საგულისხმო იქნება

არასაპარლამენტო ოპოზიცია საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის ჩამოსვლისას მასთან შეხვედრას ითხოვს. ოპოზიციას ანალოგად მოჰყავს გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მოსკოვში ჩასულ რონალდ რეიგანთან საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერების შეხვედრა, რომლის შედეგადაც საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. ალბათ, დღევანდელი არასაპარლამენტო ოპოზიციაც იმედოვნებს, რომ ჯორჯ ბუშთან შეხვედრის შემდეგ ქართულ პოლიტიკაში ოპოზიციის როლი და გავლენა გაიზრდება. მიაღწევს თუ არა საპარლამენტო ოპოზიცია საწადელს, — ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ლიბერალურ-ეროვნული პარტიის თავმჯდომარეს მიხეილ ნანეიშვილს ესაუბრა:

ჯორჯ ბუშთან შეხვედრა ოპოზიციის ახალი პიარ-კამპანიაა თუ სხვადასხვა ქვეყნებში აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის დროს ასეთი პრეცენდენტი ხდება?

პიარ-კამპანიით, პირველ რიგში, მთავრობაა გატაცებული. უხერხული გრძნობა მეუფლება, როცა საქართველოში ჯორჯ ბუშის ვიზიტი ხელისუფლებას საკუთარ პიარ-კამპანიად აქვს გადაქცეული. ეს ვიზიტი ხელისუფლებისადმი თეთრი სახლის ინტერესის შესახებ კი არა, საქართველოსადმი ვაშინგტონის ინტერესზე მიანიშნებს. ბუნებრივია, ოპოზიცია შეეცდება, არ ჩამორჩეს მთავრობას და ამ სიტუაციით ისარგებლოს, რათა პოლიტიკური ქულები დააგროვოს. რაც შეეხება პრეცედენტს, აშშ ჩვენს ქვეყანას აძლევს მეგობრულ რჩევებს და სავსებით ბუნებრივია, რომ ოპოზიციამ მოინდომოს ბუშთან შეხვედრა, რათა მას თავისი შეხედულება გააცნოს. ამაში პრეზიდენტ ბუშისთვის უხერხული არაფერი იქნება – ის შეხვდება პოლიტიკური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. თუ როგორ დაელაპარაკება ოპოზიცია ბუშს და როგორი იქნება აშშ-ს პრეზიდენტის რეაგირება, ამის შესახებ წინასწარ ლაპარაკს ვერ დავიწყებ... მაგრამ ამ მოთხოვნაში, თავისთავად, უცნაური არაფერია.

რამდენად სერიოზული და გავლენიანი ძალაა არასაპარლამენტიო ოპოზიცია, რათა მან აშშ-ს პრეზიდენტთან შეხვედრა მოითხოვოს?

რატომ არ უნდა წარმოადგინოს არასაპარლამენტო პოლიტიკურმა ძალამ თავისი თავი სერიოზულად?! თუ ამაში გულისხმობთ იმას, რომ ეს ძალა ხელისუფლებაში არ არის, შეიძლება, პირიქით, სახელისუფლებო ძალა აღმოჩნდეს არასერიოზული. არასაპარლამენტო ოპოზიციაში არიან ადამიანები, რომლებიც ადრე ხელისუფლებაში იყვნენ და დღევანდელ პარლამენტთან შედარებით მეტი გამოცდილება აქვთ...

რაც შეეხება პოლიტიკურ გავლენას?

ჩვენი მთავრობისგან და, სხვათაშორის, პრესისგანაც ადამიანი ზუსტად ვერაფერს გაიგებს, თუ რა ხდება ქვეყანაში, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, დღეს საზოგადოებაში შეინიშნება არსებული მთავრობისადმი აშკარა უკმაყოფილება. ბუნებრივია, რაღაც დოზით ეს უკმაყოფილება ოპოზიციას მატებს ძალას. თუკი ოპოზიცია ამერიკის მთავრობის წინაშე თავის აზრს, შეხედულებას წარმოადგენს კორექტულად (რაც ქართველებს გვიჭირს), მე მგონი, ის, პირიქით, კარგ საქმეს გააკეთებს.

როგორ ფიქრობთ, შეისმენს თუ არა ჯორჯ ბუში არასაპარლამენტო ოპოზიციის თხოვნას?

აშშ-ს პრეზიდენტთან სათხოვნელად არ უნდა მიხვიდე. რატომ უნდა სთხოვოს რაიმე უცხო ქვეყნის ლიდერს საქართველოს მთავრობამ ან ოპოზიციამ?! მე მოგონი, ამერიკის მთავრობამ საქართველოს შესახებ ბევრი რამე ისედაც იცის. რიტორიკის დონეზე რას აცხადებენ, ეს სხვა ამბავია, მაგრამ ამერიკელებმა მშვენივრად იციან, თუ რა ხდება ჩვენ ქვეყანაში. მართალია, ოპოზიციის უკმაყოფილებაზე ჯორჯ ბუში ღია თანხმობას არ განაცხადებს, მაგრამ მისთვის საგულისხმო იქნება ოპოზიციის აზრი საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.

თქვენი ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია არასაპარლამენტო პოლიტიკური ძალაა. თუ შეუერთდებით ოპოზიციის მოთხოვნას?

ჩვენ ამ მოთხოვნას არ ვუერთდებით; იმიტომ კი არა, რომ არ გვინდა, არამედ ჩვენს პარტიას სერიოზული რესურსები არ გააჩნია. ურთიერთობები ოპოზიციურ პარტიებთან გვაქვს, მაგრამ სხვა ინტერესები გვამოძრავებს, სამწუხაროდ, ოპოზიციურმა ძალებმა ბოლომდე ვერ გაიცნობიერეს ის პრობლემა, რომელიც საქართველოს მთავარ პრობლემად მიგვაჩნია. ისინი ამ პრობლემით რომ წარდგნენ აშშ-ს პრეზიდენტის წინაშე, მაშინ ოპოზიციის მოთხოვნას ჩვენც შევუერთდებოდით. იმ თემებით, რის წამოწევასაც ოპოზიცია ჯორჯ ბუშთან შეხვედრის შემთხვევაში ფიქრობს, ჩვენ არ ვართ დაინტერესებული.

მედიანიუსი „ახალი თაობა“, 26 აპრილი, № 114, 2005

ხელისუფლება საქართველოს დედაბუდიანად ყიდის

თბილისის მერიაში სტუდენტების წინაშე გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი საქართველოში რეფორმების მხარდასაჭერად ჩამოდის. თქვენ რას იტყვით, რას უკავშირდება ჯორჯ ბუშის ვიზიტი?

ამ ვიზიტის თავი და თავი არის საქართველოსადმი მხარდაჭერა. ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს სერიოზული გეოსტრატეგიული ინტერესი საქართველოს მიმართ. ღვთის მადლით, დასავლეთში უკვე გააცნობიერეს ის გეოსტრატეგიული როლი, რომელიც საქართველოს თავისი მდებარეობის გამო აქვს. ამ როლში ახალი არაფერია. თავის დროზე სპარსეთმაც და თურქეთმაც იცოდნენ საქართველოს საკვანძო როლი. დასავლეთისათვის საქართველო უცნობი იყო და თანდათან საქართველოს მნიშვნელობა და მისი დამაკავშირებელი როლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იქაც გააცნობიერეს. ამ წუთას ჩვენ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ, მაგრამ ჩვენ ჩვენი მდიდარი ისტორიული და კულტურული სახე და საუკეთესო მდებარეობა გვაქვს. ამერიკაში აუცილებლად მიაჩნიათ, საქართველოს მხარი დაუჭირონ, რათა რუსეთის ექსპანსია საქართველოსა და მთლიანად რეგიონში კიდევ უფრო დაამუხრუჭონ და რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიის გაღმა დატოვონ. ამას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. — რაც შეეხება რეფორმების მხარდაჭერას, პრეზიდენტის ეს განცხადება პროპაგანდისტულია, იმიტომ, რომ ამერიკის ადმინისტრაციას მოეხსენება, რა „რეფორმატორიცაა“ საქართველოს ხელისუფლება. თუმცა ისიც ბუნებრივია, რომ აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლები ამას ხმამაღლა ვერ იტყვიან. ეს პოლიტიკური ფორმალობა და ტაქტია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამერიკის მხარემ გარკვეული როლი ითამაშა საქართველოს ახლანდელი მმართველობის ხელისუფლებაში მოსვლის საქმეში და ამასთან დაკავშირებული ლაფსუსის აღიარება მისთვის ადვილი არ იქნება. ეს პოლიტიკურად მიზანშეწონილი არ იქნება. ამერიკის ჩარევით ეგრეთ წოდებული „რევოლუციების“ ტალღამ ბევრი ქვეყანა მოიცვა და ამ სიტუაციაში შეუძლებელი იქნება იმის თქმა, ამ ქვეყანაში რაღაც შეგვეშალა და ჯობია სხვა „რევოლუცია“ მოვაწყოთო. ასე რომ, აშშ-ის მხრიდან ასეთი უხერხულობა არსებობს.

მთავარი ისაა, რომ აშშ-ის თანამიმდევრული პოლიტიკა ახლა იმ სტადიაზეა, როცა საქართველოს მხარდაჭერის დემონსტრაცია გარკვეულ საფეხურამდე მივიდა.

ზოგიერთი პოლიტოლოგი აცხადებს, რომ ამერიკისათვის გამაღიზიანებელია ის, რომ ბუშის ვიზიტს წინ უძღოდა ირანის ვიცე—პრეზიდენტის საქართველოში ჩამოსვლა...

ირანის ვიცე-პრეზიდენტთან დაკავშირებით ვერაფერს მოგახსენებთ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ, საერთოდ, საქართველოს ხელისუფლებისგან პოლიტიკური უტაქტობები მოსალოდნელია და ამის გარეშე ისინი ვერ ძლებენ. შესაძლებელია, რომ ირანის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი და ირანთან კონტაქტები ამერიკასთან შეთანხმებულიც იყოს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ამ საკითხში საქართველოს ხელისუფლებამ შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინა, რაც შეიძლება მისთვის არასასიამოვნო იყოს. ჩვენი იმედები იმაზე უნდა დავამყაროთ, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ დიდი ინტერესი არსებობს, მათ შორის, აშშ-ის მხრიდან და ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროს ამერიკული მხარე ამასთან დაკავშირებით თავის პოზიციას გამოხატავს.

დახურულ კარს მიღმა თუ მისცემს რაიმე შენიშვნებს აშშ-ის პრეზიდენტი საქართველოს ხელისუფლებას?

გამიკვირდება, რომ ეს ასე არ მოხდეს. ამერიკელები შევარდნაძესაც უბედავდნენ შენიშვნებს, თუმცა, თითის ქნევით ვერ ელაპარაკებოდნენ (შევარდნაძესა და სააკაშვილს შორის არის განსხვავება) და, რა გასაკვირია, რომ ახლანდელ პრეზიდენტს მისცენ შენიშვნები. [...]

ამერიკელები მაგისტრალური გაზსადენის რუსეთისთვის მიყიდვის მცდელობაზეც უსაყვედურებენ საქართველოს ხელისუფლებას?

ბუნებრივია. ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ: როცა „ეი ეს თელასში“ რუსები უნდა შემოსულიყვნენ, იმათ, ვინც ახლა ხელისუფლებაშია და მაშინ ოპოზიციაში იყო, ერთი ამბავი და წივილ-კივილი ატეხეს, ახლა კი თვითონ ყიდიან საქართველოს დედაბუდიანად. მაშინ ამათ ეს ფაქტი თავისი კამპანიისათვის გამოიყენეს და შევარდნაძეს დააბრალეს, ყველაფერს ყიდისო. ახლა კი ყველა ხედავს, თვითონ რას სჩადიან. დარწმუნებული ვარ, რომ იმავე მაგისტრალური გაზსადენის გასხვისებას-

თან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ამერიკელები თავის აზრს გამოთქვამენ. [...]

არის მონაცემები, რომ ამერიკელები საქართველოს მმართველი პარტიითაც განხიბლული არიან და ისინი ალტერნატივას ეძებენ. ასეთ ალტერნატივად საქართველოს რესპუბლიკური პარტია სახელდება...

რესპუბლიკური პარტია ისეთივე ყოვლად უპერსპექტივოა, როგორც ზურაბ ჟვანიას მიერ შექმნილი პოლიტიკური პარტია იყო. ყველას გვახსოვს, რომ „რევოლუციამდე" გამართული არჩევნების დროს ჟვანიას „დემოკრატებმა" ვერ დააგროვა პარლამენტში გამსვლელი 7 პროცენტი. ამ პარტიისთვის ხმები არავის მოუპარავს. ხმების გაყალბების ვირტუოზები თვითონ ამ პარტიაში იყვნენ. მიუხედავად ყველანაირი მცდელობისა, „დემოკრატებმა" 7-პროცენტიანი საარჩევნო ზღვარი ვერ გადალახეს. მაშინდელმა ხელისუფლებამ მათ პროცენტები აჩუქა, რომ ისინი პარლამენტში მოხვედრილიყვნენ. კიდევ უფრო უპერსპექტივოა საქართველოს რესპუბლიკური პარტია. ჩემი დაკვირვებით, ეს პარტია აბსოლუტურად არ სარგებლობს სიმპათიით საზოგადოებაში.

ამერიკელები არასწორ გათვლას აკეთებენ?

ამერიკელებს, საუბედუროდ, ახასიათებთ ხოლმე გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ბოლომდე არ არის გააზრებული. ამერიკის შეერთებულ შტატებს მე რაღაც ვუნდერკინდს შევადარებდი (ნიჭიერი და ახალგაზრდა ქვეყანაა). როგორც კი ეს სახელმწიფო მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა (ეს პირველი მსოფლიო ომის მერე მოხდა), მაშინვე ლიდერის ადგილი დაიკავა. ფაქტია, რომ აშშ (ეს სპეციალურ ლიტერატურაშიცაა აღნიშნული) საგარეო ურთიერთობებში ბევრ შეცდომას უშვებს. შესაძლებელია, რომ იქ არსებობენ ძალები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ქართველ „რესპუბლიკელებს" უჭერენ მხარს (ზოგიერთმა ძალამ საქართველოს მეურვეობა ნოემბრის მოვლენების დროს იკისრა და შედეგად საზოგადოებამ „მშვენიერი ვარდები" მიიღო). საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მხარდაჭერა იქნება უხეში შეცდომა, იმიტომ, რომ გაუგებარია, როგორ უნდა დააწინაურონ ეს პარტია, საამისოდ რაიმე მონაცემი ხომ უნდა არსებობდეს! ერთადერთი, რაც ამ მხრივ არის შესაძლებელი, ესაა „რესპუბლიკელების" შეყვანა ერთიან საარჩევნო ბლოკში რომელიმე ოპოზიციურ პარტიასთან. სანაცვლოდ ამერიკელები

ამ „ლოკომოტივ“ პარტიას დახმარებას შეჰპირდებიან. ეს შესაძლებელია, თუმცა მე არასერიოზულად მიმაჩნია.

რატომ?

იმიტომ, რომ არც ამერიკელები არიან ჯადოქრები, არც სხვა ვინმეა სასწაულმოქმედი და არაფრისგან ვერაფერს გააკეთებენ. თუმცა, როგორც ვთქვი, თუ ამერიკელებს „რესპუბლიკელების“ წინ წამოწევა უნდათ, ისინი ამას სხვა ძლიერი პარტიის მეშვეობით გააკეთებენ.

შემოდგომაზე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება რამდენად შესაძლებელია საქართველოში?

საქართველოში გამორიცხული არაფერია, იმიტომ, რომ ჩვენ კარგად ვხედავთ, როგორი „დემოკრატიაა“ საქართველოში. ამ ვითომ დემოკრატიის გამოხატულებაა პრეზიდენტის შეხვედრა თავის „კომკავშირლებთან“. ეს ახალგაზრდობა ძალიან ჰგავდა ჰიტლერიუგენდს (ჰიტლერის ახალგაზრდობას). ცალკე თემაა სააკაშვილის გამონათქვამები, რომლებიც არაკომპეტენტურობით და არაკორექტულობით გამოირჩეოდა. [....] სამწუხაროდ, საქართველოს საქმე უკან მიდის. კორუფციასთან ბრძოლა რეკეტად იქცა; განათლების სისტემაში გაუნათლებლობა მკვიდრდება; ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს. ილია ჭავჭავაძის სურათი უკიდიათ, [...] პოლიტიკას კი ანტიეროვნულს ეწევიან. [...] ხან ეკლესიას ესხმიან თავს, ხან საქართველოს ფედერალიზაციის მხარდასაჭერ კამპანიას იწყებენ და ხან გაუგებარ კამპანიას კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით. [....] ჩემი დეპუტატობისდროინდელი პარლამენტი ვერაფრით დაიკვეხნიდა, მაგრამ ახლანდელთან შედარებით წინა საკანონმდებლო ორგანო ბრიტანეთის პარლამენტი იყო. [...] ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება იძულებული გახდნენ კიდეც, რომ დანიშნონ რიგგარეშე არჩევნები.

მარიკა მჭედლიშვილი,
„ახალი თაობა“, №122, 5 მაისი, 2005

სოროსმა საქართველოში საიდუმლო ინსტრუქციები ჩამოიტანა

[...] ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი სოროსისადმი საკმაოდ ცუდადაა განწყობილი. ამას მის მიმართ ნასროლი კვერცხებიც მოწმობს. როგორ გგონიათ, სოროსი საქართველოში რომ ჩამოდიოდა, მან ასეთი განწყობის შესახებ არაფერი იცოდა?

სოროსი მიზანსწრაფული კაცია. მას სირცხვილი და თავმოყვარეობა არ აწუხებს. იგი კვერცხის სროლასაც და შეფურთხებასაც მოითმენს, მთავარია, თავის მიზანს მიაღწიოს. უდავოა, სოროსი ოდიოზური და ბინძური პიროვნებაა. ეს ყველასათვისაა ცნობილი. თავისი მიზნების განსახორციელებლად და სარბიელად მან, ასე ვთქვათ, „ნასაბჭოვარი“ ქვეყნები აირჩია. საზოგადოების რეაქცია სხვადასხვა „კლიენტ“ ქვეყნებში უარყოფითია, რაც სრულიად ბუნებრივია. ალბათ უნდა ვიფიქროთ, რომ თანდათან ამ პიროვნებას ფრთები შეეკვეცება. ის, რაც თბილისში სოროსთან მიმართებაში კვირას მოხდა, ამას სულითა და გულით მივესალმები. ყველამ უნდა დაინახოს, რომ ქართული საზოგადოება რაც უნდა დეგრადირებული იყოს, ამ საზოგადოებაში არსებობენ მოაზროვნე ადამიანები და კარგად აცნობიერებენ, ვინ არის სოროსი და როგორ უყურებს ის საქართველოს. საკმაოდ შეურაცხმყოფელია, როცა ჩამოდის ვიღაც საერთაშორისო აფერისტი, ჭკუას გასწავლის და საქართველო პოლიგონად აქვს გადაქცეული. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალია, მაგრამ რას ვიზამთ? ისეთი მთავრობა გვყავს, რომ საქართველო ამ საეჭვო ადამიანის სარბიელის როლში გამოდის. ძალიან კარგია, რომ ჩვენში არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში რეაგირებენ ამაზე.

თქვენი ვარაუდით, რა საიდუმლო ინსტრუქციები ჩამოიტანა ამჯერად სოროსმა?

ალბათ ეს ისტრუნქციები რაღაც კონკრეტულ საკითხებს შეეხება. ამაზე მარჩიელობას არ დავიწყებ. იმის თქმა კი შეიძლება, რომ სოროსი იმ წრეების წარმომადგენელია, რომლებიც ემსახურებიან ისეთ ავანტიურისტულ იდეას, როგორიცაა მსოფლიოს გლობალიზაცია. ეს ნამდვილი ავანტიურაა, რომელიც სახიფათოა. ის ფაქტი, რომ ეს ავანტიურა ვერ განხორციელდება, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მას უბედურების მოტანა არ შეუძლია.

გლობალიზაციის იდეა გულისხმობს ერების კულტურულ დასუსტებას, ეროვნული ტრადიციების, თვითშეგნების რღვევას, იმ საათანადო ინსტიტუტების ნელ-ნელა აღმოფხვრას, რომელსაც ერის არსებობა ეყრდნობა. მოგეხსენებათ, რომ სოროსის ფონდი საგანმანათლებლო ფუნქციებს ემსახურება. ეს არის იდეოლოგიური დივერსიის ერთ-ერთი კერა. ეტყობა, სოროსი თავის კლიენტურას მითითებებს ამ მიმართულებით მისცემს.

[...]

თბილისში ყოფნის დროს ჯორჯ ბუში მიესალმა იმას, რომ ქართველი სამხედროები თავის მისიას ასრულებენ ერაყში. ამ დღეებში ერაყში ქართველი ოფიცერი დაშავდა. ამან უფრო ინტენსიური გახადა ანტიერაყული კამპანია. როგორც ცნობილია, 34 ათასზე მეტი ხელმოწერაა შეგროვილი ქართული ჯარის ერაყიდან გამოყვანის მოთხოვნით...

რა თქმა უნდა, ქართველი ოფიცრის დაჭრა ერაყში ძალიან სამწუხარო ამბავია. ასეთი რამ ხდება. ამის გამო ამ ღონისძიებაში საქართველოს მონაწილეობაზე უარის თქმა არასწორად მიმაჩნია. საქართველო ამ პროცესებში მონაწილეობისას გამოდის, როგორც მხარე, რომელსაც თავისი პოზიცია აქვს. ეს იმის მანიშნებელია, რომ საქართველო არის აქტიური მოკავშირე იმ ქვეყნისა, რომლის დახმარების გარეშე ვერ მივაღწევდით შედეგს, რომელიც გვაქვს. აშშ-ის დახმარების გარეშე საქართველო დღეს ძალიან ცუდ დღეში იქნებოდა. მოგეხსენებათ, ერაყის ამბებმა გარკვეული წინააღმდეგობა გამოიწვია დასავლეთში ამერიკის პოლიტიკის მიმართ და ის ფაქტი, რომ ამ დროს საქართველომ აშშ-ს მხარი დაუჭირა, [...] საქართველო გარკვეულ მხარედ, თავისი პოლიტიკური მეობის მქონე ქვეყნად წარმოადგინა. მიმაჩნია, რომ ჩვენ ეს სახე უნდა შევინარჩუნოთ და არა მოვიქცეთ ასე – შენ დიდი დახმარება გამიწიე, მაგრამ თუ რამე დაგჭირდა, ნუ შემაწუხებო. ასეთი პოლიტიკა კარგად არ დაგვახასიათებს. ის, ვინც ქართული კონტიგენტის ერაყიდან გამოსვლას მოითხოვს, ალბათ, ამ გზით ოპოზიციონერობას ავლენს.

საქართველოში შექმნილი პრობლემების მოგვარება თუ შეუძლია ჯარს, რომლის მშენებლობაც, ძირითადად, აშშ-ს დამსახურებაა?

ჯარს თავისი სპეციფიკური ამოცანები აქვს და მან ეს ამოცანები უნდა შეასრულოს. ამერიკას რაც შეუძლია, ყველაფერს

აკეთებს. სხვა საკითხია, რა სახეს ანიჭებს ამ დახმარებას საქართველოს ხელისუფლება. ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ ამერიკელების მიერ მომზადებულმა ძველმა სამხედრო კადრებმა სამსახური დატოვეს. რამდენად ეფექტიანი იქნება ამერიკული დახმარება, ეს ჩვენს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. საქართველოს ხელისუფლება კი თავის არსებობაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ქვეყნის კეთილდღეობაზე. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, როგორ გამოიყენებს ის ამ დახმარებას. სამწუხაროდ, მე ამ პერსპექტივას პესიმისტურად ვუყურებ. ბოლოს და ბოლოს, ამერიკელები ყველაფერს ჩვენს მაგივრად ხომ არ გააკეთებენ? ისინი ამზადებენ ადამიანებს და მერე მათი გამოყენება როგორ ხდება, ამაში ვეღარ ჩაერევიან. ამერიკელების დახმარება საქართველოს სხვა პირობებში შეიძლებოდა უკეთ შერგებოდა, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ ეს ხელისუფლება მოიყვანა და რას იზამ?!

მარიკა მჭედლიშვილი,
„ახალი თაობა“, №148, 31 მაისი, 2005

ამერიკელების მიერ გამოცხადებული რეიტინგების არ მჯერა

[...] ხელისუფლების რეიტინგი არც ისე დაბალია. ივნისის ბოლოს გამოქვეყნებული „რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, „ნაციონალების“ რეიტინგი 60%-ია.

მართალი გითხრათ, ამ რეიტინგების არ მჯერა, იმიტომ, რომ ვიცი, როგორც ადგენენ ხოლმე საქართველოში ამ რეიტინგებს. არც იმით იცვლება რაიმე, რომ ეს გამოკვლევა ამერიკულმა „რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა“ ჩაატარა. ეს ორგანიზაცია ჩემთვის არავითარი ავტორიტეტი არ არის. ყველამ ვიცით, რომ ეს ხელისუფლება და ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, მათი (ამერიკელების) პროდუქტია. რა ქნან ახლა, ხომ არ იტყვიან, შეცდომა დავუშვითო? ადამიანებს საერთოდ უჭირთ შეცდომის აღიარება. ამას დაუმატეთ საკითხის პოლიტიკური მხარეც.

მაგრამ ბევრი საუბარია იმაზე, რომ ამერიკელებმა არასწორი გათვლა გააკეთეს...

საქმეც ისაა, რომ ამას ოფიციალურად არ აღიარებენ, ამისთანა ნომრებს ამერიკელები ქართველებს ვერ გვასწავლიან. ეს ყველაფერი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. კომუნისტების დროს ცეკას მდივანი, მაგალითად, ჩემთან საუბარში კომუნისტებს ლანძღავდა, სხვაგან კი სხვა რამეს აკეთებდა. ასეთი ლაპარაკით ვიღაც-ვიღაცები თავისი რეპუტაციის ამაღლებას ცდილობენ ხოლმე. თუ იგივე ამერიკელები თვლიან, რომ არასწორი გათვლა გააკეთეს, თავისი შეცდომა უნდა აღიარონ. ჩვენ ვერ მოგვატყუებენ. ასე რომ, ამერიკელების გამოცხადებული რეიტინგებისა არ მჯერა.

ანუ მიგაჩნიათ, რომ სინამდვილეში „ნაციონალების“ რეიტინგი ბევრად უფრო დაბალია?

მგონია, რომ დაბალი უნდა იყოს. გამოკითხვებს ვერ ვაწარმოებ, მაგრამ ფაქტია, რომ კაციშვილი არ შემხვედრია, ხელისუფლებას რომ არ აგინებდეს და ამ სიტუაციაში, გაუგებარია, საიდანაა აღებული ეს 60%. ხელისუფლების მოქმედებები ნამდვილად არ უწყობს ხელს მისი რეიტინგის ამაღლებას. ამისთვის ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებული პრობლემაც კმარა. უკვე

მასმედიამაც ამოიღო ხმა და ალაპარაკდა საფრთხეზე, რომელსაც ამ ტერიტორიისთვის „სამხრეთ ოსეთის“ სახელის ხელახალი მინიჭება იწვევს. ამით საქართველოს მიწა-წყლის გასხვისება ხდება. ხელისუფლება ცდილობს, ეს ტერიტორია ოსი ერის საკუთრებად გამოაცხადოს. „სამხრეთ ოსეთი“ არ შეიძლება საქართველო იყოს! საზოგადოება ამით უკმაყოფილოა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საზოგადოების სასკანდალოდ დაბალ დონეს მოწმობს ის, რომ მერიის არჩევითობა და საარჩევნო კანონი უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. არც ერთი პარტია არ ფიქრობს იმაზე, თუ საქართველოს მთლიანობა არ აღდგა, სად გამოიყენებენ თავიანთ კანონებს.

თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, ოპოზიციური პარტიების დონეა დაბალი?

ამაზეა ნათქვამი – ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო. ხელისუფლება რომ ამბობს, ოპოზიცია არ გვყავსო, გარკვეულწილად, მართალია. ოპოზიცია მართლაც არ არსებობს. ხელისუფლების ოპონენტად მისივე განაყოფები გამოდიან. ისინი ხელისუფლების განაყოფს წარმოადგენენ როგორც პრაქტიკულად, ისე ფსიქოლოგიურად (როგორც, მაგალითად, „რესპუბლიკელები“). საქართველოში არც ოპოზიცია არსებობს და არც მთავრობა. ნამდვილი მთავრობა რომ იყოს, მაშინ დროთა განმავლობაში ჭეშმარიტი ოპოზიციაც გამოიკვეთებოდა. ჩვენთან უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციაა, ოპოზიცია პრინციპულ საკითხებზე კი არ აკეთებს აქცენტს, არამედ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვან პრობლემებზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი ტერიტორიული მთლიანობაა?

დიახ! საქართველოს ყველაზე მეტად ტერიტორიული მთლიანობის საკითხი სტკივა... დღეს ქართველ ერს ქვეყანას აცლიან ხელიდან და ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა უნდა დაიღუპოს. ამაზე არავინ ფიქრობს. რიგითი მოქალაქის ცნობიერებამდე ეს პრობლემა კარგად უნდა მიიტანო, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლის (ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“) ადგილობრივი მოსახლეობა გაცილებით საღად აზროვნებს, ვიდრე საქართველოს მთავრობა და ოპოზიცია (ყველა ოპოზიციონერს არ ვგულისხმობ). ხმაურიანი პოლიტიკური ძალები რიგითი მოქალაქის დონეზეც კი არ დგანან. ჯერჯერობით კარგ პოლიტიკურ ეფექტს არ

უნდა მოველოდეთ, თუმცა დროთა განმავლობაში ხალხში არსებული რესურსები ამოქმედდება.

ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლება ოსურ მხარეს სთავაზობს კონცეფციას, რომლითაც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ხდება შიდა ქართლის ტერიტორიის ოსი ერის საკუთრებად გამოცხადება, მეორე მხრივ, კონფლიქტის ზონაში საპროტესტო აქციას აგრძელებენ თვენახევრის წინ ოსების მიერ გატაცებული ოთხი ქართველის ახლობლები...

ობიექტურად საქმე გვაქვს ხელისუფლების მხრიდან ერის ღალატთან. ჩემთვის წარმოუდგენელია, ნორმალურ ადამიანს არ ესმოდეს, რას ნიშნავს ამ შემთხვევაში სახელი და ტერმინი. ტერიტორიას უბრუნებენ სახელს – „სამხრეთი ოსეთი“. ეს გარკვეული ტერმინია, რომელიც განსაზღვრულ ხალხზე მიანიშნებს. ამ ხალხს თავი ერად მიაჩნია. ეს სახელწოდება არის გარკვეული ტერიტორიის კვალიფიცირება. ეს ნიშნავს, რომ ეს ტერიტორია ამა და ამ ხალხისაა. ჯავახეთს რომ ჩრდილოეთი სომხეთი ერქვას, ეს ხომ იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ ეს ტერიტორია სომხეთის ნაწილია, რომელიც შემოდის ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ კულტურულ-ისტორიულად, მორალურად და ფაქტობრივად, ეს ტერიტორია სომეხი ერის სამშობლოს ნაწილია. ასევეა „სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევაშიც. რუსეთში არის ვინმე ბელკოვსკი, რომელმაც საქართველოს ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერით პირდაპირ განაცხადა, ჩვენი გეგმაა, რომ შეიქმნას აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ სახელმწიფოები და ისინი მესამე სახელმწიფოსთან – საქართველოსთან ერთად ერთ ფედერაციად გაერთიანდნენო. ამას რუსები ღიად ამბობენ, საქართველოს ხელისუფლება კი ამას უპასუხოდ ტოვებს და წარბსაც კი არ იხრის. ამ განცხადებაზე კომენტარი არავის გაუკეთებია. რუსეთი ამბობს, რა ინტერესები აქვს. ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს რა უნდა – ეს კიდევ სხვა საკითხია. ასეთი წაყრუება გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება და ოპოზიციის ნაწილი გარეშე ძალების დავალებას ასრულებენ.

რა ინტერესები აქვთ ევროსტრუქტურებს?

დასავლეთი (აშშ-ცა და ევროპაც) კულტურულ და პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება, მიუხედავად იმისა, რომ აშშ დღეს მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფოა. ეს მე ჯერ კიდევ 1997 წელს ვთქვი, ევროკავშირი არცთუ კარგი წამოწყებაა იმიტომ,

რომ ნეომარქსისტულ ტენდენციას უკავშირდება (ეს ნეომარქსისტები თავს ლიბერალებს უწოდებენ). დღეს მარქსისტებმა შეჭამეს დასავლეთი. მათი ჩანაფიქრია გლობალური სახელმწიფოს შექმნა. ერების ერთ გლობალურ სახელმწიფოში გაერთიანება, რაც ავანტიურისტული იდეაა. ერი თუ მოისპო, კულტურაც გაქრება, რადგან კულტურის ნამდვილი სუბიექტი ერია. მაგალითად, არავინ იტყვის „რუსთაველის კულტურაო", ვინაიდან რუსთაველის შემოქმედება ქართული კულტურის შემადგენელია, ქართული კულტურის სუბიექტი კი – ქართველი ერია. ეს ავანტიურა დამარცხდება, მაგრამ ამას შეიძლება ზოგიერთი ერი გადაჰყვეს. საბედნიეროდ, ევროპაში ბოლოს და ბოლოს ეს გაიცნობიერეს, რაც კარგად გამოაჩინა ევროპის საერთო კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით ჩატარებულმა რეფერენდუმებმა, რომელმაც დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ არც ისეა საქმე, როგორც ზოგიერთს ჰგონია. სახელმწიფოებს, ერებს შორის უნდა იყოს სოლიდარობა, თანამშრომლობა, მაგრამ იმის მცდელობა, რომ შეიქმნას რაღაც ერთიანი ევროპელი ერი, რომლის ტომები იქნებიან გერმანელები და ფრანგები – ეს ძალიან მანკიერი აზრია.

გლობალიზაციის საფრთხე ქართველ ერსაც ემუქრება?

დღეს ქართული კულტურა სამუზეუმო ექსპონატადაა გადაქცეული. საზოგადოება დაბნეულია, თუმცა ეს ის საზოგადოებაა, რომელმაც ახლანდელი ხელისუფლება მოიყვანა სათავეში. პოლიტიკური კულტურის დონე ჩვენთან ძალიან დაბალია. [...] ხალხი, სამწუხაროდ, დეზორიენტირებულია, სოციალურ და კულტურულ სოლიდარობას მოკლებული. ერთადერთი, რაც ქართველებს დარჩათ, რესტორნებში საქართველოს სადღეგრძელოებია, რესტორნიდან რომ გავლენ, სადღეგრძელოში განდიდებულ საქართველოს იქვე გაყიდიან (თუნდაც თავიანთი პასიურობით). რეალობა ასეთია.

თქვენ საზოგადოების პასიურობა ახსენეთ, არსებობს პროგნოზები იმის შესახებ, რომ შემოდგომაზე გააქტიურებაა მოსალოდნელი...

არაფერია გამორიცხული. ამას წინათ ერთი საინტერესო რამ მითხრეს: თურმე, მტვერი რომ გროვდება დიდი რაოდენობით, მერე ფეთქდება. ვნება ადამიანის ფსიქიკის პასიურ ფენომენს მიეკუთვნება. ამიტომ, თუ ეს ასეა, პასიურობა ფეთქებადია. მე ანარქიული აფეთქების შედეგების მეშინია. ეს ხელისუფლება

ქვეყნის ჭირია, მაგრამ მარტო მისი მოშორება საკმარისი არ არის, ადამიანი აქტიური რომ იყო და რაღაც კარგი გააკეთო, გარკვეული იდეალი უნდა გქონდეს. ამ ხელისუფლების გადაგდება და ამ სიტუაციის დანგრევა გამოსავალი არ არის, თუ ამას რაიმეს შენება არ მოაყოლე, ბრბო კი ვერაფერს ააშენებს. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენთან პოლიტიკოსები ბრბოს ლიდერებად გამოდიან.

მძიმე სურათი დახატეთ...

მე რეალობა წარმოვადგინე. სჯობს, რეალობას თვალი გავუსწოროთ. რეალიზმი სრულიადაც არ ნიშნავს პესიმიზმს. თუ ვინმე რეალობას ვარდისფრად ხატავს, ეს ოპტიმიზმი კი არ არის, არამედ თავის მოტყუება. ოპტიმიზმი რწმენაა. ქართველ ხალხში გარკვეული პოტენციალი ნამდვილად არსებობს. კულტურა, რომელიც ქართველებს ჰქონდათ, მაინც თვლემს ამ ხალხში. ეს უმნიშვნელო ფაქტორი არ არის. ისევ იმ პროგნოზს რომ დავუბრუნდეთ, შესაძლებელია, რომ ხალხი გააქტიურდეს და რაღაც მოხდეს. მე ვერ დავადებ ხელს ძალებს, რომლებმაც სიტუაციის შეცვლაში შეიძლება პოზიტიური როლი ითამაშონ, მაგრამ ცვლილებების ალბათობა არსებობს.

მარიკა მჭედლიშვილი,
„ახალი თაობა“, № 196, 18 ივლისი, 2005

საქართველოში წესიერი არჩევნები არ ჩატარდება

საქართველოს პრეზიდენტმა შვედეთში გამართულ საერთაშორისო ფორუმში კიდევ ერთი მოხსენება წაიკითხა დემოკრატიის საკითხებზე. საქართველოს ისევ უწოდებენ დემოკრატიის შუქურას იმ დროს, როცა დემოკრატიისკენ არანაირი ნაბიჯები არ იდგმება...

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ 2003 წლის შემოდგომაზე მომხდარი გადატრიალების მოხსენიება რევოლუციად ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. რევოლუცია სულ სხვა რამეა. ამ ინტერვიუში ამ საკითხზე დაწვრილებით ვერ ვილაპარაკებ. ერთადერთი, რისი თქმაც შეიძლება, ისაა, რომ იმას, რაც მოხდა, მიახლოებითაც კი არა აქვს საერთო რევოლუციის ცნებასთან. ამდენად, ფალსიფიკაცია უკვე აქედან იწყება. [...] ეს იყო კარგად ორგანიზებული, გარედან დაფინანსებული და, რაც მთავარია, ყველანაირად (ტექნოლოგიურად, იდეოლოგიურად) მომზადებული ღონისძიება. ფრაზები, რომელიც მაშინ გაისმოდა და ახლაც ისმის, რასაკვირველია, არ არის ადგილობრივი წარმოშობის. ვინც ჩვენი ხელისუფლების, ასევე მისი გარემოცვის (სხვადასხვა „ენჯეოები“ მაქვს მხედველობაში) გონებრივ ავლადიდებას იცნობს, ის ვერ დაიჯერებს, რომ გამოყენებული ტექნოლოგიები და ცალკეული ფრაზები საქართველოშია მოგონილი. ეს ყველაფერი კარგადაა მომზადებული. საქართველოში გარკვეული ჯგუფები კარგად ავარჯიშეს, მათგან ერთგვარი რუპორები დაამზადეს. ამ გზით მოხდა ის, რასაც დღეს ქვეყნის სასაცილოდ უწოდებენ რევოლუციას. ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, უცხოეთის ძალები (ეს სხვადასხვა ძალებია), რომლებმაც ჩვენი გაბედნიერება მოინდომეს, მშვენივრად არიან ინფორმირებული საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ. არ ვიტყვი, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ყველაფერი იცის, მაგრამ ის, ვისაც საქართველოს საქმეები მეტ-ნაკლებად ეხება, ინფორმირებულია. მათთვის ცხადია, რომ არავითარი დემოკრატია საქართველოში არ არსებობს.

თუმცა, ამაზე მკვეთრი განცხადებები არ გაკეთებულა...

მკვეთრი განცხადებები მართლაც არ ყოფილა, მაგრამ ისინი მშვენივრად ხედავენ – ის, რაც საქართველოსადმი შედარებით კეთილგანწყობილ ძალებს უნდოდათ, არ გამოვიდა. ეს არის კრახი. უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დაპირისპირება არსებობს პრეზიდენტ ბუშსა და საერთაშორისო აფერისტ

სოროსს შორის, გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება ხელი ხელს ბანდეს. ბოლოს და ბოლოს, ტონის მიმცემი (რადგან ამერიკაზე ვლაპარაკობთ) ამერიკის ხელისუფლებაა. საქართველოს მსგავსი მოვლენები მოხდა უკრაინაში, ყირგიზეთში (აქ აშკარად წარუმატებლობაა და ხელოვნურობა აშკარად იკითხება) და, ბოლოს, უზბეკეთში (იქ ჩავარდნა იყო) და „რევოლუციების" ციკლი დამუხრუჭდა. წარმოიდგინეთ, ამ სიტუაციაში ჩვენი კეთილისმყოფელი ძალების მდგომარეობა. ყოფით დონეზეც კი არ უყვარს ადამიანს იმის აღიარება, რომ შეცდა, და წარმოიდგინეთ, როცა საქმე ეხება პოლიტიკას – რევოლუციის მომწყობებს იმედი გაუცრუვდათ. ხომ არ იტყვიან, შეგვეშალაო? ეს პოლიტიკურად ძალიან უხერხულია.

ამიტომ ისინი იძულებული არიან, თვალი დახუჭონ სერიოზულ დარღვევებზე?

არ ვიცი, რას აპირებენ ისინი. ალბათ, იქნება გარკვეული კულუარული ზეწოლები.

ანუ შესაძლებელია, კულუარული ზეწოლა მდგომარეობის გამოსწორების იმედით?

დიახ, მაგრამ ეს წყალწაღებული საქმეა. ამიტომ, შეიძლება ეს პროცესი გაჭიანურდეს. ჩვენდა სასირცხვილოდ და საუბედუროდ, გამორიცხული არ არის, გამეორდეს ისეთივე მოვლენა, როგორიც აქამდე იყო.

[...]

საქართველოში შესაძლებელია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება?

დღეს ჩვენთან წესიერ არჩევნებზე ლაპარაკი ზედმეტია.[...]

რა მოჰყვება შუალედური არჩევნების გაყალბებას?

[...] მე მგონია, რომ ახლაც რომ გაყალბდეს არჩევნები, ამის გამო მუშტების ბრაგუნი დასავლეთისგან არ იქნება. უცხოეთის პრესა საქართველოს ხელისუფლებაზე კარგს არაფერს წერს, მაგრამ ოფიციალური წრეები (ამერიკის) განაგრძობენ მის მიმართ მხარდაჭერას. ამას თავისი ახსნა აქვს. ისინი იძულებულნი არიან, თავი ისე დაიჭირონ, თითქოს ყველაფერი რიგზეა. აშშ-ის ელჩმა საქართველოში განაცხადა, დემოკრატია ისე კი არ მოდის, დემოკრატიისკენ ნელ-ნელა მივდივართო. საით მივდივართ, ეს, ალბათ, მისი საიდუმლოა. ეს გამონათქვამი მისი ავტორის დიდ ჭკუაზე არ მეტყველებს. ასეთ რამეს ელჩი არ უნდა ლაპარაკობ-

დეს ხალხის წინაშე, თუ ის მთლად მოწყვეტილი არ არის აქაურობას. რამდენადაც ვიცი, ამერიკის ელჩი კარგადაა ჩართული საქართველოს ცხოვრებაში. ელჩის ასეთი განცხადება არა მგონია, შეეფერებოდეს ისეთი დიდი სახელმწიფოს პრესტიჟს, როგორიც აშშ-ა.

ჩვენ არჩევნები ვახსენეთ. არსებობს მოსაზრება, რომ არადემოკრატიული კანონმდებლობის პირობებში ჯობია ოპოზიციამ ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადოს...

რა აჯობებდა ამ სიტუაციაში, ამაზე ბევრის თქმა შეიძლება. [...] ამ ოპოზიციის მხრიდან იმის ლაპარაკი, რომ პრესას ზღუდავენ, სახელმწიფოს მხრიდან რეკეტია, ისეთი ზოგადი ფრაზებია, რომელსაც ნებისმიერი დიასახლისი იტყვის. პოლიტიკური ენა და პოლიტიკური პოზიცია სულ სხვა რამეს ნიშნავს. მაგალითად, პრაქტიკულად, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ გამოუხატავს თავისი მოსაზრება ქვეყნის ტერიტორიულ-პოლიტიკურ მოწყობასთან დაკავშირებით (არ ვლაპარაკობ „რესპუბლიკელებზე“, რომლებიც, ფედერალიზმს უჭერენ მხარს. ეს იმავე ჯიშის ხალხია, როგორც ხელისუფლება, უფრო სწორად, უფრო სახიფათო. მათ შორის განხეთქილება სახელისუფლებო ნაზუქის გაყოფისას მოხდა). იგივე შეიძლება ითქვას განათლების, მეცნიერების პრობლემებთან დაკავშირებით. ამაზეც არ გამოითქმის არანაირი კრიტიკა. არადა, ამ სფეროში ხდება ის, რასაც თვითონ დასავლეთისთვისაც მოაქვს საშინელი უბედურება. მაგრამ დასავლეთში სახელმწიფოები არსებობს, სპექტრი არსებობს, ჩვენთან კი ეს უფრო მტკივნეულია. ცნობილია, რომ ევროკავშირი კრიზისშია. ეს იმას ნიშნავს, რომ იდეამ, რომელიც სინამდვილეში შეიცავდა აზრს, რომ სახელმწიფოები შტატებად უნდა გადაიქცნენ და ერები უნდა მოისპოს, მისი ავტორებისთვის მოულოდნელი სახე მიიღო.

მაინც, რა ხდება ამ მხრივ საქართველოში?

ხდება ფრონტალური შეტევა ქართველი ერის სხეულსა და ქართველი ერის სულზე. თუ საქართველო ფედერაციად გადაიქცევა, რაც ამათ სურთ, ჩათვალეთ, რომ საქართველო აღარ იარსებებს. დაიწყო აშკარა შეტევა ეკლესიაზე. ამას უდის ჩემთვის ძალიან ნაცნობი პროგრამის სუნი, რომელიც დასავლეთში არსებობს. საქართველოში უნდათ იმ უზარმაზარი ინსტიტუტის მოშლა, როგორიც ეკლესიაა. შეტევაა მეცნიერებასა და განათლება-

ზეც. ანუ, დაიწყო შეტევა ერის რწმენასა, გონებასა და სულზე. თუ ერი ფიზიკურადაც დაინგრევა და სულიერადაც, ის აღარ იარსებებს. მე ვსვამ კითხვას – პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც თავს ოპოზიციას უწოდებენ, ჩამოყალიბებული აქვთ თუ არა პოზიცია ამასთან დაკავშირებით? ფორმულირებული აქვთ თუ არა ეს პრობლემა? ის საკითხები, რომლებზეც ისინი ხმაურობენ, ზედაპირულია, ხოლო ამის ქვეშ რომ ეროვნული კატასტროფა მზადდება, ამას არავინ იაზრებს, ამაზე არავინ ლაპარაკობს. აი, ესაა ჩვენი ძირითადი პრობლემა. საქართველოსთვის დიდი ხიფათის შემცველია ერთდროული შეტევა ერის სხეულზე (ფედერალიზაციის სახით) და ერის სულზე (ანუ სარწმუნოებასა და მეცნიერებაზე). თუ საზოგადოება და პარტიები, რომლებიც საზოგადოების ნაწილია, ამას ვერ გააცნობიერებენ, საქართველო გადაიქცევა პლატცად (მოედნად), სადაც შეიძლება მილსადენები გავიდეს, სამხედრო ბაზები განთავსდეს და სხვა, ხოლო თვითონ ერი და ქვეყანა აღარ იარსებებს.

მარიკა მჭედლიშვილი,
„ახალი თაობა“, №212, 3 აგვისტო, 2005

„საქართველოს ფედერალიზაცია“ – ეს არის ეროვნული თვითმკვლელობა

ამ დღეებში ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარის, ყოფილი პარლამენტარის, მიხეილ ნანეიშვილის, ინიციატივით ახალი საზოგადოებრივი გაერთიანება „უნიტარული საქართველო“ დაფუძნდა. „24 საათმა“ ბატონ ნანეიშვილს რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

[...]

თქვენი აზრით, რა რეალური საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ სახელმწიფოებრივი მოწყობის უნიტარული ფორმა მართებულად მივიჩნიოთ?

უნიტარული სახელმწიფო არის ყველაზე ბუნებრივი ფორმა სახელმწიფოს ორგანიზაციისა. ფედერალური სახელმწიფო პირველად მე-18 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს გაჩნდა, როდესაც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები. ეს იყო ახალი პოლიტიკური აზრის გამოგონება. დღეს უნიტარიზმი, რატომღაც, შავი პიარის ობიექტი გახდა.

რით განსხვავდება ერთმანეთისაგან სახელმწიფო მოწყობის უნიტარული და ფედერალური ფორმები? ფედერალური სახელმწიფო არის ისეთი სისტემა, რომელშიც გაერთიანებულია ცალკეული სახელმწიფოები, როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფოს სუბიექტები. მაგალითად, შეერთებულ შტატებში შტატი ვირჯინია თავად არის სახელმწიფო. უნიტარული სახელმწიფო წარმონაქმნებისაგან არ შედგება. ამის მაგალითია ინგლისი, თანამედროვე, თავისუფალი მსოფლიოს, ასე ვთქვათ, დედასამშობლო. იგივე შეიძლება ითქვას საფრანგეთზე, იტალიაზე, სკანდინავიის ქვეყნებზე, ჰოლანდიაზე და ა. შ.

ჩვეულებრივ, ითვლება, რომ ყველაზე ბუნებრივი გზა ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა უნიტარული სახელმწიფოა. საქართველო, ტრადიციულად, უნიტარისტულ სახელმწიფოდ ითვლება, თუმცა ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ვრცელდება ხმები, თითქოსდა, საქართველო არასდროს ყოფილა უნიტარული, რაც მტკნარი სიცრუე და უმეცრებაა. დავით აღმაშენებლის დროს ფედერალიზმის ცნებაც კი არ არსებობდა.

კიდევ ერთი გაუგებრობა და უმეცრება, რაც ხალხს ჩაუნერ-

გეს, თვითმმართველობას უკავშირდება. რატომღაც არსებობს მოსაზრება, რომ თვითმმართველობა მხოლოდ ფედერალურ სახელმწიფოშია შესაძლებელი. სინამდვილეში, როდესაც ამბობენ, რომ სახელმწიფო დეცენტრალიზებულია, თავისთავად იგულისხმება უნიტარული სახელმწიფო. ფედერალური სახელმწიფო ბევრად უფრო დიდ პრობლემებს ქმნის თვითმმართველობის განვითარებისათვის. იმიტომ, რომ ასეთი ტიპის სახელმწიფო გაცილებით დამძიმებულია ხელისუფლებით, იმ ხელისუფლებით, რომლის შეზღუდვაც საჭიროა თვითმმართველობის განვითარებისთვის. უნიტარულ სახელმწიფოში ყველაფერი გაცილებით ადვილად არის.

მეორე გაუგებრობა ავტონომიებს ეხება. ხალხს უნერგავენ, რომ უნიტარულ სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს ავტონომია. ეს სიცრუეა.

საქართველოში ფედერალიზაციის იდეა რუსეთიდან მოდის. რუსეთი არის დაინტერესებული, რომ საქართველო ფედერალური სახელმწიფო იყოს. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ტელევიზორი რუსულ ტელეარხებზე გადავრთოთ... რუსეთში ადგენენ სხვადასხვა პროექტებს, მათ იციან, რომ ფედერალური საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, ინვალიდი სახელმწიფო იქნება. თუ ჩვენ აფხაზეთი ფედერაციის სუბიექტ-სახელმწიფოდ გადავაქციეთ, „სამხრეთ ოსეთსაც" ასეთი სტატუსი მივანიჭეთ, ისინი გამოეყოფიან საქართველოს და ჩვენი ქვეყანა იქნება დაჩეხილი, როგორც ეს ფეოდალიზმის დროს ხდებოდა.

როგორ აფასებთ საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან?

ჩვენი ხელისუფლება გულში რას ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ ობიექტურად ასრულებს რუსეთის გეგმას, აკეთებს იმას, რაც რუსეთისთვის არის საოცნებო.

[...]

ჩემი აზრით, საქართველოს ფედერალიზაცია – ეს არის ეროვნული თვითმკვლელობა. თუ ქართველ ერს სიცოცხლე უწერია, ფედერალიზმი გამორიცხულია [...].

ვერიკო თევზაძე,
„24 საათი", №4, 11 იანვარი, 2005

9 შეკითხვა მიხეილ ნანეიშვილს

1. საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების შემთხვევაში (ან სანაცვლოდ), რა სტატუსს შესთავაზებდით სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ლენინურ ავტონომიებს?

ცხინვალის რეგიონს რაც შეეხება, რომელსაც სამხრეთ ოსეთს უწოდებენ, არანაირი, არც სამართლებრივი და არც ისტორიული საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ამ რეგიონს თუნდაც ძველი, საბჭოთა, უფრო სწორად, რუსულ-საბჭოთა სახელი – „სამხრეთი ოსეთი“ დაუბრუნდეს და მეორეც, არავითარი ავტონომია, იმიტომ, რომ ასეთივე პრეტენზია შეიძლება საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ უმცირესობებსაც გაუჩნდეთ. მაგალითად, აზერბაიჯანლებსა და სომხებს. სამივე მათგანს თავიანთი ისტორიული სამშობლო აქვთ და ოსებისთვის რაღაც განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანელებს და სომხებს სრული უფლება მიეცემათ, ანალოგიური სტატუსი მოითხოვონ. რაც შეეხება აფხაზეთს, აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი უნდა მიენიჭოს. იგი ავტონომიის სუბიექტი უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში ფედერაციის. ფედერაციულ სუბიექტობაზე ლაპარაკი დაუშვებელია. ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი, ამავე აზრის არიან სერიოზული მკვლევარებიც, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს ფედერალიზაცია საქართველოს დაშლას ნიშნავს. ვინც ფიქრობს, რომ საქართველოს ფედერალიზაცია ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთი გზაა, ისინი ან იდიოტები არიან, ან — ნაძირალები, ან კიდევ — ორივე ერთად. იმიტომ, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც საქართველოს ფედერალიზაცია სურს, რუსეთია და ეს კარგად უნდა გავითვალისწინოთ. რაც შეეხება ავტონომიას, ეს არის საკუთარი მმართველობის მქონე ტერიტორიული ერთეული, რაც უნიტარული სახელმწიფოს დამახასიათებელი ელემენტია.

2. უნდა ჩამოერთვათ თუ არა მოქალაქეობა საქართველოში დაბადებულ და მუდმივად მცხოვრებ იმ პირებს, ვინც ვერ მეტყველებს სახელმწიფო ენაზე?

თუ ადამიანი სახელმწიფო ენას ვერ ფლობს, მას ენის შესასწავლად ხელის შეწყობა უნდა და არა მოქალაქეობის ჩამორთმევა. მე მოქალაქეობის ჩამორთმევის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ასეთ ადამიანებს გარკვეული შეზღუდვები თავისთთავად ექნებათ. მაგალითად, ისინი ვერ მიიღებენ სამსახურს სახელმწიფო დაწესებულებაში. ვინც სახელმწიფო ენა არ იცის, მოქალაქეობა თავიდანვე არ უნდა მისცე, თორემ ვისაც უკვე აქვს ეს უფლება მინიჭებული, მას აღარ უნდა ჩამოერთვას. უბრალოდ მათ უნდა იცოდნენ, რომ ენის ცოდნის გარეშე სრულფასოვანი მოქალაქეები ვერ გახდებიან, რომ ექნებათ გარკვეული შეზღუდვები და შესაბამისად, იძულებულნი გახდებიან, ისწავლონ სახელმწიფო ენა.

3. **უნდა დაიხუროს თუ არა სომხური და აზერბაიჯანული სკოლები საქართველოში?**

თუ ასეთი სკოლები თვითდაფინანსებაზე არსებობს, ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიხუროს. მაგრამ სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლას სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ უნდა აფინანსებდეს.

4. უნდა ჰქონდეთ თუ არა გვარგადაკეთებულ და ეროვნებაშეცვლილ პირებს მაღალ სახელმწიფო პოსტებზე დანიშვნისა და არჩევით ორგანოებში კენჭისყრის უფლება?

ასეთ ადამიანს, ბუნებრივია, პრეზიდენტად არ აირჩევენ, მაგრამ პიროვნებას, თუ ის საქართველოს მოქალაქეა, იმის მიუხედავად, გვარი გადაკეთებული აქვს თუ არა, უფლება აქვს იმუშაოს ამა თუ იმ დაწესებულებაში. თუმცა, ვფიქრობ, შემოწმებული უნდა იქნეს, რას წარმოადგენს ეს ადამიანი თავისი წარმომავლობით. სიფრთხილეა საჭირო, თორემ საქართველოს მოქალაქეს, გვარგადაკეთებულსაც უფლება აქვს, იმუშაოს ნებისმიერ დაწესებულებაში.

5. უნდა იყოს საქართველოს პირველი ლედი საქართველოს მოქალაქე?

რატომღაც ასეთი შეხედულება დამკვიდრდა, რომ საქართველოს პირველი ლედი, რამდენადაც ის არავითარ სახელმწიფო ფუნქციას არ ასრულებს, შესაძლებელია არ იყოს საქართველოს მოქალაქე. თუმცა ეს ასე არ არის. პრეზიდენტის თანამდებობა განსაკუთრებული თანამდებობაა, და არ შეიძლება მას მეუღლედ უცხო

ქვეყნის მოქალაქე ჰყავდეს. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, ჩვენი ქვეყანა დღეს ისეა მოყანყალებული, რომ არ შეიძლება ცხვირის აწევა უფრო მაღლა ვიდრე ეს შეგვიძლია. ამიტომ, ვფიქრობ, პრეზიდენტის ოჯახის ყველა წევრი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

6. უნდა შეეხოს თუ არა ლუსტრაციის კანონი „კაგებესთან" ერთად ცსს-ს, მოსადისა და სხვა სპეცსამსახურების აგენტებს?

ლუსტრაცია უნდა გაიაროს ყველა პარლამენტარმა თუ სახელმწიფო მოხელემ, ყველამ, ვინც საპასუხისმგებლო თანამდებობაზეა. უკლებლივ ყველა სპეცსამსახურის აგენტურის ლუსტრირება უნდა მოხდეს. ბოლოს და ბოლოს, სახელისუფლებო სტრუქტურებს უცხო ქვეყნის აგენტები უნდა მოშორდნენ.

7. ვის უფრო მეტი ძალაუფლება და გავლენა აქვს ქართულ პოლიტიკაში – პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს თუ აშშ-ის ელჩს საქართველოში ჯონ ტეფტს?

რასაკვირველია, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს საქართველოში, ქართულ პოლიტიკაში ძალიან დიდი გავლენა აქვთ. ეს ძალიან კარგად ჩანს მათ რიტორიკაშიც, როდესაც ქართულ ტელეარხებზე გამოდიან. ისე ლაპარაკობენ, როგორც წინათ, რუსეთიდან რომ ჩამოვიდოდა ვიღაც „ჩინოვნიკი" და ჭკუას გვარიგებდა. რაც შეეხება ბურჯანაძეს და ნოღაიდელს, ისინი სრული არარაობანი არიან. გავლენის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამბიციებით კი სკდებიან. ნოღაიდელისგან განსხვავებით, ქალბატონ ნინოს დამატებითი პრეტენზიებიც აწუხებს, თავი ზემოიმერელ ტეტჩერად წარმოუდგენია.

8. ვინ უფრო მეტს აკეთებს საქართველოსთვის – ბიძინა ივანიშვილი თუ ბადრი პატარკაციშვილი?

ამაზე ვერაფერს გეტყვით. ვერ მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ კომენტარი გავაკეთო ისეთ საკითხზე, რომელშიც კარგად ვერ ვერკვევი.

9. **უნდა აღდგეს თუ არა სისხლის სამართლის კოდექსში 121-ე მუხლი, რომელიც მამათმავლობისთვის სასჯელს ითვალისწინებდა?**

მამათმავლობა ავადმყოფობაა და ავადმყოფობისთვის ადამიანებს არ სჯიან, ამიტომ მართებულად არ მიმაჩნია, ეს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი იყოს. ავადმყოფ ადამიანებზე სახელმწიფომ სხვაგვარად უნდა იზრუნოს. არსებობს მათი ფსიქოთერაპიული მკურნალობის მეთოდები. თუმცა, ამავე დროს ყოვლად მიუღებელია და დაუშვებელია მამათმავლობის რეკლამირება, პროპაგანდა, კლუბების და მსგავსი დაწესებულებების შექმნა. დასჯადი, ვფიქრობ, ეს უნდა იყოს.

ნონა ბენდელიანი,
„ასავალ-დასავალი“, №44, 29 ოქტომბერი, 2007

ე.წ. „ვარდების რევოლუცია“, სინამდვილეში, ბუნებისაგან ჩაგრულთა აჯანყება იყო!

ფილოსოფოსის და ყოფილი პარლამენტარის – მიხეილ ნანეიშვილის ადგილზე ყოფნას დღეს, მილიონობით თუ არა, ასიათასობით მოქალაქე ნამდვილად ინატრებდა; და, მათ შორის, არა მხოლოდ ამჟამინდელი პრეზიდენტის არაკეთილმოსურნენი... 2001 წელს ბატონი მიხეილი თავისი მძლავრი თითებით ყელში სწვდა იმდროინდელი ქართული პოლიტიკის „ამომავალ ვარსკვლავს“ — მიშიკოს! როგორც ამ ისტორიული სცენის თვითმხილველმაც მიამბო, ცოტა კიდევ და, განრისხებული მიხო დაახრჩობდა სააკაშვილსო. ქვედა ტუჩაკანკალებული და უაზროდ მომღიმარი მომავალი მთავარსარდალი ძლივს გამოვტაცეთ ხელიდანო!..

ბატონო მიხეილ, თუ ღმერთი გწამთ, დაწვრილებით მომიყევით მაგ დაუვიწყარ ეპიზოდზე!

ღმერთი მწამს, მაგრამ მაგ ქუჩის სალახანაზე და ქუჩის წუმპეზე პერსონალურად ვერ ვისაუბრებ. ეს ჩემთვის დამამცირებელია! შეგიძლიათ ამპარტავან ადამიანად ჩამთვალოთ.

არავითარი სურვილი არ მაქვს. ბატონო მიხეილ, რას ფიქრობთ ჩვენს ხელისუფლებაზე?

2003 წლის ნოემბერში ვხედავდი, ვინც მოდიოდა. ჯერ კიდევ მაშინ ვამბობდი, რომ ეს ხროვა ერს სულიერად დაანგრევს და ვინც მის მერე მოვა პრეზიდენტად, მისი მმართველობის პირველი პერიოდი უნდა იყოს ერის რეკონსტრუქცია-მეთქი. **ნაციონალები არიან აბსოლუტური ნაძირლები! ეგენი ლაჩრები არიან, ხოლო ლაჩარზე სასტიკი არავინაა! ლაჩრისთვის ყველაზე დიდი კომპენსაცია ვაჟკაცი კაცის დამცირებაა!!! ყოვლად გაუნათლებელები არიან და ამიტომ უნდათ, განათლებულს ლაფი დაასხან**! ეს ე. წ. „ვარდების რევოლუცია“ ასე ვთქვათ,ბუნებისაგან ჩაგრულთა აჯანყება იყო! მას ბოლშევიკური სახე ჰქონდა. თუ გახსოვთ, ისინი ტყავის ქურთუკებით დადიოდნენ, ერთი ქალბატონის ჩათვლით. კომისრები! ბოლშევიზმი მათ ქვეცნობიერში იყო დამარხული და თავი წამოყო! ხალხი კი მათ უყურებდა და მოსწონდა. აქ რომელ თავმოყვარეობაზეა ლაპარაკი? ჩვენ თავმოყვარეობა დაკარგული გვაქვს! ჯერ, უცხოელებს როგორ ველაპარაკებით, ვუღიმით, მაიმუნივით ვბაძავთ... მოდით რეალობას შევხედოთ –

არც ერთი ერისაგან სასწავლებელი არაფერი გვაქვს! ჩამოდის ჩვენთან სტუმრად სერიოზული ხალხიც. აგერ, თანამედროვეობის უდიდესი დირიჟორია ჩუბინ მეტა. გიჟდება ქართულ სიმღერაზე, ეს ამქვეყნიური არაა, ღვთაებრივიაო!...

სანამ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა, ფრანგულ გამოცემა „ლე მონდში“ წავიკითხე ქართველი მოსწავლის ინტერვიუ. იგი რუსთაველის გამზირზე გააჩერა კორესპოდენტმა და შეეკითხა: თქვენთან ხალხს კოსტიუმები აცვია, რატომ არ იცვამთ დემოკრატიულად, როგორც ამერიკელები, მაგალითად, დახეულ ჯინსებსო? იცით, რას პასუხობს ეს ბავშვი: **„მე ამერიკულის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ეს მათი სტილია და ჩვენს გემოვნებაში ეგ არ არისო“**. გეკითხებით, რა დაემართა იმ ბიჭს, სად გაქრა იგი? საძებნელი, პირველ ყოვლისა, აი, ეს გვაქვს!

ბატონო მიხეილ, ფილოსოფოსი ხართ, ანუ მოაზროვნე ადამიანი. ამიტომ ორ კითხვას დაგისვამთ, რომლებზე პასუხს, რა დაგიმალოთ, სთხოვენ შოუბიზნესის წარმომადგენლებსაც.

პირველი – რით გვანუგეშებთ, მეორე – რა გვეშველება? ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს მოჯადოებულ წრეში ვიმყოფებით ყველანი!

სამწუხაროდ, ვერავითარ პროგნოზს ვერ გავაკეთებ და საზოგადოებისათვის ვერავითარ რეცეპტს ვერ გამოვწერ.

ახლა რაც შეეხება „მოჯადოებულ წრეს“. მისი გარღვევის ძალა მხოლოდ ჩვენშია, თითოეულისა ცალკე და ყველასი ერთად ზნეობრივ ცხოვრებაში! ამიტომ ამ გაუთავებელ, საცოდავ-საზიზღარ „რა გვეშველებაზე“ – მხოლოდ და მხოლოდ ერთი პასუხია: არაფერი, გარდა იმისა, რომ ვიყოთ თავის უფალნი, თავის ზნეობრივი ბატონ-პატრონნი და არა ამ ჩვენი, ჩვენგანვე დაობლებული უპატრონო თავის, მისი ქვენა ინსტიქტებისა და ბრმა აფექტების უზნეო მონა-მორჩილნი!

ჩვენ ხომ მოვიპოვეთ თავისუფლება...

ჩვენ თავისუფლებაზე გაუკულმართებული წარმოდგენა ჩამოგვიყალიბდა. თავისუფლება **„რაც მინდას“** ქმნა სრულებითაც არაა! თვითნებობა იგივე მონობაა, თავისმონობაა. თავისუფლება ამ თვითნებური **„რაც მინდას“** კი არა, **„რაც უნდას“** ქმნაა! იმანუელ კანტმა ცხადყო, რომ მხოლოდ ზნეობის კანონმორჩილი ადამიანი შეიძლება იყოს თავისუფალი, ანუ სინდისის ხმის მორჩილი, სინდისისა, რომელიც ვაჟას თქმით, თვით ღმერთია ჩვენში.

ბატონო მიხეილ, თუ სწორად გაგიგეთ „ჩვენს საშველს“ არა ცხოვრების ზედაპირზე უნდა ვეძებდეთ, არამედ ცნობიერების შიგნით?

ზუსტად ასეა. ყველამ საკუთარ თავს უნდა მოუაროს, ისწავლოს საკუთარი თავის მართვა! ადამიანი არ უნდა იყურებოდეს იქით-აქეთ და ამბობდეს: მარტო რას გავაკეთებ. არა! შენ უნდა იმოქმედო ზნეობაზე დაყრდნობით და, ამავე დროს, უნდა გახსოვდეს, რომ შენ საქმეს სხვა არ გააკეთებს და ვერც გააკეთებს! თავისუფლება არაა მიტინგები, „ვაშას“ ან „ძირს“ ძახილი, ყანწების ტრიალი. თავისუფლება უმძიმესი შრომაა, თანაც ყოველდღიური... ჩვენი ქვეყანა იმყოფება ისეთ გეოსტრატეგიულ ადგილზე, უკეთესს რომ ვერ ინატრებ და, ამავდროულად, ასეთი საშინელი ადგილი არსადაა!

კარგი, ბატონო მიხეილ, ასე შეგეკითხებით – არცთუ შორეულ წარსულში 300 000 კაცი გამოვიდა, შემიძლია ვთქვა, უაღრესად ზნეობრივი მიზნის მისაღწევად – „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ სანაგვეზე გასასტუმრებლად! ამ უზარმაზარმა მასამ რატომ ვერ მიაღწია მიზანს?

ძალზე ადვილი კითხვაა! იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელი არ ჰყავდა. ეს იყო პასიური მასა!

[...]

ეს ნაბიჯი ხალხმა, ამომრჩევლებმა უნდა გადადგან? ფილოსოფოსის თვალით, როგორ შეაფასებდით ქართველ საზოგადოებას?

მოდით, გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“. ეს არის პატრიოტული პოეზიის უდიდესი ნიმუში! ეს ლექსი იმ ხანას ისე არ უდგებოდა, როგორც დღევანდელს! **დღეს ჩვენ ერი არა ვართ! თავისუფალი საზოგადოება ჩვენ არ ვართ! [...]**

ბატონო მიხეილ, ხალხი ცოდოა! ვისაც არ ეზარება, ყველა ატყუებს!

არა, არავინ გვატყუებს! ჩვენ ძალიან გვინდა, რომ მოტყუებულები ვიყოთ! ამ შემთხვევაში, ყოველთვის ეს მაგალითი მომყავს, ცოტა სკაბრეზული – ქალი ქალწულობას იფიცება: ჩემს ქალწულობას გეფიცები, ნეტავ ვინმემ შემაცდინოსო. აი, ზუსტად ასეთი „ქალწულები” ვართ! არა, ხალხი არ მეცოდება! მეტსაც გეტყვით – გახარებული ვარ, რადგან ქვეყნად სამართალი ყოფილა! იდიოტები უნდა დაისაჯონ. **უფრო უნდა გავილახოთ, უფრო უნდა მოვიტეხოთ ცხვირი და კისერი, რომ დავინახოთ – ასე ცხოვ-**

რება უკვე აღარ შეიძლება, ამის იქით მხოლოდ სიკვდილია. დღეს ბევრი მეუბნება, ნაციონალებში შევცდიო, მერე? შენ გააფუჭე საქმე და მე მავალებ, რომ გამოვასწორო?! შენ თავად უნდა გამოასწორო შენი დანაშაული!

გიორგი კორძაძე,
„ასავალ-დასავალი“, 21-27 თებერვალი, №8, 2011

უთავბოლო აჯანყებებს ქვეყნის სათავეში, როგორც წესი, ნაძირლები მოჰყავს!

არაბულმა რევოლუციებმა მსოფლიო ააფორიაქეს. სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე? ბრმა სოციალურ აფეთქებასთან – სტიქიასთან, რომელმაც უკვე წალეკა ორი ავტორიტარული რეჟიმი თუ ახალ „გრიგალთან უდაბნოში“ – დასავლეთში შემუშავებულ შორსმიმავალ გეგმასთან, რომლის საბოლოო მიზანი არაბული ნავთობის ხელში ჩაგდებაა? და მთავარი! არაბულ სამყაროში მომხდარი ცვლილებები როგორ აისახება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე? დაიჩოქებს „ეგვიპტური აქლემი“ საქართველოში?

ვესაუბრებით ფილოსოფოს მიხეილ ნანეიშვილს:

ბატონი მიხეილ, თქვენი აზრით, რა ხდება ჩრდილოეთ აფრიკაში?

მე ვფიქრობ, ეს ისეთი პროცესია, რომ ბევრი რამ, რაც ხდება, თავად მაგ პროცესის მონაწილეებს ბოლომდე არ აქვთ გაცნობიერებული. ტუნისი, ეგვიპტე, ლიბია – ეს პირობითი სახელმწიფო-პოლიტიკური დაყოფაა. არსში, ეს ხომ ერთი ხალხია – არაბები, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ დიდ არაბულ კულტურას, ხოლო, თუ „კულტურას“ ჩვენ ვიხმართ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომელიც გულისხმობს არა მარტო ხელოვნებას, მეცნიერებას, რელიგიას, არამედ ჩვეულებრივ ყოფასაც, დავინახავთ – ესაა უზარმაზარი ცივილიზაცია. [...]

თანამედროვე არაბებში, რასაკვირველია, არის იმის ღრმა შეგრძნება, რომ მათ სამყაროში ძალიან სერიოზული პრობლემებია. [...]

ბატონო მიხეილ, ნუთუ გამორიცხავთ შესაძლებლობას, რომ ამ რევოლუციის სცენარები დაიწერა დასავლეთში, კერძოდ, აშშ-ში?

არ ვიცი, მაგრამ ის არაა გამორიცხული, რომ დასავლეთმა „ხელი მოითბოს“ ამ მოვლენებზე. ისე, როგორც წინანდელი, ასე დღევანდელი ამერიკის ადმინისტრაციებს, სამწუხაროდ, ახასიათებთ არასისტემური აზროვნება. უბრალო მაგალითს მოვიყვან. მე ვუყურე სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯის სცენას. უმძიმესი საყურებელი იყო, მაგრამ თავს ძალა დავატანე. საოცრად ღირსეულად ეჭირა თავი ეშაფოტზე. გამოვიდა, რომ თავის ჯალათებს ლაფი გადაასხა! ამ ჩამოხრჩობას სამი დღე ატრიალებდნენ სხვა-

დასხვა ტელევიზიები, თითქოს შუა საუკუნეები ყოფილიყოს. ამის შემდეგ გამოდის ამერიკის პრეზიდენტი ბუში და ამბობს, ჩვენ ეს არ გვინდოდა, მაგრამ თავად ერაყის მთავრობამ (სხვათა შორის, ამერიკელების დასმულმა) თავისი მაინც გაიტანაო. ასეთ ზღაპარს გონებაგახსნილი პირველკლასელი ბავშვიც არ დაიჯერებს!

[...] მესამე დღეს ბუში „გონს მოვიდა". იცით რა, იქ ერაყშიო, რაღაც არასერიოზულად მიდის საქმეებიო... მაგრამ, როცა „არასერიოზულად მიდის საქმეები", ეს ძალიან საშიშია!

ასევე, ძალზე უპასუხისმგებლო მეჩვენება ლიბიაში სამხედრო ძალის გამოყენება. ზესახელმწიფოს უნდა ესმოდეს, რომ მსოფლიო გაცილებით დიდია და გაცილებით ძლიერია თუნდაც ერთადერთ ზესახელმწიფოზე! აქ ლატენტურად ისეთი ძალები მოქმედებენ, რომლებზეც ვითომ ყოვლისმცოდნე პოლიტიკოსებს წარმოდგენაც კი არ აქვთ. ასეთი ცხვირის ჩაყოფა სხვა ქვეყნის საქმეებში მეტად სახიფათოა თავად ამერიკისათვის! პირიქით, ამ ხალხს ხელი უნდა შეუწყო, რომ ფეხზე დადგნენ და იცხოვრონ მათ რელიგიაზე აღმოცენებული კულტურული ღირებულებებით. თუ დასავლეთი ამას არ გააცნობიერებს (გააკეთებს), ვშიშობ, გადაულახავი პრობლემების წინ აღმოჩნდება.

ბატონო მიხეილ, დღევანდელ დასავლურ სამყაროში არსებობს მაღალი დონის პოლიტიკა?

დღეს დასავლეთში რომ იყოს მაღალი რანგის პოლიტიკა და არსებობდნენ მაღალი რანგის პოლიტიკოსები, გამოვიდოდნენ და იტყოდნენ თუნდაც ამას: 2003 წელს საქართველოში მძიმე შეცდომა დავუშვითო. მაგრამ ამის თქმას არა მხოლოდ ზნეობრივი ძალა, არამედ ინტელექტუალურიც უნდა. ისეთი ძლიერი ინტელექტი, რომელიც დაგანახებს შეცდომას და გაიძულებს, აღიარო იგი. მაგრამ ამათ პაწია სინდისი და მოკლე ჭკუა აქვთ. „რა ვქნათ, დღეს ჩვენ ასეთები ვართო". თუმცა დასავლელმა „დემოკრატებმა", რომლებიც ტაში-ტუშით შეეგებნენ ე. წ. „ვარდების რევოლუციას", მშვენივრად იციან, რომ მოიყვანეს პირსისხლიანი (არა, ეს სიტყვაც ამ კრეტინისთვის მენანება), უფრო ზუსტად, კაცთმოძულე, კაცთმოშურნე კლოუნი, რომელმაც ყველაფერი დაანგრია! მათ მიერ დასმული ხელისუფლება და მათი სელექციით „გამოყვანილი" ნაციონალები კალიებივით შემოესივნენ საქართველოს! ეს არა მხოლოდ არაკომპეტენტური, არამედ ბოროტმოქმედი ხელისუფლებაა! ეგენი არიან დამნაშავე არა ცალკეული

მოქალაქეების წინაშე, რომლებსაც შვილები დაუხოცეს, არა! ერის წინაშე არიან დამნაშავეები! [...]

ბატონო მიხეილ, არაბეთში მომხდარმა რევოლუციებმა ჩვენი, ღრმა დეპრესიაში მყოფი, ოპოზიცია გამოაცოცხლა. ახლა ვისაც არ ეზარება მზადაა სათავეში ჩაუდგეს ხალხის ამბოხს. არადა ოპოზიციის ყველა ლიდერი, თუ არ ვცდები, ნათელაშვილისა და გამყრელიძის გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ „ვარდების რევოლუციაში", ანუ, ფაქტობრივად, ახორციელებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას, რაც კანონდარღვევაა! ზოგიერთნი კი ხელისუფლებაშიც იყვნენ! მართალია, ახლა ნანობენ...

[...]

ოტტო ბისმარკი წერდა: ყველა ხელისუფლება რევოლუციური წარმოშობისაა, ასე რომ, ეს პრობლემა არ არის. თავად ამერიკის შეერთებული შტატებიც ამ, თვალსაზრისით, არაკანონიერ ნიადაგზეა შექმნილი. ის თავის მეტროპოლიას – ინგლისს – აუჯანყდა, რაც კანონის აშკარა დარღვევა გახლდათ. კანონდარღვევით იცვლებოდნენ ხშირად სამეფო დინასტიებიც. აქ პრობლემა უფრო მორალშია. 2009 (საპრეზიდენტო არჩევნები) წელს სააკაშვილის მხარდამჭერი შეიძლება ყოფილიყო, გალაკტიონის გამონათქვამი მახსენდება, მხოლოდ, ერთდროულად, მორალურად და ინტელექტუალურად არასრულფასოვანი ადამიანი!

[...]

ისე, ბატონო მიხეილ, ამბოხი რომ მოხდეს, რით დასრულდება იგი?

მხვერპლით! ეს ლაჩრები შესაძლოა გაიქცნენ ისე, ზურგში კი არა კეფაში მიირტყან ქუსლი. მაგრამ მერე რა ძალა მოვა? ვინ შეცვლის მათ? მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია, რომ უთავბოლო, სტიქიურ აჯანყებებს სათავეში ნაძირლები მოჰყავს.

არ გეგონოთ, რომ ხალხს უმოქმედობისაკენ მოვუწოდებ. არავითარ შემთხვევაში! უნდა ვიბრძოლოთ და ბრძოლა დავიწყოთ ჩვენი უფლებების დაცვით!

გიორგი კორძაძე,
„საერთო გაზეთი", № 15, 13-19 აპრილი, 2011

სხვადასხვა

პოლიტიკოსი: არც ერთი სიტყვა პოლიტიკაზე

მიხეილ ნანეიშვილი: ბავშვობაში ფეხსაცმლის მწმენ-დავობაზე ვოცნებობდი

ბატონო მიხეილ, თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვით გაგვაცანით თქვენი ცხოვრების გზა.

დავიბადე 1934 წლის 12 ივლისს, ამ სახლში, ამ ოთახში. დედა მეან-გინეკოლოგი იყო, მამა – იურისტი. სკოლაც ვერაზე დავამთავრე – VII ვაჟთა, დღევანდელი 53-ე. ამავე დროს, ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში ვსწავლობდი. მისი დამთავრების შემდეგ დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ მუსიკისთვის თავი დამენებებინა და ფილოსოფია შემესწავლა. მაგრამ გადაწყვეტილება გვიან მივიღე – კონსერვატორია, სადაც საფორტეპიანო ფაკულტეტზე ანასტასია ვირსალაძის კლასში ვსწავლობდი, II კურსიდან მივატოვე და უნივერსიტეტში ჩავაბარე ფილოსოფიის ფაკულტეტზე. IV კურსზე გამრიცხეს...

რატომ?

ერთ სემინარზე საუბარი დემოკრატიის არსს და რაობას შეეხო, როდესაც მისი ძირითადი ნიშნები ჩამოვაყალიბე, ჩვენმა ლექტორმა დაეჭვებით მკითხა – როგორ ფიქრობთ, ინგლისში მეტი დემოკრატიაა თუ აქო. მე მეტისმეტი გულახდილობა გამოვიჩინე, რისთვისაც ლექციიდან ხომ გამომაძევა, განცხადებაც დაწერა და დეკანატშიც ჩაიტანა. რა თქმა უნდა, გამრიცხეს, მთელი ორი წლით. მერე კარგა ხანს ცოდვილობდა სუკ-ი, ჯგუფურად ხომ არ ვმოქმედებდით. მახსოვს, ამ ამბების გამო უნივერსიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამაც არაერთგზის იწვნია საყვედური. ახლა ფილოსოფიის ინსტიტუტში ვმუშაობ, ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებაში. მყავს მეუღლე, რომელიც მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა და ვაჟი – იგი თეატრისა და კინოს ინსტიტუტში, მულტიპლიკაციის ფაკულტეტზე სწავლობს. ეს არის და ეს...

თქვენი ბავშვობა რომ გაიხსენოთ...

ბავშვობა ძალიან მძიმე მქონდა. მეტად რთულ პირობებში ვიზრდებოდი. მამა არ მყავდა. დედა ძალიან მკაცრი ქალი იყო. თუ საჭიროდ მიიჩნევდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან მიმტყე-

პავდა კიდეც. შრომისა და სწავლის სურვილი და ჩვევაც სწორედ მან ჩამინერგა. დედის დიდი მადლიერი ვარ. ისე, ბევრს ვკითხულობდი. ჩემი პირველი „ლიტერატურული“ შთაბეჭდილება გოეთეს „რაინეკე მელას“ უკავშირდება. მეორე „უძველესი“ მოგონება იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობებით მიღებული განცდა იყო.

ბავშვობისდროინდელ ოცნებას ხომ ვერ გაიხსენებთ, დღემდე რომ შემოგრჩათ?

დღემდე... ერთი ხანი ფეხსაცმლის მწმენდაობაზე ვოცნებობდი. განსაკუთრებით მომწონდა ფეხსაცმლის გაპრიალების პროცესი. პირდაპირ შურით აღარ ვიყავი, ჯაგრისებს რომ აბზრიალებდნენ ხოლმე. მერე მინდოდა დიდი პიანისტი გამოვსულიყავი. ერთი ოცნება კი მართლაც გამომყვა ბავშვობიდან, საქართველოს თავისუფლებაზე ფიქრი, ჩემი ოჯახის წყალობით, ძალიან ადრე დავიწყე. დავიწყე და ვეღარც დავამთავრე.

ბატონო მიხეილ, როგორია თქვენი დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი, ოდესმე სხვა რელიგიას თუ გაუტაცნიხართ?

სხვა რელიგიით, როგორც რელიგიით, არასდროს ვყოფილვარ გატაცებული... ისე, ადრეც და ახლაც, ბევრს ვკითხულობ ბუდიზმთან, ისლამთან, რასაკვირველია, ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ლიტერატურას. ძალიან მიყვარს ეკლესიის მამების ნაღვაწის კითხვა, გრიგოლ ნაზიანზელი კი ჩემთვის უძვირფასესი მწერალი და მოაზროვნეა. ეკლესიური კი არასდროს ვყოფილვარ. არა იმიტომ, რომ ეკლესიური ცხოვრების წესია ჩემთვის მიუღებელი. მე თავად ხშირად ვგრძნობ ტაძარში წასვლის, ლიტურგიაზე დასწრების სურვილს, მაგრამ სურვილი უმეტესად სურვილად რჩება.

რომელ სენტენციას მიუსადაგებდით თქვენი ცხოვრების წესს?

მიჭირს პასუხი... თუმცა – „კაცი იმედით ცოცხლობს“. იმედი კი, მართლაც, არასოდეს დამიკარგავს. იმედი ჩემი საქმიანობის მორალური სტიმულია.

ალბათ, ამგვარი პასუხის შემდეგ უხერხულიც არის ამ სევდიანი კითხვის დასმა. და მაინც — ფატალისტი ხომ არ ხართ?

არა, ფატალისტი არასდროს ვყოფილვარ.

თვითგამოვლენის სფერო თქვენთვის...

ფილოსოფია, კერძოდ ჩემი ინტერესის სფეროა კულტურისა და ისტორიის ფილოსოფია, რადგანაც კულტურასა და ისტორიას

განვიხილავ, როგორც ფილოსოფიური ანთროპოლოგიის შინაარსს, ხოლო ერს, როგორც მათს ერთადერთ, ნამდვილ სუბიექტს. ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულებაც ჩემი ფილოსოფიური ინტერესითაა გაპირობებული, თუცა ვერ ვიტყვი, რომ დღეს იძულებით საქმიანობას ვეწევი. ჩანს, პოლიტიკაც ერთ-ერთი სფეროა ჩემთვის...

თქვენი რჩეული ფილოსოფოსები...

პლატონი, არისტოტელე – ისინი, ესოდენ განსხვავებულნი, ჩემთვის ერთმანეთს ავსებენ და ფილოსოფიური აზრის ერთიან სახეს ქმნიან. პასკალი, კანტი... ჩემი ფილოსოფიური გემოვნება, რა თქმა უნდა ამით არ შემოიფარგლება, მაგრამ ეს მოაზროვნეები, მართლაც, გამორჩეულად ძვირფასები არიან ჩემთვის.

ბატონო მიხეილ, ვის უწოდებთ ინტელიგენტს?

მას, ვინც ყოველთვის გონით და გონებრივი ინტერესით ცხოვრობს, ვისთვისაც ფიქრი, აზროვნება არსობის პურია. არ გეგონოთ მიმაჩნდეს, თითქოს ინტელიგენტი უსათუოდ ღარიბ-ღატაკი უნდა იყოს. სწორედაც რომ პირიქით. არისტოტელეც ხომ ამბობს, ფილოსოფოსი მდიდარი უნდა იყოსო.

მიტევება ხომ არ გიძნელდებათ, ან რა გრძნობას აღგიძრავთ ადამიანი, ვის წინაშეც თავად ხართ დამნაშავე?

მიტევება სულ არ მიჭირს, პირიქით, დიდ მორალურ კმაყოფილებას მანიჭებს. ისე ხანდახან თავის შეკავება მეძნელება – გურული არ ვარ! მომინანიებია და მიღიარებია კიდეც. რაღა დაგიმალოთ, მართლაც ვერაფერი სასიამოვნოა იმ ხალხთან შეხვედრა, ვის წინაშეც ოდესმე შეგიცოდავს.

ვის ხვედრს არ ისურვებდით?

ჩვენი ექსპრეზიდენტისას.

დეპრესია თუ გჩვევიათ?

არა, არ მიყვარს საწუხარს დანებება. მასზე საუბარსაც კი ვერიდები, რადგან სიტყვით გამოთქმა, მისი დაფიქსირებაა, ეს კი უკვე სისუსტეა, უკვე ცუდია. როცა ცუდ გუნებაზე ვარ, ყველაზე მეტად მეგობრის მოსვლა მშველის.

ცხოვრების ხელახლა დაწყების შესაძლებლობა რომ მოგეცეთ, რას შეცვლიდით?

თავიდან ცხოვრება... უფრო მეთოდურად ავღზრდიდი ჩემს თავს.

ბატონო მიხეილ, ჩვენი რუბრიკით პოლიტიკას არ უნდა შევეხოთ. და მაინც, როგორ გახდით პოლიტიკოსი?

როგორც მოგახსენეთ, ჩვენს ოჯახში ხშირად საუბრობდნენ საქართველოს მომავალზე. სწორედ მაშინ ჩაისახა ჩემი ინტერესი პოლიტიკისადმი. ვკითხულობდი სათანადო ლიტერატურას, ვცდილობდი, სწორად გამეანალიზებინა მოვლენები. ჩეხოსლოვაკიის ამბების შედეგ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირს დიდი დღე აღარ ეწერა. საქართველოში პოლიტიკური პარტიის აუცილებლობას მაშინვე ვგრძნობდი, მაგრამ 50-იან წლებში გარეთ საამისო ძალებს ვერ ვხედავდი. 70-იანი წლებიდან ზვიად გამსახურდიასა და ჩემს შორის გარკვეული კონტაქტი დამყარდა. ის დადიოდა ჩემთან, სახლში, მოჰქონდა მასალები თავისი ჟურნალისათვის, ჩემი მეუღლე უბეჭდავდა, რედაქტირებასაც უწევდა (ეს სუკ-ისთვის, რასაკვირველია, ცნობილი იყო), მაგრამ გარკვეული სუბიექტური მოსაზრების გამო, არასოდეს მისი ორგანიზაციის წევრი არ ვყოფილვარ. ასეთივე კონტაქტები მაკავშირებდა სხვებთანაც.

ბოლო წლებში სისტემატურად ვთანამშრომლობდი სახალხო ფრონტთანაც, თუმცა არც მისი წევრი ვყოფილვარ. მოგვიანებით შემომთავაზეს მეთანამშრომლა ფრაქციასთან, რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციის სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო სახალხო ფრონტში. ფრაქცია მიზნად ისახავდა ფრონტში გაერთიანებული ძალების კონსოლიდაციას და მათი საქმიანობის ერთგვარ წარმართვას. შევთავაზე შეექმნათ ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის საფუძველზე ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, რომელიც პარტიად უნდა ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ აქ გამოჩდნენ ძალები, რომელნიც ცდილობდნენ მავანთა და მავანთა სამსახურში ფრაქციის ჩაყენებას. 1990 წლის 20 მარტს ჩვენ მათ ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული კავშირის სახელით გამოვეყავით. ოქტომბრის არჩევნებში ჩვენი პარტია ბლოკ „თავისუფლებაში“ გაერთიანდა რესპუბლიკურ-ფედერალურ პარტიასთან, მწვანეებთან, დასთან და ქრისტიან-დემოკრატებთან ერთად. საპრეზიდენტო არჩევნებში ირაკლი შენგელაიას კანდიდატურა წამოვაყენეთ. როგორც გახსოვთ, ხმების 3,1 ნაწილი მივიღეთ, ანუ იმ ადგილზე აღმოვჩნდით, რაც არცთუ ისე ცუდი იყო. არჩევნების შემდეგ ბლოკიდან გავიდნენ მწვანეები, დასი. ჩვენი პარტია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბლოკის პოლიტიკის

განსაზღვრაში. ამჟამად ჩვენ და ქრისტიან-დემოკრატები სხვა-დასხვა ბლოკში აღმოვჩნდით, თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა აღდგება და ბლოკი ძველებურად მუშაობას და-იწყებს. ვნახოთ...

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

თამარ თითმერია,
„ქართული კულტურა“, № 21, 1-8 ოქტომბერი, 1992

„უჩემოდ ვინ იმღერეთ?!“
(შეხვედრა მიხეილ ნანეიშვილთან)

ვერავის გავაკვირვებთ, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველი სფერო ღრმა კრიზისმა მოიცვა. თითოეული პიროვნება, თავისი სპეციალობიდან გამომდინარე, ეძებს ამ კრიზისის გამომწვევ მიზეზებს თუ მისგან თავის დაღწევის გზებს. დღეს გთავაზობთ საუბარს კულტურის თემაზე ბატონ მიხეილ ნანეიშვილთან. ჩვენი აზრით, მისი თვალთახედვა თუნდაც იმით არის საინტერესო, რომ პარლამენტის წევრისა და პოლიტიკოსის გარდა, იგი კულტურის სფეროში მომუშავე მეცნიერი ფილოსოფოსიც არის.

ბატონო მიხეილ, გთხოვთ შეაფასოთ დღევანდელი საქართველოს კულტურის მდგომარეობა.

ჩემი დამოკიდებულება ცნება „კულტურისადმი“ განსხვავებულია იმისაგან, რაც გავრცელებულია ჩვენს საზოგადოებაში, რომელშიც ადგილი აქვს (და ამაში მარტონი არ ვართ) ისეთ ოპოზიციებს, როგორიცაა „კულტურა და პოლიტიკა“, „კულტურა და ეკონომიკა“. საქმე იქამდე მიდის, რომ ამბობენ: „კულტურა და მეცნიერება“, მაშინ, როცა ყველა ეს დარგი ცხოვრებისა, მეცნიერებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კულტურას განეკუთვნება.

[...] კულტურის გარკვეული სფეროა ისიც, რასაც საკუთრივ სოციალურ ურთიერთობებს ვუწოდებთ. და თუ საყოველთაო კრიზისს ამ კუთხით შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ქართველობა, როგორც კულტურულ-ისტორიული სისტემა და ორგანიზმი, ღრმა კრიზისითაა შეპყრობილი და იგი მოითხოვს რადიკალურ ღონისძიებებს, რომელთაც არსებული კრიზისის კვალიფიკაციის შესაბამისად განვსაზღვრავდი, როგორც საერთოეროვნულ კულტურულ რეფორმას. აქედან გამომდინარე, პირველ ყოვლისა, უნდა შემუშავდეს ერთი მთლიანი კულტურული პროგრამა, რომლის ნაწილები იქნება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელი ისეთი სფეროები, როგორიცაა ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციალური პრობლემატიკა და ა.შ. ასეთი პროგრამა სახელმწიფო დონეზე უნდა შემუშავდეს. სახელმწიფომ უნდა იკისროს კულტურტრეგერის როლი, ეს უნდა იყოს მისი სახელმწიფო პოლიტიკა. [...]

თქვენ, როგორც მუსიკალურ ცხოვრებაში ჩახედული პიროვნება, როგორ ახსნით იმ პარადოქსს, რომ საზღვარგარეთ კლასიკური მუსიკის ჩვენს შემსრულებლებს „იტაცებენ“, აქ კი საკონცერტო დარბაზებსა თუ ოპერაში ცხოვრება ჩამკვდარია? ნუთუ ხალხმა უარი თქვა ნამდვილ ხელოვნებაზე და დღეს ასე მომძლავრებული მდარე სანახაობები აირჩია?

საერთოდ, საშუალო ადამიანი იაფფასიან შოუებს უფრო ეტანება, ვიდრე მაღალ ხელოვნებას. ისიც ფაქტია, რომ ყოველდღიური გაჭირვების პირობებში სულიერების ტონუსი კლებულობს. მაგრამ ამ ფაქტების აღნიშვნით მთავარ მიზეზს ვერ ავხსნით.

ქართველთათვის დამახასიათებელმა ფსიქოლოგიურმა ნაკლმა — „უჩემოდ ვინ იმღერეთ?!“ – დღეს განსაკუთრებით მხატვრულ წრეებში იჩინა თავი და გარკვეულ მომხვეჭელურ ზნეში დიდ როლსაც თამაშობს. მთელ რიგში დარგებისა გაგვიჩნდნენ მონოპოლისტები, რომლებიც ამ სფეროებს თავიანთი ინტერესებისადმი იქვემდებარებენ.

[...]

არაერთხელ აღვნიშნავდით, რომ ღია კარის პირობებში დასავლეთიდან წამოვა ნაირგვარი თვისებისა და ღირსების როგორც მატერიალური, ისე სულიერი პროდუქცია და აღმოვჩნდებით ისეთ სულიერ პირობებში, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ერთგვარ სტრესს შეუქმნის. ყოველდღიურობის დონეზე დასავლეთის ცივილიზაცია შემოვა არა ვებერნის მუსიკით, არამედ მდარე ხარისხის პროდუქციით, რისი მოწმენიც უკვე ვართ და მას ჩვენებური მიმბაძველებიც გაუჩნდება. [...]

დალი ჩიკვაიძე,
„ქართული ფილმი“, № 20 (212), 1 ივლისი, 1993

„სხვაგვარად ცხოვრება არ შემეძლო“... (საფეხურები)

მიხეილ ნანეიშვილი დაიბადა თბილისში, 1934 წლის 12 ივლისს. განათლებით ფილოსოფოსი. ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს. 1990 წლიდან სათავეში უდგას ლიბერალურ-დემოკრატიულ ეროვნულ პარტიას. ჰყავს მეუღლე მზია კეკელიძე და ვაჟიშვილი რატი.

„მამასთან ერთად შვიდი თვე ვიცხოვრე“

ჩემი ბავშვობა უშუალოდ დედას უკავშირდება. უმამოდ გავიზარდე. მამასთან ცხოვრება მომიხდა მხოლოდ შვიდი თვის განმავლობაში. მაშინ ორი წლის ვიყავი, თუმცა ის პერიოდი მაინც დამამახსოვრდა. შემდეგ გადასახლებიდან დაბრუნებული მამა კვლავ დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ბავშვობას მაინც ვერ დავემდურები. დედაჩემის ერთადერთი საზრუნავი მე ვიყავი. ის საკმაოდ ცნობილი ექიმი გახლდათ, ამიტომ მატერიალურად არ გვიჭირდა. მიუხედავად ამისა, ფუფუნებაში მაინც არ ვიზრდებოდი, რადგან დედამ კარგად იცოდა ზომიერების ფასი.

დედაჩემი თავისი ზნეობით მედიკოსთა ძველ სკოლას მიეკუთვნებოდა: წარმოუდგენელი იყო, ხელმოკლე პაციენტებისათვის ფული გამოერთმია, პირიქით, ასეთ ავადმყოფებს იქით ეხმარებოდა.

„ბავშვობაში ენის მიტანისთვის მიმტყიპეს“

საბავშვო ბაღში დავდიოდი ბელინსკის ქუჩაზე. ძალიან კარგი მასწავლებელი მყავდა, ტასო ერქვა (გვარი, სამწუხაროდ არ მახსოვს). დედაჩემისა და ამ ქალის წყალობით ბავშვობაში ცუდი ამბავი შემემთხვა: ერთ დღეს ტასო მასწავლებელმა ოჯახში ბელადების კუთხის მოწყობა დაგვავალა. ეს რომ დედაჩემს ვუთხარი, უხეშად განაცხადა: ეგლა მაკლია, მაგ იდიოტების სურათი ჩამოვკიდო სახლშიო. მეც გავჩუმდი. მეორე დღეს მასწავლებელმა სხვა ბავშვებთან ერთად მკითხა: მიშიკო, მოაწყვე კუთხე? არამეთქი, — ვუპასუხე და სიტყვასიტყვით გავიმეორე დედაჩემის ნათქვამი.

1938-1939 წლები იდგა. იმ დროს დასმენა და დაბეზღება ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჩემმა მასწავლებელმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინა (ის დაზღვეული არ იყო, რომ რომელიმე ბავშვი ამ ამბავს შინ არ მიიტანდა), მან დედაჩემი საგანგებოდ გააფ-

რთხილა, მსგავსი რამ არასდროს ეთქვა ბავშვის თანდასწრებით. ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ სახლში დედამ მიმტყიპა.

„კონსერვატორია მეორე კურსიდან მივატოვე“

სკოლაში მასწავლიდნენ შესანიშნავი პედაგოგები: დავით პარკაძე, კოტე თოთიბაძე, ვარო ვარდიაშვილი... სამწუხაროდ, ასეთ პიროვნებებს დღეს ძალზე იშვიათად ვხვდები. გატაცებული ვიყავი მუსიკით და სკოლის პარალელურად დავდიოდი მუსიკალურ სასწავლებელში (ფორტეპიანოზე ვუკრავდი).

ბოლო კლასებში სერიოზულად დავინტერესდი ფილოსოფიით. მიუხედავად ამისა, კონსერვატორიაში ჩავაბარე. ბოლოს მაინც გადავწყვიტე მუსიკისათვის თავის დანებება. მეორე კურსზე ვიყავი, კონსერვატორია რომ მივატოვე. სწავლა გავაგრძელე უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

„უნივერსიტეტიდან უმიზეზოდ გამრიცხეს“

უნივერსიტეტში ცუდად წამივიდა საქმე. ერთ-ერთმა ლექტორმა დამასმინა, თითქოსდა ჯგუფურ აგიტაციას ვეწეოდი (მსგავსი რამ არ ყოფილა, უბრალოდ რაღაც ვთქვი ლექციაზე). ამის გამო გამრიცხეს და ორი წელიწადი გამიცდა.

„ნაძირლები თურმე ცეკაშიც ეჯავრებოდათ“

უნივერსიტეტში სწავლისას საპოლიციო სიტუაცია ნამდვილად არ მიგრძვნია. ეს იყო კონკრეტული ინციდენტი. მე, ასე ვთქვათ, შარი მომდეს, ფაკულტეტის დეკანმა (ფილოსოფოსები მაშინ იურიდიულ ფაკულტეტზე ვიყავით მიმაგრებულები) ჩეკისტური ერთგულება გამოიჩინა და გამრიცხა.

აღდგენისას პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დამიბარეს. მაშინდელი იდეოლოგიური განყოფილების გამგე გულწრფელად დამელაპარაკა. ჩემს დამსმენ ლექტორზე მითხრა, საშინელი კაციაო. ფაკულტეტის დეკანს კი ნაძირალა უწოდა. წამოსვლისას ცეკაში მირჩიეს: ჭკვიანი კაცი ჩანხარ, ყველაფერს, რასაც ფიქრობ, ნუ იტყვიო. ეს საგულისხმო ისტორიული ფაქტია, რომელიც მოწმობს, რომ 50-იანი წლების მიწურულს თვით საქართველოს კომპარტიის „ელიტაში” გარკვეული იდეოლოგიური კრიზისი შეინიშნებოდა.

„მეგობრები ნახევრად ხუმრობით მეუბნებიან, რომ „ეგოისტი“ ვარ“

1963 წელს ბოლოს და ბოლოს დავამთავრე უნივერსიტეტი. ცოტა ხანს ლექციებს ვკითხულობდი მუსიკალურ ტექნიკუმში, შემდეგ ვმუშაობდი ლიტერატურის ინსტიტუტში. საბოლოოდ ფილოსოფიის ინსტიტუტში დავმკვიდრდი. დღესაც ამ დაწესებულებაში ვმუშაობ და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

ისეთ ცხოვრებას ვეწეოდი, როგორიც ჩემი ადამიანური ღირსებისათვის საჭიროდ მიმაჩნდა. მეგობრები ნახევრად ხუმრობით მეუბნებიან, რომ „ეგოისტი“ ვარ. სხვანაირად მე არ შემელო მეცხოვრა. ვგონებ, არც ჩემი მეგობრები მაპატიებდნენ სხვა წესით ცხოვრებას.

„ჩვენს სახლში რუსულ სიტყვას ვერ გაიგონებდით“

ვიზრდებოდი ქართულ-ევროპულ გარემოში. დედას რუსული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და, რასაკვირველია, რუსული ძალიან კარგად იცოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენს სახლში რუსულ სიტყვას ვერ გაიგონებდით. დედაჩემს საშინლად ეჯავრებოდა „ჩაპარუსკება“.

ევროპული კულტურა ჩვენს ოჯახში უმაღლეს კულტურულ ინსტანციად ითვლებოდა, თუმცა სრულიად არ უპირისპირდებოდა ქართულს. ქართული კულტურა ამ დიდი სამყაროს ორგანული ნაწილი იყო.

„სტალინის სიკვდილის შემდეგ ილუზიებისგან განვთავისუფლდი“

სიყმაწვილეშივე ვიცოდი, რომ ჩემი ქვეყანა დაპყრობილი იყო. ამას განსაკუთრებული სიმძიმით 14-15 წლისა განვიცდიდი. მიუხედავად ამისა, იყო ასეთი ფსიქოლოგიური პარადოქსი: სტალინს უდიდეს პიროვნებად ვთვლიდი. ჩემი ბავშვური თეორიის თანახმად, ყველაფერი, რაც იმ დროს ხდებოდა, აუცილებელ ისტორიულ პროცესად მიმაჩნდა, რაშიც სტალინი პროგრესულ როლს თამაშობდა. გავიხსენოთ, თავის დროზე როგორ უყურებდნენ ამ ადამიანს ევროპის გამოჩენილი ინტელექტუალები, მათ შორის დიდი პოლიტიკოსებიც. ჩემი და ბევრი სხვა ჩემნაირი ქართველის აზროვნებაში, ეს მოვლენა, გაუცნობიერებელი ეროვნული ტრამვის ერთგვარი ფსევდოკომპენსაციით შეიძლება აიხსნას.

1956 წელი ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, სინამდვილე გავაცნობიერე და ილუზიებისგან გავთავისუფლდი.

„ჯერჯერობით არ დავბერებულვარ“

სერიოზული შეცდომა, რაც დაღს დაასვამდა ჩემს ცხოვრებას, ნამდვილად არ დამიშვია. წვრილმანი შეცდომების გარეშე არსებობა გამორიცხულია. ზოგადად მოგახსენებთ, რომ სამემუარო განწყობილება ჯერჯერობით არ მეუფლება. ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ საკმარისად არ დავბერებულვარ.

„ჩვენს ტელეგადაცემებს რომ ვუყურებ, დეპრესიაში ვვარდები“

პრესა რომ „მეოთხე ხელისუფლებად“ ითვლება, ამაში ვერანაირ მეტაფორულ გადაჭარბებას ვერ ვხედავ. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტელექტუალრუი და ზნეობრივი მეთვალყურე უნდა იყოს.

საქართველოში პრესას არ „ახელისუფლებენ“. მეორეც ჟურნალისტები თავად არ არიან შინაგანად თავისუფალნი. თავისუფლება უდიდეს კულტურას საჭიროებს, რასაც ჩვენ ყველანი (მათ შორის ჟურნალისტებიც) მოკლებულნი ვართ.

ქართულ პრესას სისტემატურად თვალყურს ვერ ვადევნებ, რის გამოც ცალკეულ გაზეთებზე აზრი ჩამოყალიბებული არ მაქვს. ჩვენს ტელეგადაცემებს რომ ვუყურებ, დეპრესიაში ვვარდები და ტელევიზორს სხვა არხზე გადავრთავ ხოლმე.

„ოჯახში ჩემს მეუღლეს უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე მე“

ჩემი ოჯახის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მამაკაცი ქალის უფროსად ვერ ჩაითვლება. ოჯახში გარკვეული იერარქია არსებობს, მაგრამ ჩემს მეუღლეს უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე მე.

როცა დრო მაქვს, მეხერხება ბინის დალაგება. ამ „საქმიანობით“ შემიძლია ფულიც კი გავაკეთო. სამაგიეროდ, სადილების დამზადება მიჭირს. ერთადერთი, შემიძლია კვერცხი მოვხარშო.

ოჯახს ნამდვილად ვერ დავემდურები. კარგი ცოლ-შვილი მყავს (იმათაც ჰკითხეთ, ჩემით თუ არიან კმაყოფილები).

„ჩაფებით სმა შეურაცხყოფაა“

სასმელებიდან მიყვარს ღვინო. ღვინო წმინდა სასმელია (იგი არაყი ან კონიაკი არ არის). ვსვამ მეგობრების ძალიან ვიწრო წრეში. ჩაფებით სმა არც ფიზიკურად შემიძლია და არც დასაშვებად მიმაჩნია. ჩემი აზრით, ეს ღვინის შეურაცხყოფაა.

ღვინო ჩემთვის შთაგონების, გონებრივი და სულიერი ამაღლების შესანიშნავი საშუალებაა.

„ყველა დიდი პოლიტიკოსი ოცნებობდა“

ყველა პოლიტიკოსი სულის სიღრმეში იყო პოლიტიკის ფილოსოფოსიც და პოეტიც, რადგან პოლიტიკა შემოქმედებაა და განა შეიძლება, იგი იდეალის გარეშე არსებობდეს? სადაც იდეალია, იქ ოცნებაცაა. ყველა დიდი პოლიტიკოსი თავისი ქვეყნის უკეთეს მომავალზე ოცნებობდა. რასაკვირველია, ეს ოცნება რეალურ ნიადაგს უნდა ესადაგებოდეს.

„ადამიანმა პრაქტიკულად უნდა შეამოწმოს თავისი იდეები“

მორწმუნე, ეკლესიური გაგებით არ გახლავართ, თუმცა არც ათეისტი ვარ. ჩემს დამოკიდებულებას სამყაროსადმი განვსაზღვრავდი, როგორც კრიტიციზმის ნიშანქვეშ მყოფ სპირიტუალიზმს. სამყარო გონითი რეალობაა. ჩემი პირადი მსოფლგანცდა განსაზღვრავს ჩემს სულიერ და ზნეობრივ ცხოვრებას, თუმცა თეორიულ მტკიცებებს ამ საკითხთან დაკავშირებით ხელს არ მოვკიდებდი.

ადამიანმა პრაქტიკულად უნდა შეამოწმოს ის იდეები, რომლებიც მის ცხოვრებას განაგებს. ვინაიდან ხშირად იდეალიზმის გამო ამა თუ იმ პიროვნებას ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცევა. ამას ყველანი უნდა ვუფრთხილდეთ.

თეონა ბოლქვაძე,
„მერიდიანი 44“, №4, 21-24 იანვარი, 1997

კიდევ ერთხელ თავისუფლების შესახებ
არჩევნების წინ საკითხავი

იმ დღეს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, თვითოეულმა ჩვენგანმა ტოლობის ნიშანი დასვა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას შორის; მათ შორის თვით ხელისუფლებამაც.

თავისუფლებამოპოვებული თუ ციური მანანასავით თავზე თავისუფლებადაფრქვეულ ქვეყანაში, უკვე მეცამეტე წელიწადია, არავის გაუიგივებია თავისუფლება და პასუხისმგებლობა, როგორც ურთიერთგამომდინარე და ურთიერთგანმაპირობებელი ცნებანი.

ვართ კი თავისუფალნი? შეგვიძლია კი ავაშენოთ თავისუფალი საზოგადოება, რომელშიც პასუხისმგებლობა და ვალდებულება გაცილებით მეტია, ვიდრე თვითნებობა?! რა ფენომენია თავისუფლება? როგორ იბრძოდა კაცობრიობა თავისუფლებისათვის, როგორ სწავლობდა, ყოფილიყო თავისუფალი და პასუხისმგებლობის რა ბორკილებს იდებდა გონებასა და ხელებზე თავისუფლების სახელით?

გვესაუბრება ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი მიხეილ ნანეიშვილი:

პასუხი კითხვაზე, — რა არის თავისუფლება? — ამომწურავი სახით არავის მოუცია, თუმცა, რასაკვირველია, არსებობს ზოგიერთი განსაზღვრება თავისუფლებისა, ყოველ შემთხვევაში, რაღაც დახასიათება, მინიშნება მის რაობაზე, რომელიც განსაზღვრავს ცივილიზებული კაცობრიობის ზოგად წარმოდგენას თავისუფლებაზე. ჩვეულებრივი, გავრცელებული და, მე ვიტყოდი, ვულგარული წარმოდგენა თავისუფლებაზე გულისხმობს, რომ ადამიანი თავისუფალია მაშინ, როდესაც მას შეუძლია აკეთოს ყველაფერი, რაც სურს. მაგრამ ხომ არსებობს სიტყვები — თვითნებობა, აღვირახსნილობა და ა.შ. ვინ არის თვითნება ადამიანი? ეს არის ადამიანი, რომელიც აკეთებს იმას, ან ყოველ შემთხვევაში, ცდილობს გააკეთოს ის, რაც მას სურს, შეიძლება ითქვას, — რაც მას მოეპრიანება. მაგრამ ისმება კითხვა — ჩაითვლება თუ არა ასეთი ადამიანი თავისუფალ ადამიანად? ბოლოს და ბოლოს, ქურდიც აკეთებს იმას, რაც მას სურს, ან მძარცველი, მკვლელი... შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ეს ადამიანები თავისუფლები არიან? რადგანაც ენამ დააფიქსირა ისეთი მოვლენა, როგორიც არის თვითნებობა, და საზოგადოებისათვის მიუღე-

ბელი ბევრი რამ ხასიათდება, როგორც თვითნებობა, ეს ადამიანები ვერ ჩაითვლებიან თავისუფალ ადამიანებად.

როგორ ფიქრობთ, ბატონო მიხეილ, შეიცავს თუ არა თავისუფლება თვითნებობის ელემენტს?

ამაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება. ასეთი წარმოდგენა თავისუფლებაზე, როგორც – „რაც მინდა კეთების“ მოვლენაზე, რომელშიც შეიძლება მოთავსდეს წმინდანიც და ბოროტმოქმედიც, ტირანიც და ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველი პიროვნებაც – რასაკვირველია, თავისუფლებას, როგორც ღირებულებას, აუქმებს. გამოდის, რომ თავისუფლება თავისთავად არანაირი ღირებულება არ არის და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, ზოგიერთი პირობით, ასე ვთქვათ, გარკვეული სახის თავისუფლება შეიძლება ჩაითვალოს ღირებულად.

ჩემთვის და ბევრი ადამიანისთვის (ვგულისხმობ დიდ მოაზროვნეებს), რასაკვირველია, ასეთი მიდგომა მიუღებელია. თავისუფლება არის აბსოლუტური ღირებულება. თავისუფლების აღრევა თვითნებობაში არის სრული გაუგებრობა თავისუფლების იდეისა.

საინტერესოა, როდის გამოიკვეთა ადამიანის აზროვნებაში თავისუფლება, როგორც აბსოლუტური ფენომენი?

თავისუფლების იდეის თემატიზაცია, ანუ როგორც რაღაც გარკვეული თემის გამოყოფა, მოხდა დაახლოებით ორი ათას ხუთასი წლის წინათ, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს ფიქრი თავისუფლებაზე, მის რაობაზე. ამას, ბუნებრივია, მოჰყვა თავისუფლების პრინციპის შეგნებული განხორციელება საზოგადოების ცხოვრებაში, როგორც ამის საშუალებას მაშინდელი პირობები იძლეოდა. ეს, მოგეხსენებათ, მოხდა საბერძნეთში. V საუკუნის დასაწყისში თავისუფლების იდეის არამკვეთრ გამოხატვას ვხედავთ ისეთი დიდი დრამატურგისა და მოაზროვნის შემოქმედებაში, როგორიც ესქილე იყო, შემდეგ – ჰეროდოტეს, ისტორიის მამად ცნობილის, აზროვნებაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ისტორიას ძველი რომაელები ჩადენილ საქმეებს უწოდებდნენ. აქ ადამიანი უკვე გამოდის, როგორც აქტიური ძალა და აქვე შემოდის ადამიანის, როგორც თავისუფალი არსების, იდეა; შემდეგ უკვე – ფილოსოფოსებთან, სოფისტებთან. ოდნავ მოგვიანებით ამ თემამ სათანადო ასახვა ჰპოვა სოკრატეს ფილოსოფიაში, შემდეგ უკვე გახდა ერთ-ერთი წამყვანი იდეა ბერძნულ და მოგვია-

ნებით, ზოგადად, ევროპული ფილოსოფიისათვის. საგულისხმოა ამ მხრივ სოკრატეს აზრი – რა არის თავისუფლება? ის ამბობს, რომ თავისუფლება – ეს არის სიკეთის ქმნის შესაძლებლობა. მე თუ თავისუფლებას სიკეთის მოქმედების, სიკეთის ჩადენის შესაძ-ლებლობად ვახორციელებ – ეს ნიშნავს, რომ მე არავითარ შემ-თხვევაში არ შეიძლება ვიყო ქურდი, მძარცველი, მკვლელი და, სხვათა შორის, თუნდაც, ნარკომანი. ამავე დროს, სოკრატეს აქვს ნათქვამი, რომ თავშეუკავებელი ადამიანი არ შეიძლება იყოს თა-ვისუფალი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ თავისუფალია ის ადამიანი, რომელიც თვითონ, საკუთარი ნებით, აკონტროლებს თავის თავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი არის თავის თავის სრული ბატონ-პატრონი.

ბ-ნო მიხეილ, რას იტყვით ქართულ სიტყვაზე „თავისუფალი“?

ქართული სიტყვა „თავისუფალი“ სრულიად განსაკუთრებუ-ლი სიტყვაა. ამ სიტყვაში მოცემულია თავისუფლების ძალიან ღრმა გაგება. როდის არის ადამიანი თავისუფალი? როდესაც მას უნარი შესწევს, საკუთარ თავს ბატონ-პატრონობდეს, თავის თავი წარმართოს (ცხადია, აქ იგულისხმება ზნეობრივი მართვა, ზნე-ობრივი კონტროლი საკუთარი თავისა). ამდენად, ბუნებრივია, თავისუფლება ჯდება სრულიად გარკვეულ მორალურ ფარგლებ-ში. თავისუფალი ადამიანი, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ არის პასუხისმგებელი. ადამიანს შეუძლია თავისი თავი დაღუპოს, ე.ი. ვერ უპატრონოს თავის თავს.

ამ გაგებას, რომელიც სიტყვა „თავისუფალშია“ ჩადებული, ფილოსოფიის ისტორიაში თავისი ადგილი აქვს. ეს გენიალური სიტყვაა. თუ დავაკვირდებით, თვითონ იძლევა პასუხს კითხვაზე, რას ნიშნავს თავისუფლება, პასუხისმგებლობა. სიტყვა „თავისუ-ფალი“ გვეუბნება, რომ რაღაც სხვა ვარიანტებიც არის შესაძლე-ბელი – ზოგიერთი ადამიანი არის თავის უფალი, ზოგიერთი თა-ვის მონა. თავის მონა ისეთი ადამიანია, რომელიც საკუთარ ინ-სტიქტებს, ემოციებს ვერ ფლობს, მათი ტყვე ხდება. მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძე – ლიტერატურული პერსონაჟი. ის ერთი თავისუფალი კაცია, არავის არაფერს უშლის; მაგრამ ეს არის ადამიანი, რომელიც საკუთარი ინსტიქტების მონაა. ის თავის უფალი არ არის.

ადამიანები ხშირად ამბობენ, როცა აღელდებიან ან დათვრებიან: „ჩემ თავს ვერ ვფლობდი“; „თავი ვერ შევიკავე...“ ასეთ მომენტში ადამიანი თავის უფალი არ არის.

როდის ჩამოყალიბდა საბოლოო სახით თავისუფლების იდეა?

XVIII საუკუნეში. თავისუფლების იდეა საბოლოო სახით ჩამოყალიბდა და დამუშავებულ იქნა ახალ ფილოსოფიაში. თუმცა ევროპაში, ანტიკური ხანიდან მოყოლებული, შემდეგ შუა საუკუნეებში, ფილოსოფოს-თეოლოგები გამუდმებით უტრიალებდნენ თავისუფლების იდეას. სპინოზას – ერთ-ერთ უდიდეს მოაზროვნეს – თავისუფლების საკუთარი კონცეფცია ჰქონდა. მისი ფუნდამენტური ნაშრომის ერთ-ერთ თავს ჰქვია „აფექტები, ანუ ადამიანის მონობის შესახებ“. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ფილოსოფიას შესანიშნავი აღმოჩენები აქვს თავისუფლების იდეის გაგებაში. თავისუფლების იდეა საბოლოოდ ჩამოაყალიბა იმ მიმდინარეობამ, რომელიც ლიბერალიზმის სახელით არის ცნობილი.

თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვესაუბრეთ იმაზე, თუ როგორ წარმოგიდგენიათ თავისუფლება ლიბერალიზმის მიმდევრებს.

მოგეხსენებათ, ლიბერალიზმის სამშობლო ინგლისია, ბრიტანეთი. ჯონ ფოულენდი – XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მოაზროვნე – ამბობს, რომ თვითნებობა ისევე შორს არის თავისუფლებისაგან, როგორც თავისუფლება – მონობისგან. ჩვენ ეს მოსაზრება კარგად უნდა გავიაზროთ. თუ თავისუფლებას განვსაზღვრავთ, როგორც „რაც მინდას“ კეთებას, მაშინ გამოვა, რომ ტირანი, მტარვალი – ვინც ადამიანს სტანჯავს – თავისუფალი ყოფილა. სინამდვილეში, ეს არის თვითნებობა და არა თავისუფლება.

XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე, ისტორიკოსი და ლიბერალიზმის ერთ-ერთი დედაბოძი ლორდი ექტონი, ასეთ აზრს ავითარებს თავისუფლების შესახებ: იგი ამბობს, რომ თავისუფლებაში გულისხმობს გარანტიას, რომ ადამიანი იმის კეთებისას, რაც თავის ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია, არ იქნება შეფერხებული ხელისუფლებისა და უმრავლესობის, ჩვეულებებისა და შეხედულებების, გავრცელებული ჩვევების მიერ.

ეს არის, ჩემი აზრით, სწორი შეხედულება თავისუფლებაზე.

დაბოლოს, ისეთი მოაზროვნე, როგორიცაა მონტესკიე, თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდი ფუძემდებელი, ამ-

ბობს, რომ „ადამიანი მაშინაა თავისუფალი, როდესაც მას შეუძლია აკეთოს ის, რისი გაკეთებაც ჯერ-არს და არა აკეთოს ის, რისი გაკეთებაც არა ჯერ-არს“. საგულისხმოა, რომ მონტესკიე არ ამბობს – „რაც უნდა“, რადგანაც ადამიანმა კონტროლი უნდა გაუწიოს თავის თავს და აკეთოს ის, რაც მას მიაჩნია თავის ზნეობრივ მოვალეობად.

ცნობილია ბიბლიური ათი მცნება. ეს მცნებები ადამიანის თავისუფლებას არ ზღუდავს. როგორც უკვე ვთქვით, თავისუფლება – აბსოლუტური სიკეთეა; თავისუფლება თავისთავად არავითარ შეზღუდვას არ საჭიროებს. არ არსებობს კარგი თავისუფლება, ცუდი თავისუფლება, ან, როგორც იციან თქმა, „ზედმეტი“ თავისუფლება.

ადამიანები ხშირად არღვევენ თავისუფლების ბუნებრივ საზღვრებს, თავისუფლების ცნების გარეთ გადიან. მავანთ ჰგონიათ, რომ ისინი „ზედმეტად“ თავისუფლები არიან. მაგრამ ასეთი ადამიანები „ზედმეტ“ თავისუფლებას კი არ ავლენენ, არამედ ისინი საერთოდ არ არიან თავისუფალნი. ეს კარგად უნდა გავითვალისწინოთ.

დიახ, ათი მცნება გვასწავლის, რომ, თუ ჩვენ ამ მცნებებს დავიცავთ და დავიცავთ გულწრფელად, თუ მათ ჩვენი ცხოვრების შინაგან კანონებად გავიხდით, მაშინ ჩვენ ვიქნებით თავისუფალი ადამიანები და არა საკუთარი თავის მონები. როდესაც ადამიანი თავის მონა ხდება, მაშინ, რასაკვირველია, ის ბოროტების გზას ადგას. პასუხისმგებლობა, ამდენად, გარედან კი არ საზღვრავს თავისუფლებას, პასუხისმგებლობა იგულისხმება თავისუფლებაში.

არსებობობს ასეთი ცნებები: პიროვნების თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, ხალხის თავისუფლება...

სიტყვის თავისუფლება, მეწარმეობის თავისუფლება – ეს ყველაფერი პიროვნების თავისუფლებაში შედის. ამდენად, აქ საუბარია პიროვნების თავისუფლებაზე. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ადამიანი, პიროვნება, თუ მას არ აქვს საქმიანობის, საქმიანი ურთიერთობების, აზრის გამოთქმის თავისუფლება? მაშინ გამოდის, ის უნდა იყოს ბრმა, ის უნდა იყოს კუტი... საერთოდ, პიროვნების თავისუფლება ყველაფერ ამას თავის თავში გულისხმობს. მე უნდა შემეძლოს, გამოვთქვა ჩემი აზრი, მე უფლება

მაქვს რწმენის თავისუფლებისა, იმიტომ, რომ თავისუფლების იდეამ უკვე ახალ ხანაში თავისი ქმედითი ძალა შეიძინა, სწორედ მაშინ, როდესაც დღის წესრიგში სინდისის თავისუფლების საკითხი დადგა, რომ არავის აქვს უფლება, სხვას განუსაზღვროს, თუ რომელი სარწმუნოების მიმდევარი უნდა იყოს, ან სწამდეს თუ არ სწამდეს ღმერთი. ეს, ასე ვთქვათ, თვით ადამიანის ნებაა. სწორედ, აი, აქედან აიდგა ლიბერალიზმმა ფეხი, სწორედ, სინდისის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს, ბუნებრივია, გავრცელდა კვლევის თავისუფლებაზე, შენი ნააზრევი სხვას გააცნო და, თუ რამეში ცდები, ეს ისევ და ისევ კრიტიკამ, დისკუსიამ უნდა გამოავლინოს და არა ისე, რომ ვიღაც ჯოხით დამადგეს თავზე და მითხრას, ხმა არ ამოიღო, შენ მართალი არ ხარო. თუ მართალი არ ვარ, ვიღაცამ უნდა დამიმტკიცოს და, ბოლოს და ბოლოს, დამარწმუნოს, რომ არ ვარ მართალი.

თქვენ ბრძანეთ, ბ-ნო მიხეილ, რომ პასუხისმგებლობა იგულისხმება თავისუფლებაში. და მაინც რა არის პასუხისმგებლობა?

ყველაზე ღრმა, რაც პასუხისმგებლობას მართლა ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს – ეს არის ადამიანის პასუხისმგებლობა საკუთარი თავის წინაშე, საკუთარი სინდისის წინაშე. თუ მე რაღაც წესებს ვიცავ, თანაცხოვრების განსაზღვრულ წესებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დარღვევის გამო სასჯელის მეშინია, – ეს პასუხისმგებლობის გამოხატულება კი არა, ალბათ, მხოლოდ შიშის გამოხატულება იქნება. პასუხისმგებლობა ღრმად არის დაკავშირებული იმ უნართან, რომელიც მხოლოდ ადამიანს აქვს და რომელსაც სინდისი ჰქვია. შიში ვახსენე. სხვათა შორის, პლატონს აქვს ერთ თავის ნაშრომში ნათქვამი, რომ არსებობს შიში თავის თავში, რომელიც ადამიანმა უნდა დაძლიოს, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავისუფალი ვერ იქნება, ის იქნება შიშის მონა. ეს სიკვდილის შიშია და ა.შ. მაგრამ არსებობს ერთი კეთილშობილი შიში – ეს არის სირცხვილის შიში. ადამიანს უნდა ეშინოდეს, რომ სამარცხვინო საქმე არ ჩაიდინოს; მაგრამ აქაც უნდა მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ შეიძლება მე შემთხვევით, იმ მომენტში, როდესაც ჩემს თავს ვერ ვფლობდი, ჩავიდინე რაღაც სასირცხო საქმე და მე ვიცი, რომ ვერავინ გაიგო. მიუხედავად ამისა, მე მაინც სირცხვილის გრძნობა მეუფლება. რატომ? იმიტომ, რომ მე ჩემი სინდისი მამხელს. მე წარმომიდგება ჩემი თავი და აქ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, სხვამ ნახა ეს თუ

არა, ან გაიგეს თუ არა. აი, ეს ყველაფერი, ეს შინაგანი სირცხვილის გრძნობა დაფუძვნებულია პასუხისმგებლობაზე. ადამიანი, პირველ ყოვლისა, პასუხს უნდა აგებდეს საკუთარი სინდისის წინაშე, რადგანაც, მე თუ ვამბობ, პასუხისმგებლობა მაქვს საზოგადოების წინაშე, რასაკვირველია, მე ეს პასუხისმგებლობა გამაჩნია ჩემი თავისადმი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე. მე არ უნდა დავუშვა, რომ ისევ და ისევ ჩავიდინო ისეთი საქმე, რომელიც სხვას დააზიანებს, თუმცა, ვიმეორებ, იმ ადამიანმა შეიძლება ვერც კი გაიგოს, რომ ის ბოროტება მე მივაყენე მას.

პასუხისმგებლობა არის უღრმესი მორალური გრძნობა, მორალი კი დამოკიდებულია თვითონ პიროვნებაზე, ეს მისი შინაგანი სამყაროს ასახვაა, ეს მისი სინდისის საქმეა.

რა არის თავისუფლება პოლიტიკოსისათვის და რამდენად გრძნობს იგი პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე?

არავითარ თავისებურებას არ შეიცავს პოლიტიკოსის თავისუფლება და პასუხისმგებლობა. როდესაც ამბობენ, რომ თავისუფალ სახელმწიფოში, ანუ სამართლებრივ სახელმწიფოში, კანონები მართავენ და არა ადამიანები – ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ემორჩილება კანონს. კანონის წინაშე კი სულერთია, ადამიანი სრულიად უბრალო მუშა იქნება, უმუშევარი, თუ, გნებავთ, ქვეყნის პრეზიდენტი! ყველანი თანასწორნი არიან. რა თქმა უნდა, თანამდებობის პირს გარკვეული უფლებები აქვს, მაგრამ ეს უფლებები მას დელეგირებული აქვს, ჩვეულებრივ ამბობენ, ხალხისგან, მაგრამ სინამდვილეში – კანონისგან. ეს უფლებები დაკავშირებულია გარკვეულ საქმიანობასთან, რომელსაც აწონასწორებს სათანადო პასუხისმგებლობა. საბოლოო ჯამში, რასაკვირველია, ის ადამიანი (თანამდებობის პირი) ინდივიდუალურად არავითარი უფლებრივი პრივილეგიით არ სარგებლობს, ისევე, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე. ის უფლება და ის მოვალეობა, რომელიც დაკავშირებულია ამ უფლებასთან, მას აკისრია, როგორც თანამდებობის პირს; როგორც ცალკეულ პიროვნებას, მას ზუსტად ისეთივე უფლებები გააჩნია, როგორც რიგით მოქალაქეს. აი, ამაში უნდა კარგად გავერკვიოთ. ჩვენს საზოგადოებას, სამწუხაროდ, თავისუფლების კულტურის გამოცდილება არ გააჩნია (შეიძლება დემოკრატია არსებობდეს, მაგრამ თავისუფლება არ იყოს). ამიტომაც ასეთ საზოგადოებაში, სადაც ასეთი კულტურა არ არსებობს, და, საერთოდ, სოციალური კულტურა არ არსე-

ბობს, არც ზნეობა დგას მაღალ დონეზე (არავითარი ფილოსოფოსობა არ არის საჭირო ამაში გასარკვევად), ადამიანს, როდესაც თანამდებობას იკავებს, ეს თანამდებობა თავისი პიროვნების განუყოფელ ნაწილად მიაჩნია, თავის პიროვნულ პრივილეგიად. რა თქმა უნდა, ეს არის სრული გაუგებრობა.

[...]

ნინო კორძაძე,
„ახალი 7 დღე“, 26 სექტემბერი – 2 ოქტომბერი, 2003

ადამიანი — საკუთარ ქმნილებათა მონა თუ თავისუფალი პიროვნება

[...] **ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ადამიანის ბედი წინასწარ შეიძლება განსაზღვრული იყოს?**

არა, არ ვეთანხმები. ადამიანი თავისუფალი არსებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის თვითონ ქმნის თავის ცხოვრებას. თუმცა, ბუნებრივია, არსებობს ისეთი ობიექტური გარემოებები, რომლებიც მის ცხოვრებაზე ზემოქმედებას ახდენენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანის ცხოვრება წინასწარ შეიძლება განსაზღვრული იყოს. ადამიანის მომავალი ბედი განსაზღვრულია მხოლოდ იმ მხრივ, თუ როგორ იყენებს იგი, როგორც თავისუფალი არსება ნიჭს, რომელიც მას მიეცა [...] საბოლოო შედეგი ადამიანის ხელშია. აქედან გამომდინარე, ისევ შემიძლია გავიმეორო, რომ თავად ადამიანია თავისი ბედის შემქმნელი.

თქვენი აზრით, მაინც რა არის საჭირო, რომ ადამიანმა თავისი თანდაყოლილი ნიჭის რეალიზაცია შეძლოს და სრულყოფილებამდე აიყვანოს?

ამის სათანადო რეცეპტები არ არსებობს. არსებობს პრობლემები, პრობლემა კი თავად ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს. მთავარია, ადამიანი ყოველთვის ცდილობდეს, რომ თავის თავს ფლობდეს, [...] მიჰყვებოდეს იმ პრინციპებს, რომლებიც მას მიაჩნია ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელად [...]

პირადად თქვენს ცხოვრებაში თუ ყოფილა შემთხვევა, როცა ინტუიციის დახმარებით რაღაც სწორ გადაწყვეტილებამდე მისულხართ?

ყოფილა, რასაკვირველია. მე მგონი, ადამიანი არ არსებობს, რომელსაც ასეთი შემთხვევა არ ჰქონია. ცხადია, ინტუიცია არსებობს. ეს არის გარკვეული ნიჭი, გარკვეული ალღო, რომლის წყალობითაც ხშირად მივდივართ სწორ გადაწყვეტილებამდე [...]

დღეს სამყაროში მიმდინარე ტექნოლოგიურმა პროგრესმა თქვენი აზრით, ადამიანზე როგორი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს?

მე-20 საუკუნემ განსაკუთრებით კარგად გვიჩვენა, რომ ტექნიკას საოცრებების შექმნა შეუძლია. რაც დრო გავა, ალბათ, ეს ტექნიკური პროგრესი უფრო ინტენსიური იქნება. მაგრამ, რაც შეეხება ადამიანის, როგორც ასეთის სრულყოფას, ეს ტექნიკაზე იმდენად არ არის დამოკიდებული. პირიქით, არის იმის საშიშროება, რომ

ადამიანი ამ თავისი ტექნიკური მონაპოვრების მონა გახდეს. დღეს უკვე ვხედავთ, რომ არსებობს ამ ტექნიზაციის, მექანიზაციის უარყოფითი შედეგები ადამიანის ცხოვრებაში. ჩვენ ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ადამიანი არის გონითი, სულიერი არსება და ის არ უნდა გაითქვიფოს მის მიერვე შექმნილ ტექნიკურ სამყაროში. ეს, თავისთავად, დიდი პრობლემაა. ტექნიკური პროგრესის სამყაროს შემყურე, იმავეს ვიტყოდი პირადად ადამიანის, როგორც გონითი არსების შესახებ. ეს ცალკე საკითხია.

აქედან გამომდინარე, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ასეთ დროს ადამიანმა შეძლოს და შეინარჩუნოს საკუთარი ინდივიდუალობა?

ისევ და ისევ გავიმეორებ, რომ ამის რეცეპტი არ არსებობს. ადამიანში ყოველთვის უნდა არსებობდეს საკუთარი სინდისი, საკუთარი სულიერი ინტერესები და მას ყოველთვის უნდა ჰქონდეს მკაფიო განცდა საკუთარი „მე“-სი. ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის არის სრულიად გარკვეული პიროვნება, რომელსაც აქვს თავისი სულიერი ინტერესები. თუკი ადამიანი მეტისმეტად გადაერთვება ამ მატერიალურ ცხოვრებაში (ხოლო ტექნიკურად განვითარებული სამყარო საამისო მომხიბვლელობით არის აღჭურვილი), შესაძლებელია, იგი თავისივე შექმნილი მექანიკური სამყაროს ისეთი ნაწილი გახდეს, რომელიც, რასაც მოისურვებს, ყველაფერს ღილაკზე ერთი თითის დაჭერით მიიღებს, მაგრამ ის სულიერად, შინაგანად ბედნიერი ვერ იყოს. იქცეს მარტოსულ რაღაც უსულო საგნად. თანამედროვე მსოფლიოში უკვე აქტუალურია ისეთი პრობლემა, როგორიც ადამიანების ერთმანეთთან გაუცხოების პრობლემაა. ადამიანები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ, მაგრამ მაინც მარტო გრძნობენ თავს. ადამიანური გარემო რაღაცნაირად გამოიფიტა, მატერიალიზებული, მექანიზებული გახდა. რასაკვირველია, ტექნიკური პროგრესი ამ პრობლემასაც მოიტანს და მოაქვს კიდეც. გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის ადამიანია, პიროვნება და რომ არსებობს ისეთი ღირებულებები, რომლებიც ამ ტექნიკური და მატერიალური პირობების მიღმა არსებობს და უფრო მაღლა დგას.

მარიამ შონია,

„იდუმალების სამყაროში“, 26 ივლისი – 1 აგვისტო, № 28, 2002

ბიძინა ივანიშვილი პროვინციელია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — პროვინციალი!

უკლებლივ ყველა ნაციონალისგან განსხვავებით – დაწყებული „პორფიროსანი“ სააკაშვილით, დამთავრებული „ჰერცოგი“ ბოკერიათი – საქმის არსში ჩაწვდომისათვის პროფესიონალებს მივმართავ. აი, ახლაც „ნაცებმა“ ბიძინა ივანიშვილს პროვინციელობაში დასდეს ბრალი, რითაც თავსატეხი გამიჩინეს! ჯერ ერთი – რა საძრახისია პროვინციელობა? და მეორე – პროვინციალობა რაღაა? მე თბილისელი ვარ და, სიმართლე გითხრათ, არ მესმის ზოგიერთი არადედაქალაქელის შეხსენება-საყვედური, რომ სინამდვილეში „ძირძველი თბილისელი“ მხოლოდ ვახტანგ გორგასლის ნასროლი ისრით „განგმირული“ ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე ჩამოვარდნილი და მის გოგირდოვან მდუღარეში ჩახარშული ხოხობიაო!... ამიტომაც ჭეშმარიტების დასადგენად მივმართე ცნობილ ფილოსოფოსსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ნანეიშვილს.

ბატონო მიხეილ, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან „პროვინციელი“ და „პროვინციალი“?

შესაძლოა, ლექსიკონში ამის განმარტება არ არსებობდეს, მაგრამ ვისაც სიტყვების შესმენის უნარი, იგივე ენობრივი სმენა, აქვს, ის ხელად გაარჩევს, რას ნიშნავს **„პროვინციელი“** და რას — **„პროვინციალი“.**

საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, განსაკუთრებით უახლესს, გავარკვევთ, რომ ჩვენი დიდი მოღვაწეები, ძალიან მცირე გამოკლებით, პროვინციაში იყვნენ დაბადებულნი და გაზრდილნი, ვაჟა-ფშაველამ კი პროვინციაში მთელი ცხოვრება გაატარა!

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, უდიდესი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე, უდიდესი ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი, უბრწყინვალესი მათემატიკოსები – ანდრია რაზმაძე და ილია ვეკუა, ასე ვთქვათ, სოფლელები გახლდნენ! მოკლედ, „პროვინციელი“ ნიშნავს პროვინციაში დაბადებულ ადამიანს და მეტს არაფერს! „პროვინციელობა“ მისი კულტურული მახასიათებელი არაა!

აი, „პროვინციალი“ კი სწორედ რომ ადამიანის კულტურული მახასიათებელია და, თუ გნებავთ, „მსოფლმხედველობაც“! „პრო-

ვინციალობა“ ნიშნავს გონებრივ სივიწროვეს, განუვითარებლობას, გაყინულობას. „პროვინციალობა“ ბევრ რამეში ვლინდება, მაგალითად, ადამიანის მიერ ყველაფერი ეროვნულის დაკნინებაში და ყველაფერი უცხოურის გაკერპებაში. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი – „პროვინციალობის“ ყველაზე საშიში და ამაზრზენი ფორმაა!

მარტინ ჰაიდეგერი მე-20 საუკუნის უდიდესი თუ არა, ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსია. წარმოიდგინეთ, რომ მოიძებნენ „პარიზელი ინტელექტუალები“, რომლებმაც ჰაიდეგერი **„პროვინციალობაში“** დაადანაშაულეს!..

რატომ?

თურმე, მას უყვარდა თავისი სოფელი, ხშირად ჩადიოდა იქ და სიამოვნებდა გლეხებთან ურთიერთობა.

სულ ეს იყო მისი „ბრალი“?

დიახ! მინდა გითხრათ, რომ ისინი, ვინც ასეთ ბრიყვულ არგუმენტებს მოიშველიებენ, როგორც მტკიცებულებას, თავად არიან უღრმესი **პროვინციალები!** საერთოდ, ცნობილია, რომ პატიოსნებაზე ყველაზე მეტს უპატიოსნოები ლაპარაკობენ; კორუფციაზე ყველაზე მეტს კორუმპირებულნი ლაყბობენ, ხოლო პროვინციალობაზე, თანაც ცხვირაბზეკით, ყველაზე დიდი პროვინციალები მეტყველებენ!

თქვენ ამით დღევანდელ ხელისუფლებაზე მიანიშნებთ, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს მისი პროვინციული წარმოშობა „უსაყვედურა“?

თავად მაგათზე რომ ვთქვა, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების თითოეული წარმომადგენელი **„პროვინციალია“ – ეს მათთვის ჯერ არსმენილი კომპლიმენტი იქნება, რადგან „პროვინციალობა“** მაინც გარკვეულ სოციალურ კლასიფიკაციას გულისხმობს. ეგენი კი – დესოციალიზებული, აბსოლუტურად დეკლასირებული ადამიანები არიან! ამას თვითონაც არ მალავენ! ეს ის ხალხია, ვინც გარყვნილებას თავისუფლების უმაღლეს გამოხატულებად აცხადებს!..

ჩვენს „პრეზიდენტზე“ რომ ვთქვა – „პროვინციალია“, გამოვა, რომ ეს წუმპიდან გამომძვრალი, ანთროპომორფული არსება (გთხოვთ, ეს თქვენი გაზეთის ფურცლებზე დააფიქსიროთ) რაღაც კატეგორიების სფეროში ავიყვანე, ავამაღლე! სრულიად გულწრფელად გეუბნებით, როდესაც მარტო ვრჩები, მათზე არასდროს ვფიქრობ! ისინი ჩემთვის საერთოდ არ არსებობენ! ჩემთვის, როგორც

ქართველისთვის, მარტო ის არის გულისმომკვლელი, რომ ამჟამად ჩემს სამშობლოს დაეუფლნენ ადამიანები, რომლებზეც არათუ ლა-პარაკი – ფიქრიც კი სირცხვილია!

ამიტომ, მოდით, შევინარჩუნოთ საკუთარი ღირსების გრძნობა და მათ მიერ ნათქვამ ყოველ სისულელეს, თუნდაც ბი-ძინა ივანიშვილზე, ყურადღებას ნუ მივაქცევთ! [...]

გიორგი კორძაძე,
„ასავალ – დასავალი“, №1, 26 დეკემბერი-8 იანვარი, 2011-2012

„Истинный национализм”

„Нам кажется, что государство тогда считается независимым, когда оно не дискриминирует другую нацию, не угнетает ее. Наш национализм противостоит империализму”.

С председателем Либерально-демократической ционпльной партии, сотрудником института философии, Михаилом Нанеишвили беседует наш корреспондент З.Чомахидзе.

Михаил Александрович, идеологией вашей партии является либерально-демократический национализм. Не могли бы вы разъяснить нашим читателям, в чем заключаются основные принципы этой идеологии?

Мы считаем, что единственным субъектом истории является нация. Идея, якобы существует „культура человечества” или „история человечества” – фальшивая идея, так как „культура” и эта „история” – не что иное, как множество историй и культур, каждая из которых имеет собственного „автора” в лице конкретной нации. Человечество состоит из наций, и „жизнь человечества” в действительности – это жизнь наций. Важнейшим фактором для нормальной жизнедеятельности каждой нации является то, что она должна быть свободной. Свободной же в своей внешней (межнациональной) жизни нация может называться лишь тогда, когда она не только никем не порабощена, но и сама никого не порабощает, т.е. не является ни объектом, ни субъектом империалистических притязаний.

Истинный национализм, как принцип национальной свободы, по своей сути интернационален, т.к. он защищает принцип национального суверенитета в международной жизни, А международную жизнь мы рассматриваем, как свободные отношения свободных наций. Таким образом, национализм в международных отношениях мы воспринимаем, как антиимпериалистический принцип либерализма, на чем строится международная жизнь каждой нации, ее отношения со всеми нациями.

Однако нация не может считаться свободной, если она не является свободной в своей внутренней, интра-национальной жизни.

Нация же в своей интра-национальной жизни свободна тогда, когда она свободна на уровне индивидуумов, т.е. когда свободен каждый представитель этой нации. В этом заключается один из главных принципов доктрины либерализма в области национальной жизни.

Как вы рассматриваете Грузию с точки зрения межнациональных отношений?

В течении последних почти 70 лет утвердилось мнение, якобы Грузия является многонациональной республикой. Это мнение ошибочно как с политической, так и с научной точек зрения. Многонациональной может быть страна, где живут много наций, например Югославия, Индия, Малайзия. В грузии же проживают только две – грузинская и абхазская. И в соответствии с этим мы рассматриваем Грузию, как национальное государство этих двух народов, где грузинская нация обладает суверенными правами, а абхазская – автономными.

Какими правами будут пользоваться другие этнические группы проживающие в Грузии?

Что касается других этнических групп, то они будут пользоваться всеми теми правами, какими пользуются подобные группы во всех цивилизованных демократических странах. А права их будут гораздо шире, чем в период существования Советской власти в Грузии. При определении прав и свобод этнических меньшиств, проживающих в Грузии, мы будем руководствоваться историческим опытом многовекового совместного проживания на ее территории представителей коренных и некоренных национальностей и общепринятыми международными нормами в области защиты прав человека.

„Вечерний Тбилиси“, октябрь, 1990

„ჭეშმარიტი ნაციონალიზმი“

„ჩვენ ვთვლით, რომ სახელმწიფო დამოუკიდებლად მიიჩნევა მაშინ, როდესაც ის არ ეწევა სხვა ერის დისკრიმინაციას, არ ჩაგრავს მას. ჩვენი ნაციონალიზმი უპირისპირდება იმპერიალიზს.“

ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალური პარტიის თავმჯდომარეს, ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელ **მიხეილ ნანეიშვილს**, ჩვენი კორესპონდენტი **ზვიად ჩომახიძე** ესაუბრება.

ბატონო მიხეილ, თქვენი პარტიის იდეოლოგია ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმია. შეგიძლიათ ჩვენი მკითხველისთვის განმარტოთ, რა არის ამ იდეოლოგიის ძირითადი პრინციპები?

ჩვენ ვთვლით, რომ ისტორიის ერთადერთი სუბიექტი არის ერი. იდეა, თითქოს არსებობს „კაცობრიობის კულტურა“ ან „კაცობრიობის ისტორია“, არის ყალბი იდეა, რადგან კულტურა და ეს ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ისტორიებისა და კულტურების სიმრავლე, რომელთაგან თითოეულს ჰყავს საკუთარი ავტორი კონკრეტული ერის სახით. კაცობრიობა შედგება ერებისგან და „კაცობრიობის ცხოვრება“ სინამდვილეში არის ერთა ცხოვრება. თითოეული ერის ნორმალური ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თავისუფლება. თავისუფალი კი, მის საგარეო (საერთაშორისო) ცხოვრების ასპარეზზე ერს შეიძლება ეწოდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი არც დამონებულია ვინმესგან და არც თავად იმონებს ვინმეს, ანუ არ არის იმპერიალისტური ზრახვების არც ობიექტი და არც სუბიექტი.

ჭეშმარიტი ნაციონალიზმი, როგორც ეროვნული თავისუფლების პრინციპი, თავისი არსით არის ინტერნაციონალური, რადგან ის იცავს ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპს საერთაშორისო ცხოვრებაში, ხოლო საერთაშორისო ცხოვრებას ჩვენ ვხედავთ როგორც თავისუფალი ერების თავისუფალ ურთიერთობებს. ამგვარად, ნაციონალიზმს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩვენ აღვიქვამთ, როგორც ლიბერალიზმის ანტიიმპერიალისტურ პრინციპს, რომელზეც შენდება თითოეული ერის საერთაშორისო ცხოვრება, მისი ურთიერთობები ყველა ერთან.

თუმცა, ერი ვერ იქნება თავისუფალი, თუ ის არ არის თავისუფალი შიდა, ინტრა-ნაციონალურ ცხოვრებაში. ხოლო ერი შიდანაციონალურ ცხოვრებაში თავისუფალია, როდესაც თავისუფალია ინდივიდუალურ დონეზე, ანუ როდესაც თავისუფალია ამ ერის თითოეული წარმომადგენელი. ეს არის ლიბერალიზმის დოქტრინის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ეროვნული ცხოვრების სფეროში.

როგორ განიხილავთ საქართველოს ეთნოსთაშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით?

ბოლო თითქმის 70 წლის განმავლობაში დამკვიდრდა მოსაზრება, თითქოს საქართველო მრავალეროვნული რესპუბლიკაა. ეს მოსაზრება მცდარია როგორც პოლიტიკური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით. მრავალეროვნული შეიძლება იყოს ქვეყანა, სადაც ბევრი ერი ცხოვრობს, მაგალითად, იუგოსლავია, ინდოეთი, მალაიზია. საქართველოში მხოლოდ ორი ერი ცხოვრობს – ქართველი და აფხაზი. და, ამის შესაბამისად, ჩვენ განვიხილავთ საქართველოს, როგორც ამ ორი ხალხის ეროვნულ სახელმწიფოს, სადაც ქართველი ერი სუვერენულ უფლებებს ფლობს, ხოლო აფხაზი – ავტონომიურს.

რა უფლებებით ისარგებლებენ საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფები?

რაც შეეხება სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, ისინი ისარგებლებენ ყველა იმ უფლებით, რომლითაც სარგებლობენ მსგავსი ჯგუფები ცივილიზებულ დემოკრატიულ ქვეყნებში. მათი უფლებები გაცილებით უფრო ფართო იქნება, ვიდრე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და თავისუფლებების განსაზღვრისას ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მის ტერიტორიაზე მკვიდრი და არამკვიდრი ეროვნების წარმომადგენლების მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ისტორიული გამოცდილებით და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ნორმებით.

რუსულიდან თარგმნა მზია კეკელიძემ

სამხრეთ ოსეთს ავტონომიას ვერ მივცემთ

პრესკონფერენცია

გუშინ ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარემ, მიხეილ ნანეიშვილმა პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც ისაუბრა საქართველოს ფედერალური მოწყობის საკითხებზე. მან გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ კვლავ ფიგურირებს საქართველოს ე.წ. ფედერალიზაციის იდეა, რომელსაც არანაირი გამართლება არ აქვს ჩვენს სინამდვილეში არც პრაქტიკული, არც კულტურულ-ისტორიული და იურიდიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, მეტიც, იგი ისეთი პოლიტიკური შეცდომაა, რომელსაც შთამომავლობა ისტორიულ დანაშაულად ჩაგვითვლის.

ფედერალიზმი სულაც არ არის დემოკრატიული ლიბერალიზმის უპირობო ატრიბუტი, ამიტომაც დაბეჯითებით მივმართავთ ჩვენს ხელისუფლებას და პირადად ბატონ პრეზიდენტს, კიდევ ერთხელ შეისწავლონ ეს საკითხი, გაითვალისწინონ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ის დემოგრაფიული ვითარება, რომელიც კიდევ იქნება ცნობილ ძალთათვის გარკვეული მიზნით საექსპლუატაციო ფაქტორი, რათა არ მოხდეს ეს არსაქნელი საქმე და ისედაც მტკივანი თავი უფრო არ ავიტკივოთ. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი ფორმის დისკუსიებისათვის, ხელისუფლების ავტორიტეტულ წარმომადგენელთა და მის მხარდამჭერ სპეციალისტთა, მათ შორის, უცხოელთა მონაწილეობით.

ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პოლიტიკური საკითხია, ამიტომ, ცხადია, აუცილებელია ამ საკითხის ირგვლივ სერიოზული მსჯელობა და აზრთა შეჯერების საფუძველზე ქვეყნისთვის ნორმალური გადაწყვეტილების მიღება, რაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების თვალსაზრისს. ეს საკითხი ნაჩქარევად გადასაწყვეტი არ არის და დღევანდელმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საწინააღმდეგო არგუმენტებიც.

მიხეილ ნანეიშვილმა ადრეც მრავალჯერ შესთავაზა კომპეტენტურ და ავტორიტეტულ სპეციალისტებს, დაწყებული სერიოზული მსჯელობა ამ საკითხზე, მაგრამ ღია ეთერში კამათი ამ საკითხის ირგვლივ არ შედგა. უცხოელი სპეციალისტების აზრი კი

სავსებით გასაგებია. ბუნებრივია, მათ არ სურთ საქართველოს ხელისუფლებას შეეწინააღმდეგონ და, ამიტომ, მათი პოზიცია ნათელია. ისინი ამბობენ, როგორც გნებავთ, ისე გადაწყვიტეთ, რადგან ეს თქვენი შინაური საკითხიაო.

თუ გადავხედავთ მსოფლიოს დიდ ცივილიზებულ დემოკრატიულ ქვეყნებს, რომლებიც ფედერალიზმის ტიპურ მაგალითს წარმოადგენენ, მათი, ამ ქვეყნების განვითარების ადრეულ სტადიაზე ფედერალური მოწყობა იყო ერთადერთი ნორმალური გამოსავალი, მაგრამ როდესაც მათ მაგალითზე სურთ საქართველოს ფედერალიზაციის განხილვაც, ეს არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. ასე, მაგალითად, ამბობენ, რომ საქართველო გვიან ფეოდალურ სტადიაში დაქუცმაცებული იყო და ამიტომ ფედერალიზმს გარკვეული საფუძველი გააჩნია, მაგრამ რეალურად საქართველოს ისტორია სულ სხვა ნიშნით ვითარდებოდა. დაქუცმაცებული ქვეყნის წამყვანი ძალა, მეფე, ცდილობდა ქვეყნის გაერთიანებას, ესწრაფებოდა მის უნიტარულ მოწყობას. რაც შეეხება ამერიკისა და გერმანიის მაგალითებს, ამერიკის კოლონიები, რომლებიც შტატებად იქცა, აბსოლუტურად ცალკეულ სახელმწიფოებს წარმოადგენდა. ცნება ამერიკელი და, შესაბამისად, ამერიკული პატრიოტიზმი გვიან შემოვიდა. მანამდე ყველა თავისი შტატის პატრიოტი იყო.

მიხეილ ნანეიშვილი მზად არის, ლოგიკური არგუმენტებით ედავოს ალტერნატიულ აზრს და, აუცილებლად, კვალიფიციურ სპეციალისტებს. მას მიაჩნია, რომ ფედერალიზმის არც ესპანური მოდელია საქართველოსთვის მისაღები. ჩვენს კითხვაზე, თუ როგორ მიაჩნია უნიტარულ სახელმწიფოში აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და აჭარის რეგიონების მოწყობა, მან განგვიცხადა, რომ, ბუნებრივია, აფხაზეთს უნდა შეუნარჩუნდეს ავტონომია, ასევე აჭარასაც, მაგრამ გამორიცხულია ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიის მინიჭება, რადგან აქ (აბორიგენი) მკვიდრი მოსახლეობა არ ცხოვრობს. იგივე აზრი მან გამოხატა ჯავახეთის მიმართაც. ასევე დაუშვებელია ჯავახეთის ავტონომიზაცია. თუ საქართველოს ხელისუფლება დაუშვებს ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიის დაკანონებას, იგივე მოთხოვნები გაუჩნდება სხვა რეგიონებსაც. ეს მათი მხრიდან სრულიად ბუნებრივი იქნება. რასაკვირველია, აქ მოზომილი, აწონ-დაწონილი და შეჯერებული გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო. საკითხი ძალიან აქტუალურია

და მომწიფდა იმის დრო, რომ დაიწყოს დიდმასშტაბიანი საზოგადოებრივი მსჯელობა მასზე.

ბატონმა მიხეილ ნანეიშვილმა ლოგიკურად აგვიხსნა, თუ რატომ აძლევს ხელს რუსეთს საქართველოში დესტაბილიზაცია და რა ადვილად შეუძლია მას ამის მიღწევა. მართალია, საქართველოში დიდია რუსეთის აგენტურა და იგი ენერგიულად მუშაობს დესტაბილიზაციის შესაქმნელად. მას შეუძლია პატრიოტი ადამიანების გრძნობებზე ითამაშოს და დროშით ხელში ჩაადენინოს ისეთი ქმედებები, რაც საქართველოში სერიოზულ დესტაბილიზაციას გამოიწვევს და დიდ ზიანს მიაყენებს მას პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ამიტომ პოლიტიკოსს უდიდესი სიფრთხილე მოეთხოვება, რათა ისევ არ წავიტეხოთ კისერი. სტაბილურ ვითარებაში როგორმე უნდა მივაღწიოთ ჩვენს დასახულ მიზნებს, რომელთა შორის უმთავრესია საქართველოდან უცხო ჯარის გაყვანა.

თამარ ნინიძე,
„ახალი თაობა“, № 86, 30 მარტი, 1997

ყველა ფედერალისტი ლიბერალ-დემოკრატია, მაგრამ არა პირიქით

პრესკონფერენცია

საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარის ბატონ **მიხეილ ნანეიშვილის** პრესკონფერენცია უმთავრესად საქართველოს ფედერალიზაციის პრობლემას შეეხო. ჟურნალისტებს ამ საკითხთან დაკავშირებული განცხადება გაგვაცნეს, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს ფედერალიზაციას არანაირი გამართლება არ აქვს ჩვენს სინამდვილეში, არც თეორიული და არც პრაქტიკული, არც კულტურულ-ისტორიული და არც იურიდიულ-პოლიტიკური; მეტიც, იგი ისეთ პოლიტიკურ შეცდომად მიგვაჩნია, რომელსაც შთამომავლობა ისტორიულ დანაშაულად ჩაგვითვლის, თუკი, რა თქმა უნდა, მას განხორციელება მაინც ეღირსა“.

მიხეილ ნანეიშვილის თქმით, ფედერალიზმი სულაც არაა დემოკრატიული ლიბერალიზმის უპირობო ატრიბუტი, მისთვის ყოველთვის, მოცემული ქვეყნის რეალურ პირობათა მიუხედავად, აუცილებელი ან თუნდაც სასურველი. ინგლისი ლიბერალური დემოკრატიის ქვეყანაა, მისი კლასიკური ნიმუშია, თუმცა ფედერალური სახელმწიფო არ გახლავთ. საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის პლენარულ სხდომაზე საკმაოდ მაღალი ტრიბუნიდან გაისმოდა, რომ ფედერალიზმი დემოკრატიული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია, რაც არასწორია. […]

ცნობილია, რომ აშშ კლასიკური ფედერალიზმის ქვეყანაა, იგი შტატებად გარდაქმნილი კოლონიების გაერთიანებით შეიქმნა. ამიტომაც ამერიკული პატრიოტიზმი გვიანდელი მოვლენაა. თვით ჯეფერსონიც ვირჯინიის პატრიოტი გახლდათ და არა ამერიკისა. საქართველოსათვის თავისი წარსულით და დღევანდელობით ფედერალიზმი სრულიად მიუღებელია. ოპონენტები ძალიან ხშირად გვიანი ფეოდალური ეპოქის პარალელს მოუხმობენ და სრულიად ავიწყდებათ, რომ იგი ჩვენი ქვეყნის შავ-ბნელი პერიოდია. ჩვენს პირობებში ფედერალიზმი ცენტრიდანული ძალების გაძლიერებას შეუწყობს ხელს და არა ცენტრალიზებულ მმართველობას.

მიხეილ ნანეიშვილის თქმით, საქართველომ ძლიერი უნიტარული სახელმწიფო უნდა შექმნას. მის შემადგენლობაში იქნება აფხაზეთის ავტონომია, რადგან აფხაზებს სხვა სამშობლო არა

აქვთ, აჭარის ავტონომია, რადგან რელიგიური ნიშნით პოლიტიკური ერთეულის შექმნის პრეცედენტი არსებობს. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამაც 1921 წელს აღიარა ეს ფაქტი. ამიტომაც ჩვენ წარსულს ვერ გადავუხვევთ. რაც შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთს – მისთვის ავტონომიის მინიჭება სრულიად გაუმართლებელია, რადგან ამ ლოგიკით იგივეს მოითხოვს ჯავახეთი, ქვემო ქართლი და ა.შ. ქვეყანაში ავტონომიების არსებობა სულაც არ ნიშნავს ფედერაციის აუცილებლობას. იტალიაში ხუთი ავტონომიაა, მაგრამ იგი ფედერალური წყობის ქვეყანა არ გახლავთ. მიხეილ ნანეიშვილმა თავის ოპონენტებს მოუწოდა „ფედერალიზმის ბიბლიას“ გაცნობოდნენ – მედისონის, ჯეისა და ჯეფერსონის ნააზრევს, რომელიც უამრავ კითხვას გასცემს პასუხს.

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარემ არაერთხელ აღნიშნა, რომ ოპოზიცია სპორტად არ უნდა იქცეს, რომ ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ოპოზიცია და მთავრობა თანამშრომლობენ. შიმშილობის აქციებთან დაკავშირებით ითქვა, რომ ამ ფაქტმა დესტაბილიზაციის სიტუაცია არ უნდა შექმნას, მტრის წისქვილზე არ უნდა დაასხას წყალი. საქართველოში მრავლად მოქმედებენ რუსეთის აგენტურის წარმომადგელები, ამიტომაც უნებლიედ მათი ინტერესების შემსრულებლები არ უნდა გავხდეთ.

პარტიის განცხადებაში ნათქვამია: „დაბეჯითებით მივმართავთ ჩვენს ხელისუფლებას, პირადად ბატონ პრეზიდენტს კიდევ ერთხელ შეისწავლოს ეს საკითხი, გაითვალისწინონ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ის დემოგრაფიული ვითარება, რომელიც კიდევ დიდხანს იქნება ცნობილ ძალთათვის გარკვეული მიზნით საექპლოატაციო ფაქტორი, რათა არ მოხდეს ეს საქმე არსაქმნელი და ისედაც მტკივანი თავი უფრო არ ავიტკივოთ“.

ლიბერალ-დემოკრატები მზად არიან ნებისმიერი ფორმით დისკუსიებისათვის პროფესიონალებთან, პოლიტიკოსებთან, ხელისუფლების ავტორიტეტიან წარმომადგენლებთან, მათ შორის, უცხოელებთან, რადგან დილეტანტებთან კამათი თავად პროცესის დისკრედიტაციას იწვევს.

თამარ ტურავა,
„სამშობლო ფორტე“, № 9, აპრილი, 1997

ლიბერალობის გარეშე დემოკრატია შეიძლება მთლად კარგი არ აღმოჩნდეს

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია პიროვნების თავისუფლებისა და უნიტარული სახელმწიფოს მომხრეა

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია შეიქმნა 1990 წლის მარტში. იმავე წლის ივლისში ჩატარდა ყრილობა, რომელზეც მიიღეს პარტიის პროგრამა, წესდება და ჩამოყალიბდა სტუქტურული ფორმები. იმავე წელს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია გაერთიანდა ბლოკ თავისუფლებაში. 1990 წლის არჩევნებში მესამე შედეგი აჩვენეს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მაშინდელ უზენაეს საბჭოში მოსახვედრად.

პარტია აგრძელებდა პოლიტიკურ საქმიანობას, ერთ-ერთ აქტიურ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენდა ბლოკში და თითქმის ყველა ძირითადი პოლიტიკური დოკუმენტი, რაც იქმნებოდა ბლოკში, იქმნებოდა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის ბირთვის მიერ.

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე მიხეილ ნანეიშვილი აღიარებს, რომ მათი პარტია ერთადერთი იყო, რომელმაც ოფიციალურად მხარი დაუჭირა 1991-92 წლების გადატრიალებას: „გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა ჩვენ შევაფასეთ, როგორც ტრაგიკული აუცილებლობა, მაგრამ სამწუხაროდ – აუცილებლობა. ახლა მოდაშია, რომ ვიღაც-ვიღაცეები ინანიებენ მაშინდელ საქციელს, ამ მხრივ ჩვენ არაფერი მოსანანიებელი არა გვაქვს“.

საინტერესოა, აღინიშნოს ერთი ფაქტიც, როდესაც 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში ცნობილი პუტჩი მოხდა, ბლოკი თავისუფლება და ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია ერთადერთი იყო, რომელმაც თბილისსა და პროვინციებში გაავრცელა პროკლამაციების სერია, რომელთა საშუალებითაც მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, არ ეცნო ამ უკანასკნელს მოსკოვის გადატრიალება და ეწარმოებინა დამოუკიდებელი პოლიტიკა.

გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისთანავე შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც შედიოდა მიხეილ ნანეიშვილი,

იგი მონაწილეობდა აგრეთვე ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ სამხედრო საბჭოშიც.

1992 წლის არჩევნების დროს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია გაერთიანდა ბლოკ ერთობაში, რომელიც მესამე შედეგით მოხვდა პარლამენტში, სადაც წამყვან როლს ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტია თამაშობდა. მიხეილ ნანეიშვილი ფრაქცია ლიბერალების ხელმძღვანელი გახლდათ.

ამ პერიოდში ფრაქცია ენერგიულად და მეტ-ნაკლებად ნაყოფიერად თანამშრომლობდა სახელმწიფოს მეთაურთან, ვიდრე საქართველო ესენგეში გაწევრიანდებოდა. როგორც კი ეს მოხდა, იმავე დღეს მიხეილ ნანეიშვილი საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა ოპოზიციაში გადასვლის თაობაზე.

პარლამენტში ყოფნისას მიხეილ ნანეიშვილი გახლდათ საკონსტიტუციო კომისიის წევრი, ხელმძღვანელობდა პრეამბულის ერთ-ერთ ჯგუფს. მაგრამ ის პრეამბულა არ მიიღეს და რადგანაც მიხეილ ნანეიშვილი და მისი პარტია პრინციპული წინააღმდეგი იყვნენ ფედერალიზაციის, კონსტიტუციის შემუშავებაში მათი მოღვაწეობის კვალი საერთოდ არ ჩანს. ამავე დროს, კონსტიტუციის მიღებისას ისინი მხარს უჭერდნენ მისი, როგორც ძირითადი კანონის მიღებას, რათა ამ გზით ცოტათი მაინც გაერთულებინათ საქმე ხელისუფლებისათვის, თუკი დადგებოდა ქვეყნის ფედერალიზაციის საკითხი, რაც შემდეგში მოხდა კიდეც. იმ მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ეს ნაბიჯი სწორი იყო.

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია პირველია, რომელმაც პროგრამაში ცალკე თავად შეიტანა იდეოლოგიის საკითხი. პარტიის იდეოლოგია ზოგადად ასე განისაზღვრა: ლიბერალ-დემოკრატიული ნაციონალიზმი. ეს სწორედ ის მსოფლმხედველობაა, რომელსაც ადგა ილია ჭავჭავაძე და მთელი მისი თაობა. „ჩვენი ლიბერალიზმი კლასიკური ტიპის ლიბერალიზმია, ყოველგვარი სოციალისტური შეფერილობის გარეშე, – ამბობს პარტიის ლიდერი და დასძენს, – რაც შეეხება ნაციონალიზმს, დღეს ამ სიტყვას ცოტა უკუღმართი გაგებით ხმარობენ, ჩვენ კი ისე გვესმის, როგორც ესმოდათ მე-19 საუკუნეში. მაშინ კი იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული საკითხი დომინირებდა, ყველა ლიბერალი ნაციონალისტი იყო და ყველა აქტიურად მოქმედი ნაციონალისტი კი – ლიბერალი; მაგალითისათვის ილია ჭავჭავაძე გავიხსენოთ“.

1995 წლის არჩევნებში პარტიას გამარჯვების იმედი არც ჰქონია, რადგან საარჩევნო კამპანიისთვის აუცილებელი მინიმალური თანხებიც კი არ ჰქონდათ. ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია ამჯერად ოპოზიციაშია. თუმცა ამ ტერმინის არაერთმნიშვნელოვნებიდან გამომდინარე არც ყველასთან აიგივებენ თავს და, თუ დადგა საკითხი ვინმესთან ალიანსში გაერთიანებისა, ბუნებრივია, არც ყველასთან გაერთიანდებიან.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ მაინც აიღო დასავლური ორიენტაცია, ესენგეში ყოფნის საკითხს მთავარ პრობლემად აღარ მივიჩნევთ, ჩანს, რომ ამ გაერთიანებიდან ადრე თუ გვიან, მაინც გამოვალთ, – ამბობს მიხეილ ნანეიშვილი, – ხელისუფლებასთან ჩვენი უთანხმოების მიზეზი ფედერალიზაციის საკითხი გახლავთ. ჩვენ ვიცავთ დეცენტრალიზებული, უნიტარული სახელმწიფოს პრინციპს და თუ ხელისუფლება მართლაც აპირებს ფედერალიზაციას, ეს იქნება ისტორიული დანაშაული ქართველი ერის წინაშე, რასაც ვერც ხელისუფლება და ვერც მისი ამქარი პარტიები ვერ გამოისყიდიან.

გარდა ამ პრინციპული უთანხმოებისა, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია არც ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას ეთანხმება. მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებენ და მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი პარტიის მიზანი ხელისუფლებაში მოსვლაა, ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის არსებობა პარლამენტში ყოფნა-არყოფნაზე არაა დამოკიდებული.

დღეს მოდაშია ლიბერალურ დემოკრატიაზე საუბარი, თუმცა, ვინც ამაზე საუბრობს, ნაციონალიზმს ვეღარ მოიაზრებს მის გვერდით. ამ კონტექსტში საინტერესო გვეჩვენა პიროვნების მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტში ეროვნების დაფიქსირების თაობაზე წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობა. როგორ უყურებენ ამას ლიბერალ-დემოკრატები?

როგორც ბატონმა მიხეილ ნანეიშვილმა განგვიმარტა, ლიბერალურ დემოკრატიაში პრინციპი ლიბერალიზმი, ანუ ადამიანის თავისუფლებაა. დემოკრატია კი მეთოდია ამ პრინციპის განხორციელებისათვის. ხალხის მმართველობა შეიძლება დიდი უბედურების მომტანიც იყოს, თუ ის ადამიანის ინდივიდუალურ თავისუფლებებს არ მოემსახურება: დღეს დასავლეთში „დემოკრატიულ ღირებულებას“ რომ ამბობენ, მოკლედ ამბობენ, ამაში ლიბე-

რალური დემოკრატია იგულისხმება. ლიბერალობის გარეშე დემოკრატია – ხალხის ბატონობა, შეიძლება მთლად კარგი რამ არ აღმოჩნდეს. რაც შეეხება ნაციონალიზმს, ჩვენ მას ნეგატიურ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. საამისოდ არსებობს სიტყვა „შოვინიზმი“, „იმპერიალიზმი“ და სხვა.

პასპორტში ეროვნების ჩაწერაზე ატეხილი დავაც არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შევაფასოთ. ეროვნებას ჩვეულებრივ ორი მნიშვნელობა აქვს – ერთი კულტურულ-ეროვნული, მეორე – პოლიტიკური, რაც ნიშნავს იმას, რომ პიროვნება ითვლება იმ ეროვნებისად, რომელი ქვეყნის მოქალაქეცაა. მაგალითად, ფრანგებს პასპორტში უწერიათ ეროვნება – ფრანგი, ასე უწერია ქართველ ემიგრანტსაც, რომელიც ქართველობს.

ჩვენი რეალობის მიხედვით გასათვალისწინებელია ის, რომ ეროვნულ დასახელებებს კონფლიქტებმა სხვა ელფერი მისცა და ამან, შესაძლოა, წინააღმდეგობები გამოიწვიოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, ამიტომ არ ღირს გართულება. გარდა ამისა, თუ შენ ხარ საქართველოს მოქალაქე, სარგებლობ ისეთივე უფლებებით, როგორც ბუნებითი ქართველი, ე.ი. იგივე მოვალეობებიც გაქვს. ამ აზრით, საქართველოს ყველა მოქალაქე, ეროვნების მიუხედავად, პოლიტიკურად ქართველია. რაც შეეხება ფორმალურ მხარეს, შეიძლება შემოვიღოთ მოქალაქეობის აღმნიშვნელი გრაფა და არა ეროვნებისა. გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც: თუ ჩვენ პასპორტს ვაფიქსირებთ სამოქალაქო დონეზე და პოლიტიკურ მნიშვნელობას ვანიჭებთ ვინმეს ეროვნებას, ე.ი. თავად ამ ეროვნებას ვაძლევთ გარკვეულ პოლიტიკურ სტატუსს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვინმემ შეიძლება ტერიტორიული ავტონომიის საკითხიც კი დასვას. ამიტომ მიდგომა ასეთი უნდა იყოს: მიუხედავად ეროვნებისა, შენ ხარ ქართული სახელმწიფოს მოქალაქე.

როგორ მოიაზრებენ ლიბერალ-დემოკრატები უნიტარული სახელმწიფოს ჩარჩოებში ავტონომიური ერთეულების ადგილს? ბატონი მიხეილ ნანეიშვილის აზრით არავითარი „სამხრეთ ოსეთის ავტონომია“ არ არსებობს. ეს ნონსენსია. აფხაზეთი ისეთივე კუთხეა, როგორც ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია თუ სვანეთი და სამეგრელო, მაგრამ ამავე დროს, ის სხვა ხალხის სამშობლოცაა, ამიტომ იქ ავტონომია უნდა იყოს, მაგრამ არა ფედერალიზმის, არამედ უნიტარული სახელმწიფოს ფარგლებში. აჭარასთან

მიმართებაში უფრო სხვაგვარადაა საქმე. მაშინ, როდესაც აჭარის ავტონომია შეიქმნა, სხვა ეპოქა იყო. საქართველო იძულებული შეიქმნა, დათანხმებოდა ამას, თუმცა დამოუკიდებელი საქართველო იმაზე არ წასულა, რომ სახელმწიფო ერთეული შეექმნა აჭარიდან.

ყოველ შემთხვევაში ის პოლიტიკური სტატუსი, რაც აჭარას აქვს, მიუღებლად მიმაჩნია, – ამბობს მიხეილ ნანეიშვილი, – მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ გარკვეულ ტრადიციას (მიუხედავად იმისა, რომ 1918 წელს ავტონომიის მინიჭება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთ-თურქეთის ხელჩაკიდებული ბრძოლის შედეგი იყო) და დავტოვოთ ავტონომია, ოღონდ არა იმ სახით, როგორც კომუნისტებმა შექმნეს და როგორც დღეს არსებობს.

ინგა მელითაური,
„ახალი ქართული გაზეთი“, №15, 10 აგვისტო, 1998

არც ცხინვალს და არც სოხუმს ფედერაციისა და არც კონფედერაციის გაგონებაც არ სურს
(ფედერაცია თუ უნიტარული სახელმწიფო?)

„საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ“; ასეთი ფორმულირება მოეძებნა ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის კონსტიტუციაში ტერიტორიული მოწყობის საკითხს. როგორი უნდა იყოს საქართველო – ფედერაციული თუ უნიტარული სახელმწიფო? ამის შესახებ საზოგადოების დიდ ნაწილს ზოგადი მოსაზრებებიც კი არა აქვს, თუმცა ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური გზები ვერც წინა ხელისუფლების დროს დავინახეთ და, ჯერჯერობით, ამჟამინდელმა ხელისუფლებამაც ვერ გაგვაგებინა, რა გზით აპირებს სიარულს.

პარლამენტის ყოფილი წევრი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე, მიხეილ ნანეიშვილი საქართველოს ისტორიულ წარსულში ფედერალიზმის რაიმე ნიშანს გამორიცხავს:

XV–XVI საუკუნეებში ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაყოფა იყო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა და არა – ქვეყნის ფედერალური მოწყობის წანამძღვარი. ამ თემაზე საუბრისას თვალშისაცემია საზოგადოების სრული გაუთვითცნობიერებლობა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ჩვენთან პოლიტიკური კულტურის დონე ძალზე დაბალია და, რაც ყველაზე სავალალოა, ეროვნული პასუხისმგებლობის გრძნობა დაქვეითებულია. „მე მგონიას“ პრინციპით ადამიანებმა, დაე, საკუთარი ოჯახების საქმე მოაგვარონ და არა სახელმწიფოსი.

ფედერაცია არის სახელმწიფოებისაგან (ან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისაგან) შემდგარი სახელმწიფო. ამ შემთხვევაში მთელს წინ უსწრებს ნაწილები: ჯერ არსებობენ ცალკეული სახელმწიფოები, რომლებიც საკუთარი ნებით ქმნიან ახალ სახელმწიფოს. აქ პირველადი ნაწილებია, მთელი არის მეორადი.

უნიტარულ სახელმწიფოში კი მთელი პირველადია, ის თავის გარკვეულ ნაწილს, საჭიროებისამებრ, ანიჭებს ავტონომიას. ანუ, უნიტარიზმის პირობებში, მთელის არსებობის საფუძველი ნაწილები კი არ არის, არამედ მთელია ამ ნაწილების წყარო. აშშ-ის დასახელებაში ფედერალური სახელმწიფოს არსი საუკეთესოდაა ასახული. ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას ფედერალიზმს გამაერთიანებელი ძალა ჰქონდა, ეს იყო გამაერთიანებელი ფედერალიზმი. საქართველოში ფედერალიზმი საპირისპირო მიმართულებით, ქვეყნის დაქუცმაცებისკენ წაგვიყვანს. ჩვენი სახელმწიფოსთვის ფედერალური მოწყობა ნიშნავს ერთიანი პოლიტიკური სხეულის დანაწილებას ცალკეულ პოლიტიკურ ქვესხეულებად.

კიდევ ერთი ისტორიული მაგალითი: II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როცა მოკავშირეები გერმანიის კონსტიტუციაზე მსჯელობდნენ, ამერიკელებმა გამოთქვეს ამ ქვეყნის მკვეთრი ფედერირების სურვილი, რათა დაესუსტებინათ გერმანიის ცენტრალური ხელისუფლება. აი, რა მიზნებისთვის სჭირდებოდათ ფედერალიზმის იდეა.

ფედერალიზმზე საუბრისას ავტონომიისა და ფედერაციის ცნებებს ერთმანეთს არასწორად უთავსებენ. იტალიაში ხუთი ავტონომიაა, მაგრამ ეს ქვეყანა ფედერაცია არ არის. ძლიერი ადგილობრივი მმართველობის მხრივ სანიმუშო ქვეყანაა ინგლისი, რომელიც უნიტარული სახელმწიფოა. აქ საკითხი ასე უნდა დაისვას: უნიტარიზმიც და ფედერალიზმიც არის ქვეყნის არა მარტო ტერიტორიალური, არამედ **პოლიტიკური** მოწყობის ფორმაც. [...]

როცა შემადგენელ ნაწილებს ერთ ერად სრული ინტეგრირება არ სურთ, მაშინ იქმნება ადგილობრივი პოლიტიკური მმართველობები, თორემ კულტურული თუ სამეურნეო საკითხები ადგილობრივი თვითმმართველობის მიერაც ადვილად მოგვარდება. უნდა მოხდეს ერის ცხოვრების მაქსიმალური განსახელმწიფოებრიობა, ანუ ამ ცხოვრების დიდი ნაწილი საზოგადოებას უნდა ჩაბარდეს, ხელისუფლება ქვეყნის ცხოვრების მხოლოდ იმ სფეროებში უნდა ჩაერიოს, რომელსაც მთავრობის გარდა ვერავინ მართავს. ასეთ შემთხვევაში რა საჭიროა ადგილობრივი მთავრობა და პარლამენტი, პოლიცია, სასამართლო, ბიუროკრატია?! საქართველოში „ფედერალიზმით“ გატაცება არის ფეოდალური ცნობიერების რეციდივი, რომელიც აჭარის მაგალითზე გვაქვს და სხვა კუთხეებში ნოყიერ ნიადაგს პოვებს, რადგან ეროვნული სოლიდა-

რობის გრძნობა (ამ სიტყვის ნამდვილი, პოლიტიკური (კულტურული) გაგებით) საქართველოში ძალიან სუსტია, აქ კუთხურობის განცდაა ძლიერი.

ვიღაც-ვიღაცები ასიმეტრიულ ფედერაციაზეც საუბრობენ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ქვეყანას სიმეტრიულად დაჩეხავენ თუ ასიმეტრიულად?

[...]

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მხოლოდ დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს სახით შეიძლება აღდგეს. ფედერალური საქართველო, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ინვალიდი სახელმწიფო იქნება“.

მაია ბუთბაია,
„მთავარი გაზეთი“, 14-21. 03. № 61, 2004

გამომმცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

„... რუსეთის განსაკუთრებული დაინტერესებულობა საქართველოს ფედერალიზაციით იმ უბრალო მოსაზრებითაა მოტივირებული, რომ საქართველოს „შეერთებული შტატები“, თუნდაც თავისი „ასიმეტრიული“ ფორმით, იქნება, არსებულ გეოპოლიტიკურ გარემოში, **ინვალიდი სახელმწიფო**, რაც პირდაპირ უპასუხებს რუსეთის იმპერიულ ამბიციებს სამხრეთ კავკასიაში... ის სტატუსი, რომელიც კონსტიტუციურად დაუკანონდება აღნიშნულ რეგიონებს, შეიქმნება, ვიტყვით ერთხელაც, დამაიმედებელ და წამახალისებელ... ფაქტორად სეპარატიზმის შემდგომი წარმატებისთვის, იგი იქნება უკანასკნელი „ტრამპლინი“, საიდანაც სეპარატისტებს გადახტომა არ დასჭირდებათ, ნაბიჯის გადადგმა საკმარისი იქნება საქართველოსგან სრული სეპარაციისთვის“.

„... ჩვენი პოლიტიკური იდეოლოგია განისაზღვრება, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმი. ეს ის ნაციონალიზმია, რომელსაც თავის მსოფლმხედველობის პრინციპად ილია ჭავჭავაძე ცნობდა. ამ მხრივ, ჩვენ უფრო ახლოს ვართ ისეთ პარტიებთან, რომლებსაც დასავლეთში კონსერვატორებად მიიჩნევენ. ასე რომ, ჩვენ ტრადიციული ლიბერალ-დემოკრატები ვართ და ეს განსაზღვრავს ჩვენს კონსერვატიზმს”.

ISBN 978-9941-33-777-2